საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა

მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

შემუშავებულია ევროპის საბჭოს
არჩევნებში თანამშრომლობის
ხელშეწყობის URSO-ს
მეთოდოლოგიის თანახმად

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა

მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

შემუშავებულია ევროპის საბჭოს
არჩევნებში თანამშრომლობის
ხელშეწყობის URSO-ს მეთოდო-
ლოგიის თანახმად

ევროპის საბჭო

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროპის საბჭოს ოფიციალური პოლიტიკის ფარგლებში არსებულ თვალსაზრისად. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებსა და მთარგმნელებს.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმითა თუ ნებისმიერი საშუალებით, ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.) ან მექანიკურად, მათ შორის: ასლის გადაღების, ჩაწერის ან ინფორმაციის შენახვისა თუ ამოღების ნებისმიერი სისტემის საშუალებით, არჩევნებისა და თანამონაწილეობითი დემოკრატიის განყოფილების (დემოკრატიის გენერალური დირექტორატი) წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

არჩევნებისა და თანამონაწილეობითი დემოკრატიის განყოფილება (დემოკრატიის გენერალური დირექტორატი)
www.coe.int/en/web/electoral-assistance/overview

პროექტი „გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“

https://www.coe.int/ka/web/tbilisi/supporting-transparency-inclusiveness-and-integrity-of-electoral-practice-and-process-in-georgia

ფოტო თავფურცელზე – © Shutterstock

ენობრივი რედაქტორი - თამარ გაბელაია

© ევროპის საბჭო, მარტი 2022 წელი

ELECLAB

ევროპის საბჭოს საარჩევნო ლაბორატორია

URSO

Useful
Relevant
Sustainable
Owned

Council of Europe methodology for electoral cooperation

ცესკო

საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

არჩევნებისა და თანამონაწილეობითი დემოკრატიის განყოფილება

(დემოკრატიის გენერალური დირექტორატი)

ევროპის საბჭოს არჩევნებისა და თანამონაწილეობითი დემოკრატიის განყოფილება (დემოკრატიის გენერალური დირექტორატი) წევრ სახელმწიფოებს რჩევებსა და ტექნიკურ დახმარებას აწვდის არჩევნების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორებიცაა: საარჩევნო რეფორმების მხარდაჭერა, საარჩევნო პროცესებში მონაწილე მხარეების შესაძლებლობების გაზრდა და ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლება.

შესაძლებლობების განვითარების სფეროში არჩევნებისა და თანამონაწილეობითი დემოკრატიის განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობს საარჩევნო კომისიებთან, რათა საარჩევნო მოხელეებს კარგი წარმოდგენა ჰქონდეთ როგორც ეროვნულ საარჩევნო რეგულაციებზე, ისე საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკაზე, რათა თავიანთი მოვალეობების შესრულებისას ამომრჩეველთა უფლებები დაიცვან. ეს განყოფილება ასევე მუშაობს საარჩევნო პროცესებში მონაწილე სხვა მხარეებთან შესაძლებლობების განვითარების, მაგალითად, წინასაარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოების (მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური) ან საარჩევნო კამპანიების მედიაგაშუქებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების მხარდასაჭერად (მაგალითად, მოლდოვის რესპუბლიკის აუდიოვიზუალური სფეროს საკოორდინაციო საბჭო).

ამ სფეროში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებას, რომლებიც ეროვნულ დონეზე ჩატარებულ არჩევნებზე დამკვირვებლების ფუნქციას ასრულებენ.

განყოფილება ასევე ხელს უწყობს ამომრჩევლებისა და კანდიდატების ცნობიერების ამაღლებას არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ. იგი ეხმარება ეროვნულ საარჩევნო ადმინისტრაციებს ამომრჩეველთა განათლებისა და საინფორმაციო კამპანიების შემუშავებაში, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ქალებზე, ამომრჩევლებზე,

რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში, და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებზე (მაგალითად, ალბანეთში იმ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების კამპანიები განხორციელდა, რომლებიც პირველად მონაწილეობენ არჩევნებში).

გარდა ამისა, ჩატარდა ტექნიკური დახმარების სამუშაოები ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოების მიმართ შემუშავებული ელექტრონული ხმის მიცემის სამართლებრივი, ოპერაციული და ტექნიკური სტანდარტების თაობაზე Rec(2004)11 რეკომენდაციის გადასინჯვის მიზნით. 2017 წლის 14 ივნისს შემდგარ მინისტრთა მოადგილეების 1289-ე სესიაზე მინისტრთა კომიტეტმა ახალი რეკომენდაცია მიიღო ელექტრონული ხმის მიცემის სტანდარტების თაობაზე. ახალი რეკომენდაცია CM/Rec(2017)5, რომელიც წინა Rec(2004)11 რეკომენდაციას ეყრდნობა, შემუშავდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ელექტრონული ხმის მიცემა დემოკრატიული არჩევნების პრინციპებს ემყარება, და ეს რეკომენდაცია ელექტრონული ხმის მიცემის ერთადერთი საერთაშორისო სტანდარტია, რომელიც დღემდე არსებობს.

განყოფილება მხარს უჭირს ადგილობრივ დონეზე ციფრული ტექნოლოგიების დანერგავს - საარჩევნო პროცესების გამჭვირვალეობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

ევროპის საბჭოს საარჩევნო ლაბორატორია (Eleclab) განყოფილების კვლევებსა და თემატურ მუშაობაზეა პასუხისმგებელი საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროში სასარგებლო და აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების მიზნით, დაწყებული ამომრჩევლებიდან, რომლებიც პირველად მონაწილეობენ არჩევნებში, ქალების უკეთესი წარმომადგენლობის ხელშეწყობითა და თანამედროვე სტრატეგიული დაგეგმვით დამთავრებული. 2019 წლიდან განყოფილება დახმარებისა და მხარდაჭერის საქმიანობას საარჩევნო სფეროში თანამშრომლობის URSO-ს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ახორციელებს, რაც გულისხმობს: სასარგებლო, შესაბამისი, მდგრადი და საკუთარი (Useful, Relevant, Sustainable and Owned). „URSO-ს სტრატეგიული და თანამშრომლობის დაგეგმვის ინსტრუმენტების ნაკრები“ უახლოეს მომავალში იქნება ხელმისაწვდომი როგორც ონლაინ, ასევე აპლიკაციის სახით. იგი, ძირითადად, განკუთვნილია საარჩევნო პროცესებში მონაწილე დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც მუდმივად არიან ჩართულნი საარჩევნო რეფორმებში, როგორებიცაა, მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისიები.

სარჩევი

არჩევნებისა და თანამონაწილეობითი დემოკრატიის განყოფილება 3

წინასიტყვაობა 9

აკრონიმები 14

I თავი სიძულვილის ენა და საარჩევნო კამპანიები. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა 15

შესავალი 15

1. საერთაშორისო სტანდარტები 22

1.1. ხელშეკრულებები და კონვენციები 23

1.2. ევროპის საბჭოს ასამბლეის რეზოლუციები 25

1.3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები 27

1.4. ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია 29

1.5. ევროკავშირის ინიციატივები 29

1.6. სხვა ინიციატივები 31

2. კონსტიტუციები 33

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი 35

3.1. გამოხატვის თავისუფლების პრიმატი 36

3.2. გზავნილის შინაარსი 39

3.3. საქმეები, რომლებიც არ ხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში 40

3.4. საქმეები, როდესაც აზრის გამოხატვაზე ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვა 42

3.5. საარჩევნო კამპანიები 43

3.6. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების დასაბუთება 47

4. პოლიტიკური პარტიების ან კანდიდატების მიერ სიძულვილის ენის გამოვლენა 50

5. ეროვნული რეგულაციები 51

5.1. ავსტრალია 51

5.2. ავსტრია 53

5.3. კანადა 55

5.4. დანია 56

5.5. საფრანგეთი 57

5.6. გერმანია 65
5.7. იტალია 69
5.8. ლიტვა 71
5.9. გაერთიანებული სამეფო 71
რეკომენდაციები 76
ბიბლიოგრაფია 80

II თავი სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო პროცესებში - ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები 85

1. შესავალი 85
2. სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულობა 87
2.1. სიძულვილის ენის "წამაქეზებელი" მექანიზმები 87
2.2. სიძულვილის ენა და სიძულვილის დანაშაული 90
2.3. სიძულვილის ენა და სიტყვის თავისუფლება 97
3. საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენა - სიძულვილის ენასთან ეფექტიანი ბრძოლის სტრატეგიები 101
3.1 საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის შესახებ ინფორმაციის დოკუმენტირება, მონიტორინგი და გამოქვეყნება 101
3.2. სიძულვილის ენის წინააღმდეგ "ხმის ამაღლება" 104
3.3. საარჩევნო პროცესებში მონაწილე მხარეებთან თანამშრომლობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში 104
3.4. საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შემცირება 105
3.5. მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა და საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანა 107
3.6. საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის კოდექსის დანერგვა და პოპულარიზაცია 108
3.7. ამომრჩევლების ცნობიერების ამაღლება და განათლება 111
3.8. საარჩევნო ადმინისტრაციის სიძულვილის ენისგან დაცვისათვის აუცილებელი სამართლებრივი ჩარჩო 112
3.9. სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაზე ცესკო-ს საქმიანობის გავლენის ანალიზი 113
4. სიძულვილის ენა საარჩევნო კამპანიაში - სტრატეგიები საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის 114
4.1. სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების დოკუმენტირება, მონიტორინგი და გასაჯაროება წინასაარჩევნო კამპანიის დროს 114
4.2. სიძულვილის ენის პროფესიონალური მონიტორინგის ხელშეწყობა 116

4.3. სიძულვილის ენის გამოყენებასთან ბრძოლა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალები ხდებიან მისი სამიზნე 120

4.4. სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა სიძულვილის ენასთან ბრძოლის და ასეთი ინციდენტების შემდგომი მართვისა და მონიტორინგის პროცესში 123

4.5. მედიასთან ურთიერთობის საკუთარი სტრატეგიის გულდასმით შემუშავება 125

4.6. პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის დანერგვა და აღსრულების მონიტორინგი - პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისათვის სანქციების დაკისრება კოდექსის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში 128

4.7. პოლიტიკური პარტიების წევრების, დამოუკიდებელი კანდიდატების, საჯარო მოხელეების, მთავრობის კომუნიკაციების ოფიცრებისა და საარჩევნო დამკვირვებლების სწავლება 130

4.8. საკანონმდებლო ცვლილებების ლობირება 133

4.9. მედიის წახალისება, რათა პროფესიონალურად გააშუქონ წინასაარჩევნო კამპანია 134

4.10. ცესკო-ს საქმიანობის ზეგავლენა სიძულვილის ენის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართული ზომების განხორციელებაზე 137

რეკომენდაციები 138

ბიბლიოგრაფია 139

III თავი საქართველოს გამოცდილება: სიძულვილის ენა არჩევნებში - კანონმდებლობა, ინსტიტუციური ჩარჩო და პრაქტიკა 145

I . სიძულვილის ენა - ზოგადი მიმოხილვა 145

II. მოქმედი კანონმდებლობა 155

III. სიძულვილის ენა არჩევნებში - პრაქტიკა 168

IV. დასკვნა 181

ბიბლიოგრაფია 185

დანართი I 191

სასწავლო მოდული - „საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის“, შემუშავებული ევროპის საბჭოს საარჩევნო მხარდაჭერის პროექტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრთან თანამშრომლობით. 191

სასწავლო მოდული 191

1. შინაარსი 191

2. სასწავლო მოდულის ტრენერი/ექსპერტი 192

3. თემის მნიშვნელობა და პრობლემის აქტუალურობა 192

4. ტრენინგის მიზანი **193**
5. ტრენინგის ამოცანები **194**
6. სასწავლო მოდულის სამიზნე ჯგუფი **194**
7. სასწავლო მოდულის შემუშავების პროცესი **194**
8. პარტნიორები **195**
9. სწავლების მეთოდები **195**
10. ტრენინგის შეფასება **195**
11. დანართები **196**
დანართი 1. ტრენინგის დღის წესრიგი 196
დანართი 2. სილაბუსი 201
დანართი 3. ტრენინგის მასალების ჩამონათვალი 204

წინასიტყვაობა

გიორგი კალანდარიშვილი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარე

საარჩევნო ადმინისტრაციის სახელით მინდა მივესალმო ევროპის საბჭოს (CoE) კიდევ ერთ მნიშვნელოვან წამოწყებას - შეიქმნას მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. ყურადღების გამახვილება პრობლემებზე, რომელთაც სიძულვილის ენის დამკვიდრება იწვევს, აუცილებელი და დროულია. დარწმუნებული ვარ, ეს მეთოდოლოგიური, პრაქტიკული სახელმძღვანელოც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ გამოწვევასთან გამკლავებაში.

სიძულვილის ენა, განსაკუთრებით საარჩევნო პროცესებში, სერიოზული პრობლემაა საარჩევნო ადმინისტრაციისათვის, არჩევნებში ჩართული ყველა მხარისთვის და, რაც მთავარია, მთლიანად საზოგადოებისთვის. ამიტომ საარჩევნო ადმინისტრაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ძალისხმევას არ იშურებდა და მომავალშიც გააგრძელებს ბრძოლას სიძულვილის ენასთან და მისი გამოყენების გამო წარმოქმნილ საზიანო შედეგებთან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას უკვე საკმარისი გამოცდილება დაუგროვდა ამ მიმართულებით. ევროპის საბჭოს საარჩევნო მხარდაჭერის პროექტის ხელშეწყობით, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ერთად, შეიმუშავა სასწავლო მოდული - „საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენასთან ბრძოლა“, რომელიც შეტანილია სწავლების ცენტრის სასწავლო პროექტებში და მისი გაცნობა მუდმივად ხდება ყველა ჩართული მხარისათვის, როგორც პოლიტიკური პარტიების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის. რამდენადაც სასწავლო მოდული აღმოჩნდა ეფექტიანი და დიდი მოწონება დაიმსახურა სასწავლო პროექტების მონაწილეებში,

გადაწყდა, ისეთ მასშტაბურ პროექტში, როგორიცაა საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, რომელიც 300 საჯარო სკოლაში ხორციელდება, შესულიყო თემა - „სიძულვილის ენისგან თავისუფალი საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა დემოკრატიული არჩევნებისთვის“.

ამავე დროს, წარმატებასთან ერთად სასწავლო პროექტების პრაქტიკამ და დისკუსიებმა გააჩინა ახალი საჭიროებებიც. აუცილებელია ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერება, საერთო მიდგომების ჩამოყალიბება და ნამდვილად სასიხარულოა, რომ ევროპის საბჭო დროულად გამოეხმაურა და დაიწყო აღნიშნულ სახელმძღვანელოზე მუშაობა.

ნაშრომი, რომლის გაცნობის შესაძლებლობაც თქვენ გაქვთ, ნამდვილად დიდ გავლენას მოახდენს სიძულვილის ენის, როგორც მოვლენის, დამარცხებაში და დაეხმარება ჩვენს ქვეყანას დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესებაში.

დემოკრატიულ საზოგადოებასა და, მითუმეტეს, საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენის ადგილი არ არის!

ფრანკ დეშლერი

ევროპის საბჭოს არჩევნებისა და თანამონაწილეობითი დემოკრატიის განყოფილების უფროსის მოადგილე

გამოხატვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულება. პრაქტიკაში ნებისმიერ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, გამოხატოს საკუთარი შეხედულება და მოსაზრება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. ორმაგად მნიშვნელოვანია, ეს ღირებულება დაცული იყოს წინასაარჩევნო კამპანიის დროს, როდესაც ამომრჩეველთა კრიტიკული შეხედულებები პოლიტიკური თუ საჯარო პრობლემების შესახებ ჯანსაღი დემოკრატიული ციკლისათვის აუცილებელი პირობაა. ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს საშუალება, საკუთარი არჩევანი ისეთ პოლიტიკურ პარტიასა თუ კანდიდატზე გააკეთოს, რომლის პროგრამასაც და სამომავლო პოლიტიკასაც გაეცნობა და შემდგომ ინფორმირებულ გადაწყვეტილებას მიიღებს დემოკრატიულ არჩევნებში.

თუმცა გამოხატვის თავისუფლება და ნებისმიერი დისკუსია უნდა ჯდებოდეს პატივისცემისა და ცივილიზებულობის ფარგლებში. შესაბამისად, ნებისმიერი სახის სიძულვილისა და ღვარძლის ენა დემოკრატიისთვის მიუღებელი ძალადობის მაგალითია. დეზინფორმაცია და სხვების წაქეზება ძალადობისაკენ ხელს უშლის კანდიდატებს, თავისუფლად წარმართონ წინასაარჩევნო კამპანია; განაპირობებს არასწორ და შემაშფოთებელ დისკუსიებს, შეცდომაში შეჰყავს ამომრჩეველი, იწვევს არასტაბილურობასა და შესაძლო მღელვარებას და ამით საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებებს.

ევროპის საბჭო იცავს და ხელს უწყობს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიასა და სამართლის უზენაესობის ღირებულებებს. მათ შორის, სიძულვილის ენასთან ბრძოლა ასევე პრიორიტეტულია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში დემოკრატიზაციის პროცესების გასაძლიერებლად. მონიტორინგის უნიკალური ორგანოების მეშვეობით ევროპის საბჭო უზრუნველყოფს თავისი პოლიტიკისა და სამართლებრივი მექანიზმე-

ბის განხორციელებას, რომლებიც მიმართულია სიძულვილის ენისა და სიძულვილის წაქეზების წინააღმდეგ. მათ შორის, სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ყველაზე ყოვლისმომცველი დოკუმენტია ევროპის საბჭოს ორგანოს - რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) - მიერ შემუშავებული რეკომენდაცია[1], რომელიც განსაზღვრავს სიძულვილის ენის დეფინიციას: სიძულვილის ენა გულისხმობს გამოხატვის ერთი ან რამდენიმე კონკრეტული ფორმის გამოყენებას, კერძოდ: პიროვნების ან პირთა ჯგუფის შეურაცხყოფის, სიძულვილის ან შეურაცხყოფის პროპაგანდას, ხელშეწყობას ან წაქეზებას, აგრეთვე ნებისმიერი სახის შევიწროებას, შეურაცხყოფას, ნეგატიური სტერეოტიპების შექმნას, სტიგმატიზებას ან მუქარას და გამოხატვის ყველა ამ ფორმის გამართლებას. ეს დაფუძნებულია პიროვნული მახასიათებლების ან სტატუსის არასრულ ჩამონათვალზე, რომელიც მოიცავს „რასას“, კანის ფერს, ენას, რელიგიას ან მრწამსს, ეროვნებას ან ეროვნულ ან ეთნიკურ წარმომავლობას, აგრეთვე, ასაკს, შეზღუდულ შესაძლებლობებს, სქესს, გენდერს, გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციას“.

ციფრულ ეპოქაში სიძულვილის ენასთან ბრძოლა და სიძულვილის გაღვივება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც საარჩევნო პროცესებსა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოხატვაზე დიდი გავლენა აქვს სოციალურ პლატფორმებს. წინასაარჩევნო კამპანიას განსაკუთრებით ახასიათებს სიძულვილის ენის გამოვლინების შემთხვევები, რაც აზიანებს საარჩევნო გარემოს და აბრკოლებს მოქალაქეებს, რათა მათ მიიღონ ინფორმირებული არჩევანი.

როგორც ბოლო საარჩევნო ციკლებმა გამოავლინა, საქართველოში დემოკრატიზაცია და საარჩევნო პროცესები ასევე მოწყვლადია სიძულვილის ენის მიმართ და მისი ნეგატიური ზემოქმედება აისახება საარჩევნო გარემოსა და მოქალაქეთა არჩევნებისადმი ნდობაზე.

ევროპის საბჭოს საარჩევნო მხარდაჭერის პროექტი - „საქართველოში საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და მთლიანობის ხელშეწყობა“ - თანამშრომლობს საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეებთან, რათა თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას სიძულვილის ენის გამოყენება საარჩევნო პროცესებში.

ამ მიზნით პროექტმა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან (შემდგომში - ცესკო) და ცესკო-ს საარჩევნო სისტემების განვითარების,

1 ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N15 „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

რეფორმისა და სწავლების ცენტრთან (შემდგომში - სასწავლო ცენტრი) თანამშრომლობით შეიმუშავა და დანერგა სასწავლო კურსი თემაზე - „საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის“. ეს კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენისა და სიძულვილის გაღვივების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, სტრატეგიები საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის სიძულვილის ენის გამოხატვის შემთხვევების ეფექტიანი აღკვეთისა და მსგავს შემთხვევებზე რეაგირებისათვის, სიძულვილის ენა და დეზინფორმაცია, სიძულვილის ენა და სექსიზმი და სხვ.

დღეისათვის სასწავლო კურსი ინტეგრირებული და დანერგილია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასწავლო ცენტრის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში და, გარდა საარჩევნო მოხელეებისა, გათვლილია საარჩევნო პროცესებში მონაწილე მხარეების ფართო სპექტრზე.

კურსის განხორციელების პროცესში გამოვლინდა, რომ ამ სფეროში არ არსებობს ქართულ ენაზე არსებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო პრინციპები, ასევე - ევროპის საბჭოს პოლიტიკისა და სამართლებრივი ინსტრუმენტების და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის ხელმისაწვდომი ანალიზი.

შესაბამისად, არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, ცესკო-სთან მჭიდრო თანამშრომლობითა და ევროპის საბჭოს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მხარდაჭერითა და ჩართულობით, შემუშავდა წინამდებარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. გამოცემაში წარმოდგენილია საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სახელმძღვანელო მითითებები საარჩევნო ადმინისტრაციისა და არჩევნებში მონაწილე მხარეებისათვის. ნაშრომი შესაძლოა იყოს ერთგვარი გზამკვლევი სიძულვილის ენასა და საარჩევნო პროცესებში სიძულვილის გაღვივებასთან ბრძოლისათვის და ხელს შეუწყობს ჯანსაღი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს განვითარებას. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო გვთავაზობს ევროპის საბჭოს სტანდარტებისა და წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის ყოვლისმომცველ ანალიზს, ასევე შიდა საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის მიმოხილვას. იგი ასევე მოიცავს სასწავლო მოდულს, გთავაზობს სტრატეგიებსა და პრაქტიკულ ინსტრუმენტებს საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენის პრევენციისა და აღკვეთისათვის. ნაშრომი ასევე შეიძლება ჩაითვალოს დამატებით საკითხავ/ტრენინგის მასალად სასწავლო კურსის მონაწილეებისთვის.

აკრონიმები

CEC - Central Election Commission (ცენტრალური საარჩევნო კომისია)

CoE - Council of Europe (ევროპის საბჭო)

DEC - District Election Commission (საოლქო საარჩევნო კომისია)

ECRI - European Commission against Racism and Intolerance (ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ)

EMB - Election management body (საარჩევნო ადმინისტრაცია)

ENISA - European Union Agency for Network and Information Security (ევროკავშირის ქსელური და საინფორმაციო უსაფრთხოების სააგენტო)

LGBTI - Lesbian, gay, bisexual, transgender and intersex (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი/ტრანსგენდერი და ინტერსექსუალი)

PEC - Precinct Election Commission (საუბნო საარჩევნო კომისია)

OSCE - Organization for Security and Co-operation in Europe (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია)

StGB n.F. - Strafgesetzbuch neuer Fassung (სისხლის სამართლის კოდექსი ახალი რედაქციით)

TEC - Territorial Election Commission (ტერიტორიული საარჩევნო კომისია)

I თავი
სიძულვილის ენა და საარჩევნო კამპანიები. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა

ივ-მარი დუბლე

საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ფინანსური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ევროპის საბჭოს ექსპერტი

შესავალი

პოლიტიკური დებატები მოითხოვს ცივილიზებულ დისკუსიებს და ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესებს. საარჩევნო კამპანიის დროს გაკეთებული განცხადებების ტონი თავისი ხასიათით შეიძლება იყოს მღელვარე, პროვოკაციული, არ ახასიათებდეს ზომიერება, და პირიქით, უპირატესობა ენიჭებოდეს გადაჭარბებულ განცხადებებს. სიძულვილის ენა ყოველთვის არსებობდა, რადგან ის პოლიტიკური დებატების ნაწილია, მაგრამ გადაჭარბებულ განცხადებასა და სიძულვილის ენას შორის ხარისხობრივი განსხვავება არსებობს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სიძულვილის ენის ზეგავლენა სულ უფრო იზრდება და ინტერნეტის სულ უფრო ფართო გამოყენების პირობებში მას აქვს დამახინჯების, შეცდომაში შეყვანის, დესტაბილიზაციის გამოწვევისა და დემოკრატიისთვის საფრთხის შექმნის მზაკვრული უნარი.

სიძულვილის ენის განმარტება ზოგჯერ დეზინფორმაციასა და კიბერთავდასხმებთან ასოცირდება. იგი მოიცავს პირის მიმართ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენას და სხვა კრიმინალურ ან ინტრუზიულ ქცევას, ასევე, პროპაგანდის, შეთქმულების თეორიების და სპამის გავრცელებას, შემთხვევითი მომხმარებლების მოზიდვის, დატროლვისა და წესრიგის შელახვის მიზნით.[2] სიძულვილის ენის გავრცელება კიბერშეტევებისა და დეზინფორმაციის მეშვეობით გავლენას ახდენს დემოკრატიულ საა-

2 თარლაჩ მაკ. კონაგლი, ევროპის საბჭო ონლაინ სიძულვილის ენის წინააღმდეგ: თავსატეხები და გამოწვევები, https://pure.uva.nl/ws/files/2059638/162486_1088.pdf

რჩევნო პროცესზე. სიძულვილის ენის გამოხატულების, კიბერთავდასხმებისა და დეზინფორმაციის მიზანი ერთი და იგივეა - ეს არის დემოკრატიის დესტაბილიზაცია ცილისმწამებლური კამპანიების საშუალებით, და კანდიდატების, პარტიების ან მმართველი მთავრობების დასუსტება დისკრედიტაციაზე ორიენტირებული ტაქტიკის გამოყენებით. მაგრამ ეს სამი პრაქტიკა ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ. სიძულვილის ენა და დეზინფორმაცია გამოიყენება როგორც ოფლაინგარემოში, როდესაც კამპანიის ტრადიციული გზებით წარმოება ხდება, ასევე ონლაინგარემოში, ხოლო კიბერშეტევები მხოლოდ ონლაინ ხორციელდება. ამ მიზეზების გამო სიძულვილის ენის, კიბერთავდასხმებისა და დეზინფორმაციის ცნებები ერთმანეთთან მიმართებით უნდა დაზუსტდეს.

თუ ოქსფორდის ლექსიკონს მივმართავთ, სიძულვილის ენა ნიშნავს *„შეუხაცხმყოფელ ან მუქარის შემცველ ზეპირ ან წერილობით გამონათქვამებს, რომლებიც გამოხატავენ შეუწყნარებელ დამოკიდებულებას ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციის ან მსგავსი ნიშნით“.* ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წლის 30 ოქტომბრის რეკომენდაცია „სიძულვილის ენის შესახებ“ განსაზღვრავს მას, როგორც „გამონათქვამებს, რომლებსაც შეუძლია, გამოიწვიოს რასობრივი სიძულვილის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის ან დისკრიმინაციის ან სიძულვილის სხვა ფორმების ლეგიტიმაციის, გავრცელების ან ხელშეწყობის ეფექტი, ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ან სიძულვილის სხვა ფორმები. ასეთი განცხადებები უნდა აიკრძალოს და საჯაროდ იქნეს დაგმობილი ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას ადგილი ექნება“.[3]

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) სიძულვილის ენის უფრო ფართო განმარტებას იძლევა. კერძოდ, სიძულვილის ენა გაგებულ უნდა იქნეს როგორც ადამიანის ან ადამიანების ჯგუფის დამცირების, სიძულვილის ან ცილისწამების ადვოკატირება, ხელშეწყობა ან წახალისება ნებისმიერი ფორმით, და, ასევე, ნებისმიერი შევიწროება, შეურაცხყოფა, უარყოფითი სტერეოტიპირება, სტიგმატიზაცია ან მუქარა ასეთი ადამიანის ან ადამიანების ჯგუფის მიმართ, და ყველა აღნიშნული ტიპის გამოხატვის გამართლება რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, ენის, რელიგიის ან რწმენის, სქესის, გენდერის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის და სხვა პიროვნული ნიშნის ან სტატუსის საფუძველზე. სიძულვილის ენა ნეგატიურ ემოციურ რეაქციებს იწვევს იმ ჯგუფის მიმართ, რომელიც სამიზნეა, და როგორც

3 97 (20) რეკომენდაციის დანართი.

კომისიამ აღნიშნა, არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სიძულვილის ენის გამოყენებას კონკრეტულ შემთხვევაში ექნება ძალადობრივი ქმედების, ზეწოლის, მტრობის ან დისკრიმინაციის წაქეზების შედეგი მათ მიმართ, ვის წინააღმდეგაც სიძულვილის ენა არის მიმართული. ის, ვინც ექსტრემისტულ განცხადებებს აკეთებს, არა მხოლოდ სიტყვებით ასრულებს, არამედ ძალადობრივ გარემოს ქმნის.[4] დეზინჰიბირებული დისკურსი კვებავს ექსტრემიზმს. როდესაც კანდიდატების ან პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ სიძულვილის ენის კამპანია გამოიყენება, ისინი ვალდებულნი იქნებიან, მუდმივად დაიცვან თავი თავიანთი პროგრამის წარდგენაზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად. ამგვარად, ეს ასუსტებს მათ საარჩევნო კონკურენციის პროცესში.[5] დაშინების ნებისმიერი ფორმა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შეურაცხმყოფელ კომუნიკაციას, ან ზოგჯერ ასევე ფიზიკურ ძალადობას, გარკვეულ შემთხვევებში მიზნად ისახავს, რომ პირი გავიდეს საჯარო სივრციდან და უარი თქვას კანდიდატობაზე ან თანამდებობაზე, რომელზეც იგი არჩეულ იქნა[6], ან გარკვეული პირების დემოკრატიული დებატებიდან გამორიცხვას.[7] მაგალითად, 2019-2020 წლებში ფრანგი დეპუტატებისთვის მათ საარჩევნო ოლქებში მიყენებული ამგვარი ზიანის დაახლოებით სამოცდაათამდე შემთხვევა დაფიქსირდა.

ECRI-ის ანგარიშებში სიძულვილის ენისა და შეუწყნარებლობის უამრავი მაგალითია მოყვანილი, რომლებიც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში გამოვლენილა. მაგალითები გერმანიიდან, ესპანეთიდან და გაერთიანებული სამეფოდან პოლიტიკურ არენაზე ამ ნეგატიური დისკურსის სხვადასხვა ფორმას ასახავს, რომლებიც მიზნად ისახავენ სიძულვილისა და უარყოფითი წარმოდგენის გაღვივებას.

გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელთა მნიშვნელოვანი ნაკადების ჩასვლის კონტექსტში აღინიშნა, რომ სიძულვილის ენის უმეტესობა მიმართული იყო მიგრანტების წინააღმდეგ და, არსებული ტენდენციის მიხედვით, სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამებისა და ამბების გამეორება და გავრცელება ბევრად უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ნამდვილი

4 Die unheimliche Macht des Wortes, Frankfurter allgemeine Zeitung, 2021 წლის 21 სექტემბერი, S. 6.

5 https://www.dw.com/de/wahlkampf-undercover-wie-pr-profis-uns-manipulieren/av-59255175

6 დაშინება საჯარო სფეროში. საჯარო სფეროს სტანდარტების კომიტეტის მიმოხილვა, 2017 წლის დეკემბერი, 26.

7 იხ. კვლევა „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა არჩევნებში: სტრატეგიები საარჩევნო მართვის ორგანოებისთვის“, IFES 2018, რომელიც, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებს მესამე სამყაროსა და განვითარებად ქვეყნებზე; ასევე, იხ. კვლევა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მედიის თავისუფლებაზე: https://www.osce.org/representative-on-freedom-of-media/424451

ამბებისა. ამავე კვლევის მიხედვით, გერმანული პოლიტიკური პარტიების ფეისბუკის გვერდებზე სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამების წილმა 4,33% შეადგინა.[8] ექსტრემალურმა პარტიებმა შეადგინეს პოლიტიკური მტრების სიები, რომლებიც სიძულვილის ენის სამიზნე უნდა გამხდარიყვნენ.[9] გერმანიაშიც მრავლადაა პოლიტიკოსების მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობათა შემთხვევები. ასე მაგალითად, 2015 წელს კელნის მერზე დანით თავდასხმა, ხოლო 2019 წელს ქრისტიან-დემოკრატი პრეფექტის მკვლელობა მოხდა.

2018 წლის საარჩევნო კამპანიაში იტალიაში სამიზნე მოსახლეობა მიგრანტები იყვნენ (სამიზნეების 91%).[10]

ესპანური კვლევაში, რომელიც შეეხება სიძულვილის ენას ინსტაგრამზე 2019 წლის საყოველთაო არჩევნების დროს, ასახულია სტატისტიკა სიძულვილის ენის სხვადასხვა ფორმის მიხედვით, რომლებიც დაფიქსირდა ამ საარჩევნო კამპანიის დროს:[11] კრიტიკის შემთხვევებმა შეადგინა ამგვარი სახის განცხადებების 36,59%; შეურაცხყოფამ - 29,33%; ზიზღმა - 8, 81%; მუქარამ - 0,7%-ამდე; დაცინვამ - 19,48%-ამდე, ხოლო სხვა ფორმებმა 5,63%-ამდე.

გაერთიანებულ სამეფოში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სიძულვილის ენას 2016 და 2021 წლებში Brexit-ის კამპანიისა და პარლამენტის წევრების მკვლელობის შემდეგ. 2017 წელს საჯარო სფეროს სტანდარტების კომიტეტმა შემდეგი განაცხადა: *„საჯაჰო ცხოვრებას ამჟამად დაშინების მასშტაბები და ინტენსივობა განსაზღვრავს. ეს სეჩიოზული შეშფოთების საგანია“*. 2019 წლის საყოველთაო არჩევნების დროს საარჩევნო კომისიამ 750 კანდიდატისგან მიიღო გამოხმაურება. მათგან სამი მეოთხედი დაექვემდებარა შეურაცხყოფას, მუქარას ან დაშინებას, ხოლო მეექვსედმა განაცხადა, რომ მათ წინააღმდეგ მიმართული მსგავსი ქმედებები უკიდურესად ინტენსიური იყო. ზოგიერთი კანდიდატი თვლიდა, რომ ხდებოდა კოორდინებული შეურაცხყოფა და დაშინება სხვა პარტიებისა და სამიზნეების მიმართ.[12]

---

8 Markus Behmer, Hasskommentare auf den Face-book Seiten deutscher Parteien, Otto Friedrich Universität Bamberg, 13.04.2020.

9 https://www.dw.com/de/wahlkampf-undercover-wie-pr-profis-uns-manipulieren/av-59255175

10 Amnesty International, Conta Fino A 10, Barometro dell'odio in campagna elettorale. https://d21zrvtkxtd6ae.cloudfront.net/public/uploads/2018/02/16105254/report-barometro-odio.pdf

11 JC Losada-Diaz, R. Zamora- Medina, H. Martinez-Martinez, El discurso del odio en Instagram durante las Elecciones Generales 2019 en Espana, Revista Mediterranea de Comunicacion 22.02.2021.

12 2021-22 წლების საარჩევნო კანონპროექტი, თემთა პალატის ბიბლიოთეკა, 2021 წლის 1 სექტემბერი, 57.

ხშირია კიბერთავდასხმები ისეთ საჯარო ინსტიტუტებზე, როგორებიცაა: პარლამენტები, პოლიტიკური პარტიები ან არჩეული თანამდებობის პირებისა თუ კანდიდატების ვებგვერდები. ზოგჯერ ისინი მიზნად ისახავენ პერსონალური მონაცემების მოპარვას. სახელმწიფოების ინიციატივები, ძირითადად, მიმართულია პრევენციულ მოქმედებებსა და რეაგირების მექანიზმებზე, რომლებიც გასაგები მიზეზების გამო არ საჯაროვდება. უცხო ქვეყნებიდან თავდასხმების გამო, რაც გერმანიის პარლამენტის წევრების ფიშინგის მიზნით ხორციელდებოდა და გულისხმობდა „აჩრდილი ავტორის" (Ghostwriter) სახით მოქმედებას, გერმანიის პროკურორმა მიზანშეწონილად მიიჩნია დევნის წამოწყება.[13] კიბერთავდასხმებზე რეაგირება არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც ხორციელდება, მაგრამ პრაქტიკაში ასეთი რეაგირება ცალკეული სახელმწიფოების ხელშია, რადგან საერთაშორისო ინიციატივები ამ სფეროში არ არის თანმიმდევრული. ევროკავშირის საბჭომ 2019 წლის 17 მაისს მიიღო რეგულაცია, რომელიც ეხება შემაკავებელ ზომებს კიბერშეტევების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ევროკავშირს ან მის წევრ სახელმწიფოებს.[14] სხვადასხვა საფრთხესთან ერთად, რომლებსაც კიბერშეტევები უქმნიან დაწესებულებების ფუნქციონირებას, ისინი ასევე ხელს უშლიან არჩევნების ან ხმის მიცემის პროცესს. თანამშრომლობის ჯგუფმა, რომელიც მოიცავს კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოებს, კომისიას და ევროკავშირის ქსელური და საინფორმაციო უსაფრთხოების სააგენტოს (ENISA), შეადგინა ეროვნული ქსელებისა და საინფორმაციო სისტემების ინიციატივების რუკა, რომლებიც გამოიყენება ევროპის საარჩევნო პროცესისთვის.[15] 2021 წლის 20 მაისს მიღებულ იქნა რეგულაცია კიბერუსაფრთხოების საექსპერტო ცენტრისა და ეროვნული საკოორდინაციო ცენტრების ქსელის შექმნის შესახებ. იგი აერთიანებს რესურსებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან და ინდუსტრიიდან, ტექნოლოგიური და ინდუსტრიული კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად და გასაძლიერებლად, ევროკავშირის ღია სტრატეგიული ავტონომიის ხელშესაწყობად, და სთავაზობს კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული აქტივობების ნაწილის კონსოლიდაციის შესაძლებლობას, რომლებიც დაფინანსებულია ჰორიზონტ ევროპის, ციფრული ევროპის პროგრამისა და აღდგენისა და მედეგობის მექანიზმის ფარგლებში. როგორც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიმართულების

13 https://www.tagesschau.de/ausland/cyberangriffe-russland-gru-ghostwriter-101.html.Auf der Jagd nach sensiblen Informationen , Frankfurter allgemeine Zeitung 7 0ktober 2021

14 https://eur-lex.europa.eu/legal-content/GA/TXT/uri=CELEX:32019R0796

15 კომისიის ანგარიში ევროპარლამენტის, საბჭოს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტისა და რეგიონების კომიტეტისთვის, თავისუფალი და სამართლიანი ევროპული არჩევნების უზრუნველყოფის თაობაზე, 2018 წლის 12 სექტემბერი.

ხელმძღვანელმა განაცხადა 2021 წლის 24 სექტემბერს, კიბერსივრცის დაცვას ესაჭიროება მოწინავე კვლევები, ტრენინგი და წვრთნები, და გაზრდილი ძალისხმევის მიმართვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული, შეჩერებული, და შესაბამისი რეაგირება მოხდეს პოლიტიკასთან დაკავშირებული კომპიუტერული სისტემებისა და პროგრამული აპლიკაციების წინააღმდეგ კიბერშეტევებზე.

დეზინფორმაცია არის მიზანმიმართული მცდელობა, აიძულონ ადამიანები, დაიჯერონ ის, რაც არ არის ზუსტი ინფორმაცია. ის მოიცავს ფაბრიკაციებს, რომლებიც შერწყმულია ფაქტებსა და პრაქტიკასთან, რაც უაღრესად ჰგავს ახალ ამბებს, და ეს პროცესი მოიცავს ავტომატიზებულ ანგარიშებს, რომლებიც გამოიყენება ყალბი მიმდევრების ქსელებისთვის, დეზინფორმაციული ვიდეოებისთვის ან მიზანმიმართული რეკლამისთვის.[16]

თუ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სიძულვილის ენასა და დეზინფორმაციაზე, შეიძლება, ორივე ერთდროულად იყოს, როდესაც დეზინფორმაცია დისკრიმინაციას ეფუძნება და პოლიტიკური დებატების პოლარიზაციას იწვევს. ამ კონტექსტში ენა ხდება სოციალური კონსენსუსის დარღვევაზე მიმართული სტრატეგია.[17] გზავნილების გავრცელების სიჩქარე, რომელიც ზოგჯერ „ვირუსულ“ ხასიათს იძენს და უზარმაზარ აუდიტორიამდე აღწევს, მათი დაბალი საინვესტიციო ღირებულება[18] თანაბრად ახასიათებს როგორც სიძულვილის ენას, ასევე დეზინფორმაციას. სიძულვილის ენა, როგორც დეზინფორმაცია, პირდაპირ ან ირიბად მიმართულია ცალკეულ პირებზე ან ადამიანთა ჯგუფებზე, განსაკუთრებით კი, უმწეო და დაუცველ პირებზე.

საარჩევნო კამპანიის ორივე ფორმა არის შეცდომაში შემყვანი, მანიპულაციური, შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური; ორივე ჰგავს საჯარო სასამართლო პროცესებს, შეჯიბრებითობის პრინციპის უგულებელყოფით; სიძულვილის ენა, ძირითადად, ეყრდნობა დისკრიმინაციას, ხოლო დეზინფორმაცია ტყუილს, მაგრამ ეს ცრუ ინფორმაცია შეიძლება დისკრიმინაციით იყოს განპირობებული, რაც ადასტურებს დეზინფორმაციასა და სიძულვილის ენას შორის ურთიერთკავშირს; ზოგიერთ შემთხვევაში

16 მრავალგანზომილებიანი მიდგომა დეზინფორმაციისადმი, დამოუკიდებელი მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში ყალბი ამბებისა და ონლაინდეზინფორმაციის შესახებ, ევროკომისია, 2018 წლის 12 მარტი.

17 Diskussionsräume und Radikalisierungsprozesse in sozialen Medien, Bundeszentrale für politische Bildung, 2019 წლის 9 მაისი

18 ივ-მარი დიუბლე, დეზინფორმაცია და საარჩევნო კამპანიები, დემოკრატიის გენერალური დირექტორატი, ევროპის საბჭო, 2019 წ., Desinformation und Wahlkampf, Institut für Parteienrecht, MIP 2021. 27 Jhrg. Heft 2, https://mip.pruf.hhu.de/index

რთული იქნება სიძულვილის ენისა და დეზინფორმაციის ერთმანეთისგან განსხვავება, როდესაც კანდიდატი ცილისმწამებლური თავდასხმების მსხვერპლი ხდება. ერთი და იგივე გზავნილი შეიძლება შეიცავდეს ყალბ ამბებს და სიძულვილის ენას.

თუმცა დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის შემთხვევაში გამოყენებული სტრატეგიები და ტექნიკა, კონტექსტი, მასშტაბი და სამიზნე პირები შეიძლება განსხვავდებოდეს:[19] სიძულვილის ენის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს კამპანიის კლასიკური გზები, მაგალითად, ისეთი მასალები, როგორებიცაა: მანიფესტი, ბროშურები, მედია, რეკლამა, ზეპირი განცხადებები საჯარო დებატებში, მიტინგებსა და საარჩევნო აგიტაციის პროცესში, და ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ონლაინპლატფორმები, მაშინ, როცა დეზინფორმაცია, ძირითადად, ონლაინპლატფორმების გამოყენებით ხორციელდება. საერთაშორისო სტანდარტები უფრო მეტად ეხება სიძულვილის ენას, ვიდრე დეზინფორმაციას, რადგან სიძულვილის ენა დაკავშირებულია დისკრიმინაციასთან, რომელსაც ებრძვის კონვენციები, ხელშეკრულებები და რეკომენდაციები ათწლეულების განმავლობაში, ხოლო დეზინფორმაციის რეგულაციები, მაგალითად, როგორიცაა კიბერთავდასხმების წინააღმდეგ რეგულაციები, ჯერ კიდევ გაუკვალავი სფეროა საერთაშორისო დონეზე.

ცილისწამების კონტექსტში, განსხვავება მეტყველების ამ ორ ფორმას შორის შეიძლება უმნიშვნელო იყოს. ცილისწამება მოიაზრება როგორც ნებისმიერი ვარაუდი ან ბრალდება, რომელიც ზიანს აყენებს პირის ღირსებას ან რეპუტაციას. შეურაცხყოფა მოიაზრება როგორც ზიზღის ნებისმიერი შეურაცხმყოფელი გამოხატულება, რომელიც არ შეიცავს რაიმე მითითებას კონკრეტულ ფაქტზე.[20] ამ მიზნით გამოიყენება დამაკნინებელი მეტაფორები და ანალოგიები, როგორც პროგრამებთან დაკავშირებით რაიმე სიღრმისეული დებატებისა და წინააღმდეგობის თავიდან აცილების საშუალება. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია, ცილისწამება სიძულვილის ენად დააკვალიფიციროს, თუ ის არ არის დაკავშირებული ზუსტ ფაქტებთან.

რა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც უკანონო სიძულვილის ენა? როგორ უნდა იქნეს გათვალისწინებული სიძულვილის ენა საარჩევნო კამპანიის წარმართვის თვალსაზრისით? საერთაშორისო სტანდარტებით რა საერთო

19 Deutscher Bundestag, Meinungsfreiheit in sozialen Medien, WD -3000-021/21 https://www.bundestag.de/resource/blob/844922/242d8fb9fd1b6ff73170d6670e9fa634/WD-10-021-21-pdf-data.pdf

20 პრესის თავისუფლების შესახებ 1881 წლის 29 ივლისის საფრანგეთის კანონის 29-ე მუხლი.

მიდგომა არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით? საკმარისია თუ არა ეროვნული ინიციატივები ოფლაინ- და ონლაინსიძულვილის ენის პრობლემის აღმოსაფხვრელად? რამდენად შეესაბამება ისინი გამოხატვის თავისუფლების უფლებას? არის თუ არა საარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვაზე დაწესებული რაიმე შეზღუდვები? გამოიწვევს თუ არა საარჩევნო კამპანიის დროს შეზღუდვების დაწესება რაიმე ცენზურას? რა პასუხისმგებლობა ეკისრება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს საარჩევნო კამპანიის დროს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში? როგორ უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიების და მესამე მხარეების ჩართვა ამ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვში? არსებობს თუ არა ხელისუფლების ბოროტად გამოყენების რისკი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით? როგორ რეგულირდება უცხოური ჩარევა სიძულვილის ენის კონტექსტში? შეიძლება გამოვლინდეს სიძულვილის ენის უცხოური წყარო? როგორ არის შესაძლებელი ონლაინ- უკანონო სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამების გამავრცელებელი ვებსაიტების დახურვა ეროვნულ საზღვრებს გარეთ? რა ინსტრუმენტები არსებობს პოლიტიკაში შემწყნარებლობის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად? ოპერატორების თვითრეგულირების გარდა, საარჩევნო კამპანიის დროს სიძულვილის ენაზე რეაგირების რა სამართლებრივი გზები არსებობს? რა სახის სანქციები შეიძლება დაწესდეს ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც საარჩევნო კამპანიის დროს აკეთებენ განცხადებებს, რომლებიც ძალადობასა და სიძულვილს აღვივებენ? რა გზებს იყენებენ სახელმწიფოები კიბერშეტევების წინააღმდეგ?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა სიძულვილის ენის გაანალიზება არსებული საერთაშორისო სტანდარტების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის და ევროპის საბჭოს წევრი და არაწევრი სახელმწიფოების გამოცდილებისა და რეგულაციების გათვალისწინებით.

1. საერთაშორისო სტანდარტები

ვინაიდან საარჩევნო კამპანიის რეგულაციები ეროვნული კანონმდებლობის კომპეტენციაში შედის,[21] პრაქტიკულად არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტები საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სტანდარტები გამოხატვის თავისუფლებაზე ამახვილებენ ყურადღებას.

21 ერთ-ერთი იშვიათი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც არჩევნებს ეხება, არის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი. იგი მიღებულ იქნა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ადამიანური განზომილების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც 1990 წლის 29 ივნისს გაიმართა (პუნქტი 5.1).

1.1. ხელშეკრულებები და კონვენციები

1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 1-ლი მუხლი ადგენს, რომ: *„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“.* მე-2 მუხლი ადგენს უფლებებით და თავისუფლებებით თანაბარ სარგებლობას, *„განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა. გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, იურისდიქციასთან დაკავშირებული, ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია - დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.“*

1965 წლის 21 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია სიძულვილის გამოხატულების ოთხ სახეს განასხვავებს: სიძულვილის ენას, რომელიც დაკავშირებულია რასობრივ უპირატესობასა და რასობრივ სიძულვილზე დაფუძნებული დისკურსის გავრცელებასთან, რასობრივი დისკრიმინაციის წაქეზებას და რასისტული საქმიანობის ნებისმიერ მხარდაჭერას, მათ შორის, მის დაფინანსებას.

1966 წლის 16 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი ადგენს, რომ *„თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი აზრის შეუფერხებლად გამოხატვის უფლება“.* თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით ან პრესის და გამოხატვის მხატვრული საშუალებებით, ან საკუთარი არჩევანით სხვა საშუალებებით. იმავდროულად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია: „ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად; და ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.[22] სახელმწიფოები ვალდებული არიან, კანონით აკრძალონ *„ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალა-*

22 მე-19 მუხლი.

ღობის წაქეზებას“.[23]

1979 წლის 18 დეკემბრის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლი *„გმობს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმას“*. 2006 წლის 13 დეკემბერს მიღებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, აღმოფხვრან შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით დისკრიმინაცია.

ევროპულ დონეზე 1993 წლის 1 მაისის ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი მოითხოვს, რომ პროგრამული მომსახურების ყველა ნაწილი უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის ღირსებისა და ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას, და არ ეწეოდეს ძალადობის პროპაგანდას, ან აღვივებდეს რასობრივ სიძულვილს. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ საინფორმაციო გამოშვებაში ფაქტები და მოვლენები სამართლიანად იქნეს გაშუქებული და ხელი უნდა შეუწყოს მოსაზრებათა თავისუფალ ჩამოყალიბებას.[24]

2001 წლის 23 ნოემბრის ევროპის საბჭოს ბუდაპეშტის კონვენცია კომპიუტერული დანაშაულის შესახებ არის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ინტერნეტისა და სხვა ქსელების მეშვეობით ჩადენილ დანაშაულებს შეეხება. კონვენცია მოუწოდებს ხელშემკვრელ მხარეებს, მიიღონ ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენენ კომპიუტერული მონაცემებისა და სისტემების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების კრიმინალიზაციას. ამ კონვენციის 2003 წლის 28 იანვრის დამატებითი ოქმის შესაბამისად, თითოეული მხარე მიიღებს საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რათა უზრუნველყოს შემდეგი დანაშაულების კრიმინალიზაცია: კომპიუტერული სისტემების მეშვეობით რასისტული და ქსენოფობიური მასალის გავრცელება და კომპიუტერული სისტემების გამოყენება რასიზმითა და ქსენოფობიით მოტივირებული მუქარისა და შეურაცხყოფის მიზნით, ასევე, კომპიუტერული სისტემის მეშვეობით საზოგადოებისთვის იმ მასალების მიწოდება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფა, რომელიც უარყოფს, აქარწყლებს, იწონებს ან ამართლებს გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.[25]

23 მე- 20 მუხლი.

24 33-მა წევრმა ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება.

25 ევროპის საბჭოს 45-მა წევრმა ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, ხოლო 30-მა წევრმა ქვეყანამ მოახდინა ოქმის რატიფიცირება.

ყურადღებას იმსახურებს ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კონვენციის ორი დებულება.[26] 34-ე მუხლის თანახმად, მხარეები მიიღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული მოქმედება, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს. მე-40 მუხლის შესაბამისად, მხარეები მიიღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გარემოს შექმნის გზით დაექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სხვა სახის სამართლებრივ სანქციებს.

1.2. ევროპის საბჭოს ასამბლეის რეზოლუციები

ევროპის საბჭოს ასამბლეამ და მინისტრთა კომიტეტმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა წარმართეს როგორც გამოხატვის თავისუფლების დაცვაზე, ასევე თავისუფალი არჩევნების უფლების გარანტირებაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელებაზე.

2017 წლის 25 იანვრის რეზოლუციაში კიბერდისკრიმინაციისა და ონლაინსიძულვილის დასრულების შესახებ[27] ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ *„გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ონლაინგარემოში სიძულვილის აღმოფხვრაზე მიმართულმა სტრატეგიებმა აღიარონ და დაძლიონ სიძულვილი და შეუწყნარებლობა ადამიანის გულებსა და გონებაში“.* ის მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, იმუშაონ სიძულვილის ენის საერთო განმარტებაზე და ეროვნულ საკანონმდებლო ბაზაზე ონლაინგარემოში სიძულვილის ენის ეფექტიანი დევნისთვის, გამოხატვის თავისუფლების მოთხოვნების შესაბამისად.

2019 წლის 23 იანვრის რეზოლუციაში - „მედიის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული არჩევნების წინაპირობა“[28] - ასამბლეა აღნიშნავს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ეფექტიანი სტრატეგიები უნდა განახორციელონ, რათა დაიცვან საარჩევნო პროცესი და დემოკრატია სოციალური მედიის საშუალებით ინფორმაციის მანიპულაციის საფრთხისგან და არა-

26 35-მა წევრმა ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება.
27 კიბერდისკრიმინაციისა და ონლაინსიძულვილის დასრულება, 2144 (2017).
28 მედიის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული არჩევნების წინაპირობა, 2254 (2019).

სათანადო პროპაგანდისგან.[29] ამ მიზეზით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი:

- თავი შეიკავონ ინტერნეტის საშუალებით განცხადებების, კომუნიკაციების ან ახალი ამბების გავრცელებისგან, ან წახალისებისგან, თუ მათთვის ცნობილია, ან, შეიძლება, გონივრულად მოსალოდნელი იყოს, რომ ცნობილი უნდა ყოფილიყო ამგვარი მასალის დეზინფორმაციული ან არასათანადო პროპაგანდისტული ხასიათი;

- არჩევნების დროს ინტერნეტის კონტენტთან დაკავშირებით სპეციალური მარეგულირებელი ჩარჩოების შემუშავება და ამ ჩარჩოში გამჭვირვალობის შესახებ დებულებების დადგენა;

- უზრუნველყონ, რომ უკანონო კონტენტთან დაკავშირებით გათვალისწინებული სანქციები არ იწვევდნენ ოპონენტების აზრებისა და კრიტიკული შეხედულებების თვითცენზურის იძულებას.

2019 წლის 23 იანვრის რეზოლუცია „საჯარო სამსახურის მედია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კონტექსტში“[30] რეკომენდაციას იძლევა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა თავი აარიდონ ტერმინის *„ყალბი ამბები“* გამოყენებას, რომელიც ზედმეტად პოლიტიზებულია და ხშირად გამოიყენება დამოუკიდებელი კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტებისა თუ მედიასაშუალებების ნეგატიური იარლიყით მოსახსენიებლად. ამ ტერმინის ნაცვლად მიზანშეწონილია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა გამოიყენონ არაზუსტი ინფორმაციის კონცეფცია, რათა აღწერონ შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის შინაარსი, მიზანი და მასშტაბები.

2019 წლის 10 აპრილის რეზოლუციაში „პოლიტიკური ლიდერების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ სიძულვილის ენასა და შეუწყნარებლობასთან ბრძოლაში“[31] ხაზგასმულია, თუ როგორ იქცა სიძულვილის ენა და შეუწყნარებლობა პოლიტიკური დისკურსის ნაწილად. მედიამ არ უნდა შეუწყოს ხელი სტიგმატიზაციაზე ან შეურაცხყოფაზე მიმართული გამონათქვამების ფართოდ ტირაჟირებას. მიზანშეწონილია, რომ პოლიტიკურმა მოძრაობებმა და პარტიებმა თვითრეგულირების ინსტრუმენტები შეიმუშაონ, როგორებიცაა ქცევის კოდექსები და ეთიკის ქარტიები, რომლებიც კრძალავენ და სანქციებს აწესებენ მათი წევრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში. იმავდროულად, მედია უნდა წახალისდეს,

29 იხილეთ არასათანადო ზეგავლენის ბრიტანული განმარტება, 36.
30 რეზოლუცია 2255 (2019).
31 რეზოლუცია 2275 (2019).

რათა მიაწოდოს ზუსტი, მიუკერძოებელი და სანდო ინფორმაცია ცალკეულ პირებთან ან ჯგუფებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რაც შეეხება რელიგიას,[32] ასამბლეამ რეკომენდაცია გაუწია მინისტრთა კომიტეტს, უზრუნველყოს, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ და პრაქტიკამ:

- დაუშვას ღია დებატები რელიგიასა თუ სარწმუნოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და არ მიანიჭოს პრივილეგია ამ მხრივ კონკრეტულ რელიგიას, რაც შეუთავსებელი იქნება კონვენციის მე-10 და მე-14 მუხლებთან;

- უზრუნველყოს სანქციების დაკისრება განცხადებებისთვის, რომლებიც მოუწოდებენ, რომ გარკვეული პირები ან პირთა ჯგუფები დაექვემდებარონ სიძულვილს, დისკრიმინაციას ან ძალადობას მათი რელიგიის საფუძველზე, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საფუძვლით;

- აკრძალოს ქმედებები, რომლებიც განზრახ და სასტიკად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და მოუწოდებს საჯარო ძალადობისკენ რელიგიურ საკითხებზე მითითებით, რამდენადაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ ქვეყანაში.

2021 წლის 24 ივნისს მიღებულ რეზოლუციაში[33] ასამბლეამ გამოთქვა შეშფოთება სახელმწიფოს დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფინანსური ჩარევის გამო კომბინაციაში ჩარევის ისეთ სხვა ინსტრუმენტებთან, როგორებიცაა დეზინფორმაცია და კიბერშეტევები. ასამბლეამ მოუწოდა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების პარლამენტებს, მოაწყონ მოსმენები უცხოური წყაროებიდან პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსებისა და ამის პოტენციურ ზეგავლენაზე დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე მათ პოლიტიკურ სისტემებში, მათ შორის, ჩარევის სხვა ფორმებთან კორელაციასთან დაკავშირებით, როგორებიცაა დეზინფორმაცია და კიბერშეტევები.

1.3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები

დისკრიმინაციის მრავალი ფორმის გამოვლენის გამო სერიოზული შეშფოთების გამოხატვის შემდეგ წევრი სახელმწიფოების საყურადღებოდ 1997 წლის 30 ოქტომბერს მიღებული რეკომენდაცია სიძულვილის ენის

32 რეკომენდაცია 1805 (2007) მკრეხელობის, რელიგიური შეურაცხყოფისა და სიძულვილის ენის შესახებ ადამიანების რელიგიის ნიშნით.

33 რეზოლუცია 2390 (2021), https://pace.coe.int/en/files/29373Ntrace-4

შესახებ[34] მოუწოდებს მათ, შეიმუშაონ ან შეინარჩუნონ ქმედითი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შედგება სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის დებულებებისგან სიძულვილის ენის შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემს აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს, თითოეულ შემთხვევაში დაიცვან ზღვარი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, ადამიანის ღირსებისა და რეპუტაციის, სხვათა უფლებების დაცვას შორის. იგივე ტექსტი განსაზღვრავს სიძულვილის ენას, როგორც *„გამონათქვამებს, ჰომღებსაც შეუძღია, გამოიწვიონ ჰასობჰივი სიძუღვიღის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის, დისკჰიმინაციის ან სიძუღვიღის სხვა ფოჰმების ღეგიტიმაციის, გავჰცეღების ან ხეღშეწყობის ეფექტი, ან შეუწყნაჰებღობაზე დაფუძნებუღი დისკჰიმინაციის ან სიძუღვიღის სხვა ფოჰმები. ასეთი განცხადებები უნდა აიკჰძაღოს და საჯაჰოდ იქნეს დაგმობიღი ყვეღა შემთხვევაში, ჰოდესაც ამას ადგიღი ექნება.“* ტექნოლოგიური ევოლუციის ფონზე ამჟამად ამ ტექსტის გადასინჯვა მიმდინარეობს და საბოლოო ტექსტი 2022 წლის გაზაფხულზე უნდა იქნეს მიღებული.[35]

1997 წლის 30 ოქტომბრის რეკომენდაცია ეძღვნება მედიას და ტოლერანტობის ხელშეწყობას.[36]

2018 წლის 7 მარტის რეკომენდაცია ინტერნეტშუამავლების როლებისა და პასუხისმგებლობის შესახებ ხაზს უსვამს რა სქესის, რასისა და რელიგიის საფუძველზე ძალადობის ფორმების ზრდას ინტერნეტის საშუალებით, მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ უკანონო კონტექსტზე წვდომის ეფექტიანად პრევენცია და მჭიდროდ ითანამშრომლონ შუამავლებთან, რათა უზრუნველყოს ასეთი კონტენტის გავრცელების შეზღუდვა კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვით.[37]

34 რეკომენდაცია (97) 20-ის დანართის მე-2 პრინციპი.
35 სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტი (ADI /MSI-DSI) 2020 წლის 25 მაისი.
36 რეკომენდაცია (97) 21.
37 რეკომენდაცია (2018) 2.

1.4. ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე სრულყოფილი დოკუმენტი 2015 წლის 8 დეკემბერს იქნა მიღებული რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მიერ (ECRI).[38] ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის N15 რეკომენდაციის მიხედვით, სიძულვილის ენა ემყარება დაუსაბუთებელ ვარაუდს, რომ რომელიმე ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი სხვებზე მაღლა დგას, რაც ხელს უწყობს ძალადობის ან დისკრიმინაციის აქტებს, რაც ძირს უთხრის უმცირესობათა ჯგუფების პატივისცემას და ლახავს სოციალურ ერთიანობას. ამ რეკომენდაციაში ECRI-ი მოუწოდებს საზოგადო მოღვაწეებს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე სწრაფი რეაგირებისკენ; მედიის თვითრეგულირების ხელშეწყობისკენ; სიძულვილის ენის სახიფათო შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ; იმ პოლიტიკური პარტიების ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერის გაუქმებისკენ, რომლებიც აქტიურად იყენებენ სიძულვილის ენას, სიძულვილის უკიდურესი გამოვლინებების კრიმინალიზაციის უზრუნველყოფისკენ, და გამოხატვის თავისუფლების პატივისცემისკენ. სიძულვილის ენის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები უნდა იყოს დასაბუთებული, თანაზომიერი, არადისკრიმინაციული და არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების შესაზღუდავად, ოფიციალური პოლიტიკის კრიტიკის აღსაკვეთად, ან პოლიტიკური ოპოზიციისა და რელიგიური მრწამსის ჩასახშობად.

1.5. ევროკავშირის ინიციატივები

ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის მე-10 მუხლი განამტკიცებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, ხოლო მე-11 მუხლი ადგენს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას.

ონლაინსიძულვილის ენის გავრცელების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით, 2016 წლის მაისში ევროკომისიამ ფეისბუკთან, მაიკროსოფტთან, ტვიტერსა და იუთუბთან თანამშრომლობით შეიმუშავა *„ქცევის კოდექსი ინტერნეტში უკანონო სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.* 2018 წლის განმავლობაში Instagram-ი, Snapchat-ი და Dailymotion-ი მიუერთდნენ ქცევის კოდექსს, Jeuxvideo.com 2019 წლის იანვარში მიუერთდა ამ ინიციატივას, ხოლო TikTok-ი 2020 წლის სექტემბერში. 2021 წლის 25 ივნისს LinkedIn-მა ასევე გამოაცხადა მზადყოფნა, მიერთებოდა ქცევის კოდექსს.

38 https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/recommendation-no.15

მოცემული კოდექსის განხორციელების მეექვსე შეფასება აჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, 24 საათის განმავლობაში განხილული შეტყობინებების საშუალო მაჩვენებელი მაღალი რჩება (81%), ის დროთა განმავლობაში შემცირდა:

- გამოვლენილი უკანონო კონტენტის 90% შეფასდა პლატფორმების მიერ 24 საათის განმავლობაში, მაშინ, როცა 2016 წელს ეს იყო შინაარსის მხოლოდ 40%.

- 2020 წელს წაიშალა იმ კონტენტის 71%, რომელიც მიჩნეული იყო უკანონო სიძულვილის ენად, ხოლო 2016 წელს მხოლოდ 28% წაიშალა.

- წაშლის საშუალო მაჩვენებელი, წინა შეფასებებში დაფიქსირებულის მსგავსად, აჩვენებს, რომ პლატფორმები კვლავაც პატივს სცემენ გამოხატვის თავისუფლებას და თავს არიდებენ კონტენტის წაშლას, რომელიც შეიძლება არ იყოს დაკვალიფიცირებული როგორც უკანონო სიძულვილის ენა.

- პლატფორმებმა რეაგირება - ინფორმაციული უკუგება მოახდინეს მიღებული შეტყობინებების 67,1%-ზე.

მაშინაც კი, თუ ონლაინსიძულვილის ენა სიძულვილის ენის ფენომენის ნაწილია, უნდა აღინიშნოს ევროკავშირის ბოლოდროინდელი ინიციატივები ონლაინსიძულვილის ენასთან დაკავშირებით. 2020 წლის 15 დეკემბრის ციფრული სერვისების ერთიანი ბაზრის მარეგულირებელი აქტით (ციფრული სერვისების აქტი)[39] დაინერგა ჰორიზონტალური ჩარჩო ყველა კატეგორიის კონტენტისთვის, პროდუქტისთვის, სერვისისთვის და შუამავლების მიერ შეთავაზებული სერვისებისთვის, ევროკავშირის მასშტაბით მომხმარებლების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით იგი განსაზღვრავს შუამავალი სერვისების პროვაიდერების, კერძოდ კი, ონლაინპლატფორმების პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას. უსაფრთხო, განჭვრეტადი და სანდო ონლაინგარემოს უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად ამ რეგულაციის მიზნებისათვის „უკანონო კონტენტის“ ცნება ფართოდ არის განსაზღვრული და ასევე მოიცავს ინფორმაციას უკანონო კონტენტთან, პროდუქტებთან, სერვისებსა და საქმიანობასთან დაკავშირებით, კერძოდ, ეს ცნება გაგებულ იქნეს როგორც ინფორმაცია, განურჩევლად მისი ფორმისა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით უკანონოა, მაგალითად, სიძულვილის ენა. რეზოლუცია ასევე ადგენს

39 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52020PC0825&from=en

პლატფორმების და ხელისუფლების ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის ვალდებულებებს. იგი ასევე განსაზღვრავს გარკვეული შუამავალი სერვისების მიერ სათანადო შემოწმების ჩატარების ვალდებულებას, უკანონო კონტენტის შესახებ შეტყობინებისა და რეაგირების ვალდებულებას და ადგენს პლატფორმების მიერ კონტენტის მონიტორინგთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.

1.6. სხვა ინიციატივები

1.6.1. ქარტიები და სახელმძღვანელო მითითებები

არარასისტული საზოგადოებისთვის ევროპული პოლიტიკური პარტიების ქარტიის 2017 წლის 29 მარტის ვერსია მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, *„უარი თქვან ჩაიმე სახის შეხედულებებისა და პოზიციების გამოხატვაზე, გამოქვეყნებაზე, გავრცელებაზე ან მხარდაჭერაზე, რომლებიც აღვივებენ ან წააქეზებენ, ან შეიძლება, მოსაღოდნელი იყოს, რომ გააღვივონ ან წააქეზონ ცრუ უარყოფითი წარმოდგენები, მტრობა ან განხეთქილება სხვადასხვა ეთნიკური ან ეროვნული წარმოშობის, ან ხელიგიური მრწამსის ადამიანებს შორის, და მტკიცედ გაუმკლავდნენ ნებისმიერ ჩასისტულ განწყობებსა და ქცევას საკუთარ რიგებში“.*[40]

კარგი და პერსპექტიული პრაქტიკის გზამკვლევში გამოხატვის თავისუფლების სხვა უფლებებსა და თავისუფლებებთან შეჯერების შესახებ, განსაკუთრებით კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებებში, რომელიც მიღებულ იქნა 2019 წლის ივნისში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ, ასახულია სიძულვილის დანაშაულებთან დაკავშირებული ეროვნული სტრატეგიები, კანონმდებლობა და ამ დანაშაულების დევნასთან დაკავშირებული საკითხები, საჯარო და კერძო ინსტიტუტების მხრიდან ამ საკითხებთან დაკავშირებით თვითრეგულირების ხელშესაწყობად.[41]

1.6.2. პარლამენტის ეთიკის კოდექსები

უნგრეთში სიძულვილის ენაზე რეაგირების შესახებ ანგარიშში აღნიშნულია, რომ *„ყველა საჯარო მოხელეს, მათ შორის პოლიტიკოსებს, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ შეუწყნარებლობის და დისკრიმინაციის, მათ შორის, სიძულვილის ენის შემთხვევების ღროულად ამოცნობის და მათზე ჩეაგირების*

40 https://rm.coe.int/charter-european-political-parties-non-racist-society/16809022ba
41 https://rm.coe.int/guide-to-good-and-promising-practices-on-the-way-of-reconciling-freedo/1680969acf

თვაღსაზhისით.“[42] ანგარიშში ასევე მოცემულია წინადადებები უნგრეთის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. სიძულვილის ენის პრევენციის ერთ-ერთი გზაა ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობა ისეთ პოლიტიკურ ინსტიტუტებში, როგორებიცაა პარლამენტები, რაც ავალდებულებს დეპუტატებს, სათანადოდ მოიქცნენ პოლიტიკურ დებატებსა და საარჩევნო კამპანიებში.

საბერძნეთის პარლამენტის წევრების ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს ადამიანების მიმართ სიძულვილის ენის პრევენციას მათი რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების, სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.[43] დეპუტატმა გამოიყენა ეს დებულება 2021 წლის სექტემბერში და მოითხოვა საკითხის გადაცემა პარლამენტის ეთიკის კომიტეტისთვის, რადგან კოლეგამ ვებგვერდზე გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნაჩვენები იყო განსაკუთრებით დაუცველი ასაკობრივი ჯგუფის პერსონალური მონაცემები და სტატია ეხებოდა ჩვილებს, რომლებიც არ იყვნენ ბერძნული წარმოშობის.[44] ლატვიის პარლამენტის ეთიკის კოდექსში ანალოგიური დებულებებია ასახული: *„პარლამენტის წევრი ვალდებულია, თავი შეიკავოს სიტყვებისა და ჟესტების გამოყენებისა და სხვა ქმედებებისგან, რომლებიც შეიძლება შეუსაცხმყოფელი იყოს, და არ უნდა გააკეთოს შეუსაცხმყოფელი ან სხვაგვარად შეუსაბამო განცხადებები, რამაც შეიძლება შეუსაცხყოს სეიმი; პარლამენტის წევრი თავის გადაწყვეტილებებს უნდა აფუძნებდეს ფაქტებსა და მათ სამართლიან განმარტებაზე, ასევე ლოგიკურ არგუმენტაციაზე; პარლამენტის წევრმა არ უნდა გააკეთოს განცხადებები, და არ დაუჭიროს მხარი ქმედებებს, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს უკანონო ქმედების წაქეზებად; პარლამენტის წევრმა უნდა დაიცვას ადამიანის უფლებათა პრინციპები და არ უნდა მიუთითოს რასაზე, სქესზე, კანის ფერზე, ეროვნებაზე, ენაზე, რელიგიურ მრწამსზე, სოციალურ წარმომავლობაზე ან ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მისი არგუმენტაციის გასამართლებლად.“*[45]

ჩეხეთის რესპუბლიკაში საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 16 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარლამენტის წევრი ვერ ისარგებლებდა იმუნიტეტით, თუ მან ბოშების საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა Facebook-ზე, რადგან ეს განცხადებები არ იყო საპარლამენტო

42 https://www.article19.org/wp-content/uploads/2018/03/Hungary_responding_to_HS.pdf, 47.
43 მე-2 და მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი, ოფიციალური გაზეთი, A 67 /18 .04.2016.
44 https://www.athina984.gr/en/2021/09/16/on-dosei-exigiseis-ok-mpogdanos-stin-epitropi-koinovoyleytikis-deontologias-zita-o-syriza/
45 https://www.saeima.lv/en/legislative-process/rules-of-procedure

დებატების ნაწილი:[46] *„სოციალუი ქსელ ფეისბუკზე ჰაიმე ტექსტის განთავსებას ახანაიხი მახასიათებელი ახ გააჩნია, ჰომღითაც ეს პარღამენტის წევრის პარღამენტში გამოსვღას გაუთანაბრდებოდა“.* საკონსტიტუციო სასამართლო დაეთანხმა უზენაეს სასამართლოს, რომ სოციალურ ქსელში საჯაროდ ხელმისაწვდომ მომხმარებლის პროფილს, ისევე როგორც სხვა საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ვებგვერდებს, აქვს მასობრივი საკომუნიკაციო საშუალების ხასიათი, და შესაბამისად, სატელევიზიო პოლიტიკურ დებატებში, პარტიის ყრილობაზე ან პრესაში ნებისმიერი პრეზენტაციის ეკვივალენტურია, და არ არის დაცული იმუნიტეტით.

2. კონსტიტუციები

გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლი ადგენს, რომ *„ყოველასა აქვს უფღება, თავისუფღად გამოხატოს და გაავრცელოს თავისი მოსაზრებები სიტყვიერად, წერილობით და გამოსახულებების მეშვეობით, და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ჰქონდეს წვდომა ზოგადად ხელმისაწვდომ წყაროებზე საკუთარი თავის ინფორმირების მიზნით“.* ამ უფლების ზღვარი პირადი ღირსების უფლებაში ჩარევის დაუშვებლობაა.

სანქციები პოლიტიკური პარტიებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ სიძულვილს, შეუწყნარებლობასა და ქსენოფობიას, გერმანიაში სიძულვილის ენის შესახებ დებატების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. 2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა, შესაძლებელი იყო თუ არა დემოკრატიისადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური პარტიის აკრძალვა. გადაწყვეტილებაში ნათქვამია: ის ფაქტი, რომ პოლიტიკური პარტია ცდილობს, გააუქმოს ან ძირი გამოუთხაროს თავისუფალ დემოკრატიულ საბაზისო წესრიგს, ნათელი უნდა იყოს მისი მიზნებიდან ან მისი მიმდევრების ქცევიდან. პოლიტიკური პარტიის ორგანოების, კერძოდ კი, პარტიის აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი წამყვანი ფუნქციონერების საქმიანობა, ზოგადად, შეიძლება მიეკუთვნებოდეს პოლიტიკური პარტიის საქმიანობას, თუ განხორციელებულია პოლიტიკურ კონტექსტში და პოლიტიკურმა პარტიამ დაამტკიცა ან დაგმო იგი. იმ მიმდევრების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან პოლიტიკური პარტიის წევრები, პოლიტიკური პარტიის მიერ მათ ქცევაზე ზეგავლენა ან მისი მოწონება, ნებისმიერი ფორმით, ზოგადად აუცილებელი პირობაა ასეთი ქცევის პარტიისთვის მისაკუთვნებლად. დაუშვებელია სისხლის სამართლის დანაშაულებისა და ძალადობრივი ქმედებების ზოგადი (ბლანკეტური) მიკუთვნება, თუ არ არსებობს ასეთი

46 https://www.usoud.cz/fileadmin/user_upload/ustavni_soud_www/Decisions/pdf/1-3018-14.pdf

მიკუთვნების მიმანიშნებელი კონკრეტული კავშირი. პოლიტიკური პარტიის აკრძალვისთვის საკმარისი არ არის, რომ მისი მიზნები თავისუფალი დემოკრატიული საბაზისო წესრიგის წინააღმდეგ იყოს მიმართული. ამისათვის საჭიროა, რომ პარტია ძალისხმევას მიმართავდეს თავისუფალი დემოკრატიული წესრიგის შესარყევად ან გასაუქმებლად, ანუ ეს გულისხმობს პოლიტიკური პარტიის მხრიდან სისტემური ქმედებების განხორციელებას, რაც თავისუფალი დემოკრატიული წესრიგის მოშლას ან გაუქმებას, ან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობისთვის საფრთხის შექმნას ისახავს მიზნად. ამ მიზეზების გამო განაცხადი პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შესახებ უსაფუძვლოდ იქნა ცნობილი.[47]

თუმცა ძირითადი კანონის 21-ე მუხლი 2017 წლის 20 ივლისს გადაისინჯა - სახელმწიფო დაფინანსება შესაძლოა დაკარგოს პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ წესრიგს:

„პარტიები, რომლებიც, თავიანთი მიზნებიდან ან მათი მიმდევრების ქცევიდან გამომდინარე, ორიენტირებული არიან თავისუფალი დემოკრატიული ფუძემდებლური წესრიგის შეღახვასა ან გაუქმებაზე, ან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობისთვის საფრთხის შექმნაზე, დაკარგავენ სახელმწიფო დაფინანსების უფლებას. თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებული იქნება, ამ პარტიების მიმართ ნებისმიერი ხელსაყრელი ფისკალური მოპყრობა და გადახდები შეწყდება. არაკონსტიტუციურობისა და სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს. დაფინანსების შეწყვეტა შეიძლება ექვს წელს გაგრძელდეს.[48]

იტალიის კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, *„ყველასა აქვს უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი სიტყვიერად, წერილობით ან კომუნიკაციის სხვა ფორმით“.*

პოლონეთის კონსტიტუციის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს ყველა ადამიანის აზრის გამოხატვის, ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების თავისუფლების უფლებას. აზრების, იდეებისა და მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვისა და გავრცელების უფლება გათვალისწინებულია ესპანეთის კონსტიტუციის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტით.

ცალკეული კონსტიტუციებიდან ზემოთ მოყვანილი დებულებები არ უნდა

47 https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/EN/2017/01/bs20170117_2bvb000113en.html

48 ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის (Bundesverfassungsgericht sgesetz) 46ა მუხლი.

იქნეს განხილული იზოლირებულად და შიდა რეგულაციები უნდა შეესაბამებოდნენ საარჩევნო კამპანიის დროს გამოხატვის თავისუფლების შესახებ საერთაშორისო ნორმებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

საარჩევნო კამპანიის პროცესში გამოხატვის კონტექსტში შეუძლებელია გამოხატვის თავისუფლების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის იგნორირება. ამ მიზეზით სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უნდა გაანალიზდეს ორი ტიპის თავისუფლებასთან მიმართებით: გამოხატვის თავისუფლება[49] და საარჩევნო კამპანიის გამართვის თავისუფლება[50].

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი გულისხმობს, რომ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, შექმნან ხელსაყრელი გარემო ყველა დაინტერესებული პირის საჯარო დებატებში მონაწილეობისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, შიშის გარეშე გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და იდეები.[51]

ორივე თავისუფლება ნებისმიერი დემოკრატიული სისტემის საფუძველია.[52] დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი გახლავთ, რომ

49 *მე-10 მუხლი - გამოხატვის თავისუფლება: „1.* ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

50 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმის მე-3 მუხლი - თავისუფალი არჩევნების უფლება: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.“

51 Dink v. Turkey 2668/ 07,6102/08, 30079/08, 7072/09, 7124/09, § 137, 2010 წლის 14 სექტემბერი.

52 Orlovskaya Iskra v. Russia, 42911/08, § 110, 2017 წლის 21 თებერვალი.

იგი იძლევა საშუალებას, ქვეყანაში არსებული პრობლემა მოგვარდეს დიალოგის გზით, ძალადობის გარეშე, მაშინაც კი, როდესაც იგი დამღლელი ხასიათისაა. როდესაც იგი დამღლელი ხასიათისაა, დემოკრატია ეფუძნება გამოხატვის თავისუფლებას. დემოკრატიის არსი იძლევა საშუალებას, რომ შეთავაზებული და განხილული იქნეს განსხვავებული პოლიტიკური პროგრამები, მაშინაც კი, როდესაც ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ სახელმწიფოს არსებულ მოწყობას, იმ პირობით, რომ საფრთხეს არ უქმნიან თავად დემოკრატიას.[53] როგორც აღნიშნულია გადაწყვეტილებაში საქმეზე - *Orlovskaya v. Russia* - ორი უფლება - გამოხატვის თავისუფლება და საარჩევნო კამპანიის თავისუფლება - ურთიერთდაკავშირებულია და მოქმედებენ ერთმანეთის გასამყარებლად. გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთია იმ ორი „პირობიდან", რომლებიც აუცილებელია პარლამენტის არჩევისას ხალხის აზრის თავისუფლად გამოხატვის უზრუნველსაყოფად. ამ მიზეზით არჩევნების წინა პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყველა სახის მოსაზრება და ინფორმაცია თავისუფლად გავრცელდეს.

3.1. გამოხატვის თავისუფლების პრიმატი

დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე ბალანსი ამ თავისუფლების სასარგებლოდ გადაწონის.[54]

გამოხატვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ბირთვი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ქვაკუთხედია.[55] გამოხატვის თავისუფლება არის ასეთი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საფუძველი, მისი წინსვლისა და თითოეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა.[56] ის სხვა თავისუფლებებით ეფექტიანად სარგებლობის საშუალებას უზრუნველყოფს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ თავისუფალი პოლიტიკური დებატების ხელშეწყობა დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. სასამართლო გამოხატვის თავისუფლებას პოლიტიკური დებატების კონტექსტში უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მიიჩნევს, რომ პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვის შეზღუდვის გასამართლებლად ძალიან მყარი მიზეზებია

53 Manole and others v. Moldova, 13936/02, § 95-99, 2009 წლის 17 დეკემბერი.
54 La liberté d'expression à l'âge d'Internet, Jean-Marc Sauvé, Conseil d'Etat, 28 avril 2017.https://www.conseil-etat.fr/actualites/discours-et-interventions/la-liberte-d-expression-a-l-age-d-internet
55 Almeida Azevedo v. Portugal, 43924 /02, § 30, 2007 წლის 23 იანვარი.
56 Handyside v. United Kingdom, 5493/72, § 49, 1976 წლის 7 დეკემბერი.

საჭირო. *„სხვისი უფლებების დაცვის“* კონცეფცია, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის კანონიერი მიზანი, პოლიტიკური აზრის გამოხატვის შემთხვევებზეც ვრცელდება, რომლებიც წააქეზებენ დისკრიმინაციას ან ძალადობას, ან შეიცავენ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს პირის, ან პირთა ჯგუფის მიმართ.[57] ცალკეულ შემთხვევებში პოლიტიკური აზრის გამოხატვაზე ფართო შეზღუდვების დაშვება უდავოდ გავლენას მოახდენს ზოგადად გამოხატვის თავისუფლების პატივისცემაზე შესაბამის სახელმწიფოში.[58] თუ დაშვებულია გარკვეული მკაცრი შეზღუდვები,[59] სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა ამ შეზღუდვების შესაბამისობაზე კონვენციით მინიჭებულ გამოხატვის თავისუფლებასთან. უფრო ზოგადად, დემოკრატიული პროცესის დაცვის აუცილებლობა იქნა მიჩნეული საჭიროდ ეფექტიანი პოლიტიკური დემოკრატიის დასაცავად და, შესაბამისად, ეს მოექცა *„სხვათა უფლებების დაცვის“* კონცეფციის ფარგლებში, რომელიც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტითაა გათვალისწინებული.[60] ვინაიდან გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობა წევრი ქვეყნების ვალდებულებაა, პრესაში გამოქვეყნებულ ცილისწამებაზე პასუხის გაცემის უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში გარანტირებული უნდა იყოს.[61]

გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტია გათვალისწინებული პრეცედენტულ სამართალში.

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.[62]

ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების ანონიმურობა ბევრად აადვილებს საკუთარი მოსაზრებების ონლაინგამოხატვას საკუთარი ვინაობის გამხელის გარეშე, ვიდრე ოფლაინგარემოში. ანონიმურობიდან გამომდინარე, მომხმარებლები უფრო თავისუფლად იყენებენ ძალადობრივ ენას, მაგრამ ეს ანონიმურობა ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ დაცვას უკანონო ქცევის შემთხვევაში.

ინტერნეტის ზემოქმედება კიდევ უფრო მწვავეა, ვიდრე პრესისა. იქიდან

57 Feret v. Belgium, 15615/07, §59, 10 December 2009.Willem v. France 10883/05, § 29, 2009 წლის 10 დეკემბერი.
58 Feldek v. Slovakia 29032/95, § 83, 2001 წლის 12 ოქტომბერი.
59 იგივე გადაწყვეტილება.
60 Ahmed and others v. the United Kingdom, §§ 52-54, 1998 წლის 2 სექტემბერი.
61 Eker v. Turkey, 24016/ 05, § 48, 2018 წლის 24 იანვარი.
62 Times Newspapers Ltd v. United Kingdom, 3002/ 03 და 23676/ 03, 2009 წლის 10 მარტი, და Yildirim v. Turkey 3111/ 10, § 67,2013 წლის 18 მარტი.

გამომდინარე, რომ ინტერნეტსივრცეში ინფორმაციის გავრცელების სიმარტივე, მასშტაბები და სიჩქარე და ასევე იმის გამო, რომ ერთხელ გამჟღავნებული ინფორმაცია მუდმივად იარსებებს ინტერნეტსივრცეში, ტრადიციული მედიასაშუალებებისაგან განსხვავებით, ინტერნეტსივრცეში უკანონო გამონათქვამების გამოქვეყნებამ შესაძლოა, უფრო მძიმე შედეგები გამოიწვიოს.[63] *„ინტეჩნეტში გამოქვეყნებული კონტენტისა და კომუნიკაციის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისთვის ზიანის მიყენების ჩისკი, ჩა თქმა უნდა, უფჩო მაღალია, ვიდჩე პჩესის შემთხვევაში.“*[64] მე-10 მუხლთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალში სასამართლომ მიიჩნია, რომ ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობის გამო, ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების მიერ ახალი ამბების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის გავრცელებაში.[65] ინტერნეტით სულ უფრო მეტი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი.[66] იგი ასევე პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად გამოიყენება.[67] სასამართლომ მიიჩნია, რომ დისკრიმინაციული ხასიათის პოლიტიკურმა გზავნილებმა, რომლებიც ჯერ ზეპირად იქნა გაჟღერებული, შემდეგ კი გაზეთში გამოქვეყნებული, კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა და მწვავე ხასიათი მიიღო მათი ინტერნეტში გამოქვეყნების გამო.[68] ინტერნეტსივრცეში მომხმარებელთა გამოხატვის თავისუფლება სარგებელთან ერთად გარკვეულ რისკებსაც შეიცავს. კერძოდ, ცილისმწამებლური და სხვა აშკარად უკანონო გამონათქვამები, მათ შორის, სიძულვილის ენა და ძალადობის წამახალისებელი ენა მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება ისე სწრაფად, როგორც არასდროს, სულ რამდენიმე წამში, და ზოგჯერ ხანგრძლივი დროით არის ხელმისაწვდომი ინტერნეტსივრცეში.[69]

ასევე აშკარაა, რომ სოციალურმა მედიამ გარკვეულ სოციალურ ჯგუფებსა და, განსაკუთრებით, დაუცველ ჯგუფებს თავისი მოსაზრებების გამოხატვის საშუალება მისცა, მაგრამ, იმავდროულად, პოპულისტ პოლიტიკოსებსაც

63 Delfi AS v. Estonia, 64569/09, § 147, 2015 წლის 16 ივნისი.

64 Ed. Bd of Pravoye Delo and Shtekel v. Ukraine, 33014 /05, § 63, 2011 წლის 5 აგვისტო.

65 Times Newspapers Ltd v. the United Kingdom, 3002/ 03 და 23676/ 03, § 27, 2009 წლის 10 ივნისი.

66 Kalda v. Estonia, n° 17429/10, § 52,2016 წლის 6 ივნისი და Jankovskis v. Lithuania 21575/08, § 49 ,2017 წლის 17 აპრილი.

67 Feret v. Belgium, 15615/ 07, §§ 63,66-71, 2009 წლის 16 დეკემბერი. Willem v. France 10883 / 05, §§ 36-38, 2009 წლის 16 დეკემბერი.

68 მუხლი 10, პოლიტიკური პოზიციების გამოხატვა და რეკლამა მედია/ინტერნეტის საშუალებით არჩევნების/რეფერენდუმის კონტექსტში, ECHR 2018, Willem v. France საქმეზე მითითებით, 10883/05, 2009 წლის 16 ივლისი.

69 Delfi v. Estonia, 64569/09, § 110, 2015 წლის 16 ივნისი. Annen v. Germany, 3690/10, § 67, 2016 წლის 26 თებერვალი.

შეუქმნა შესაძლებლობა, გამოიყენონ სოციალური მედია მანიპულაციური შინაარსის გასაზიარებლად.[70]

3.2. გზავნილის შინაარსი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ორ გადაწყვეტილებაში განსაზღვრა სასამართლოს მიდგომა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება გავრცელდეს გამოხატვის ერთ ფორმაზე - ონლაინსიძულვილზე ან სიძულვილის ენაზე. სასამართლოს უნდა დაებალანსებინა სიტყვის თავისუფლებისა და პირის უფლებების დაცვის აუცილებლობა.

თავის 1976 წლის 7 დეკემბერს გამოტანილ გადაწყვეტილებაში საქმეზე - *Handyside v. the United Kingdom* - კონვენციის §10-ის მე-2 მუხლი ვრცელდება არა მხოლოდ ინფორმაციაზე ან იდეებზე, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება და განიხილება როგორც უწყინარი ან ნეიტრალური, არამედ ისეთებზეც, რომლებიც სხვა ადამიანებს შეურაცხყოფას აყენებენ, შოკს ჰგვრიან ან აწუხებენ. ეს ნიშნავს, რომ ამ სფეროში დაწესებული ყველა ფორმალობა, პირობა, შეზღუდვა ან სახდელი უნდა იყოს კანონიერი მიზნის თანაზომიერი.

მეორე მხრივ, 2006 წლის 6 ივლისს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში საქმეზე - *Erbakan v. Turkey* - აღნიშნულია, რომ *„ტოლერანტობა და ყველა ადამიანის ღირსების მიმართ თანაბარი მოპყრობა დემოკრატიული, პლურალისტური საზოგადოების ქვაკუთხედია. აქედან გამომდინარე, გარკვეულ დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაძლოა, პრინციპულად აუცილებლად ჩაითვალოს გამოხატვის ყველა ფორმის სანქციირება ან თუნდაც აკრძალვა, რომელიც ავრცელებს, უბიძგებს, ხელს უწყობს ან ამართლებს შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ სიძულვილს“.*

ეს სამართლებრივი კაზუისტიკის საკითხია. როგორც უკვე ითქვა, სიძულვილის ენას შეიძლება მრავალი ფორმა ჰქონდეს: სქესი, კანის ფერი, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, ეროვნება, სექსუალური ორიენტაცია, პოლიტიკური შეხედულებები, შეზღუდული შესაძლებლობები, რაც შეიძლება გახდეს საბაბი სიძულვილის შემცველი განცხადებების გასაკეთებლად. როგორც კულტურის საკითხებზე კომენტატორმა განაცხადა ლორდთა პალატის კომუნიკაციებისა და ციფრული კომიტეტის წინაშე:

70 ადამ კრზივონი, სუმარული სამართალწარმოება, როგორც საარჩევნო დეზინფორმაციის ღონისძიება: ევროპული სტანდარტის განსაზღვრა, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, 2021 წლის 24 ივნისი.

„ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სიტყვის თავისუფლებისთვის და თავისუფალი გამოხატვისთვის ონლაინ, და განვასხვაოთ ერთმანეთისგან სიძულვილის ენა და სიძულვილის ენა, რომელიც ჩვენ გვძულს, რაც ზოგჯერ ძნელი განსასხვავებელია.“[71] სასამართლომ ხაზი გაუსვა პირის ფეისბუკის პროფილზე გამოქვეყნებული სიძულვილის ენის შორსმიმავალ მავნე ზემოქმედებას.[72]

3.3. საქმეები, რომლებიც არ ხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში

გამოხატვის თავისუფლებაზე მითითება დაუშვებელია ონლაინსიძულვილის გასამართლებლად ზოგიერთ შემთხვევაში, რადგან გამოხატვის ამ ფორმებზე ცალსახად არ ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 მუხლით გათვალისწინებული დაცვის გარანტიები.[73] მე-17 მუხლის ტექსტი მომდინარეობს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 30-ე მუხლიდან. მე-17 მუხლის მსგავსი დებულებები ასევე გვხვდება 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში, 1969 წლის ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციასა და ევროკავშირის 2000 წლის ძირითად უფლებათა ქარტიაში. მე-17 მუხლი არის უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვის დებულება.

მე-17 მუხლი უკრძალავს განმცხადებლებს, დაეყრდნონ კონვენციას, რათა განახორციელონ, ხელი შეუწყონ და/ან გაამართლონ ისეთი ქმედებები, რომლებსაც ახასიათებთ შემდეგი[74]:

- სიძულვილი (*Perinçek v. Switzerland,* 27510/08, §§ 115 და 230, 2015 წლის 15 ოქტომბერი; *Molnar v. Romania,* 16637/06, 2012 წლის 23 ოქტომბერი; *Belkacem v. Belgium,* 34367/1, 2017 წლის 27 ივნისი; *Lilliendahl v. Iceland,*2927/18, § 39, 2020 წლის 12 მაისი);
- ძალადობა (*Hizb ut-Tahrir and Others v. Germany*, 31098/08, § 73,2012 წლის 12 ივნისი; *Kasymakhunov and Saybatalov v. Russia,* 26261/05 და 26377 / 06, § 106, 2013 წლის 14 ივნისი; *Kaptan v. Switzerland,* 55641/

71 ყველასთვის ხელმისაწვდომი? გამოხატვის თავისუფლება ციფრულ ეპოქაში, ლორდთა პალატა, 2021 წლის 22 ივლისი, 7.

72 Beizaras and Levickas v. Lithuania, 41288/15, § 127, 2020 წლის 14 მაისი.

73 კონვენციის მე-17 მუხლი - ამ კონვენციის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ადამიანთა ჯგუფის ან ცალკეული პირის უფლებას, ეწეოდეს საქმიანობას ან ასრულებდეს მოქმედებას, რომელიც გამიზნულია, არარად აქციოს ამ კონვენციით გაცხადებული რომელიმე უფლება ან თავისუფლება, ანდა შეზღუდოს იგი იმაზე მეტად, ვიდრე ეს საკუთრივ კონვენციით არის გათვალისწინებული.

74 https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_17_ENG.pdf

00, 2001 წლის 12 აპრილი; *Belkacem v. Belgium,* 34367/1, 2017 წლის 27 ივნისი; *Romanov v. Ukraine,* 63782 /11, §§ 163-166, 2020 წლის 16 ივლისი);

- ქსენოფობია და რასობრივი დისკრიმინაცია (*Jersild v. Denmark,15890/89,* § 35, 1994 წლის 23 სექტემბერი; *Féret v. Belgium,* 15615/07, 2009 წლის 16 ივლისი; *Ayoub and Others v. France*, 77400/14, § 134, 2021 წლის 8 იანვარი);
- რელიგიური სიძულვილი (*Norwood v. the United Kingdom,* 23131/03, 2004 წლის 16 ნოემბერი; *Belkacem v. Belgium,* 34367/1, 2017 წლის 27 ივნისი);
- ჰომოფობია (*Lilliendahl v. Iceland*, 29297/18, 2020 წლის 12 მაისი);
- ანტისემიტიზმი (*Pavel Ivanov v. Russia,* 35222/04, 2007 წლის 20 თებერვალი; *W.P. and Others v. Poland*, 42264 /98, 2004 წლის 2 სექტემბერი);
- ისლამოფობია (*Norwood v. the United Kingdom,* 23131/03, 2004 წლის 16 ნოემბერი; *Seurot v. France,* 57383/00, 2004 წლის 18 მაისი; *Soulas and Others v. France,*15948/03, 2008 წლის 10 ოქტომბერი);
- ტერორიზმი და ომის დანაშაულები (*Orban and Others v. France,* 2009, 20985 /05, § 35, 2009 წლის 15 აპრილი; *Leroy v. France*, 36109/03, § 27, 2009 წლის 6 აპრილი; *Roj TV A/S v. Denmark*, 24683/14, §§ 46-47, 2018 წლის 17 აპრილი);
- ცალსახად დადგენილი ისტორიული ფაქტების უარყოფა და გადახედვა, როგორიცაა ჰოლოკოსტი (*Lehideux and Isorni v. France,* 55/1997/839/1045, § 47, 1998 წლის 23 სექტემბერი; *M'Bala M'Bala v. France*, 25239/13, 2015 წლის 20 ოქტომბერი; *Garaudy v. France,* 2003 წლის 7 ივნისი; *Witzsch v. Germany* (no. 2) 7485/03, 2005 წლის 13 დეკემბერი);
- ჰოლოკოსტის, ომის და/ან ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა მიმართ ზიზღი (*Witzsch v. Germany* (no. 2) 7485/03, 2005 წლის 13 დეკემბერი; *Fatullayev v. Azerbaijan*, 40984/ 07, § 81, 2010 წლის 4 ოქტომბერი; *Vajnai v. Hungary,* 33629/06, § 25, 2008 წლის 8 ოქტომბერი; *Pastörs v. Germany*, 55225/14, § 39, 2019 წლის 3 ოქტომბერი);
- ტოტალიტარული იდეოლოგია, დემოკრატიული წესრიგისთვის საფრთხის შექმნა და დემოკრატიასთან შეუთავსებელი სხვა პოლიტიკური იდეების მხარდაჭერა (*Lehideux and Isorni v. France,*

55/1997/839/1045, § 53, 23 September 1998; *Vona v. Hungary,* 35943/10, § 36, 2013 წლის 9 დეკემბერი; *Vajnai v. Hungary*, 33629/06, § 25, 2008 წლის 8 ოქტომბერი; *Kasymakhunov and Saybatalov v. Russia*, 26261/05 და 26377 / 06, §§ 108-113, 2013 წლის 14 ივნისი; *Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey* , 41340/98 , 41342/98, 41343/98, 41344/98, § 132, 2003 წლის 13 თებერვალი; *Schimanek v. Austria*,32307/96, 2000 წლის 1 თებერვალი; *Kühnen v. Germany*, კომისიის გადაწყვეტილება, 1988; *German Communist Party (KPD) v. Germany*, კომისიის გადაწყვეტილება, 250/57 , 1957 წლის ივლისი).

ეს ნიშნავს, რომ განმცხადებელს, რომელიც ამ საქმეების ფარგლებში ექცევა, არ ექნება უფლება, ისარგებლოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დადგენილი დაცვის გარანტიებით, რადგან იგი უარყოფს კონვენციის ფუნდამენტურ ღირებულებებს.

3.4. საქმეები, როდესაც აზრის გამოხატვაზე ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვა

როდესაც ეს ძირითადი პრინციპები არ არის უგულებელყოფილი, ჩნდება ადგილი გამოხატვის თავისუფლებისთვის, რაც კონვენციის ოქმის მე-3 მუხლით მინიჭებული თავისუფალი არჩევნების უფლების ერთ-ერთი წინაპირობაა.

მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ ვებგვერდის მმართველის სისხლის სამართლის დანაშაულში მსჯავრდება მერის საჯარო შეურაცხყოფისთვის ამ პირის თავმჯდომარეობით მოქმედი ასოციაციის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებული კომენტარების გამო, გადაჭარბებული იყო. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოთ ხსენებული კომენტარები იყო ასოციაციის წარმომადგენლობითი ორგანოს პოზიციის გამოხატვა, სადაც გადმოცემული იყო მისი წევრების მოსაზრებები მუნიციპალური პოლიტიკის კრიტიკასთან დაკავშირებით, რაც საზოგადოების ინტერესს ასახავდა.[75]

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენცია დაირღვა და არასამთავრობო ორგანიზაციას დაეკისრა პასუხისმგებლობა, რადგან მან პოლიტიკოსის გამოსვლა შეაფასა როგორც „სიტყვიერი რასიზმი“.[76] სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა გადააჭარბეს თავიანთი მი-

75 Renaud v. France, 13290/07, 2010 წლის 25 მაისი.
76 GRA Stiftung gegen Rassismus und Antisemitismus v. Switzerland, 18597/13, 2018 წლის 9 აპრილი.

ხედულების ფარგლებს და ვერ დაამყარეს თანაზომიერი და გონივრული ბალანსი განმცხადებელთა ორგანიზაციის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ზომებსა და კანონიერ მიზანს შორის.

საქმეში - *Tamiz v. the United Kingdom* - პოლიტიკოსი ჩიოდა მისი რეპუტაციის შელახვის გამო, იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნულმა სასამართლომ უარი თქვა Google-ის პასუხისმგებლობის აღიარებაზე კომენტარებთან დაკავშირებით, რომლებიც, მისი აზრით, ცილისმწამებლური იყო. სასამართლომ შეისწავლა, არსებობდა თუ არა რაიმე მტკიცებულება რეალური და არსებითი ზიანის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მილიონობით ინტერნეტმომხმარებელი აქვეყნებს შესაძლო შეურაცხმყოფელ ან ცილისმწამებლურ კომენტარებს ინტერნეტში, მაგრამ ეს კომენტარები, უმეტესწილად, ტრივიალური ხასიათისაა, ან მათი გავრცელება ძალიან შეზღუდული მოცულობით ხდება, რათა რაიმე მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს პირის რეპუტაციას. ამ მიზეზით სასამართლომ მიიჩნია, რომ ცილისწამების წარმოების აღძვრისთვის საჭირო რეალური და არსებითი ზიანი არ დამდგარა.[77]

3.5. საარჩევნო კამპანიები

საარჩევნო კამპანია არის ინკუბატორი იმის დასადგენად, თუ რამდენად თავისუფალი შეიძლება იყოს გამოხატვის უფლება. არჩევნების წინა პერიოდში მნიშვნელოვანია აზრისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელება. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ფართო საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური ინტერესი, ინფორმირებული იყოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.[78] ზოგადი წესის სახით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ არჩევნებთან დაკავშირებული მოსაზრებები და ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება საარჩევნო კამპანიის დროს, უნდა განიხილებოდეს როგორც საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატების ნაწილი, თუ საპირისპირო მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი. საზოგადოებრივი ინტერესი ეხება საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე იმდენად, რომ საზოგადოება შეიძლება ლეგიტიმურად იყოს დაინტერესებული ამ საკითხებით, გამოიჩინოს ინტერესი მათ მიმართ, ან ისინი შეიძლება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ საზოგადოებაზე, კერძოდ კი, მოქალაქეების კეთილდღეობაზე ან ცხოვრებაზე. აქ ასევე მოიაზრება საკითხები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მნიშვნელოვანი დაპირისპირება კონკრეტულ სოციალურ საკითხთან დაკავშირებით, ან ასევე პრობლემები, რომელთა

77 Tamiz v. United Kingdom, 3877/ 14, 2017 წლის 12 ოქტომბერი.
78 Olafsson v. Iceland, 58493/ 13, § 50, 2017 წლის16 მარტი.

შესახებაც საზოგადოებას სურს, რომ ინფორმირებული იყოს.[79] სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან მიმართებით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ვიწროდ უნდა იყოს განმარტებული.[80]

სასამართლომ მიიჩნია, რომ *„გაჰკვეუღ გაჰემოებებში კონვენციის მე-10 მუხღით და N1 ოქმის*[81] *მე-3 მუხღით გათვაღისწინებუღი უფღებები შეიძღება ეჰთმანეთთან კონფღიქტში მოვიდეს, და აჰჩევნების წინა პეჰიოდში ან აჰჩევნების პჰოცესში შეიძღება საქჰიჰოდ იქნეს მიჩნეუღი გამოხატვის თავისუფღებაზე გაჰკვეუღი სახის შეზღუდვების დაწესება, ჰაც, ჩვეუღებჰივ, მიუღებეღია, ჰათა უზჰუნვეღყოფიღი იყოს ხაღხის პაჰღამენტის აჰჩევასთან დაკავშიჰებით „აზჰის თავისუფაღი გამოხატვა“.*[82] ამ ორ დებულებას შორის ბალანსის დამყარებისას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ენიჭებათ მიხედულების თავისუფლება, როგორც ეს, ზოგადად, გათვალისწინებულია მათი საარჩევნო სისტემის ორგანიზებასთან დაკავშირებით.[83]

საქმეზე - *Brzezinski v. Poland* [84], რომელიც ეხებოდა ბრალდებას იმის შესახებ, რომ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლება დაირღვა მის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ბროშურაში გაკეთებული კომენტარების გამო, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაირღვა მე-10 მუხლი. სადავო განცხადებები გაკეთდა დებატების კონტექსტში საკითხების გარშემო, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის. სასამართლომ დაადგინა, რომ ბროშურაში გამოყენებული ენა დასაშვები გაზვიადების ან პროვოკაციის ფარგლებში იყო, ზოგადად, ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური დებატების ტონისა და ხასიათის გათვალისწინებით.

2020 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებაში საქმეზე - *Magyar Ketfarku Kutya Part v. Hungary* - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა სასამართლოს მიერ საარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკური პარტიე-

79 Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland, 931 /13, § 171, 2017 წლის 27 ივნისი.

80 Prunea v. Romania, 47881/ 11, § 4, 2019 წლის 8 აპრილი, განსხვავებული მოსაზრება.

81 „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას“.

82 Orlovskaya v. Russia 42911/08, 2017 წლის 3 ივლისი.

83 Animal Defenders International v. the United Kingdom, 48876/08, § 111, 2013 წლის 22 აპრილი. Yves-Marie Doublet, Revue trimestrielle des droits de l'homme.2014, 98 p.483. Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium, 9267/81, § 54, 1987 წლის 2 მარტი. TV Vest AS and Rogaland Pensjonistparti v. Norway,48876 /08, § 62, 2013 წლის 22 აპრილი, Orlovskaya Iskra v. Russia, 42911/08, § 134, 2017 წლის 3 ივლისი.

84 47542/07, 2019 წლის 25 ივლისი.

ბის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები. სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ასეთ კონტექსტში უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ შემოწმებას. მკაცრი ზედამხედველობა ემსახურება დემოკრატიის დაცვას, რადგან გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერმა შეზღუდვამ ამ კონტექსტში საკმარისად განჭვრეტადი რეგულაციების გარეშე შეიძლება ზიანი მიაყენოს ღია პოლიტიკურ დებატებს, კენჭისყრის პროცესის ლეგიტიმურობას, მის შედეგებს და, საბოლოოდ, შელახოს მოქალაქეთა კანონიერი ნდობა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლის უზენაესობის დაცვის ვალდებულების შესრულებისადმი.[85]

პოლონური რეგულაციების მაგალითი ხაზს უსვამს საარჩევნო კამპანიის პერიოდის სპეციფიკას გამოხატვის თავისუფლების დარღვევაზე ზედამხედველობისა და ამ ზედამხედველობის ფარგლების კონტექსტში. პოლონეთის საარჩევნო კანონის თანახმად, ყველა კანდიდატს შეუძლია, წამოიწყოს სასამართლო პროცესი, თუ საარჩევნო მასალა შეიცავს ცრუ მონაცემებს ან ინფორმაციას, და სასამართლოს შეუძლია შეისწავლოს, შეიცავს თუ არა მასალა უტყუარ ინფორმაციას, და შეაჩეროს მისი გავრცელება.[86] მოთხოვნა 24 საათში უნდა იყოს განხილული და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მეორე ინსტანციაში

85 ECHR, წლიური ანგარიში 2020, პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, 97.

86 *თუ პლაკატები, ღოზუნგები, ბროშურები, განცხადებები ან სხვა სახის საჯარო ან კამპანიის მასალები შეიცავენ ცრუ მონაცემებს ან ინფორმაციას, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს ან საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მიმართონ რაიონულ სასამართლოს ორდერის მისაღებად შემდეგი მიზნით:*

(1) ასეთი მასალების კონფისკაციისთვის;

(2) [მოპასუხის] შეკავება ასეთი მონაცემების ან ინფორმაციის გამოქვეყნებისგან;

(3) ინფორმაციის კორექტირებისთვის;

(4) [მოპასუხისგან] დაზარალებული მხარისთვის ბოდიშის მოხდის მოსათხოვნად;

(5) [მოპასუხისგან] 10000 პოლონურ ზლოტამდე საქველმოქმედო ორგანიზაციაში გადახდის მოსათხოვნად;

(6) [მოპასუხისგან] მოსარჩელისთვის 10 000 პოლონურ ზლოტამდე ზიანის ანაზღაურების მოსათხოვნად.

§ 2. რაიონული სასამართლო, სადაც საქმეს ერთი მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნულად, შეისწავლის §1-ში მითითებულ განცხადებას 24 საათის განმავლობაში არასადავო [სამოქალაქო] წარმოების ფორმით. სასამართლო, გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე, გადასცემს § 1-ში მითითებულ დაინტერესებულ მხარეს, საოლქო საარჩევნო კომისიას და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირს გადაწყვეტილებას, რომელიც დაასრულებს საქმისწარმოებას.

§ 3. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, თუ საჩივარი შეტანილი იქნება გადაწყვეტილების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო, რომელიც საქმეს განიხილავს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის სახით, არასადავო [სამოქალაქო] წარმოების ფორმით, იმავე პროცედურით, და მე-2 პუნქტში მითითებულ ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას და იგი დაუყოვნებლივ აღსრულდება.

24 საათის განმავლობაში. ეს წესები ეფექტიანია, თუ გადაწყვეტილებები მიღებულია არჩევნების დღემდე, რაც ასე არ იყო ერთ-ერთი დავის შემთხვევაში.[87] სხვა საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ არჩევნების შემდეგ გაკეთებული ყალბი საარჩევნო განცხადებები არ იყო დაკავშირებული საარჩევნო პროცესთან.[88] ბრეზინსკის საქმეში სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია საარჩევნო კამპანიაში კანდიდატებთან დაკავშირებული ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლა, რათა შენარჩუნდეს საჯარო დებატების ხარისხი საარჩევნო კამპანიის პროცესში.[89] ამ შემთხვევაში სასამართლომ კანონით გათვალისწინებული კუმულაციური სანქციები სამართალდარღვევის არაპროპორციულად მიიჩნია.

ზოგჯერ საარჩევნო კამპანიის დროს გზავნილების შინაარსის თვალსაზრისით ხდება შეზღუდვების დაწესება, ან პლატფორმების მიერ გარკვეული შინაარსის წაშლა, და ეს გადაწყვეტილებები ექვემდებარებოდა სასამართლო განხილვას ან შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს მონიტორინგს.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ მოპასუხის სერვისებით სარგებლობაზე უარის თქმით ფეისბუკმა მომჩივანს, მემარჯვენე პოლიტიკურ პარტიას ევროპარლამენტის არჩევნებამდე პერიოდში თავისი პოლიტიკური გზავნილის პოპულარიზაციის შესაძლებლობა შეუზღუდა. მაგრამ განაცხადი უარყოფილ იქნა, რადგან განმცხადებელმა არ წარადგინა იმის მტკიცებულება, რომ ფეისბუკის მიერ დაწესებულმა შეზღუდვამ მას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.[90]

ოპერატორის მიერ ვიდეოს წაშლის მაგალითია Youtube-ის მოქმედება შვეიცარიაში. ციურიხში პარტია SVP-ს საარჩევნო კამპანიის ვიდეო, რომელიც ერითრეელებს სავარაუდო ლტოლვილებად აღწერდა, Youtube-მა წაშალა.[91] SVP-მ ვიდეო გამოაქვეყნა სხვადასხვა სოციალურ მედიაპლატფორმაზე 2019 წლის 3 ოქტომბერს. Youtube-მა ვიდეო დაბლოკა 9 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე და ციურიხის პროკურორმა დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ კანონის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

87 Kwiecen, 51744/99, § 5, 2007 წლის 9 აპრილი.
88 Kita, 57659/00, § 44-46, 2018 წლის 8 ოქტომბერი.
89 Brezinsky v. Poland, 47542/00, § 55, 2019 წლის 25 ივლისი.
90 https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/DE/2019/bvg19-038.html
91 https://www.swissinfo.ch/eng/parliamentary-elections_zurich-public-prosecutor-opens-investigation-into-possible-racism-behind-campaign-video/45374154

ესპანეთის საზედამხედველო ორგანოს, ცენტრალურ საარჩევნო საბჭოს (la Junta Electoral Central) 2021 წელს პოლიტიკური პარტია (Vox) დაესხა თავს კატალონიის საპარლამენტო არჩევნების დროს, რადგან Twitter-მა დაბლოკა ამ პარტიის ანგარიში, სადაც მიგრანტებთან დაკავშირებული ძალადობრივი გამოსახულებები იყო ნაჩვენები. გზავნილი, რომელსაც მოჰყვა Twitter-ის გადაწყვეტილება, შემდეგი იყო: „ვვარაუდობთ, რომ დაახლოებით 0,2%-თან დაკავშირებით არის წარდგენილი საჩივრების 93%“. ეს ეხებოდა მუსლიმებს. ცენტრალურმა საარჩევნო საბჭომ არ დააკმაყოფილა Vox-ის საჩივარი. მან მიიჩნია, რომ ცენტრალური საარჩევნო საბჭო უფლებამოსილია, ჩაერიოს, როდესაც პოლიტიკური პლურალიზმის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და კანდიდატებს შორის თანასწორობის პრინციპები სერიოზულად შეილახა, რაც ამ შემთხვევაში ასე არ იყო.[92]

№1 ოქმის მე-3 მუხლის მოქმედების სფერო ვრცელდება არა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებზე, არამედ რეფერენდუმებზეც.[93]

3.6. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების დასაბუთება

- სახელმწიფოების მიხედულების ფარგლები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მიხედულების ფართო ფარგლები ენიჭებათ მათ საარჩევნო სისტემებთან მიმართებით. მაგალითად, პოლიტიკურ რეკლამასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ აკრძალული რეკლამის პოლიტიკური ხასიათი და, შესაბამისად, შეზღუდული მიხედულების ფარგლები მკაცრ შემოწმებას მოითხოვს. უნდა არსებობდეს პროპორციულობის გონივრული ურთიერთმიმართება აკრძალვით მიღწეულ ლეგიტიმურ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის.[94]

თუ უფრო დეტალურად განვიხილავთ ამ საკითხს, ინტერპრეტაციის თვალსაზრისით ფართო მიხედულება შინაარსზეა დამოკიდებული. ეს ფარგლები უფრო ვიწრო იქნება, როდესაც აზრის გამოხატვა პოლიტიკური დებატების კონტექსტში ხდება. ეს ფარგლები ასევე ვიწრო იქნება, როდესაც საკითხი პოლიტიკური პარტიის მუშაობას ეხება. მაგრამ მიხედულების ფარგლები ფართო იქნება, როდესაც საქმე ეხება საარჩევნო პროცესის ორგანიზებას და წარმართვას, და როდესაც საკითხზე ევროპული კონსენსუსი არ

92 Acuerdo de la Junta Electoral Central de 25 de Febrero de 2021, 293/2021.
93 Magyar Ketfarku Kutya Part v. Hungary, 201/17, § 99, 2020 წლის 20 იანვარი.
94 TV Vest As and Rogaland Pensjonist parti v. Norway, 21132/05, 2008 წლის 11 დეკემბერი.

ვრცელდება.[95] ეს ფარგლები ფართოა სიძულვილის ენის[96] ან ძალადობის წაქეზების შემთხვევაში.[97]

იმისათვის, რომ დადგინდეს, ისახავდა თუ არა განმცხადებელი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 მუხლით აკრძალულ რომელიმე მიზანს, სასამართლო განიხილავს ქმედების „ძირითად არსს“, „ზოგად ტონს“ ან „ზოგად ხასიათს“.[98] სასამართლომ ასევე შეიძლება გაითვალისწინოს, განიხილეს თუ არა საქმე ეროვნულმა სასამართლოებმა კონკრეტული აკრძალული მიზნის პოზიციიდან, რომელსაც, მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელი ისახავდა მიზნად.[99]

- შეფასებითი მსჯელობა და ფაქტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტების არსებობის დემონსტრირება შესაძლებელია, შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება არ არის შესაძლებელი.[100] საჯარო ინტერესის საკითხებზე მტკიცებები შეიძლება წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტების შესახებ განცხადებებს. ფაქტობრივი ბრალდებისა და შეფასებითი მსჯელობის ერთმანეთისგან განსხვავების მიზნით, აუცილებელია საქმის გარემოებებისა და განცხადებების ზოგადი ტონის შესწავლა.[101] საარჩევნო კამპანიის დროს განცხადების ან ინფორმაციის ჭეშმარიტების შეფასება ამომრჩევლის მიხედულებაშია.

- ინტერნეტპორტალების მოვალეობები

რაც შეეხება საინფორმაციო ინტერნეტპორტალების მოვალეობებს და სამართლიანი ბალანსის დამყარებას გამოხატვის თავისუფლების უფლებასა და კომენტარებში მოხსენიებული ფიზიკური ან იურიდიული პირის რეპუტაციის უფლებას შორის, რომლის დაცვის მიზნითაც მას უნდა შეეძლოს, მოითხოვოს ინტერნეტპორტალის მიერ კომენტარების წაშლა, სასამართლომ ამასთან დაკავშირებით ოთხი კრიტერიუმი განსაზღვრა:[102]

95 ECHR, ადამიანის უფლებები და ტექნოლოგიური განვითარება, 16, ქალბატონი სიოფრა ო'ლირი, სტრასბურგი, 2020 წლის 18 სექტემბერი

96 Gündüz v. Turkey, 35071/97, § 41, 2004 წლის 14 ივლისი.

97 Sürek v. Turkey, 26682/95, § 62, 1999 წლის 8 ივლისი.

98 M'Bala M'Bala v. France, 25239/13, § 41, 2015 წლის 20 ოქტომბერი.

99 Mammadov v. Azerbaijan, 15172/13, § 41, 2019 წლის 29 მაისი.

100 Kwiecien v. Poland 51744/44, § 53, 9 January 2007. Morice v. France, 29369/10, § 126, 2015 წლის 23 აპრილი.

101 Brasilier v. France, 71343/01, § 37, 2006 წლის 11 ივლისი.

102 Magyar Tartalomszolgaltatok Egyesülete and Index.hu Zrt v. Hungary, 22947/13, §§ 60 et seq., 2016 წლის 2 მაისი. Delfi AS v. Estonia, 64569/09, §§ 142 et seq., 2015 წლის 16 ივნისი.

- კომენტარების კონტექსტი და შინაარსი;

- კომენტარის ავტორის პასუხისმგებლობა;

- განმცხადებლების მიერ მიღებული ზომები;

- დაზარალებული მხარის ქცევა და დაზარალებული მხარისა და განმცხადებლებისთვის ინციდენტით გამოწვეული შედეგები.

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ გამართლებული იყო ინტერნეტპორტალისთვის მიცემული ბრძანება მის საიტზე განთავსებული ანონიმური შეურაცხმყოფელი კომენტარებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.[103]

- ინტერნეტთან წვდომის დაბლოკვა

- სასამართლომ ხაზი გაუსვა ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა ინტერესის შეფასების აუცილებლობას, კერძოდ, კონკრეტულ ვებ-გვერდებზე[104] ყველა წვდომის დაბლოკვის აუცილებლობის შეფასებას და აღნიშნა, რომ ხელისუფლებას, სხვა ასპექტებთან ერთად, მხედველობაში უნდა მიეღო ის ფაქტი, რომ ასეთი ღონისძიება, რომლითაც დიდი მოცულობის ინფორმაცია მიუწვდომელი გახდებოდა, არსებითად შეზღუდავდა ინტერნეტმომხმარებლების უფლებებს და მნიშვნელოვან თანმდევ შედეგებს გამოიწვევდა.[105]
- Youtube-ის ვიდეოჰოსტინგის ვებგვერდის დაბლოკვასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლებს, მიუხედავად იმისა, ისინი იყვნენ უბრალო მომხმარებლები, რომლებზეც არ ახდენდა პირდაპირ ზეგავლენას Youtube-ზე წვდომის დაბლოკვის გადაწყვეტილება, შეეძლოთ, კანონიერად ემტკიცებინათ, რომ სადავო ღონისძიება გავლენას ახდენდა მათ უფლებაზე - მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია ან იდეები, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი იყვნენ Youtube-ის მომხმარებლები და რომ ეს პლატფორმა უნიკალური იყო მისი მახასიათებლების, ხელმისაწვდომობისა და, უპირველეს ყოვლისა, მისი პოტენციური გავლენის გამო, და რომ განმცხადებლებისთვის

103 Delfi AS v. Estonia, 64569/09, 2015 წლის 16 ივნისი.
104 Ahmet Yildirim v. Turkey, 3111 /10, § 66, 2013 წლის 18 მარტი.
105 Cengiz and Others v. Turkey, 482226/10 and 14027/ 11, § 64, 2015 წლის 1 დეკემბერი.

სხვა ალტერნატივა არ იყო ხელმისაწვდომი.[106]

- რაც შეეხება იმას, თუ რამდენად გამართლებული იყო დაბლოკვის მოცულობა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი წინასწარი შეზღუდვები აუცილებლად შეუსაბამო არ არის კონვენციასთან. თუმცა საჭიროა სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მკაცრ კონტროლს აკრძალვის ფარგლებზე, ისე ეფექტიან სასამართლო განხილვას, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ამგვარი ღონისძიების სასამართლოს მიერ გადასინჯვა, რაც გულისხმობს იმ საპირისპირო ინტერესების შეფასებას, რომლებიც სასწორზე დევს, და მათ შორის ბალანსის დამყარებას, ეს წარმოუდგენელია, თუკი არ არსებობს ჩარჩო, რომლითაც დგინდება ზუსტი და კონკრეტული წესები გამოხატვის თავისუფლებაზე პრევენციული შეზღუდვების დაწესების დადგენის შესახებ.[107]
- საქმეში - *Bulgakov v. Russia*, რომელიც ეხება მთელი ვებგვერდის დაბლოკვას სასამართლოს განჩინების საფუძველზე, აკრძალული მასალის ამ ვებგვერდზე განთავსების გამო, და მის დაბლოკვის გაგრძელებას ამ მასალის ამოღების შემდეგაც კი, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა ვებგვერდის დაბლოკვის თაობაზე სასამართლო აქტის გაცემის სამართლებრივი საფუძველი, რადგან კანონმდებლობა, რომელსაც ეფუძნებოდა ეს ორდერი, არ აძლევდა ხელისუფლებას უფლებას, დაებლოკა წვდომა მთელ ინტერნეტგვერდზე.[108]

4. პოლიტიკური პარტიების ან კანდიდატების მიერ სიძულვილის ენის გამოვლენა

ვინაიდან თვითრეგულირება და ნორმატიული რეგულირება შეიძლება არ იყოს საკმარისი, პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა შეიძლება დაიცვან თავი სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების გამოვლენისა და ამ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების გზით. პოტენციურად შეცდომაში შემყვანი და ყალბი შინაარსის გამოვლენა შესაძლებელია საძიებო სისტემების მეშვეობით გადაცემული ტექსტური ინფორმაციის გამოვლენისა და ანალიზის გზით, რომელიც შეიძლება სიძულვილის ენას შეიცავდეს. მაგალითად, გერმანიაში 2021 წლის მორიგი არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის დროს CSU-მა (ბავარიის ქრისტიანულ-სოციალურმა

106 იქვე, §§ 52, 53, 55.
107 Ahmet Yildirim v. Turkey, 3111 /10, § 64, 2013 წლის 18 მარტი.
108 Bulgakov v. Russia, 20159/15, § 34, 2020 წლის 23 ივნისი.

კავშირმა) ვებგვერდზე გამოაქვეყნა ყალბი ინფორმაცია პანდემიებისა და პარტიის პოზიციების შესახებ, რომლებიც ინტერნეტში ვრცელდებოდა.[109] თავის მხრივ, მწვანეთა პარტიამ დაიქირავა მოხალისეები ყალბი ამბების აღმოსაჩენად და მათზე პასუხის გასაცემად. ანგარიშის თანახმად, გერმანიის მწვანეთა პარტიის ლიდერი იყო ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც დეზინფორმაციის ძირითადი სამიზნე იყო წინასაარჩევნო კამპანიის დროს (ყველა ყალბი ამბების 28% მწვანეთა პარტიის ლიდერ ანალენა ბაერბოკის წინააღმდეგ იყო მიმართული, 11% - ქრისტიან-დემოკრატების ლიდერ არმინ ლაშეტის წინააღმდეგ).[110] მწვანეთა პარტიის 2500 წევრისგან შემდგარმა ჯგუფმა გააანალიზა გავრცელებული კონტენტი და რეაგირება მოახდინა მისი წაშლის მოთხოვნით, ხშირ შემთხვევაში, პარტიის წევრები რეაგირებას ახდენდნენ Facebook-ით და Twitter-ით გავრცელებულ ინფორმაციაზე. ძალიან ხშირად მწვანეთა პარტიის მხარდამჭერების მოთხოვნა კონტენტის წაშლის შესახებ საკმარისად ეფექტიანი იყო.[111]

5. ეროვნული რეგულაციები

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში სიძულვილის ენის გამოყენების პრობლემის გადაჭრა სამართლებრივ რეაგირებას და სანქციების აღსრულებას მოითხოვს, რაც შეიძლება რამდენიმე ფორმით არსებობდეს. ეს რეგულაციები სხვადასხვა მიდგომას ითვალისწინებენ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ზოგიერთი მათგანი ყურადღებას ამახვილებს უცხოური პლატფორმების ჩარევაზე; სხვები ეყრდნობიან დაშინების ზოგად ცნებას, რომელიც სიძულვილის ენასა და დეზინფორმაციას შორის გარკვეულ გადაფარვას გულისხმობს. ნებისმიერ შემთხვევაში, გამჭვირვალობა ამ რეგულაციების საერთო პრობლემაა. გარდა საკანონმდებლო რეაგირებისა, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში და მის ფარგლებს გარეთ სიძულვილის ენასთან ბრძოლის ერთ-ერთი გზა არის პრევენციული ზომები. მაგალითის სახით მიზანშეწონილია რამდენიმე ქვეყნის გამოცდილების მოყვანა.

5.1. ავსტრალია

5.1.1. საკანონმდებლო (რეგულირების) ზომები

ბოლო წლებში განხორციელებული რამდენიმე ინიციატივა იმსახურებს ყურადღებას. გარდა 2018 წელს მიღებულ ეროვნული უსაფრთხოების შესახებ კანონისა, რომელიც რამდენიმე ახალ დებულებას შეიცავს ეროვნულ უსა-

109 Faktenheld.de
110 https://secure.avaaz.org/campaign/de/bundestagswahl_2021
111 Br.de/bundestagswahl/parteien-gegen-fakenews

ფრთხოებასთან დაკავშირებით,[112] ასევე, სისხლის სამართლის კოდექსში დამატებული ახალი დებულებებისა, რომლებიც უცხოური ჩარევის გზით ამაზრზენი ძალადობრივი მასალის გაზიარების კრიმინალიზაციას ახდენენ, ამ ახალი სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია ასევე უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი.[113] ეს კანონი ადგენს ახალ სისტემას, რომელიც *„აწესებს ჰეგისტრაციის ვალდებულებას იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც დებენ გარიგებებს და ახორციელებენ გარკვეულ საქმიანობას უცხო ქვეყნის მარწმუნებლების სახელით. მოეთხოვება თუ არა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ჰეგისტრაცია, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ არის უცხო ქვეყნის მარწმუნებელი, როგორია განხორციელებული საქმიანობის ბუნება, რა არის საქმიანობის მიზანი და, ზოგიერთ შემთხვევაში, უკავია თუ არა პირს მაღალი თანამდებობა ავსტრალიაში. ინტერნეტის პროვაიდერებს ასევე მოეთხოვებათ, ამოიღონ იმ პირის მიერ წარმოებული „ამაზრზენი ძალადობრივი მასალა“, რომელიც ჩართულია ისეთ ძალადობრივ მოქმედებებში, როგორიცაა მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა.*[114]

ინფორმაციის დეკლარირების ვალდებულება დაწესებულია იმ ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საკომუნიკაციო საქმიანობას ავსტრალიაში უცხო ქვეყნის მარწმუნებლის სახელით, პოლიტიკური ან სამთავრობო გავლენის მიზნით, ან აწარმოებენ ინფორმაციას თუ მასალას უცხო ქვეყნის მარწმუნებლის სახელით, მისი საზოგადოებისთვის მიწოდების ან გავრცელების მიზნით. წარდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ვინ ეწევა საკომუნიკაციო საქმიანობას;

- უცხო ქვეყნის მარწმუნებელი, რომლის სახელითაც ხორციელდება საკომუნიკაციო საქმიანობა.

5.1.2. არასაკანონმდებლო (არარეგულირების) ზომები

2018 წლის ივნისში შეიქმნა საარჩევნო პროცესის მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის დაცვას კიბერთავდასხმებისა და არჩევნებში ჩარევისგან. მას ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა დეპარტამენტი, ავსტრალიის უსაფრთხოების სადაზვერვო ორგანიზაციისა და ავსტრალიის

112 https://www.aph.gov.au/Parliamentary_Business/Bills_LEGislation/Bills_Search_Results/Resultbldr6022
113 https://www.legislation.gov.au/Details/C2018A00063
114 https://www.legislation.gov.au/Details/C2019A00038

ფედერალური პოლიციის მონაწილეობით.

ავსტრალიის საარჩევნო კომისიამ (AEC) 2019 წლის ფედერალური არჩევნების წინ წამოიწყო სოციალური მედიის სარეკლამო კამპანია, რათა წაეხალისებინა ამომრჩევლები, რომ მათ *„საგულდაგულოდ შეამოწმონ საარჩევნო კომუნიკაციის წყარო, რომელსაც ხედავენ ან ისმენენ“.* ამ კამპანიის სახელწოდება იყო: *„გაჩერდი და დაფიქრდი“.* ის მოიცავდა რეკლამას ისეთ პლატფორმებზე, როგორებიცაა: Facebook, Twitter და Instagram. 2019 წლის თებერვალში AEC-მა გამართა შეხვედრები Facebook-სა და Google-თან, საარჩევნო კამპანიის პროცესში უცხოური ჩარევის წინააღმდეგ ზომების გასატარებლად.

5.2. ავსტრია

5.2.1. საკანონმდებლო (რეგულირების) ზომები

ფედერალური კანონი საკომუნიკაციო პლატფორმებზე მომხმარებლების დაცვის ზომების შესახებ 2021 წლის 1 იანვრიდანაა ძალაში.[115] მისი მიზანია საკომუნიკაციო პლატფორმებზე არსებული კონტენტის შესახებ მომხმარებელთა ანგარიშების გულმოდგინე, გამჭვირვალე და დროული დამუშავების ხელშეწყობა. სერვისის პროვაიდერებმა უნდა დანერგონ ეფექტიანი და გამჭვირვალე პროცედურა საკომუნიკაციო პლატფორმაზე სავარაუდო უკანონო კონტენტის შესახებ ანგარიშების დამუშავებისთვის.

პროცედურა ისეა შემუშავებული, რომ საკომუნიკაციო პლატფორმების მომხმარებლებს ჰქონდეთ წვდომა ფუნქციებზე, რომელთა პოვნა და გამოყენება მარტივია. საშიში მუქარა, სიძულვილისა და ძალადობის გაღვივება კანონით დადგენილი უკანონო კონტენტის ჩამონათვალის ნაწილია. სერვისის მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს წარდგენილი ანგარიშის კონტენტთან დაკავშირებით:

- თუ კონტენტის უკანონო ხასიათი უკვე აშკარაა, პირის მიმართ შემდგომი გამოძიების გარეშე, ამ კონტენტის მოხსნა უნდა განხორციელდეს, ან მასზე წვდომა დაიბლოკოს დაუყოვნებლივ, მაგრამ ანგარიშის მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა;

- თუ კონტენტის უკანონო ხასიათი ცხადი გახდება მხოლოდ მისი დეტალური შემოწმების შემდეგ, ამ კონტენტის მოხსნა უნდა განხორციელდეს, ან

115 Bundesgesetz über Maβnahmen zum Schutz der Nutzer auf Kommunikationsplattformen. https://www.ris.bka.gv.at/Dokumente/BgblAuth/BGBLA_2020_I_151/BGBLA_2020_I_151.html

მასზე წვდომა დაუყოვნებლივ დაიბლოკოს, ამ შესწავლის დასრულების შემდეგ, მაგრამ ანგარიშის მიღებიდან არაუგვიანეს შვიდი დღისა.

სერვისის მიმწოდებლებმა ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ მომხმარებლებს უნდა აცნობონ განაცხადის შევსებიდან ორი კვირის განმავლობაში. სერვისის მიმწოდებელნი ვალდებულნი არიან, მოამზადონ ანგარიში სავარაუდო უკანონო კონტენტის შესახებ შეტყობინებების დამუშავების თაობაზე ყოველწლიურად ან ყოველ ნახევარ წელიწადში, მილიონზე მეტი რეგისტრირებული მომხმარებლის შემთხვევაში. მომხმარებელს შეუძლია, საჩივარი შეიტანოს საჩივრების მიმღებ ორგანოში, თუ მან არ მიიღო პასუხი, ან, როდესაც დავის ორმა მხარემ ვერ შეძლო დავის მოგვარება. თუ მომსახურების მიმწოდებლის მიერ გატარებული ღონისძიებების არაადეკვატურობის შესახებ ხუთზე მეტი დასაბუთებული საჩივარი შემოვიდა საჩივრების მიმღებ ორგანოში ერთი თვის განმავლობაში, საზედამხედველო ორგანო ამოწმებს ზომების კანონთან შესაბამისობას. მომსახურების მიმწოდებელზე დაკისრებული დარღვევის სიმძიმის შესაბამისი ჯარიმების ოდენობა შეიძლება 10 მილიონ ევრომდე იყოს. ამ უფლებების დასაბალანსებლად საჩივრები შეიძლება შეტანილ იქნეს პლატფორმების მიერ, რომლებიც წაიშლება ან დაბლოკილია.

5.2.2. არასაკანონმდებლო (არარეგულირების) ზომები

ვენის უმაღლესმა საოლქო სასამართლომ 2017 წლის 26 აპრილს Facebook-ს დააკისრა ვალდებულება, მოეხსნა სიძულვილის შემცველი გამონათქვამები არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ მთელი მსოფლიოს დონეზე, რომლებიც შეურაცხყოფდნენ ავსტრიის მწვანეთა პარტიის ლიდერს, რადგან იგი მოხსენიებული იყო როგორც „საზიზღარი მოღალატე“ და „კორუმპირებული ხეპრე“. სასამართლომ განაცხადა, რომ ავსტრიის კანონმდებლობას უნდა მიენიჭოს უპირატესი ძალა, ხოლო, Facebook-ის აზრით, ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო კალიფორნიის კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის სათავო ოფისის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ან ირლანდიის კანონმდებლობით, კომპანიის ევროპული სათავო ოფისის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.[116]

საქმე გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც გადაწყვიტა, შეეჩერებინა სამართალწარმოება და გადაეცა საკითხი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის წინასწარი განჩინების გამოსატანად. 2019 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ Facebook-ს არ აქვს

116 Oberlandsgericht Wien beschl. v. 26 4 2017 5 r 5/ 17t beckrs 2017.

ვალდებულება, განახორციელოს პოსტების მონიტორინგი და აქტიურად გამოიძიოს უკანონო კონტენტი. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ კონტენტი სწრაფად ვრცელდება სოციალური ქსელების საშუალებით, პლატფორმის ოპერატორს, რომლისთვისაც ცნობილი გახდება უკანონო კონტენტის შესახებ, შეიძლება დაეკისროს არა მხოლოდ მომხმარებლის მიერ გამოქვეყნებული კონტენტის წაშლის ვალდებულება, არამედ, ასევე, მსოფლიოს მასშტაბით სხვა მომხმარებლების მიერ შენახული კონტენტის წაშლის ვალდებულება.[117]

ამ გადაწყვეტილებას 2020 წლის 15 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ დაუჭირა მხარი, რომელმაც დაადგინა, რომ Facebook-მა უნდა წაშალოს არა მხოლოდ თავად შეურაცხმყოფელი პოსტები, არამედ, ასევე, სხვა მომხმარებლების პოსტები იდენტური და „მსგავსი მნიშვნელობის" მქონე სიტყვებით.[118]

ამ თემაზე ცნობიერების ამაღლებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების გატარების მიზნით 2016 წლის ივნისში შეიქმნა სიძულვილის ენის საკითხთა სპეციალური ეროვნული კომიტეტი.[119] იგი რეკომენდაციებს აწვდის ფედერალურ მთავრობას და გერმანიის მიწების მთავრობებს.

5.3. კანადა

5.3.1. საკანონმდებლო (რეგულირების) ზომები

კანადის საარჩევნო კანონის 91-ე მუხლის (1) ბ პუნქტის თანახმად: *„ახცეჰთმა ფიზიკუჰმა ან იუჰიდიუღმა პიჰმა საახჩევნო პეჰიოდში ახჩევნების შედეგებზე გავღენის მოხდენის მიზნით ახ უნდა გააკეთოს ან გამოაქვეყნოს ყაღბი განცხადება კანდიდატის, შესაძღო კანდიდატის, პოღიტიკუჰი პაჰტიის ღიდეჰის, ან საჯაჰო მოღვაწის მოქადაქეობის, დაბადების ადგიღის, განათღების, პჰოფესიუღი კვაღიფიკაციის ან პოღიტიკუჰ პაჰტიასთან ასოციჰების, ან კანდიდატის ჯგუფის ან ასოციაციის წევჰობის შესახებ".*

კანადის კანონმდებლობა ხაზს უსვამს არჩევნებში უცხოური ჩარევის პრევენციის აუცილებლობას. უცხოელებსა და უცხო ქვეყნის ორგანიზაციებს არა აქვთ უფლება, შეიძინონ რეგულირებას დაქვემდებარებული რეკლამა საარჩევნო პერიოდში, რომელიც მაქსიმუმ 50 დღეს შეადგენს. ონლაინპ-

117 C18/18, ECLI :EU:C :2019:821 https://rdb.manz.at/document/ris.jusr.JJR_20171025_OGH0002_0060OB00116_17B0000_001

118 OGH| 6Ob195/19y https://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Justiz/JJT_20200915_OGH0002_0060OB00195_19Y0000_000/JJT_20200915_OGH0002_0060OB00195_19Y0000_000.pdf.

119 https://www.nohatespeech.at

ლატფორმებზე გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნები ვრცელდება. ონლაინპლატფორმა არის „ინტერნეტსაიტი ან ინტერნეტაპლიკაცია, რომლის მფლობელი ან ოპერატორი მისი კომერციული საქმიანობის ფარგლებში, პირდაპირ თუ ირიბად, ყიდის პირებზე ან ჯგუფებზე სარეკლამო ადგილს საიტზე ან აპლიკაციაზე".[120]

5.3.2. არასაკანონმდებლო (არარეგულირების) ზომები

2020 წელს მთავრობის მიერ შემოთავაზებული ციფრული ქარტიის განხორციელების აქტი ათ პრინციპს შეიცავს. მეცხრე პრინციპი მოითხოვს: *„სიძულვილისა და ძალადობის დაუშვებლობას"*, რათა *„კანადელებს საფუძვლიანი მოლოდინი ჰქონდეთ, რომ ციფრული პლატფორმები არ წაახალისებენ ან გააავრცელებენ სიძულვილს, ძალადობრივ ექსტრემიზმს ან კრიმინალურ შინაარსს".*

მთავრობა პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ადმინისტრატორებს სთავაზობს ტექნიკურ რჩევებსა და დახმარებას ონლაინუსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით, რათა ხელი შეუწყოს ორგანიზაციული სისტემების დაცვას. კანადის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახური და საკომუნიკაციო უსაფრთხოების დანაყოფი კანადის ფედერალური არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელ სააგენტოსთან თანამშრომლობენ. მთავრობამ შექმნა არჩევნებთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და დაზვერვის საფრთხეების შემსწავლელი (SITE) სამუშაო ჯგუფი.[121]

5.4. დანია

5.4.1. საკანონმდებლო (რეგულირების) ზომები

ცილისწამება, შეურაცხყოფა, დევნა და სიძულვილის ენა სისხლის სამართლის დანაშაულადაა აღიარებული.[122] ასევე, სისხლის სამართლის დანაშაულადაა აღიარებული უცხო მთავრობების უკანონო ზემოქმედებაზე მიმართული ქმედებები.[123] ზოგადად, უკანონო ქმედებები მოიცავს ქმედებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე.[124]

---

120 ნაწილი 319.

121 მთავრობის რეაგირება დეზინფორმაციაზე სოციალური მედიის პლატფორმებზე, კანადა, 40, კონგრესის სამართლის ბიბლიოთეკა, 2019 წლის სექტემბერი.

122 §§ 226 b, 226 c and 267 Straffeloven.

123 § 108 Straffeloven.

124 მთავრობის რეაგირება დეზინფორმაციაზე სოციალური მედიის პლატფორმებზე, დანია 55, კონგრესის სამართლის ბიბლიოთეკა, 2019 წლის სექტემბერი.

5.4.2. არასაკანონმდებლო (არარეგულირების) ზომები

დანიის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახურმა და დანიის თავდაცვის სადაზვერვო სამსახურმა 2018 წელს სამეთაურო ცენტრი შექმნეს უცხოური წყაროებიდან დეზინფორმაციასთან საბრძოლველად.

5.5. საფრანგეთი

5.5.1. საკანონმდებლო (რეგულირების) ზომები

რამდენიმე ინსტრუმენტი არსებობს პოლიტიკურ განცხადებებთან საბრძოლველად, რომლებიც ძალადობას ან სიძულვილს აღვივებენ.

რაც შეეხება პრესაში ცილისწამებას, თუ ცილისწამების კამპანია საარჩევნო კამპანიის დროს განხორციელდა, და თუ მსხვერპლი არის ერთ-ერთი კანდიდატი, პირი სასამართლოში გამოძახებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე,[125] მაშინ, როდესაც, ჩვეულებრივ, ეს პერიოდი ათ დღეს შეადგენს. იგივე წესი ვრცელდება მაუწყებელზეც.[126] ეს ნიშნავს, რომ მტკიცებულებები დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოს. ერთი წლით თავისუფლების აღკვეთისა და 45 000 ევროს ოდენობით ჯარიმის გარდა, მოსამართლეს შეუძლია, პირს დააკისროს დამატებითი სანქცია, რაც გულისხმობს ხუთი წლის განმავლობაში არჩევნებში კანდიდატის სახით მონაწილეობისგან დისკვალიფიკაციას.[127] ამ დრომდე ორი არჩევითი თანამდებობის პირის დისკვალიფიკაცია განხორციელდა. 2021 წლის 9 ნოემბერს ქვედა პალატაში წარდგენილ იქნა რეზოლუცია, რომელიც ამ სამართლებრივ დებულებას პროკურორებზეც ავრცელებს.[128]

რაც შეეხება სიძულვილის ენას, ორი კანონი უნდა გაანალიზდეს: პირველი არ შევიდა ძალაში, რადგან ნაწილობრივ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, მაგრამ მასზე ღირს ყურადღების გამახვილება, იმ პრინციპებიდან გამომდინარე, რომლებიც სასწორზე დევს.[129] რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლებას და გათვალისწინებულ პროცედურას, უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს ამ კანონპროექტის არაკონსტიტუციურობის შესახებ გადა-

125 პრესის თავისუფლების შესახებ 1881 წლის 29 ივლისის კანონის 54-ე მუხლი.
126 მაუწყებლობის შესახებ 1982 წლის 29 ივლისის 82-652 კანონის მე-6 მუხლი.
127 პრესის თავისუფლების შესახებ 1881 წლის 29 ივლისის კანონის 24-ე მუხლი.
128 Assemblée Nationale 4660, Proposition de résolution contre la banalisation du discours de haine dans le débat public, https://www.assemblee-nationale.fr/dyn/15/textes/l15b4660_proposition-resolution
129 2020-801 DC, 2020 წლის 18 ივნისის კანონი მაუწყებლის შესახებ, https://www.conseil-constitutionnel.fr/decision/2020/2020801DC.htm

წყვეტილება. მეორე კანონი კი სწორედ საარჩევნო კამპანიას შეეხება.[130]

პირველი კანონპროექტი ითვალისწინებდა, რომ ზოგიერთ ონლაინპლატ-ფორმის ოპერატორებს, რომელთა საქმიანობა სცდება დადგენილებით გა-ნსაზღვრულ ფარგლებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაე-კისრებათ, თუ ისინი არ წაშლიან ან არ დაბლოკავენ წვდომას ნებისმიერ კონტენტზე, რომელთა შესახებ მათ შეტყობინება მიეწოდათ, როდესაც ეს კონტენტი შეიძლება აშკარად ხვდებოდეს გარკვეული სისხლის სამა-რთლის დანაშაულების კატეგორიების ფარგლებში, რომლებიც კანონპრო-ექტის დებულებებშია ჩამოთვლილი. საქმე ეხება შემდეგ დანაშაულებს: გარკვეული დანაშაულებრივი ქმედებების მხარდაჭერა; დისკრიმინაციის, სიძულვილის ან ძალადობის წაქეზება პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ იმის გამო, რომ ისინი მიეკუთვნებიან ან არ მიეკუთვნებიან კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს, ერს, რასას ან რელიგიას, ან მათი გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, სქესის, გენდერული იდენტობის, ან შეზღუდული შესაძლებ-ლობების გამო, ან შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციის წაქეზება.

პარლამენტმა ონლაინპლატფორმის ოპერატორებს დააკისრა შესაბამისი კონტენტის 24 საათის განმავლობაში მოხსნის ვალდებულება. თუმცა, ვინაიდან საკმაოდ რთულია იმის დადგენა, რომ შეტყობინებული კონტენტი აშკარად უკანონო ხასიათისაა, და ასევე იმის გამო, რომ არსებობს ბევრი შეტყობინების მიღების რისკი, რომელიც შეიძლება უსაფუძვლო აღმოჩ-ნდეს, ასეთი ვადა ძალიან მოკლე იყო. პარლამენტის განზრახვა იყო, განე-საზღვრა ონლაინპლატფორმების ოპერატორების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი, რადგან საფუძველი - რომლის ტექსტი შემდეგნაირი იყო: „დარღვევის მიზანმიმართული ხასიათი შეიძლება გა-მოწვეული იყოს შეტყობინებული კონტენტის პროპორციული და აუცილე-ბელი შემოწმების არარსებობით“ – არ იძლეოდა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ფარგლების მკაფიოდ დადგენის საშუალებას. პასუხის-მგებლობისგან გათავისუფლების სხვა კონკრეტული საფუძველი არ იყო გათვალისწინებული, მაგალითად, როგორიცაა ერთდროულად რამდენიმე შეტყობინების წარდგენა. აშკარად უკანონო კონტენტზე წვდომის დაბლო-კვის ან მისი წაშლის ვალდებულების შეუსრულებლობა ისჯებოდა 250 000 ევროს ოდენობის ჯარიმით. კონტენტის წაშლის ვალდებულების შეუსრუ-ლებლობის ყოველ ჯერზე გათვალისწინებული იყო სისხლისსამართლებ-რივი სასჯელის დაკისრება, და არ ხდებოდა იმის გათვალისწინება, მოხდა თუ არა შეტყობინებების განმეორებით წარდგენა.

130 2018-773 DC, 2018 წლის 20 დეკემბრის კანონი ინფორმაციის მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, https://www.conseil-constitutionnel.fr/en/decision/2018/2018773DC.htm

აქედან გამომდინარე, განსაზღვრულ ვადაში შეტყობინებული კონტენტის აშკარად უკანონო ხასიათის დადგენასთან დაკავშირებული სირთულეების და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პირველივე დარღვევისას სასჯელის დაკისრება ხდება, და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების რაიმე კონკრეტული საფუძველი არ არის განსაზღვრული, საკონსტიტუციო საბჭომ მიიჩნია, რომ ეს დებულებები ზღუდავდა გამოხატვისა და კომუნიკაციის თავისუფლებით სარგებლობას ისეთი სახით, რაც არ იყო აუცილებელი, შესაბამისი და პროპორციული, და არაკონსტიტუციურად მიიჩნია ისინი.

2017 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე პოლიტიკური დეზინფორმაციული ბოტების მეშვეობით შეხედულებებზე ზემოქმედების მცდელობამ აიძულა მთავრობა, წარედგინა კანონპროექტი ინფორმაციის მანიპულირებასთან ბრძოლის შესახებ. საკონსტიტუციო საბჭომ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ დებატებში და საარჩევნო კამპანიის დროს. ის უზრუნველყოფს როგორც თითოეული ადამიანის ინფორმაციაზე წვდომის, ასევე ყველა მოსაზრების დაცვის გარანტიას, და ასევე დაცვას ჩადენილი შეურაცხმყოფელი ქმედებებით გამოწვეული შედეგებისგან, და ამ ინციდენტებზე რეაგირების და მათი დაგმობის საშუალებას იძლევა. საკონსტიტუციო საბჭომ მიიჩნია, რომ პარლამენტის მოვალეობაა, დააბალანსოს არჩევნების კეთილსინდისიერად ჩატარების კონსტიტუციური პრინციპი გამოხატვისა და კომუნიკაციის კონსტიტუციურ თავისუფლებასთან.

მეორე მხრივ, კანონპროექტი, რომელიც კონსტიტუციურად იქნა გამოცხადებული,[131] ადგენს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას ზოგიერთი ცრუ ინფორმაციის გავრცელების აღკვეთის მიზნით, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არჩევნების მიუკერძოებლად ჩატარებას. ამ მიზნით პარლამენტი ცდილობდა, შეეჩერებინა მოქალაქეების მოტყუების ან მანიპულირების რისკი ხმის მიცემისას, ასეთი ინფორმაციის მასობრივი გავრცელების გზით, საჯარო ონლაინსაკომუნიკაციო სერვისების მეშვეობით. ამრიგად, იგი ცდილობდა საარჩევნო დებატების სიცხადისა და არჩევნების მიუკერძოებლად ჩატარების პრინციპთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

მეორე, საკანონმდებლო ორგანომ შეზღუდა ამ პროცედურის - უზრუნველყოფის ღონისძიების - გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდით,

131 Loi 2020-766 24 Juin 2020 visant à lutter contre les contenus haineux surinternet https://www.legifrance.gouv.fr/jorf/id/JORFTEXT000042031970/

რომელიც იწყება საყოველთაო არჩევნების ან რეფერენდუმის წინა თვის პირველ დღემდე სამი თვით ადრე, და მთავრდება არჩევნების დღეს, ან არჩევნების მეორე ტურის დღეს.

მესამე, უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საჯარო ონლაინსაკომუნიკაციო სერვისების მიერ საჯარო კონტენტის გამოქვეყნების შემთხვევაში. თუმცა ეს სერვისები უფრო ადვილად ექვემდებარება მასობრივ და კოორდინებულ მანიპულირებას მათი სიმრავლისა და კონტენტის გავრცელების სპეციფიკური გზების გამო.

მეოთხე, კანონმდებელმა მკაცრად განსაზღვრა ის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს ამგვარ პროცედურებს. ერთი მხრივ, ეს პროცედურები ვრცელდება მხოლოდ არასწორ ან შეცდომაში შემყვან განცხადებებზე ან ბრალდებებზე, რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ მომავალი არჩევნების კეთილსინდისიერად ჩატარებაზე. ასეთ განცხადებებად ან ბრალდებებად არ მოიაზრება მოსაზრებები, პაროდიები, ნაწილობრივი უზუსტობები ან უბრალო გაზვიადებები. ეს არის ისეთი განცხადებები ან ბრალდებები, რომელთა სიცრუის ობიექტურად დემონსტრირებაა შესაძლებელი; მეორე მხრივ, უნდა არსებობდეს სამი კუმულაციური პირობა: განცხადებები უნდა იყოს ხელოვნური ან კომპიუტერიზებული, მიზანმიმართული და გავრცელებული ინფორმაციის მასობრივი გავრცელების საშუალების გამოყენებით.

ამ საფუძველზე ტვიტის დახურვის მოთხოვნა სასამართლომ სწორედ იმიტომ უარყო, რომ ეს სამი პირობა არ შესრულდა.[132] მაგრამ 2021 წლის 6 ივლისს პარიზის სასამართლომ მოიწვია Twitter-ი, რომ ორი თვის განმავლობაში წარმოედგინა ოპერატორის ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება სიძულვილის ენის წინააღმდეგ. შესაბამისი დოკუმენტები იყო იმ პირთა რაოდენობა, მოქალაქეობა და მშობლიური ენა, რომლებიც მონაწილეობდნენ ფრანგული სერვისის მომხმარებელთა ზედამხედველობაში, და ასევე ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქმეების რაოდენობა, კონტენტის მოხსნის კრიტერიუმები და წამოწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევების რაოდენობა.

რაც შეეხება მაუწყებლობას, იგივე კანონი ინფორმაციის მანიპულირებასთან ბრძოლის შესახებ მაუწყებელს უფლებას აძლევს, შეაჩეროს რადიო- ან სატელევიზიო სერვისების მაუწყებლობა, რომელიც ხორციელდება უცხო სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ან ამ სახელმწიფოს

132 TGI Paris, 2020 წლის 17 მაისი, Marie Pierre Vieu et Pierre Ouzoulias c. Twitter et Christophe Castaner. C. Feral –Schul Cyberdroit 712.02 Dalloz 2020.

გავლენის ქვეშ მყოფ იურიდიულ პირთან დადებული გარიგების შესაბამისად, თუ ისინი ავრცელებენ ყალბ ინფორმაციას საარჩევნო პერიოდში. ეს დებულება მიზნად ისახავს საარჩევნო დებატების სიცხადისა და საკონსტიტუციო საბჭოს მიერ გაცხადებული არჩევნების კეთილსინდისიერად ჩატარების პრინციპის დაცვის უზრუნველყოფას. მაუწყებლობის ასეთი შეჩერება შეიძლება მოხდეს მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების, მორიგი არჩევნებისა და სენატორების არჩევნების თვის პირველ დღემდე სამი თვით ადრე, რაც შეწყდება არჩევნების მეორე ტურის ჩატარების დღეს. ეს შეიძლება, განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რადიო ან ტელევიზია *„განზრახ ავრცელებს ყალბ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნების კეთილსინდისიერად ჩატარებაზე“*. ყალბ ინფორმაციად მიჩნეულია არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ბრალდებები, ან გარკვეული ფაქტების შესახებ ბრალდებები. ასეთ ბრალდებებად არ მოიაზრება მოსაზრებები, პაროდიები, ნაწილობრივი უზუსტობები ან უბრალო გაზვიადებები.

5.5.2. სიხლის სამართლის საქმეთა უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოებისადმი

ცილისწამება პირის მიმართ, რომელსაც აქვს დისკრიმინაციული განზომილება, ისჯება ჯარიმით, რომელიც აღემატება ჩვეულებრივი ცილისწამების შემთხვევაში დაკისრებულ ჯარიმას (45 000 ევრო 12 000 ევროს ნაცვლად), და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთით. სარჩელის წარსადგენად დადგენილი ვადა არის ერთი წელი სქესის, რასის, ეროვნების ნიშნით დისკრიმინაციული შეურაცხყოფისთვის, ხოლო პრესასთან დაკავშირებით ეს ვადა სამ თვეს შეადგენს.[133]

ცილისწამება საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ისევე ისჯება, როგორც ჩვეულებრივ დროს, მაგრამ მოსამართლე ითვალისწინებს საარჩევნო კონკურენციის კონტექსტს. მოსამართლემ უნდა შეაფასოს, კანდიდატზე თავდასხმა მოტივირებულია მტრობით ან შურისძიებით, თუ ამომრჩევლის ინფორმირების სურვილით. კეთილსინდისიერება შეიძლება დაშვებული იყოს და დანაშაულის ჩადენის განზრახვა ნაკლებად იქნება აღიარებული, ვიდრე ჩვეულებრივ დროს.[134] მაგალითად, მოსამართლე განიხილავს, არის თუ არა შეტყობინება პოლიტიკური დებატების ნაწილი და ფაქტებს

133 პრესის თავისუფლების შესახებ 1881 წლის 29 ივლისის კანონის 24-ე და 65-ე მუხლები.

134 Cour de cassation 24 November 2000, 97 81.554, https://www.legifrance.gouv.fr/juri/id/JURITEXT000007071152

ეყრდნობა.[135]

საარჩევნო კოდექსის L. 97-ე მუხლის თანახმად: *„ვინც ავრცელებს მცდარ ამბებს, ციცისმწამებლურ ჭორებს ან სხვა თაღლითურ მანევრებს მიმართავს, ხმებს მიიტაცებს, ერთი ან მეტი ამომრჩევლის კენჭისყრისგან თავის შეკავებაზე მიმართულ ქმედებებს ახორციელებს, დაისჯება ერთი წლით თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით 15000 ევროს ოდენობით“.* კანდიდატის წინააღმდეგ მცდარი ამბების გავრცელებამ აშკარად შეიძლება ხელი შეუწყოს ამ კანდიდატის დამარცხებას. ამ მიზეზით ასეთი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელ კანდიდატს დაეკისრება ჯარიმა 3050 ევროს ოდენობით.[136]

5.5.3. საარჩევნო დავების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოებისადმი

ტრადიციულად, საარჩევნო დავების განმხილველი მოსამართლე პრაგმატულ მიდგომას იყენებს ყალბი ან ბოროტი განზრახვით გაკეთებული განცხადებების გავლენის შეფასებასთან მიმართებით.

მაგალითად, საკონსტიტუციო საბჭომ მიიჩნია, რომ ბროშურამ, რომელიც ავრცელებდა ბრალდებებს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილე განმცხადებლის წინააღმდეგ, გადააჭარბა საარჩევნო პოლემიკის ნორმალურ საზღვრებს, მაგრამ გამოძიებამ აჩვენა, რომ მისი შინაარსი საჯარო დომენში იყო გამოქვეყნებული საარჩევნო კამპანიამდე რამდენიმე კვირით ადრე. კანდიდატს ჰქონდა ადეკვატური რეაგირების საშუალება. გარდა ამისა, არ დადასტურდა, რომ ამ ბროშურის გავრცელება ფართოდ მოხდა.[137]

მოსამართლე ასევე ითვალისწინებს მიცემული ხმების რაოდენობას. რამდენიმე შემთხვევაში საკონსტიტუციო საბჭომ მიიჩნია, რომ, თუ კანდიდატი მოწინააღმდეგეს შეურაცხყოფას აყენებდა ბროშურებში[138] ან პრესაში,[139] ამას არჩევნების შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება კრიტიკის საგანი იყოს, საარჩევნო კამპანიის

135 საკასაციო სასამართლო, 2019 წლის 8 იანვარი, 18-81.286, https://www.doctrine.fr/d/CASS/2019/JURITEXT000038069798

136 TGI Nancy, 3e ch., 1996 წლის 3 ივლისი.

137 97-2267, 1997 წლის 25 ნოემბერი, მარტინიკა, საარჩევნო ოლქი 1, § 4 https://www.conseil-constitutionnel.fr/decision/1997/972267an.htm

138 62-267 AN, 1963 წლის 29 იანვარი, § 4, Rec.p.88 https://www.conseil-constitutionnel.fr/decision/1963/62267an.htm

139 59-232 AN, 1959 წლის 11 დეკემბერი, § 4 and 5, Rec.p.259 https://www.conseil-constitutionnel.fr/decision/1959/59232AN.htm

დროს კანდიდატის მხარდამჭერების შეურაცხყოფამ და მუქარამ გავლენა არ მოახდინა კენჭისყრის შედეგზე.[140] თუ განმცხადებელმა დაგმო მის წინააღმდეგ მიმართული ცილისწამების კამპანია და თუ ფაქტები უნდა დადგინდეს, მიცემულ ხმებში სხვაობის გათვალისწინებით, ეს ფაქტები გავლენას არ მოახდენდა კენჭისყრის შედეგზე.[141] ბროშურების გავრცელებამ, რომლებმაც გადააჭარბა ჩვეული საარჩევნო დებატების საზღვრებს და ისეთი ძალადობრივი იყო, რომ შეუძლებელი გახდა რეაგირება, არ იმოქმედა არჩევნების შედეგზე ხმებში სხვაობის გათვალისწინებით;[142] მეორე მხრივ, სერიოზულმა პირადმა ბრალდებებმა კანდიდატების მიმართ, რომლებიც აღემატება ჩვეულებრივ დაშვებულ ფარგლებს, შეიძლება გამოიწვიოს არჩევნების შედეგების გაუქმება.[143] თუ კანდიდატი თავის მოწინააღმდეგეს ადანაშაულებდა ყალბი დოკუმენტების გავრცელებაში, როდესაც იგი ავთენტურ დოკუმენტებს ავრცელებდა, ამან ზიანი მიაყენა მისი მოწინააღმდეგის რეპუტაციას და, არჩევნების შედეგებში მცირე სხვაობის გათვალისწინებით, არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.[144] კანდიდატის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული განცხადებები და კამპანიის დროს გაჟღერებული ბრალდებები, რომლებიც არ იქნა გასაჩივრებული, ამართლებდა არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას, ხმების რაოდენობაში უმნიშვნელო განსხვავებულობის გათვალისწინებით.[145]

5.5.4. შესაბამისი ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები

2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის დროს საპრეზიდენტო არჩევნების ეროვნული საზედამხედველო კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი აკვირდებოდა სოციალურ პლატფორმებს, რათა შეეფასებინა, რამდენად ვირუსული იყო სიძულვილის ენა და ყალბი ამბები. აშკარა მიზეზების გამო, ჯგუფს არ შეეძლო წვდომა პირად შეტყობინებებზე, და იგი საჯარო შეტყობინებებს შეისწავლიდა. ხმების მიცემის პროცესის განმავლობაში ჯგუფის შემადგენლობა გაფართოვდა. მაგალითად, პლატფორმაზე გასაჯაროვდა, რომ კანდიდატს, სავარაუდოდ, ოფშორული საბანკო ანგარიში ჰქონდა. კომიტეტმა საქმე პროკურატურას

140 2007-4176 AN, 2008 წლის 26 ივნისი, § 2, Rec.p.329 https://www.conseil-constitutionnel.fr/decision/2008/20074176an.htm

141 2012-4560 AN, 2012 წლის 19 ივლისი, § 4, Rec.p.358 https://www.conseil-constitutionnel.fr/decision/2012/20124560an.htm

142 Conseil Etat, 29 July 2002, Elections municipales de la Grande Motte, Rec.p.747 https://www.legifrance.gouv.fr/ceta/id/CETATEXT000008094878

143 Conseil Etat, 26 May 1978, Elections municipales de Briançon, Rec.p.820 https://www.legifrance.gouv.fr/ceta/id/CETATEXT000007659612/

144 Conseil Etat, 1 February 1980, Elections cantonales de Rombas, Rec.p.68.

145 Conseil Etat, 8 June 2009, Elections municipales d'Aix-en –Provence, Rec.p. 229.

გადასცა და კომიტეტის გადაწყვეტილება საჯარო გახდა.

მაუწყებლობის ადმინისტრაციამ 2019 წლის 15 მაისს გამოაქვეყნა ინსტრუქციები, რომლებიც მოუწოდებენ პლატფორმებს, აღმოაჩინონ ყალბი ინფორმაცია და აცნობონ მომხმარებლებს ფიზიკური ან იურიდიული პირის ვინაობა, რომელიც აფინანსებს პლატფორმებს საზოგადოებისთვის საინტერესო დებატებთან დაკავშირებული კონტენტის პოპულარიზაციისთვის, როგორც ეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არის ინტერპრეტირებული.[146]

2021 წლის იანვარში პარიზის პროკურატურამ შექმნა სპეციალური განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია ზოგადად სიძულვილის ენის დევნაზე, და რომელიც ამჟამად 140 საქმეს იძიებს.

ულტრამემარჯვენე გაერთიანება, რომელმაც არ წამოაყენა კანდიდატები არჩევნებში, მაგრამ მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ დებატებში, 2021 წლის 3 მარტის მინისტრთა საბჭოს ბრძანებულებით დაიშალა,[147] რადგან იგი წააქეზებდა დისკრიმინაციას, სიძულვილსა და ძალადობას, განსაკუთრებით უცხო ადამიანების მიმართ. გაერთიანებამ საკითხი განსახილველად სახელმწიფო საბჭოს გადასცა, რომელმაც მხარი დაუჭირა ადმინისტრაციული წესით გაერთიანების გაუქმებას[148] 2021 წლის 3 მაისს. მან დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა გაერთიანების დაშლის თაობაზე გადაწყვეტილებით.

ეროვნული თავდაცვის გენერალური მდივნის მიერ 2021 წლის ივლისში შეიქმნა დეპარტამენტი, რომლის ფუნქციებში შედიოდა უცხოური ონლაინთავდასხმების პრევენცია, და იგი ასევე პასუხისმგებელია ამ სფეროში სამინისტროების საქმიანობის კოორდინაციაზე.[149]

2021 წლის სექტემბერში სამაუწყებლო ორგანომ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ოპერატორებმა მიაღწიეს პროგრესს უკანონო კონტენტის ან ყალბი ამბების წაშლის საქმეში. მაგალითად, 2021 წლის მარტიდან ფეისბუკმა და ინსტაგრამმა უნდა წაშალონ 12 მილიონი უკანონო კონტენტი, რომლებიც დაკავშირებულია პანდემიასთან. მაგრამ,

146 https://www.csa.f /Recommandation-n-2019-03-du-15-mai-2019-du-Conseil-superieur-de-l-audiovisuel-aux-operateurs-de-plateforme-en-ligne-dans-le-cadre-du-devoir-de-cooperation-en-matiere-de-lutte-contre-la-diffusion-de-fausses-informations

147 შიდა უსაფრთხოების კოდექსის L 212-1,6° მუხლი.

148 https://www.conseil-etat.fr/fr/arianeweb/CE/decision/2021-05-03/451743

149 Décret 2021-922 13 July 2021, Official gazette 14 July 2021 https://www.legifrance.gouv.fr/jorf/id/JORFTEXT000043788361

მიუხედავად იმისა, რომ ოპერატორები უფრო მჭიდროდ თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან, მათი პასუხები ხშირად არაზუსტია და ისინი ხშირად მიუთითებენ, რომ გარკვეული ინფორმაცია საქმიანი საიდუმლოებაა.

2021 წლის 29 სექტემბერს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფს დაავალა სიძულვილის ენისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა.

5.6. გერმანია

5.6.1. საკანონმდებლო (რეგულირების) ზომები

შესაბამისი კანონმდებლობა არის „კანონი სოციალურ ქსელების შესახებ კანონის აღსრულების გაუმჯობესების თაობაზე“ (Network Enforcement Act, Netz DG, 2017). კანონის ძირითადი მიზანია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან, სისხლისსამართლებრივად დასჯადი ყალბი ამბებისა და სხვა უკანონო კონტენტის სოციალურ ქსელებში გავრცელებასთან უფრო ეფექტიანად ბრძოლის უზრუნველყოფა. ეს მოიცავს შეურაცხყოფას, ბოროტი განზრახვით გავრცელებულ ჭორებს, ცილისწამებას, დანაშაულის საჯარო წაქეზებას, სიძულვილის წაქეზებას, ძალადობის ამსახველი მასალების გავრცელებასა და დანაშაულის ჩადენის მუქარას.[150]

კანონი განსაზღვრავს საჩივრების ეფექტიანი და გამჭვირვალე მართვის სავალდებულო სტანდარტებს. სოციალური ქსელების ოპერატორებს დაეკისრებათ შემდეგი ვალდებულებები. მათ უნდა:

- შესთავაზონ მომხმარებლებს ადვილად ცნობადი, პირდაპირ და მუდმივად ხელმისაწვდომი პროცედურები სისხლის სამართლის წესით დასჯადი კონტენტის შესახებ შეტყობინებისთვის.

- დაუყოვნებლივ გაითვალისწინონ მომხმარებლების მიერ მათთვის შეტყობინებული კონტენტი და შეამოწმონ, არღვევს თუ არა ეს კონტენტი სისხლის სამართლის კანონს.

- გააუქმონ ან დაბლოკონ წვდომა აშკარად უკანონო კონტენტზე საჩივრის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

სხვა კრიმინალური კონტენტი ზოგადად უნდა წაიშალოს ან დაიბლოკოს საჩივრის მიღებიდან 7 დღის განმავლობაში. ალტერნატივის სახით, სო-

150 https://www.bmjv.de/DE/Themen/FokusThemen/NetzDG/NetzDG_EN_node.html

ციალურმა ქსელებმა შეიძლება გამოიყენონ თვირეგულირების ინსტრუმენტი და მიაწოდონ კონტენტი *„მახეგუღიხებღად აღიახებუღ ინსტიტუტს“* იმ პირობით, რომ ისინი დაეთანხმებიან ამ ინსტიტუტის გადაწყვეტილებას. ამ ინსტიტუტმა ასევე 7 დღეში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, არის თუ არა კონტენტი უკანონო. მათ უნდა აცნობონ მომხმარებლებს მათი საჩივრების საპასუხოდ მიღებული ყველა გადაწყვეტილების შესახებ და წარმადგინონ დასაბუთება.

სოციალური ქსელების ოპერატორებს ანგარიშგების ვალდებულება აქვთ. ისინი ვალდებული არიან, წელიწადში ორჯერ წარადგინონ ანგარიშები სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი კონტენტის შესახებ საჩივრების განხილვის თაობაზე. ეს ანგარიშები უნდა შეიცავდნენ ინფორმაციას, მაგალითად, საჩივრების რაოდენობასა და ქსელის გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკის შესახებ, აგრეთვე იმ გუნდების შესახებ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შეტყობინებული კონტენტის დამუშავებაზე. ეს ანგარიშები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტერნეტში.

სოციალური ქსელები, რომლებიც არ დანერგავენ საჩივრების მართვის სისტემას, ან არ დანერგავენ სათანადოდ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ნიშნავს, რომ ისინი არ წაშლიან სრულად ან დროულად დანაშაულებრივი ხასიათის კონტენტს, ან საერთოდ არ წაშლიან მას, ჩადიან სამართალდარღვევას. მართვის სისტემაზე პასუხისმგებელი პირი ასეთ შემთხვევაში ისჯება 5 მილიონ ევრომდე ოდენობის ჯარიმით. თავად კომპანიაზე დაკისრებული ჯარიმა შეიძლება 50 მილიონ ევრომდე ოდენობის იყოს. ჯარიმა შეიძლება ასევე დაწესდეს, თუ სოციალური ქსელი სრულად ან საერთოდ არ შეასრულებს ანგარიშგების ვალდებულებას. იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა ინსტრუქცია სამართალდარღვევის ჩამდენ პირებზე ჯარიმების დაკისრების რეჟიმის შესახებ.[151]

კანონის უფრო ეფექტიანად აღსრულების უზრუნველსაყოფად სოციალური ქსელები ვალდებული იქნებიან, განურჩევლად იმისა, თუ სად არიან ისინი დაფუძნებული, დაასახელონ პირი გერმანიაში, რომელიც უფლებამოსილია, ჩაიბაროს უწყება მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან ჯარიმის დაკისრებისა და სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ, და გამოაქვეყნოს ამ პირთან დაკავშირებული დეტალები მათ ვებსაიტზე. სოციალურმა ქსელებმა ასევე უნდა დაასახელონ პირი გერმანიაში, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს ინფორმაციის მიწოდების შესახებ მოთხოვნა

151 Leitlinien zur Festsetzung von Geldbuβen im Bereich des Netzwerkdurchsetzungsgesetzes vom 22. März 2018.

სამართალდამცავი ორგანოებისგან. გარდა ამისა, ქსელებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ მათ შეუძლიათ ამ მოთხოვნებზე დროულად რეაგირება. მომსახურების ან ინფორმაციის მოთხოვნის მიღებაზე უფლებამოსილი პირის დასახელების ვალდებულების დარღვევამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს დაჯარიმება.

შემოღებულ იქნა ინფორმაციის გამჟღავნების - დეკლარირების - მოთხოვნის უფლება. ყველას, ვისი პირადი უფლებებიც ირღვევა ახალი კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როგორც წესი, შეძლებს, მოსთხოვოს შესაბამის სოციალურ ქსელს, გაამჟღავნოს დეტალები იმის თაობაზე, თუ ვინ ჩაიდინა სამართალდარღვევა/დანაშაული. ინფორმაციის მიღების ასეთი უფლება სამოქალაქო სამართლის ზოგად პრინციპებს ემყარება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად, სოციალური ქსელების ოპერატორებს მიენიჭებათ უფლება, გაუმჟღავნონ დამრღვევი აბონენტის ინფორმაცია დაზარალებულ მხარეს. თუმცა ამისათვის სოციალურ ქსელს ამ მონაცემების გამჟღავნება სასამართლომ უნდა დაავალოს, უწყებრივი ქვემდებარეობის შესაბამისად (გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით).

2021 წლის 28 ივნისს კანონში შევიდა მორიგი ცვლილებები, რაც მიზნად ისახავს სოციალური მედიის პროვაიდერების გამჭვირვალობის ანგარიშების საინფორმაციო შინაარსისა და შედარებადობის გაზრდას, ხარვეზიანი პროცედურების გაუმჯობესებას და უკანონო კონტენტის შესახებ საჩივრების წარდგენის არხების მომხმარებლისთვის ადვილად გამოყენების უზრუნველყოფას. გარდა ამისა, ცვლილება ითვალისწინებდა სოციალური ქსელის პროვაიდერის მიერ განხორციელებული ღონისძიებების გასაჩივრების პროცედურას. იუსტიციის ფედერალური ოფისის უფლებამოსილებები გაფართოვდა, რაც საზედამხედველო უფლებამოსილებების დამატებას გულისხმობდა. დაბოლოს, ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედიასერვისების დირექტივის ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვიდეოს გაზიარების პლატფორმის სერვისებია გათვალისწინებული სოციალურ ქსელებში კანონის აღსრულების გაუმჯობესების შესახებ კანონში.[152] პრობლემატური რჩება ის, რომ ონლაინპლატფორმები თავად წყვეტენ, რა არის სიძულვილის ენა თუ საზოგადოებრივი აზრის კლასიკური გამოხატვა.[153] 2020 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე

152 https://www.loc.gov/item/global-legal-monitor/2021-07-06/germany-network-enforcement-act-amended-to-better-fight-online-hate-speech/

153 Yves-Marie Doublet. Desinformation und Wahlkampf, Institut für Parteienrecht, MIP 2021. 27 Jhrg. Heft 2, https://mip.pruf.hhu.de/index

პერიოდში 4 211 საჩივარი იქნა წარდგენილი Facebook-ის წინააღმდეგ, 323 792 Youtube-ის, და 81 469 Twitter-ის წინააღმდეგ.[154] აღსანიშნავია, რომ საჩივრების მექანიზმზე წვდომა ძალიან მარტივია და საჩივრის წარდგენა პირდაპირ ინტერნეტით არის შესაძლებელი.[155]

5.6.2. არასაკანონმდებლო (არარეგულირების) ზომები

2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტი შეიქმნა.[156] სამინისტრო მართავს ჰიბრიდულ სტრუქტურას სხვა შესაბამის სამინისტროებსა და ორგანოებთან ერთობლივად, რათა თავიდან აიცილოს, აღმოაჩინოს და მოახდინოს რეაგირება ჰიბრიდულ საფრთხეებზე,[157] რაც რთული ამოცანაა, რადგან ჰიბრიდული საფრთხეების იდენტიფიცირება რთულია. მთავრობა მხარს უჭერს რეგიონული ცენტრებისა და პროფესიული საკომუნიკაციო ინსტრუმენტების განვითარებას, როგორც კონტრზომებს ოფლაინ- და ონლაინდეზინფორმაციის წინააღმდეგ.[158]

2021 წლის 20 ივლისს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მაუწყებლობის ლიცენზიის გადასახადის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ეს ლიცენზია გამოიყენებოდა, *inter allia*, ახალი ამბების კვლევის დასაფინანსებლად, ახალი ამბების შესარჩევად და ყალბი ამბების გამოქვეყნებაზე უარის თქმის მიზნით.[159]

2021 წლის სექტემბერში ფედერალურ დონეზე გამოქვეყნებული გერმანიის კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის შესახებ ანგარიში მოუწოდებს უსაფრთხოების გაძლიერებას წინასაარჩევნო კამპანიის დროს რჩევების მიწოდების, რისკების იდენტიფიცირებისა და დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების გზით.[160] ამ ანგარიშში ყურადღება ეთმობა კი-

154 Antwort der Bundesregierung auf die kleine Anfrage der Abgeordeneten Manuel Höflin, Stephan Thomae, Grigorios Aggelidis, weiterer Abgeordneter und der Fraktion der FDP, BTDrs. 19/28631, 19.04.2021.

155 https://www.bundesjustizamt.de/DE/Themen/Buergerdienste/NetzDG/Service/Formulare/Formulare_node.html

156 Politische Ordnungsmodelle und hybride Bedrohungen.

157 ტერმინი „ჰიბრიდული საფრთხე“ ეხება სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებულ ქმედებებს, რომელთა მიზანია, ძირი გამოუთხაროს ან ზიანი მიაყენოს სამიზნეს აშკარა და ფარული სამხედრო და არასამხედრო საშუალებების კომბინაციით (Hybrid CoE).

158 მთავრობის რეაგირება დეზინფორმაციაზე სოციალური მედიის პლატფორმებზე, გერმანია, 90, კონგრესის სამართლის ბიბლიოთეკა, 2019 წლის სექტემბერი

159 https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/2021/07/rs20210720_1bvr275620.html

160 mi.bund.de/SharedDocs/downloads/DE/veroeffentlichungen/2021/09/cybersicherheitsstrategie-2021.pdf

ბერუსაფრთხოების კავშირს არჩევნებთან. არჩევნების დაცვა მოიაზრება როგორც კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევა. სადაზვერვო სამსახურები პასუხისმგებელი არიან კიბერშეტევების გამოძიებაზე, რომელთა მიზანია არჩევნებზე გავლენის მოხდენა, და ისინი ადრეული გაფრთხილების სისტემის ოპერირებას უზრუნველყოფენ. ფედერალური ხელისუფლების ორგანოები აანალიზებენ რისკებს, განსაზღვრავენ უსაფრთხოების მოთხოვნებს და წარმოადგენენ საკონტაქტო პირებს კიბერუსაფრთხოების საკითხებში არჩევნებთან დაკავშირებით.[161] სპეციალური საფრთხეების შემცველი სიტუაციების ანგარიში, რომელიც საარჩევნო საკითხებს შეეხება, ასახავს მავნე ფაქტორებს, მათ მოტივებსა და მათი მოქმედების მეთოდებს.

5.7. იტალია

5.7.1. საკანონმდებლო (რეგულირების) ზომები

ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლა რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსის 656-ე მუხლით. ყალბი, ტენდენციური ამბების გამჟღავნება ან გავრცელება, რამაც შეიძლება დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი, როდესაც მისი შინაარსი უკანონო არ არის, ისჯება სამი თვით თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით 309 ევროს ოდენობით. მართლწესრიგში იგულისხმება წესრიგი, რომელსაც სოციალური თანაარსებობა ეფუძნება.[162] ცილისწამება ისჯება სამი თვით თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით 516 ევროს ოდენობით (სსკ-ის 595-ე მუხლი). ადამიანები, რომლებიც ძალადობის ჩადენისკენ წააქეზებენ რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული ან რელიგიური მიზეზების გამო, დაისჯებიან წელიწად-ნახევრით თავისუფლების აღკვეთით ან 6000 ევროს ოდენობით ჯარიმით (სისხლის სამართლის კოდექსის 604-6 bis მუხლი).

კანონპროექტი ზრდის ჯარიმებს 5000 ევრომდე იმ პირებისთვის, რომლებიც ავრცელებენ ყალბ, გაზვიადებულ ან მიკერძოებულ ამბებს ყალბი მონაცემებით ონლაინპლატფორმებზე, როდესაც თავად შინაარსი არ არის დასჯადი (სსკ-ის 656-bis მუხლი). ამ დებულების მეორე პუნქტი ადგენს კომპენსაციის უფლებას, როდესაც ინფორმაციის გავრცელება

161 https://www.bmi.bund.de/SharedDocs/downloads/EN/themen/it-digital-policy/cyber-security-strategy-for-germany2021.pdf

162 Camera dei deputati XVIII legislatura, Documentazione per l'esame di projetti di legge. Instituzione di una Commissione parlamentara di inchiesta sulla diffuzione intenzionale e massiva di informazioni false attraverso la rete internet e sul' diritto all'informazione e alla libera formazione dell'opinione publica.

ისჯება ცილისწამების ნაწილით.[163] ახალი ამბები, რომლებიც ზიანს აყენებს ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას, არღვევს საზოგადოებრივ აზრს, შეიძლება დაისაჯოს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთით ან 5000 ევრომდე ჯარიმით. 2018 წლის არჩევნებამდე ხალხს უფლება ჰქონდა, ესარგებლა მთავრობის მიერ 2018 წლის 4 მარტს შექმნილი ინტერნეტპორტალით პოლიციისთვის მისამართად დეზინფორმაციის შემთხვევებში.

5.7.2. არასაკანონმდებლო (არარეგულირების) ზომები

2013 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით, საკასაციო სასამართლომ გააფართოვა დანაშაულებრივი გაერთიანებების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის 416-ე მუხლის გამოყენების სფერო და მოიცვა სიძულვილის ენის გავრცელება ვირტუალური თემების, ბლოგებისა და სოციალური ონლაინპლატფორმების საშუალებით. 2018 წლის თებერვალში მედიაზედამხედველობის ორგანომ - la Autorita per le Garanzie nelle Comunicazioni (AGCOM) - გამოაქვეყნა სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც თანაბარ წვდომას ანიჭებდნენ პოლიტიკურ პარტიებს, ანუ კანდიდატებს, ონლაინპლატფორმებზე. ისინი მოითხოვენ ამ პლატფორმებისგან უკანონო კონტენტის შესახებ ანგარიშგების ვალდებულებას. AGCOM-მა მიიღო რეგულაცია სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.[164] იტალიის იურისდიქციას დაქვემდებარებული აუდიოვიზუალური და რადიო- და ვიდეოსერვისების მიმწოდებლებს მოუწოდებენ, უზრუნველყონ ადამიანის ღირსებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის პატივისცემა, და ადამიანთა ჯგუფების ან ასეთი ჯგუფების წევრების მიმართ სქესის, რასობრივი, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, ან ნებისმიერი სხვა მახასიათებლის ან პირადი სიტუაციის საფუძველზე ძალადობისა და სიძულვილის წაქეზებასთან ბრძოლა. პროვაიდერებს მოუწოდებენ, თავი აარიდონ ყოველგვარ გამონათქვამებს, როგორებიცაა სათაურები, რომლებსაც შეუძლიათ, პირდაპირ ან ირიბად *„წააქეზონ, ხელი შეუწყონ ან გაამახვილონ“* სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია, რომელიც შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას, ან, უკიდურეს მწვავე შემთხვევებში, შეიძლება გამოიწვიოს ძალადობა, არეულობა და დანაშაული პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ.[165]

---

163 აქ იგულისხმება «*atti di violenza a sfondo razziale, sessuale o comunque di natura discriminatoria*».

164 https://www.agcom.it/documents/10179/13511391/Delibera+157-19-CONS/568d8b16-6cb6-4ea1-b58c-c171c2e24367

165 ორესტე პოლიცინო, დეზინფორმაცია და სიძულვილის ენა ონლაინ: თვითრეგულირებიდან თანარეგულირებამდე ერთიან ევროპულ ციფრულ ბაზარზე? ბოკონის უნივერსიტეტი.

პროვაიდერებმა უნდა შექმნან ეფექტიანი სისტემები უკანონო შინაარსის აღმოჩენისა და შეტყობინების მიზნით. მათ უნდა გაასაჯაროონ კვარტალური ანგარიში სიძულვილის ენაზე მათი ზედამხედველობის შესახებ. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, დააწესოს ფინანსური სანქციები. AGCOM-ი აკონტროლებს სიძულვილის წაქეზების სხვადასხვა ფორმას.

2018 წლის მორიგ არჩევნებზე გამოყენებულ იქნა სახელმძღვანელო მითითებები წინასაარჩევნო კამპანიის დროს პლატფორმებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ. საარჩევნო კამპანიის დროს ყველა მომხმარებელს უნდა ჰქონდეს თანაბარი და მიუკერძოებელი წვდომა ონლაინპლატფორმებზე.[166] ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების არასათანადო გამოყენების შემთხვევაში პირის მიმართ გაცემულ იქნა გაფრთხილება, სადაც ყურადღება გამახვილდა ამასთან დაკავშირებულ რისკებზე.[167]

5.8. ლიტვა

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ 1996 წლის კანონის მე-19 მუხლის თანახმად, აკრძალულია ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ცილს სწამებს, შეურაცხყოფს ან ლახავს პირის ღირსებას. მსხვერპლს შეუძლია, მოითხოვოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მაუწყებლობის ადმინისტრაციამ შეიძლება დააწესოს სანქციები, როგორიცაა, მაგალითად, მაუწყებლობის ლიცენზიის გაუქმება.

5.9. გაერთიანებული სამეფო

5.9.1. საკანონმდებლო (რეგულირების) ზომები

ამ საკითხებს რამდენიმე საკანონმდებლო აქტი არეგულირებს.

5.9.1.1. სიძულვილის დანაშაული

კანონი აღიარებს სიძულვილის დანაშაულის ხუთ სახეს რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციისა და ტრანსგენდერული იდენტობის საფუძველზე.

166 Linee guida per la parita di accesso alle piattaforme online durante la campagna elettorale per le elezione politiche 2018.

167 Gazzeta ufficiale 7 maggio 2019 Provvedimento 18 aprile 2019. Provvedimento in materia di propaganda elettorale e comunicazione politica. (Provvedimento n. 96). (19A02800) (GU Serie Generale n.105 del 07-05-2019).

ნებისმიერი დანაშაული შეიძლება დაისაჯოს, როგორც სიძულვილის დანაშაული, თუ დამნაშავემ გამოავლინა მტრობა რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის ან ტრანსგენდერული იდენტობის საფუძველზე, ან მოტივირებული იყო რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის ან ტრანსგენდერული იდენტობის ნიშნით. ეს დანაშაულები გათვალისწინებულია კანონმდებლობით (დანაშაულისა და საზოგადოებრივი უწესრიგობის შესახებ 1998 წლის კანონი და სასჯელთა შეფარდების შესახებ 2020 წლის კანონის 66-ე მუხლი), რომელიც საშუალებას აძლევს პროკურორებს, დააკისრონ უფრო მკაცრი სასჯელი მათ, ვინც მსჯავრდებულია სიძულვილის დანაშაულისთვის.

პოლიცია და სამეფო პროკურატურა შეთანხმდნენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემდეგ დეფინიციაზე, მათი იდენტიფიკაციისა და გამოვლენის მიზნით:

„ნებისმიეჰი სისხღის სამაჰთღის დანაშაუღი, ჰომეღიც აღიქმება მსხვეჰპღის ან სხვა პიჰის მიეჰ, ჰოგოჰც მოტივიჰებუღი მტჰობით ან წინასწაჰი შეცნობით, ჰომეღიც ეფუძნება პიჰის შეზღუდუღ შესაძღებღობებს ან შეზღუდუღი შესაძღებღობების აღქმებს; ჰასას ან ჰასასთან დაკავშიჰებუღ აღქმებს; ჰეღიგიას ან ჰეღიგიასთან დაკავშიჰებუღ აღქმებს; სექსუაღუჰ ოჰიენტაციას ან სექსუაღუჰ ოჰიენტაციასთან დაკავშიჰებუღ აღქმებს; ტჰანსგენდეჰუღ იდენტობას ან ტჰანსგენდეჰუღ იდენტობასთან დაკავშიჰებუღ აღქმებს.“

5.9.1.2. გავლენის ბოროტად გამოყენება

კიდევ ერთი მიდგომა უკავშირდება გავლენის ბოროტად გამოყენების ცნებას, რომელიც კლასიკური დანაშაულია საარჩევნო სფეროში და რომელიც განსაზღვრულია 1983 წლის „ხალხის წარმომადგენლობის აქტის“ 115-ე ნაწილში:

(1) პიჰი დამნაშავეა კოჰუფციუღ პჰაქტიკაში, თუ ის დამნაშავეა გავღენის ბოჰოტად გამოყენებაში.

(2) პიჰი დამნაშავეა გავღენის ბოჰოტად გამოყენებაში:

(ა) თუ იგი, პიჰდაპიჰ ან იჰიბად, თავად ან სხვა პიჰის მეშვეობით, მიმაჰთავს ძაღის გამოყენებას, ან ძაღის გამოყენების მუქაჰას, ძაღადობას ან შეზღუდვას, ან თავად, ან სხვა პიჰის მეშვეობით, აყენებს ან ემუქჰება პიჰს, ჰომ მიაყენებს ნებისმიეჰ მატეჰიაღუჰ თუ მოჰაღუჰ ზიანს ან დანაკაჰგს, ამ პიჰის

იძულების მიზნით ხმა მისცეს, ან ხმის მიცემისგან თავი შეიკავოს, ან იმის გამო, ხომ მან ხმა მისცა, ან თავი შეიკავა ხმის მიცემისგან; ან

(ბ) თუ გატაცებით, იძულებით ან ხაიმე თაღლითური ხერხით ან მოტყუებით ის ხელს უშლის ან აფერხებს ამომრჩევლის ან ამომრჩევლის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ ნების თავისუფალ გამოვლენას, ან დააშინებს, ან აიძულებს ამომრჩეველს ან მის ნდობით აღჭურვილ პირს ხმის მიცემას, ან ხმის მიცემისგან თავის შეკავებას.“

პრაქტიკაში აღინიშნა, რომ გავლენის ბოროტად გამოყენების შესახებ ბრალდებების უმეტეს შემთხვევებში შემდგომი რეაგირება არ ხდება. ბოლო რვა წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი საქმეა აღძრული. 2016 წელს საკანონმდებლო კომისიამ რეკომენდაცია გაუწია გავლენის ბოროტად გამოყენების შესახებ აქტის მოდერნიზებას. კომისიის აზრით, იგი უნდა განისაზღვროს როგორც დაშინების, მოტყუებისა და ამომრჩევლებზე არასათანადო ზეწოლის დანაშაული.[168] საზოგადოებრივი ცხოვრების სტანდარტების კომიტეტი ითხოვდა მკაფიო საარჩევნო დანაშაულის შემოღებას, რომელიც პარლამენტის წევრობის კანდიდატებს უფრო მკაფიოდ დაანახვებდა დაშინების საფრთხის სერიოზულობას საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საარჩევნო პროცესის კეთილსინდისიერად ჩატარებისთვის.

საკონსულტაციო დოკუმენტში - *„დებატების დაცვა. დაშინება, ზეგავლენა და ინფორმაცია“* - მთავრობა შეთანხმდა, რომ დანაშაული უნდა შენარჩუნდეს. მან აღნიშნა, რომ მას დაზუსტება სჭირდებოდა, და რომ დანაშაულის ამჟამად არსებული რედაქცია რთულია და *„ძნელად ექვემდებარება განმარტებას და გამოყენებას“.*

5.9.1.3. გამჭვირვალობა

როგორც ითქვა, უცხოურ ონლაინპლატფორმებზე გავრცელებული გზავნილების ერთ-ერთი მახასიათებელი მათი ანონიმურობაა. ეს არის მიზეზი იმისა, რომ დებატების პროცესში გამჭვირვალობა ერთ-ერთი გამოწვევა გახდა.

2018 წელს, ბრექსიტის კამპანიის შემდეგ, საარჩევნო კომისიამ ციფრული კამპანიის რეგულირების სხვადასხვა წინადადება შეიმუშავა, მათ შორის ისეთები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ:[169]

168 საარჩევნო კანონპროექტი 2021-22, თემთა პალატის ბიბლიოთეკა, 2021 წლის 1 სექტემბერი, 57.

169 https://www.electoralcommission.org.uk/who-we-are-and-what-we-do/changing-electoral-law/transparent-digital-campaigning

- კანონმდებლობის შემოღება, რომელიც აკრძალავს კამპანიის მასალების საზღვარგარეთიდან დაფინანსებას;
- კანონის გადასინჯვა, რათა დაინერგოს მოთხოვნა, რომლის შესაბამისადაც ნებისმიერი ციფრული კამპანიის მასალაზე ბეჭდური სახით მითითებული იყოს, თუ ვინ შეიმუშავა და დააფინანსა კამპანია;
- გამჭვირვალობის გაზრდა პოლიტიკური პარტიებისგან, კანდიდატებისა და კამპანიაში ჩართული მესამე მხარეებისგან ციფრული რეკლამის უფრო დეტალური ინვოისების მოთხოვნა; და
- საარჩევნო კომისიის საგამოძიებო უფლებამოსილების გაზრდა და მაქსიმალური ჯარიმების დადგენა, რაც კომისიას შეუძლია დააკისროს წესების დამრღვევებს.

2019 წლის თებერვალში თემთა პალატამ გამოაქვეყნა ანგარიში დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების შესახებ. მან ხაზგასმით აღნიშნა უცხოური მედიის გავლენის საფრთხე საარჩევნო კამპანიებზე. მან მოუწოდა Facebook-ს, მიიღოს ზომები იმ ჯგუფების არაგამჭვირვალე ადმინისტრატორების წინააღმდეგ, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკური კამპანიებისთვის. იგი ითხოვდა პოლიტიკური ონლაინკამპანიის აბსოლუტურ გამჭვირვალობას, მათ შორის მკაფიო, თანმიმდევრულ ბანერებს ყველა ფასიან პოლიტიკურ რეკლამასა და ვიდეოსთან დაკავშირებით.

2021 წლის ივლისში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით კანონპროექტი იქნა წარდგენილი.

- ციფრული ანაბეჭდების ახალი რეჟიმი მოითხოვს პოლიტიკური კამპანიის მონაწილეებისგან, რომ ონლაინკამპანიის შინაარსის პოპულარიზაციისას მკაფიოდ განაცხადონ, თუ ვინ არიან ისინი და ვისი სახელით მოქმედებენ, რათა ამომრჩევლებმა ნათლად გაიგონ, ვინ ცდილობს მათზე გავლენის მოხდენას.

- კამპანიაზე ფულის დახარჯვა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ ადამიანს შეუძლია.

5.9.1.4. დაშინების შესახებ დანაშაული (ახალი რეგულაცია)

კამპანიის მონაწილეებისა და კანდიდატების დაცვის მიზნით პირადად და ონლაინგარემოში გაუმართლებელი დაშინება ან შეურაცხმყოფელი ქცევა დასჯადი გახდა. შემდეგი ქმედებები ხვდება არასათანადო ზეგავლენის

ფარგლებში:[170]

- პირის მიმართ ძალადობის გამოყენება, ან ძალადობის გამოყენების მუქარა;

- პირის ქონების დაზიანება ან განადგურება, ან დაზიანებისა თუ განადგურების მუქარა;

- პირის რეპუტაციის შელახვა ან შელახვის მუქარა;

- პირისთვის ფინანსური ზარალის მიყენება, ან ასეთი ზარალის მიყენების მუქარა;

- პირისთვის მორალური ზიანის მიყენება, ან გაუმართლებელი მორალური ზეწოლის მოხდენა;

- ნებისმიერი სხვა ქმედების განხორციელება, რომლის მიზანია პირის დაშინება;

- არჩევნების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით პირის მოტყუების მიზნით ნებისმიერი ქმედების განხორციელება.

მთავრობა წინადადებით გამოვიდა, რომ ახალი რეგულაცია გავრცელდეს კანდიდატებსა და კამპანიის მონაწილეებზე გაერთიანებული სამეფოს საპარლამენტო ან ადგილობრივი არჩევნების პერიოდში. დანაშაულის ახალი შემადგენლობა დაშინებაზე მიმართულ ქცევას გულისხმობს, და კორუფციულ პრაქტიკად უნდა იქნეს მიჩნეული.

დებატებმა, რომელიც გაიმართა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის, გამოავლინა განსხვავებული მიდგომები სანქციის სიმძიმის მიმართ. საარჩევნო დანაშაულებისთვის ჩვეულებრივი წესით ხდება სასჯელის დაკისრება და მაქსიმალური სასჯელი ან ბრალდება ყველაზე კორუფციული პრაქტიკისთვის არის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა, ან ორივე ერთად, ხოლო უკანონო პრაქტიკისთვის დაწესებულია მე-5 დონის ჯარიმა (10 000 £). გარდა ამისა, კორუფციული და უკანონო ქმედებებისთვის მსჯავრდებულებს ეკრძალებათ თანამდებობის დაკავება ხუთი (კორუფციული) ან სამი წლის (უკანონო პრაქტიკა) ვადით.

ზოგიერთი ხმის მიცემასთან დაკავშირებული დარღვევა ასევე ითვა-

170 საარჩევნო კანონპროექტი, ნაწილი 1 – არჩევნების ადმინისტრირება და ჩატარება, 7 არასათანადო გავლენა.

ლისწინებს ამომრჩევლად რეგისტრაციიდან დისკვალიფიკაციას, ან ხმის მიცემისგან დისკვალიფიკაციას ანალოგიური ვადით, მაგრამ მთავრობამ მიიჩნია, რომ ხმის უფლების ჩამორთმევა დისპროპორციული სანქცია იქნებოდა. დისკვალიფიკაციის სანქცია იმავე მიდგომას ეფუძნება, რომელიც საფრანგეთშია გამოყენებული.[171] აღინიშნა, რომ ახალი დანაშაული შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით მინიჭებულ გამოხატვის თავისუფლებას. საზოგადოებრივი ცხოვრების სტანდარტების კომიტეტმა განაცხადა, რომ ონლაინდაშინება უნდა იყოს *„უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაშფოთებელი“.*

ეს პროექტი ამ დროისთვის თემთა პალატის კომიტეტის მიერ განხილვის ეტაპზეა.

5.9.2. არასაკანონმდებლო (არარეგულირების) ზომები

ეროვნული უსაფრთხოების კომუნიკაციების გუნდი (NSCT) პასუხისმგებელია ეროვნული უსაფრთხოების საფრთხეში ჩაგდებაზე მიმართულ საკომუნიკაციო ელემენტებზე. სწრაფი რეაგირების დანაყოფი შეიქმნა 2018 წლის აპრილში მინისტრთა კაბინეტის სამდივნოს მიერ *„მონიტორინგის გასაწევად ინტერნეტით ახალი ამბებისა და ინფორმაციის გაზიარებაზე, გამოწვევებისა და ინციდენტების დროულად, ზუსტად და კეთილსინდისიერად გამოვლენის მიზნით“.* ეს დანაყოფი ფუნქციონირებს მთავრობის აღმასრულებელ შტოში და დაკომპლექტებულია სპეციალისტებით, მონაცემთა კვლევის სფეროს მეცნიერებით, მედიისა და ციფრული სფეროს ექსპერტებით. იგი განსაკუთრებით მჭიდროდ თანამშრომლობს NSCT-თან კრიზისის დროს. ის ხელს უწყობს *„ფაქტებზე დაფუძნებული საჯარო დებატებს“.* 2018 წლის მარტში სამთავრობო დეპარტამენტებისთვის ასევე შეიქმნა „წინააღმდეგობის გაწევის მოდელი“ (Resist) დეზინფორმაციაზე სტრატეგიული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

რეკომენდაციები

გამოხატვის თავისუფლება და თავისუფალი არჩევნები ურთიერთდაკავშირებული უფლებებია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი გულისხმობს მთავრობების მოვალეობას, ხელი შეუწყონ გამოხატვის თავისუფლებას და შექმნან გარემო, რომელიც უზრუნველყოფს პლურალისტური შეხედულებების გამოხატვას საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, საჯარო დებატების სათანადოდ წარმართვას და

171 იხ. ზემოთ პუნქტი 5.5.1.

სამართლიანი საარჩევნო კონკურენციის ხელშეწყობას. მაგრამ გამოხატვის თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის გარანტიის სახით, როდესაც დისკრიმინაციული სიძულვილის ენა არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფუნდამენტურ ღირებულებებს.

საარჩევნო კამპანიის დროს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის რამდენიმე გზა არსებობს:

- გასათვალისწინებელია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში მოსაზრებებისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელება. არჩევნებთან დაკავშირებული მოსაზრებები და ინფორმაცია უნდა განიხილებოდეს როგორც საჯარო ინტერესის საკითხებზე დებატების შემადგენელი ნაწილი, ანუ სფერო, სადაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვების ვიწროდ ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს.

- გასათვალისწინებელია, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომელიც განუხრელად გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს უაღრესად საფუძვლიანი მიზეზები პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე მოსაზრებების გამოხატვის შეზღუდვის გასამართლებლად. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვები უნდა იყოს კანონიერი, აუცილებელი და დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.

- აუცილებელია სიძულვილის ენის სამართლებრივი განმარტება რასობრივი, ეთნიკური, სექსუალური ორიენტაციის, ეროვნების, საზოგადოებრივი აზრის, რელიგიისა და შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით ამ ქმედებების ჩადენის გათვალისწინებით, რაც, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არის დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზება.

- სიძულვილის ენა თავისუფალი გამოხატვის კონტექსტში განხილულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეცედენტულ სამართალთან მიმართებით, რომელიც აცხადებს, რომ თავისუფალი გამოხატვის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამართლების სახით, როდესაც ირღვევა კონვენციის ფუნდამენტური ღირებულებები.

- გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკური აზრის გამოხატვასა და იმ გამოხატვას შორის ბალანსის დამყარებისას, რომელიც იწვევს დისკრიმინაციას ან ძალადობას, ან შეიცავს შეურაცხმყოფელ აზრს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს „სხვათა უფლებების

დაცვის“ კონცეფცია, და დისკრიმინაციულ მოსაზრებებთან მიმართებით გასათვალისწინებელია ლეგიტიმური მიზანი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

- ერთმანეთისგან განსხვავებულ უნდა იქნეს შეფასებითი მსჯელობები და ფაქტები.

- ინტერნეტპორტალების მოვალეობებთან დაკავშირებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს კომენტარების კონტექსტი და შინაარსი, კომენტარების ავტორის პასუხისმგებლობა, განმცხადებლების მიერ მიღებული ზომები და დაზარალებული მხარის ქცევა.

- პლატფორმებს უნდა მოუწოდონ თვითრეგულირების დანერგვისკენ, რაც ოპერატორებს საშუალებას მისცემს, მიიღონ გადაწყვეტილებები სასამართლოს მიერ განხილული სიძულვილის ენის შეტყობინებების შეჩერების ან წაშლის შესახებ, კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების შესაბამისად.

- დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება, რათა წახალისებულ იქნეს პოლიტიკურ პარტიებში და კანდიდატების ირგვლივ გუნდების ჩამოყალიბება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სიძულვილის ენის გამოვლენაზე.

- ეროვნულ დონეზე ადმინისტრაციული ორგანოს შექმნა, რომელიც პასუხისმგებელია სიძულვილის ენის გამოვლენაზე, განსაკუთრებით უცხოური წყაროებიდან, რომლებიც დემოკრატიულ საარჩევნო პროცესს ზიანს აყენებენ.

- გამარტივებული (სუმარული) სასამართლო პროცესის გამართვა საარჩევნო კამპანიის დროს, რათა მოხდეს სიძულვილის ენის, სისხლის სამართლის წესით დასჯადი ყალბი ამბებისა და სხვა უკანონო კონტენტის ტრადიციული კომუნიკაციის გზებით და სოციალური ქსელებით გავრცელების შეჩერება.

- კანდიდატებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ამომრჩევლებს, ლეგიტიმური ინტერესის ფარგლებში, უფლება უნდა მიეცეთ, მიმართონ შესაბამის სასამართლოს, რათა საარჩევნო კამპანიის დროს სიძულვილის ენის გამავრცელებელი დაისაჯოს გამარტივებული (სუმარული) სასამართლო პროცესის გზით, საჯარო დებატების ხარისხის შესანარჩუნებლად.

- ეფექტიანი, შემაკავებელი და პროპორციული ფინანსური და სისხლის სამართლის სანქციების გათვალისწინება, როდესაც ფიზიკური და იურიდიული პირების მსჯავრდება მოხდება სიძულვილის ენის გამო, რომელიც აზიანებს დემოკრატიულ საარჩევნო პროცესს.

- ეფექტიანი, შემაკავებელი და პროპორციული საარჩევნო სანქციების გათვალისწინება, როდესაც სიძულვილის ენის დანაშაული ხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში, რამაც შეიძლება საბოლოოდ გამოიწვიოს არჩევნების გაუქმება და კანდიდატის დისკვალიფიკაცია მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისგან, როდესაც სიძულვილის ენამ ზეგავლენა მოახდინა არჩევნების შედეგზე.

- რეგულაციების აღსრულება, რომლებიც შეეხებიან ფინანსურ გავლენას დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩარევის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორებიცაა: სიძულვილის ენა, დეზინფორმაცია და კიბერთავდასხმები, რომლებიც შეიძლება, კომბინირებულად იყოს გამოყენებული.

- პოლიტიკის განმსაზღვრელების კიბერუსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის მეშვეობით მხარდაჭერა, რათა მათ უკეთ გაიგონ და განახორციელონ კიბერუსაფრთხოების ზომები და კონფიდენციალურობის პოლიტიკა.

- საარჩევნო კამპანიებში სინერგიების გაძლიერება კიბერუსაფრთხოების ყველა განზომილებას შორის კვლევის, განვითარებისა და აღსრულების კონტექსტში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფის მიზნით.

ბიბლიოგრაფია

1. ავსტრია

ფედერალური კანონი საკომუნიკაციო პლატფორმებზე მომხმარებელთა დაცვის ზომების შესახებ,
https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=20011415

2. ევროპის საბჭო

2007 წლის 29 ივნისის რეკომენდაცია გმობის, რელიგიური შეურაცხყოფისა და სიძულვილის ენის შესახებ ადამიანების აღმსარებლობის მიხედვით,
https://pace.coe.int/en/files/17569/html

2017 წლის 25 იანვრის რეზოლუცია კიბერდისკრიმინაციისა და ონლაინსიძულვილის შეწყვეტის შესახებ,
https://pace.coe.int/en/files/23456/html

რეზოლუცია მედიის თავისუფლების შესახებ, როგორც 2019 წლის 23 იანვრის დემოკრატიული არჩევნების პირობა,
https://pace.coe.int/en/files/25409/html

2019 წლის 23 იანვრის დადგენილება საჯარო სამსახურის მედიის შესახებ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კონტექსტში,
https://pace.coe.int/en/files/25406/html

2019 წლის 10 აპრილის რეზოლუცია პოლიტიკური ლიდერების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ სიძულვილის ენისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში,
https://pace.coe.int/en/files/27636/html

2021 წლის 24 ივნისის დადგენილება უცხოელი დონორებისგან პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიებისათვის შემოწირულობების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ,
http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.aspfileid29234&lang.en

ECHR: ადამიანის უფლებები და ტექნოლოგიური განვითარება, გვ.16, ქალბატონი სიოფრა ო'ლირი, სტრასბურგი, 2020 წლის 18 სექტემბერი,
https://www.echr.coe.int/Documents/Speech_20200918_O_Leary_Conference_70_years_Convention_ENG.pdf

თარლაჩ მაკ. კონაგლი, ევროპის საბჭო ონლაინგამოსვლის წინააღმდეგ: თავსატეხები და გამოწვევები,
https://pure.uva.nl/ws/files/2059638/162486_1088.pdf

3. ივ-მარი დუბლე, დეზინფორმაცია და საარჩევნო კამპანიები, დემოკრატიის გენერალური დირექტორატი, ევროპის საბჭო, 2019,
https://rm.coe.int/disinformation-and-electoral-campaigns/16809fa91f

დეზინფორმაცია და საარჩევნო კამპანიები, პარტიული სამართლის ინსტიტუტი, MIP 2021, N27, 2,
https://mip.pruf.hhu.de/index

4. ევროკავშირი

დეზინფორმაციის მრავალგანზომილებიანი მიდგომა, დამოუკიდებელი მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში ყალბი ამბებისა და ონლაინდეზინფორმაციის შესახებ, ევროკომისია, 2018 წლის 12 მარტი,
https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/6ef4df8b-4cea-11e8-be1d-01aa75ed71a1/language-en

კომისიის შეტყობინება ევროპარლამენტს, საბჭოს, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს და რეგიონების კომიტეტს, თავისუფალი და სამართლიანი ევროპული არჩევნების უზრუნველყოფა, 2018 წლის 12 სექტემბერი,
https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/d773fff7-b65c-11e8-99ee-01aa75ed71a1/language-en

ადამ კრზივონი, შემაჯამებელი სასამართლო პროცესი, როგორც საარჩევნო დეზინფორმაციის ღონისძიება: ევროპული სტანდარტის განსაზღვრა, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, 2021 წლის 24 ივნისი,
https://www.researchgate.net/publication/352709870_Summary_Judicial_Proceedings_as_a_Measure_for_Electoral_Disinformation_Defining_the_European_Standard

5. საფრანგეთი

2021 წლის 13 ივლისის ბრძანებულება N2021-922, თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების გენერალურ მდივანთან ერთად ეროვნული კომპეტენციის მქონე სამსახურის შექმნა, სახელწოდებით: „სიფხიზლისა და უცხოური ციფრული ჩარევისგან დაცვის სამსახური“,
https://www.legifrance.gouv.fr/jorf/id/JORFTEXT000043788361

2020 წლის 24 ივნისის კანონი 2020-766, რომელიც მიზნად ისახავს ინტერ-ნეტში სიძულვილის შემცველი შინაარსის წინააღმდეგ ბრძოლას,
https://www.legifrance.gouv.fr/jorf/id/JORFTEXT000042031970/

2020-801 DC, 18 ივნისი 2020 მაუწყებლობის შესახებ,
https://www.conseil-constitutionnel.fr/decision/2020/2020801DC.htm

2018-773 DC, 20 დეკემბერი, 2018, აქტი ინფორმაციით მანიპულაციის წინაა-ღმდეგ ბრძოლის შესახებ,
https://www.conseil-constitutionnel.fr/en/decision/2018/2018773DC.htm

რეკომენდაცია n-2019,
https://www.csa.fr/Reguler/Espace-juridique/Les-textes-adoptes-par-l-Arcom/Les-deliberations-et-recommandations-de-l-Arcom/Recommandations-et-deliberations-du-CSA-relatives-a-d-autres-sujets/Recommandation-n-2019-03-du-15-mai-2019-du-Conseil-superieur-de-l-audiovisuel-aux-operateurs-de-plateforme-en-ligne-dans-le-cadre-du-devoir-de-cooperation-en-matiere-de-lutte-contre-la-diffusion-de-fausses-informations

6.გერმანია

აქტი სოციალურ ქსელებში კანონის აღსრულების გასაუმჯობესებლად (Network Enforcement Act, NetzDG) – ძირითადი ინფორმაცია (2017),
https://www.bmj.de/DE/Themen/FokusThemen/NetzDG/NetzDG_EN_node.html

ფედერალური მთავრობის პასუხი დეპუტატების: მანუელ ჰოფლინის, სტეფან თომაეს, გრიგორიოს აგელიდისის, სხვა დეპუტატებისა და FDP-ის საპარლამენტო ჯგუფის, BTDrs-ის მცირე კითხვაზე. 19/28631, 19.04.2021წ.,
https://dserver.bundestag.de/btd/19/286/1928631.pdf

მარკუს ბეჰმერი, სიძულვილის კომენტარები გერმანული პარტიების ფეისბუქის გვერდებზე, ბამბერგის ოტო ფრიდრიხის უნივერსიტეტი, 2020 წლის 13 აპრილი,
https://www.das-nettz.de/sites/default/files/2020-11/Bachelorarbeit.extern.pdf

WD-3000-021/21 / გერმანიის ბუნდესტაგი, გამოხატვის თავისუფლება სოციალურ მედიაში, WD-3000-021/21,
https://www.bundestag.de/resource/blob/844922/242d8fb9fd1b6ff73170d6670e9fa634/WD-10-021-21-pdf-data.pdf

მთავრობის რეაგირება დეზინფორმაციაზე სოციალური მედიის პლატფორმებზე, კანადა, გვ.40, კონგრესის სამართლის ბიბლიოთეკა, 2019 წლის სექტემბერი,
https://digitalcommons.unl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1180&context=scholcom

7. იტალია

დეპუტატთა პალატა, XVIII საკანონმდებლო ორგანო, დოკუმენტაცია კანონპროექტების განხილვისათვის. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნა ინტერნეტის საშუალებით ყალბი ინფორმაციის მიზანმიმართული და მასობრივი გავრცელებისა და ინფორმაციის მიღების უფლებისა და საზოგადოებრივი აზრის თავისუფალი ფორმირების საკითხებზე,
https://www.camera.it/leg18/126?tab=&leg=18&idDocumento=1056

ოფიციალური გაზეთი, 2019 წლის 7 მაისი, 2019 წლის 18 აპრილი, დებულება საარჩევნო პროპაგანდისა და პოლიტიკური კომუნიკაციის შესახებ. (დებულება N96). (19A02800) (GU General Series n.105 07-05-2019),
https://www.gazzettaufficiale.it/eli/id/2019/05/07/19A02800/sg

ორესტე პოლიცინო, დეზინფორმაცია და სიძულვილის ენა ონლაინ: თვითრეგულირებიდან თანა/მკაცრ რეგულირებამდე ევროპის ერთიან ციფრულ ბაზარზე? ბოკონის უნივერსიტეტი, 2020,
https://www.agcom.it/documents/10179/16550869/Allegato+23-10-2019/7a3570e9-b418-4803-9dc4-c9668b7ce792?version=1.0

8. გაერთიანებული სამეფო

Intimidation in Public life. A review by the Committee on Standards on Public Life, December 2017/ დაშინება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საზოგადოებრივი ცხოვრების სტანდარტების კომიტეტის მიმოხილვა, 2017 წლის დეკემბერი,
https://www.gov.uk/government/publications/intimidation-in-public-life-a-review-by-the-committee-on-standards-in-public-life

საარჩევნო კანონპროექტი, 2021-22, თემთა პალატის ბიბლიოთეკა, 2021 წლის 1 სექტემბერი,
https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/CBP-9304/CBP-9304.pdf

გამჭვირვალე ციფრული კამპანია,
https://www.electoralcommission.org.uk/who-we-are-and-what-we-do/changing-electoral-law/transparent-digital-campaigning

თავისუფლება ყველასთვის? გამოხატვის თავისუფლება ციფრულ ეპოქაში, ლორდთა პალატა, 22 ივლისი, 2021 / თავისუფლება ყველასათვის? გამოხატვის თავისუფლება ციფრულ ეპოქაში, ლორდთა პალატა, 2021 წლის 22 ივლისი,
https://publications.parliament.uk/pa/ld5802/ldselect/ldcomuni/54/5402.htm

II თავი
სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო პროცესებში - ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები

მარი-კარენ ფონ გუმპენბერგი

საქართველოში ეუთოს მისიის ყოფილი წევრი, არჩევნების და დემოკრატიზაციის ექსპერტი, ევროპის საბჭოს ექსპერტი

1. შესავალი

არჩევნების დროს სიძულვილის ენის გამოყენება დინამიკური და სწრაფად განვითარებადი საკითხია, განსაკუთრებით ონლაინმედიაში. მისი ფარგლები და სირთულე სისტემურ მიდგომას მოითხოვს. მარეგულირებელი ნორმები შეიძლება არ არსებობდეს, ან არასრული, ან, ზოგჯერ, წინააღმდეგობრივიც იყოს; ისინი შესაძლოა, არ იყოს შესაბამისობაში ადამიანის ძირითად უფლებებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან. სიძულვილის ენასთან ეფექტიანად ბრძოლის მიზნით რეკომენდებულია, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (შემდგომში - ცესკო), უპირველეს ყოვლისა, მოძებნოს არამარეგულირებელი გადაწყვეტილებები - ძირითადად როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. ეს შესაძლო გადაწყვეტილებები მომდევნო ორ თავშია განხილული: როგორ უნდა მოხდეს საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა, და რა საშუალებებია ხელმისაწვდომი საარჩევნო კამპანიებში სიძულვილის ენის გამოყენების შესამცირებლად. შემოთავაზებული გადაწყვეტილებები მოიცავს მარეგულირებელ და არამარეგულირებელ ზომებს. ყველა მათგანი სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლისადმი სისტემური მიდგომის ძირითადი ელემენტია.

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით ამ სისტემური მიდგომის ელემენტებში იგულისხმება:

სიძულვილის ენის შემთხვევების თაობაზე ინფორმაციის **აგრეგირება/** მონიტორინგი და დოკუმენტირება; სიძულვილის ენის შემთხვევებისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების უკეთ გაგება; სიძულვილის ენის მექანიზმების გამოვლენა; სიძულვილის ენის იდენტიფიცირებისა და სანქცირების ინსტრუმენტების დანერგვა;

სახელმწიფო და არასახელმწიფო დაინტერესებული მხარეების ძალისხმევის **გაერთიანება/**შეჯერება, რომლებსაც შეუძლიათ და უნდა ჰქონდეთ აქტიური როლი სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში (როგორებიცაა: სამართალდამცავი ორგანოები, ომბუდსმენი, მედია, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები);

სიძულვილის ენის საკითხებზე და მასთან ბრძოლის ღონისძიებების (მაგალითად, საინფორმაციო კამპანიები), რეგულარული ტრენინგებისა და **საგანმანათლებლო ღონისძიებების**/დაგეგმვა და ჩატარება (გამოვლენა, დეფინიცია, მექანიზმი); და კანონებსა და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებში კონკრეტული ცვლილებების შეტანის ლობირება/**შესაბამისი კანონმდებლობის მიღება** სიძულვილის ენის სანქცირებისთვის.

დიაგრამა 1. სისტემური მიდგომა სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლასთან



2. სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულობა

2.1. სიძულვილის ენის "წამაქეზებელი" მექანიზმები

„სიძულვილი იწვევს სიძულვილს“ - ეს არის სიძულვილის ენის ძირითადი „წამაქეზებელი“ მექანიზმი. სიძულვილის ენას საფუძვლად უდევს **რწმენა** საკუთარი ჯგუფის უპირატესობისა და სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის არასრულფასოვნების თაობაზე. სიძულვილის ენა ემყარება შეუწყნარებლობას, არალიბერალიზმსა და ანტიდემოკრატიზმს. მისი ფუძემდებლური მრწამსი ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და ტოლერანტობის ძირითად პრინციპებს, რომლებიც პლურალისტური დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის საფუძველია.

სიძულვილის ენა, რომელიც ეფუძნება **მიკერძოებულ დამოკიდებულებებს,** ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი სხვებზე მაღლა დგას, ხელს უწყობს დისკრიმინაციას. სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ მოპყრობა არ არის თანასწორი, არამედ განსხვავებულია დისკრიმინაციული დამოკიდებულებიდან გამომდინარე. „ადამიანები, ანუ, როგორც ცალკეული პირები, ასევე პირთა ჯგუფები, იმის გამო არიან სიძულვილის ენის სამიზნეები, თუ ვინ არიან ისინი. ხშირად სიძულვილის ენა იმ ადამიანების გარიყვას, მარგინალიზაციას და პიროვნული ღირსების შელახვას იწვევს, ვინც უკვე ისედაც დაუცველია მრავალი სხვა თვალსაზრისით“. (CoE 2020: აიმაღლე ხმა, გვ. 7).

დიაგრამა 2. სიძულვილის ენის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები



წყარო: ევროპის საბჭო: მოლდოვის რესპუბლიკაში სიძულვილის ენაზე რეაგირების ზომების გამოვლენა, *2020 წელი.*

სიძულვილის ენის შემცველი მოსაზრებებისა და მრწამსის საჯაროდ გამოხატვის შემთხვევაში მათი ფართოდ გავრცელება ხდება. პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ცილისწამება, სიძულვილის წაქეზება ან ძაგება, ისევე როგორც მათი ნებისმიერი შევიწროება, შეურაცხყოფა, ნეგატიური სტერეოტიპირება და სტიგმატიზაცია საჯარო დისკურსის ნაწილი ხდება. თუ არ იქნა დაბალანსებული სიძულვილის ენის ეს სპორადული შემთხვევები, გავრცელებულ პრაქტიკად გადაიქცევა. სიძულვილის ენა ნორმალურ მოვლენად აღიქმება, რაც კიდევ უფრო ართულებს მის იდენტიფიცირებას და მასთან ბრძოლას.

დისკრიმინაცია/სიძულვილის ენა არა მხოლოდ ავრცელებს შეუწყნარებლობისა და არალიბერალიზმის იდეებსა და მრწამსს, არამედ ხშირად გარკვეული ქმედებისკენ წააქეზებს. წაქეზება გამოხატვის ძალიან საშიში ფორმაა, რადგან ის ცალსახად და მიზანმიმართულად მიზნად ისახავს დისკრიმინაციის გამოწვევას. სიძულვილის ენა მოუწოდებს ცალკეული ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას გაუმართლებელი მიზეზებით. დისკრიმინაცია იწვევს გაუცხოებას, თუ დისკრიმინაციას დაქვემდებარებული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ინტეგრაციის დონე დაბალია, და არ არსებობს საერთო ღირებულებები სამიზნე ადამიანთან ან ადამიანთა ჯგუფთან. გაუცხოება იწვევს სოციალურ გარიყულობასა და მარგინალიზაციას. „მარგინალიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც პირებს ეზღუდებათ წვდომა, ან არა აქვთ სრული წვდომა სხვადასხვა უფლებაზე, შესაძლებლობებსა და რესურსებზე, რომლებიც ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია უმრავლესობის წევრებისთვის“ (CoE 2020, გვ. 17). თუ ამის საწინააღმდეგო ზომები არ იქნა გატარებული, პირველ რიგში, სოციალური გარიყულობა სულ უფრო და უფრო კონსტიტუციური და გამართლებული ხდება, შემდეგ კი ნორმად მიიჩნევა.

მიკერძოებით მოტივირებული ძალადობისა და გენოციდის/ქმედებისკენ მოწოდების შედეგად სიძულვილის ენა გადაიზრდება ხოლმე ძალადობაში ადამიანებისა და ქონების წინააღმდეგ. ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს ძალადობრივად ესხმიან თავს ან ემუქრებიან, რაც ზოგჯერ ტერორისტულ თავდასხმებში ან მკვლელობაშიც კი გადაიზრდება. ეს ძალადობა მიმართულია ქონებისთვის განზრახ ზიანის მიყენებაზე (მაგალითად, სამიზნე პირის სახლში/სამუშაო ადგილას) და/ან წმინდა ადგილების (ეკლესიები, სინაგოგები, მეჩეთები) შეურაცხყოფაზე. მთელი ხალხის განადგურების შემთხვევაში, სიძულვილის ენა გენოციდისკენ წააქეზებს.

დიაგრამა 3. სიძულვილის ენის პირამიდა

წყარო: ცილისწამების საწინააღმდეგო ლიგა, https://images.app.goo.gl/iCCuK9kWSpNqKdYM8

ზემოთ მოცემული **სიძულვილის პირამიდა** შედგენილია ცილისწამების საწინააღმდეგო ლიგის მიერ და მასზე ნაჩვენებია, რომ შეუწყნარებელი დამოკიდებულებები და ქმედებები, ძირითადად, არასისხლისსამართლებრივი ხასიათის ინციდენტებია, ხოლო დისკრიმინაცია არის სამოქალაქო სამართლით დასჯადი ქმედება. შეუწყნარებელი მოტივირებული ძალადობა და გენოციდი სისხლის სამართლის დანაშაულია. ეს პირამიდა სასარგებლოა საქართველოში არსებული მდგომარეობის უკეთ გასაგებად. საქართველოში გამოხატვის უმეტესობა, რომელიც ამჟამად პრობლემურად მიაჩნიათ მოქალაქეებს და საზოგადოებას, პირამიდის ქვედა

ნახევრის ფარგლებში ხვდება.

ცხრილი 1. მიკერძოებული დამოკიდებულებები და მოქმედებები

რას გულისხმობს მიკერძოებული დამოკიდებულებები და ქმედებები?

ქვემოთ მოცემულია **მიკერძოებული დამოკიდებულების** რამდენიმე მაგალითი:

ყველა წითური ბიჭი წარუმატებელია. (სტერეოტიპირება);

კაცი ხარ, კომპეტენტური არ ხარ! (სექსიზმი);

მსუქანი ხარ, არ მინდა შენ გვერდით ჯდომა! (სხეულის გამო შერცხვენა);

ამ ადამიანს სხვა მამაკაცებთან აქვს სასიყვარულო ურთიერთობა. (ცილისწამება);

კახპა ხარ! (შეურაცხყოფა);

არარაობა ხარ! (დამცირება).

ეს არის **მიკერძოებული ქმედებების** მაგალითები:

ამ რეგიონის ხალხი ჩვენიანები არ არიან. მაგათი დედა ვატირე! დახოცეთ ისინი! (მკვლელობის წაქეზება);

ყველა ეთნიკური ჯგუფი, ჩვენ გარდა, ჩვენი მტერია. მოგვაშორეთ ისინი! (სოციალური გარიყვა);

ამ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები ყველა კრიმინალია. (სტიგმატიზაცია).

2.2. სიძულვილის ენა და სიძულვილის დანაშაული

სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები არის მოსაზრებების საჯარო გამოხატვა, რომლებიც ავრცელებენ, წააქეზებენ, ხელს უწყობენ ან ამართლებენ სიძულვილს, გაუცხოებასა და დისკრიმინაციას კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ. ისინი ხელს უწყობენ მტრული გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც შეუწყნარებლობითა და მტრობითაა განპი-

რობებული. სიძულვილის ენა სისხლის სამართლის დანაშაული ხდება, როდესაც ის გადაიზრდება ძალადობაში ადამიანებისა და ქონების მიმართ. „სიძულვილის დანაშაულები არის დანაშაულებრივი მოქმედებები, რომლებიც მოტივირებულია შეუწყნარებლობით ან ცრუ წარმოდგენებით კონკრეტული ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების მიმართ. სიძულვილის დანაშაული ორ ელემენტს მოიცავს: სისხლის სამართლის დანაშაულს და მიკერძოებულ მოტივაციას“. (იხ. https://hatecrime.osce.org/, 06.12.2021)

დიაგრამა 4. სიძულვილის დანაშაულის დეფინიცია



წყარო: https://hatecrime.osce.org/, 06.12.2021

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული მაშინ ხდება, როდესაც მოძალადე/მოძალადეთა ჯგუფი განზრახ ამოიღებს სამიზნეში პირს ან პირთა ჯგუფს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული სხვადასხვა ფორმით ვლინდება: ქონების დაზიანებით, ცეცხლის წაკიდებითა და ვანდალიზმით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაშინებით, შანტაჟით, აგრესიით, თავდასხმითა და ძალადობით, გაუპატიურებითა და მკვლელობით. ეს ძალადობრივი მოქმედებები შეიძლება გამოწვეული იყოს სამიზნე პირის ან პირთა ჯგუფის ერთი ან რამდენიმე პიროვნული მახასიათებლით და, შესაძლოა, დანაშაულის მომენტში ამ იდენტობის ნიშნების მიმართ აშკარა მტრობა იყოს გამოხატული.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სამიზნე ხშირად პოლიტიკოსები არიან: დევიდ ამესი, ბრიტანეთის პარლამენტის კონსერვატიული პარტიის წევრი, ცივი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრეს 2021 წლის ოქტომბერში. ამ შემთხვევიდან მალევე ახალგაზრდა მამაკაცს ბრალი წაუყენეს ამესის მკვლელობაში და ტერორისტული აქტების მომზადებაში. სასამართლო პროცესი 2022 წლის მარტში დაიწყო; ვალტერ ლუბკე, გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი, რომელიც ხელმძღვანელობდა მიგრანტთა ინტეგრაციის ინსტიტუტს ჰესენში, 2019 წლის ივნისში მოკლეს. მის მკვლელს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა 2021 წლის იანვარში; 2016 წლის ივნისში ჯო კოქსი, პარლამენტის წევრი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიიდან, გარდაიცვალა ცეცხლსასროლი იარაღით და დანით არაერთგზის სასიკვდილოდ დაჭრის შედეგად დასავლეთ იორკშირში, ბირსტალში. 2016 წლის ნოემბერში 53 წლის თომას ალექსანდრე მაირი დამნაშავედ ცნეს მის მკვლელობასა და ტერორისტული აქტის შედეგად ადამიანების მკვლელობასთან დაკავშირებულ სხვა დანაშაულებში.

ცხრილი 2. სიძულვილის დანაშაულის მომწესრიგებელი გერმანიის კანონმდებლობა

სიძულვილის დანაშაული გერმანიაში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულია. გერმანიაში სიძულვილის წაქეზება (Volksverhetzung) არის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის (Strafgesetzbuch) 130-ე მუხლით დასჯადი დანაშაული და შეიძლება გამოიწვიოს 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა. 130-ე მუხლი ახდენს მოსახლეობის ნაწილის მიმართ სიძულვილის საჯაროდ წაქეზების ან მათ მიმართ ძალადობრივი ან თვითნებური ქმედებებისკენ მოწოდების, შეურაცხყოფის ან ცილისწამების კრიმინალიზაციას, როდესაც ეს იწვევს მათი (კონსტიტუციით დაცული) ადამიანური ღირსების შელახვას. გერმანიაში სიძულვილის წაქეზება ისჯება მაშინაც კი, თუ ეს ქმედება ჩადენილია საზღვარგარეთ, თუნდაც მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია პირის მიერ, რომელიც არ არის გერმანიის მოქალაქე (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის უნივერსალურობის პრინციპი, ნაწილი 9, §1, Alt. 3 და 4). 2017 წლის 30 ივნისს გერმანიამ დაამტკიცა „კანონი სოციალური ქსელების შესახებ აღსრულების გაუმჯობესების შესახებ“ (Netzwerkdurchsetzungsgesetz, გერმანული: Gesetz zur Verbesserung der Rechtsdurchsetzung in sozialen Netzwerken), რომელიც მიზნად ისახავს სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლას. სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის გარდა, კანონი ადგენს, რომ სოციალური ქსელები შეიძლება დაჯარიმდნენ 50

მილიონ ევრომდე ოდენობის თანხით, თუ ისინი არ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებას, წაშალონ უკანონო კონტენტი, მათ შორის, ცილისმწამებლური „ყალბი ამბები“, ერთი კვირის განმავლობაში.

უფრო დეტალურად იხილეთ:
https://en.wikipedia.org/wiki/Hate_speech_laws_by_countryNGermany

2021 წლის 30 მარტს ამოქმედდა კანონი „მემარჯვენე ექსტრემიზმისა და სიძულვილის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ კანონით ცვლილებები იქნა შეტანილი სისხლის სამართლის კოდექსში, ფედერალური რეგისტრაციის შესახებ კანონსა და სოციალური ქსელების შესახებ კანონის აღსრულების გაუმჯობესების შესახებ კანონში (NetzDG). სისხლის სამართლის კოდექსში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შემდეგი იყო:

რასისტული, ქსენოფობიური ან სხვა არაჰუმანური მოტივების გარდა, სასჯელის გამოტანისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დამნაშავის ანტისემიტური მოტივები და მიზნები (მუხლი 46 (2) StGB n.F.).

დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის მუქარით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, გარდა კოდექსით უკვე გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებებისა, სხეულის მძიმე დაზიანების მუქარა და მძიმე დანაშაულებრივი ქმედებები სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ (მუხლი 177 (4-8), მუხლი 178. StGB) ასევე გათვალისწინებულია ამ ცვლილებებით (მუხლი 126 (1) no. 2, 4 StGB nF).

ასევე დასჯადია ამგვარი დანაშაულის მცდელობა, თუ ამან შესაძლოა, დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი. საკანონმდებლო ორგანოს განზრახვა იყო იმის ჩვენება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული იმ შემთხვევებში, როდესაც პირი საჯაროდ მოუწოდებს „ვინმეს კედელთან მიყენებას“, ანუ ცუდ მდგომარეობაში ჩაგდებას.

თუ შეურაცხყოფა ჩადენილია საჯაროდ, შეხვედრაზე, სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შინაარსის მქონე მასალის გავრცელებით, ან თავდასხმის გზით, სასჯელის ფარგლები შეადგენს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან ჯარიმას (სისხლის სამართლის კოდექსის nF 185 HS 2 მუხლით დადგენილი დანაშაული).

პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულ პირთა განსაკუთრებული დაცვა ცილისწამებისა და შეურაცხყოფისგან „ვრცელდება მუნიციპალურ დონეზე“

(§188, პუნქტი 1, წინადადება 2, StGB n.F.). ცილისმწამებლურმა განცხადებებმა, რომლებიც დაკავშირებულია პირის პოზიციასთან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ზიანს აყენებს მის საზოგადოებრივ საქმიანობას, შეიძლება, ადგილობრივ პოლიტიკოსებზე ისეთივე ზეგავლენა მოახდინოს, როგორც სახელმწიფო ან ფედერალური დონის პოლიტიკოსებზე.

დანაშაულის ჩადენის მუქარისთვის სასჯელის ფარგლები გაიზარდა, და ეს დანაშაული ისჯება ერთიდან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით (მუხლი 241 (2), StGB nF), ხოლო დანაშაულის საჯაროდ ჩადენისთვის – სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით (მუხლი 241 (4), StGB nF). შესაბამისად, მთელი რიგი მსუბუქი ქმედებებისა, მაგალითად, როგორიცაა ინექციის გაკეთების მუქარა, ასევე დასჯადია.

წყარო: https://de.wikipedia.org/wiki/Gesetz_zur_Bek%C3%A4mpfung_des_Rechtsextremismus_und_der_Hasskriminalit%C3%A4t, 06.12.2021

საქართველო რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ODIHR-ს **სიძულვილის დანაშაულის შესახებ.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს ზოგად და კონკრეტულ დებულებებს სასჯელის გამკაცრების თაობაზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისთვის, და ასევე ძირითადი დანაშაულებისთვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, იუსტიციის სამინისტროს პროკურატურის ცენტრალური ადმინისტრაცია, სტატისტიკის სამსახური და უზენაესი სასამართლო აგროვებენ სიძულვილის დანაშაულის შესახებ სტატისტიკას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, გენერალური პროკურატურის, შსს-სა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2020 წელს ხელმოწერილი თანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, დისკრიმინაციის საფუძველზე შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ერთობლივი ანგარიშის გამოქვეყნების თაობაზე საქართველოში გამოქვეყნდა „საპილოტე ანგარიში სიძულვილის დანაშაულის შესახებ“, რომელიც მოიცავს 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის პერიოდის მონაცემებს.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ზრდა აღინიშნა და 2020 წელს ასეთი დანაშაულების რაოდენობა დაახლოებით 1000 შემთხვევას შეადგენდა. ამას თან ახლავს დევნისა და სასჯელის დაკისრების შემთხვევების ზრდა.

ცხრილი 3. საქართველოს პოლიციის მიერ აღრიცხული სიძულვილით გამოწვეული დანაშაულის შემთხვევები

წელი	პოლიციის მიერ აღრიცხული სიძულვილის დანაშაულები	სასამართლო წესით დევნა	მსჯავ-რდება
2020	989	253	109
2019	775	183	32
2018	344	151	58
2017	86	44	11
2016	42	42	15

წყარო: https://hatecrime.osce.org/georgia, 06.12.2021

საქართველოს პოლიციის მიერ აღრიცხული სიძულვილის დანაშაულთა აბსოლუტური უმრავლესობა არის გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული (733 989 = 74%), რასაც მოჰყვება ლგბტ ადამიანების მიმართ შეუწყნარებლობითა (133 შემთხვევა = 13%) და ქსენოფობიით (49 შემთხვევა = 5%) მოტივირებული სიძულვილის დანაშაულები.

დიაგრამა 5. პოლიციისთვის გაცხადებული სიძულვილის დანაშაულები: შეუწყნარებლობის მოტივი



წყარო: https://hatecrime.osce.org/georgia, 06.12.2021

საქართველოს პოლიციის მონაცემებით, სიძულვილის დანაშაულების თითქმის ნახევარი დაკავშირებულია ფიზიკურ ძალადობასთან (989 შემთხვევიდან 430 = 43%), რასაც მოსდევს მუქარა/მუქარის შემცველი ქცევა (137 შემთხვევა = 14%) და სექსუალური ძალადობა (55 შემთხვევა = 6%); ასევე, აღრიცხულია დაუზუსტებელი შემთხვევების დიდი რაოდენობა (290 შემთხვევა = 29%).

დიაგრამა 6. სიძულვილის დანაშაულები დანაშაულის ტიპის მიხედვით



წყარო: https://hatecrime.osce.org/georgia, 06.12.2021

როგორც ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს, სიძულვილის დანაშაული საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, არის გენდერული ნიშნით სიძულვილის დანაშაული, რომელიც, ძირითადად, ქალების მიმართ არის ჩადენილი. აქამდე მას ჰქონდა მუქარის, მუქარის შემცველი ქცევის, სექსუალური და ფიზიკური ძალადობის ფორმები. პოლიციას მკვლელობის შესახებ ინფორმაცია არ მიუღია.

როდის შეიძლება ჩაითვალოს სიძულვილის ენა დანაშაულებრივ ქმედებად?

ტესტი სიძულვილის ენის იდენტიფიკაციისა და კანონით აკრძალვისთვის რაბათის სამოქმედო გეგმა გვთავაზობს მაღალ ზღვარს გამოხატვის თავისუფლებაზე შეზღუდვების დაწესებასთან, სიძულვილის წაქეზებასა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ პაქტის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რაც გულისხმობს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას, უნდა აიკრძალოს კანონით“. რაბათის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია, რომ ექვსპუნქტიანი ზღვარის ტესტი უნდა იყოს მხედველობაში მიღებული:

გამოხატვის სოციალური და პოლიტიკური **კონტექსტი**,

ავტორის სტატუსი,

სამიზნე ჯგუფის წინააღმდეგ სიძულვილის წახალისების **განზრახვა,**

გამოხატვის **შინაარსი** და ფორმა,

მისი გავრცელების **ფარგლები**,

ზიანის **ალბათობა,** მათ შორის გარდაუვალი.

2.3. სიძულვილის ენა და სიტყვის თავისუფლება

„სიტყვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის ვიწრო ზღვარი არსებობს. სიტყვის თავისუფლება ხელს უწყობს დებატებს, ხოლო სიძულვილის ენა ძალადობას წააქეზებს.“[172] გამოხატვის თავისუფლება არის ადამიანის უფლება, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები.

172 ნიუტონ ლი, კონტრტერორიზმი და კიბერუსაფრთხოება: სრული ინფორმაციული ცნობიერება, 2013 წ.

თუმცა „გამოხატვის თავისუფლება არ არის განუსაზღვრელი უფლება“.[173]

კანონით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევებში გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს. ეს შეიძლება მოიცავდეს შემთხვევებს, როდესაც ხდება მოწოდებები ძალადობისკენ ადამიანებისა და საკუთრების მიმართ, ან პირსა თუ პირთა ჯგუფებზე ძალადობრივი თავდასხმა, ან ასეთი თავდასხმის მუქარა, ან ტერორისტული თავდასხმებისა თუ მკვლელობის მუქარა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ნათლად მოითხოვს სიძულვილის ენის ამ ფორმების კრიმინალიზაციას (იხ. ქვემოთ).

ცხრილი 5. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია: გამოხატვის თავისუფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10: გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად (...)

2. **ამ თავისუფლებათა განხორციელება,** რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, **შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს,** რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

გასათვალისწინებელია, რომ ინტერნეტი, მით უფრო, არ არის ნეიტრალური ადგილი გამოხატვის შეუზღუდავი თავისუფლებისთვის. ინტერნეტი არის ინფორმაციის, იდეებისა და მოსაზრებების პლატფორმა; ის ასევე არის სიძულვილის ენის შემქმნელი, განსაკუთრებით წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

სიტყვის თავისუფლების დასაცავად და ინტერნეტში სიძულვილის ენასთან

173 CoE: „ისაუბრე ისე, რომ მშვიდობას შეუწყო ხელი! სიძულვილის ენა დაუშვებელია!“. იხ.: https://rm.coe.int/speak-peace-final-screen-eng/1680a1c652 (14.12.2021).

საბრძოლველად საჭიროა კარგად გააზრებული მიდგომა. ამ პრობლემის გადაჭრის მარტივი გზა არ არსებობს. ინტერნეტი არის ძალიან რთული გარემო, რომელშიც წარმოდგენილი არიან მომხმარებლები, პლატფორმები, პროვაიდერები და სხვა დაინტერესებული მხარეები, თუმცა არსებობს შემდეგი კარგი პრაქტიკა:

- ეროვნულ დონეზე უნდა გაიმართოს ფართო დისკუსიები ინტერნეტში სიძულვილის ენის შესახებ.
- კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს თანმიმდევრულ მითითებებს იმის თაობაზე, თუ რა დაკვალიფიცირდება სიძულვილის ენად ზოგადად, და კონკრეტულად კი, ინტერნეტში, და რა არა.
- ინტერნეტპლატფორმები უნდა დაექვემდებაროს რეგულირებას. კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს, თუ რომელი შინაარსია დასაშვები, და რომელი უნდა შეიზღუდოს/წაიშალოს.[174]
- ინტერნეტპლატფორმებს მოეთხოვებათ, უზრუნველყონ გამჭვირვალობის შესაბამისი დონე ალგორითმების შესახებ, რომლებსაც ისინი იყენებენ სიძულვილის ენის გამოსავლენად და წასაშლელად.
- სიძულვილის ენის შემცველი კონტენტის შემქმნელები სანქცირებული უნდა იყვნენ; მათ მიერ შექმნილი სიძულვილის ენის შემცველი კონტენტი დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას/წაიშალოს.
- მონიტორებმა უნდა გამოიყენონ არსებული ტექნოლოგიები (მაგალითად, საძიებო სისტემები) სიძულვილის ენის შემცველი კონტენტის ონლაინიდენტიფიცირებისთვის, უზრუნველყონ მათი დასკვნების დოკუმენტირება და გასაჯაროება, და მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელების ლობირება.

ეს ზომები ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიმართულია არა მხოლოდ მიწოდების მხარეზე (ანუ, კონტენტის მონიტორინგი და მისი ამოღება), არამედ ასევე მოთხოვნის მხარეზე (ანუ მოქალაქეების განათლება). საჭიროა სიძულვილის ენის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზების აღმოფხვრა (ნდობის ნაკლებობა/შიში); უნდა განხორციელდეს ინფორმაციული წიგნიერების ამაღლებაზე მიმართული ინტენსიური პროგრამები; თითოეულ მოქალაქეს უწყვეტად უნდა მიეწოდოს ინფორმა-

174 იხილეთ გერმანიის მაგალითი, სადაც ინტერნეტპლატფორმებმა უნდა წაშალონ სიძულვილის ენის შემცველი კონტენტი 24 საათის განმავლობაში. იხ.: https://www.dw.com/en/facebooks-zuckerberg-to-stamp-out-hate-speech-in-germany/a-19078185 (14.12.2021).

ცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიპოვოს წვდომა მედიაკონტენტზე, როგორ შეაფასოს კრიტიკულად ეს კონტენტი, და პასუხისმგებლობით შექმნას იგი; უნდა შეიქმნას მოაზროვნე და მედეგი საზოგადოება, რომელსაც უნარი შესწევს, მოახდინოს სიძულვილის ენის იდენტიფიცირება, მის წინააღმდეგ ბრძოლა, და საპასუხო ზომების მიღება.

წყარო: ევროპის საბჭო, https://www.coe.int/en/web/freedom-expression/hate-speech (15.12.2021)

3. საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენა - სიძულვილის ენასთან ეფექტიანი ბრძოლის სტრატეგიები

3.1 საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის შესახებ ინფორმაციის დოკუმენტირება, მონიტორინგი და გამოქვეყნება

იმისთვის, რომ უკეთ იქნეს გაცნობიერებული საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენა, ცესკო-მ უნდა წაახალისოს არჩევნების მართვის ორგანოები ყველა დონეზე, რათა უზრუნველყონ სიძულვილის ენის ინციდენტების შესახებ შეტყობინება. ცენტრალური, ტერიტორიული და რაიონული დონის საარჩევნო ადმინისტრაციის **პირველი ინფორმაციული ბრიფინგის** დროს შეიძლება, შემდეგ კითხვებზე იყოს მიზანშეწონილი ყურადღების გამახვილება:

თქვენი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ანუ, როგორც საარჩევნო კომისიის წარმომადგენელს, პირადად შეგხებიათ თუ არა სიძულვილის ენა?

იცით თუ არა სიძულვილის ენის შემთხვევების შესახებ, რომლებიც მიმართული იყო საარჩევნო კომისიის სხვა წევრების წინააღმდეგ?

თუ კი, გთხოვთ გააანალიზოთ შემდეგი შემთხვევები:

საარჩევნო კომისიების რომელ დონეზე (საუბნო, საოლქო, ცესკო) წააწყდით სიძულვილის ენის გამოვლინებას?

რა იყო სიძულვილის ენის განმაპირობებელი ძირითადი წარმოდგენები/დამოკიდებულებები (ექსტრემისტული იდეოლოგია, რასობრივი სიძულვილი, ქსენოფობია, რელიგიური შეუწყნარებლობა, სექსიზმი სხვ.)?

სიძულვილის ენის რა ფორმების მოწმე გამხდარხართ (მაგალითად: შევიწროება, შეურაცხყოფა, ნეგატიური სტერეოტიპები, სტიგმატიზაცია, მუქარა, დისკრიმინაცია, ფიზიკური თავდასხმა, მკვლელობა)?

ამ სახის მოკლე ინფორმაციული ბრიფინგი უნდა ჩატარდეს კონსტრუქციულ და ღია გარემოში. ამ საკითხზე ერთგვაროვანი გაგების მისაღწევად ცესკო-მ უნდა მიაწოდოს ქვედა დონის საარჩევნო კომისიებს სიძულვილის ენის ლეგალური დეფინიცია (თუ ეს გაწერილია შიდა ეროვნული კა-

ნონმდებლობით), და ასევე მიუთითოს ევროპის საბჭოს სიძულვილის ენის დეფინიციაზე. ასეთი ინფორმაციული ბრიფინგი ცალსახად უნდა შეეხებოდეს არა მხოლოდ ფიზიკურ მუქარასა და თავდასხმებს, არამედ სიძულვილის ენის ინციდენტებს სოციალურ მედიაში, რომლებიც მიმართულია საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ასეთი გზით შეგროვებულმა მონაცემებმა შეიძლება, ხელი შეუწყონ წინასწარი წარმოდგენის შექმნას და ინფორმაციის შეგროვებას საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენისა და სიძულვილის დანაშაულების შესახებ:

ცხრილი 6. საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის ინციდენტები – მაგალითი

საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის შეფასება - შესაძლო შედეგები

სიძულვილის ენის ინიციატორები: პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საარჩევნო ადმინისტრაციაში, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და ჟურნალისტები;

სიძულვილის ენის ფორმები: შევიწროება, შეურაცხყოფა („პოლიტიკური ოპონენტის შეკვეთით“), ნეგატიური სტერეოტიპები, სტიგმატიზაცია, ინდივიდუალური მუქარა („ციხეში მოხვდები“); ფიზიკური თავდასხმა (ერთ-ერთი არჩევნების მართვის ორგანოს მანქანის განადგურება) და საპროტესტო აქციები ცესკო-ს შენობის წინ („ცესკო-ს შენობის განადგურება“);

განზრახვა: ცესკო-ს (განსაკუთრებით, ცესკო-ს თავმჯდომარისა და ცესკო-ს კომუნიკაციების დეპარტამენტის) და/ან ცესკო-ს/ტერიტორიული ორგანოების - საარჩევნო კომისიის/საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობის დისკრედიტაცია;

მასალის ფართო **გავრცელება:** მაგალითად, სოციალურ მედიაში გამოქვეყნების გზით (კარიკატურები, შეურაცხმყოფელი ფოტოები და გამოსვლები, ვიდეოკლიპები, რომლებიც ცესკო-ს ან ცალკეული საარჩევნო კომისიების დისკრედიტაციას ახდენენ);

ძალადობის ალბათობა: საშუალო ხარისხი (იყო ძალადობის წაქეზება, თუმცა ძალადობრივი თავდასხმები არ მომხდარა);

პირის/პირთა ჯგუფის პოზიცია, ვინც სიძულვილის ენის გამოყენებით თავდასხმის სამიზნე გახდა: ცესკო-ს (მაღალი თანამდებობის პირები, წინა-

საარჩევნო კამპანიის დროს) და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები (განსაკუთრებით, საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების დროს);

კონტექსტი: მწვავე საარჩევნო კამპანია, პოლარიზებული კონტექსტი.

ცესკო-მ სისტემატურად უნდა შეაგროვოს მონაცემები საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების შესახებ. ეს უნდა გაკეთდეს შემდეგი გზით:

ცესკო აწვდის საარჩევნო კომისიებს: (1) სიძულვილის დანაშაულის ცესკო-ს/ეროვნულ დეფინიციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში; (2) ინფორმაციას ცესკო-ში სიძულვილის ენის საკითხებზე საკონტაქტო პირის შესახებ; (3) ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა მოხდეს სიძულვილის ენის ინციდენტების დოკუმენტირება; და (4) დოკუმენტის შაბლონს ასეთი ინციდენტების შესახებ ანგარიშის წარსადგენად. ამ ინფორმაციასთან ერთად უნდა ჩატარდეს ტრენინგი სიძულვილის ენის იდენტიფიკაციის, კატეგორიზაციისა და დოკუმენტირების საკითხებზე.

როგორც კი ცესკო მიიღებს ინფორმაციას სიძულვილის ენის ინციდენტების შესახებ, ეს ინციდენტები უნდა აღირიცხოს და სათანადოდ იყოს დოკუმენტირებული. რეგულარულად და სისტემატურად შეგროვების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იქნება **სანდო სტატისტიკა სიძულვილის ენის ინციდენტებისა და სიძულვილით გამოწვეული დანაშაულების** შესახებ. ეს სტატისტიკა უნდა შეიცავდეს საკმარისად დეტალურ და სანდო მონაცემებს (მაგალითად: ცესკო-სა და სამართალდამცავ ორგანოებში აღრიცხული შემთხვევების რაოდენობა, ასევე, საქმეების რაოდენობა, რაზეც სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა, და დაკისრებული სასჯელები).

სტატისტიკის განხილვა უნდა მოხდეს ცესკო-ს სამუშაო სხდომებზე. ამ სხდომების შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს საკითხის მიხედვით, დაწყებული ფართო რეკომენდაციებიდან სიძულვილის ენის შემთხვევების გამოვლენის, დოკუმენტირების და მოხსენების გაუმჯობესების გზების შესახებ, და დამთავრებული საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი კონკრეტული ქმედებებით (იხილეთ ინსტრუმენტების შესახებ ამ დოკუმენტის შემდეგი სექციები). ამ სტატისტიკის საფუძველზე ცესკო-ს შეუძლია, გამოიტანოს დასკვნები მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემდგომი ქმედებების დასაგეგმავად იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაუმჯობესოს მონიტორინგი და ანგარიშგება.

3.2. სიძულვილის ენის წინააღმდეგ "ხმის ამაღლება"

სიძულვილის ენის გამოყენებაზე რეაგირება მისი გამოვლენის ადრეულ ეტაპზევე ხელს უშლის ამგვარი გამოხატვის ტრანსფორმაციას უფრო საშიშ ფორმებში, განსაკუთრებით კი, მტრობისა და ძალადობის წაქეზებაში. ამის გათვალისწინებით, ცესკო-მ საჯაროდ უნდა ისაუბროს დისკრიმინაციისა და სიძულვილის დაუშვებლობაზე სიძულვილის ენის კამპანიის დასაწყისშივე. არსებული გამოცდილება აჩვენებს, რომ ამგვარი განცხადებები ხელს უწყობს სიძულვილის ენის დისკურსების აღკვეთას ადრეულ ეტაპზევე.

ცესკო-ს განცხადებებში ყურადღება უნდა გამახვილდეს საკუთარ ინსტიტუციურ და წინასაარჩევნო კამპანიის კეთილსინდისიერებაზე. გარდა ამისა, ცესკო-მ უნდა განმარტოს, რა განსხვავებაა კრიტიკას, დეზინფორმაციასა და სიძულვილის ენას შორის. მან უნდა გაასაჯაროოს ინფორმაცია სიძულვილის ენის ინციდენტების შესახებ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ, და დაგმოს ნებისმიერი შემდგომი სიძულვილის ენის აქტი, რომელიც მიმართულია ამ საარჩევნო კომისიების წინააღმდეგ, იქნება ეს შევიწროება, შეურაცხყოფა, ნეგატიური სტერეოტიპები, სტიგმატიზაცია, სიტყვიერი და ფიზიკური მუქარა თუ ძალადობრივი თავდასხმები.

3.3. საარჩევნო პროცესებში მონაწილე მხარეებთან თანამშრომლობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში

საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა წაახალისოს პლურალისტური საჯარო დიალოგი სიძულვილის ენის შესახებ, იქნება ეს ციფრულ ან ელექტრონულ მედიაში თუ საჯარო შეხვედრებზე. ცესკო, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები უნდა დაესწრონ საჯარო ფორუმებს, როგორებიცაა: კანდიდატების სატელევიზიო დებატები, მუნიციპალიტეტის მიერ გამართული შეხვედრები და მრგვალი მაგიდის დისკუსიები, რომლებიც ეწყობა ამ საკითხებზე მსჯელობის გასამართავად. ამ შეხვედრებზე მათ უნდა ხაზი გაუსვან, რომ მიუღებელია სიძულვილის ენის გამოყენება საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ, და მიაწოდონ ინფორმაცია ისეთ შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე, როგორებიცაა:

მიზანში ამოღებული პირებისთვის: საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები ექვემდებარებიან სიტყვიერ შეურაცხყოფას და ფიზიკურ თავდასხმებს. ამ ადამიანებს ეშინიათ, რომ მათი პირადი უსაფრთხოება რისკის ქვეშ დგას. ზოგიერთს შეიძლება ფიზიკური დაცვაც კი დასჭირდეს; სხვა შეიძლება იძულებული იყოს, გადადგეს.

მიზანში ამოღებული ინსტიტუტებისთვის: საარჩევნო კომისიებში მომუშავე პირები თავს დაუცველად გრძნობენ. ისინი შესაძლოა სამსახურში არ გამოცხადდნენ, თუ მათ ოფისს მომიტინგეები თავს დაესხმებიან. საარჩევნო კომისიებმა შეიძლება, ვეღარ მოახერხონ სათანადოდ ფუნქციონირება, მათი დაშინებული წევრების სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

წინასაარჩევნო კამპანიის/საარჩევნო გარემოსთვის: არჩევნების მართვის ორგანოები შეიძლება დისკრედიტებული იყვნენ; ეჭვქვეშ დგება მათი პროფესიონალიზმი; მათ მიერ გასაჯაროებული ინფორმაცია არჩევნების შედეგების შესახებ შეიძლება ეჭვქვეშ იქნეს დაყენებული, რამაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას დემოკრატიულ პროცესებს.

ყველა შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელნი მონაწილეობას იღებენ საჯარო დებატებში, მათ უნდა გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა სხვა ინსტიტუტებთან ან ორგანიზაციებთან. ეს შეიძლება იყოს ომბუდსმენი, რომელიც უზრუნველყოფს დისკრიმინაციის შემთხვევების დოკუმენტირებას, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები (მაგალითად, პოლიცია), ან, თუნდაც, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც ანტიდისკრიმინაციულ, ქალთა უფლებებსა და სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ.

3.4. საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შემცირება

საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ შეგროვებული მონაცემები (იხ. პუნქტი 4.2.1.) შეიძლება გამოყენებულ იქნეს უსაფრთხოების რისკების შესაფასებლად, რომლებსაც ექვემდებარებიან ეს ორგანოები წინასაარჩევნო კამპანიის დროს. სიძულვილის ენის ინციდენტების ალბათობა შესაძლოა, საკმაოდ მაღალი იყოს; აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად იმისა, მათი სიხშირე შეიძლება არც ისე მაღალი იყოს, მათ შედეგებს შეიძლება, დამანგრეველი ეფექტი ჰქონდეს. სიძულვილის ენის რისკების მიმოხილვა შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

ცხრილი 7. რისკების შეფასება – საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენება

ვინ	ცესკო-ს თავმჯდომარე	საოლქო საარჩევნო კომისია
რა	ცესკო-ს წინ შესაძლო საპროტესტო აქციები; ცესკო-ს თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები	საპროტესტო აქციები საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების საცხოვრებელთან; საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მანქანების განადგურება.
როდის	საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან შედეგების შეჯამებამდე - მზარდი სიხშირით	ხმის მიცემიდან შედეგების შეჯამებამდე
რამდენად მაღალია ალბათობა	მაღალი	მაღალი
რა ზიანი	ცესკო-ს თანამშრომელთა რეპუტაციის, ქონების, ფიზიკური, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის დაზიანება	იხილეთ ზემოთ
როგორ უნდა მოხდეს პრევენცია	მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ღიად გამოსვლა	ცესკო საჭირო დახმარებას უწევს საოლქო საარჩევნო კომისიას, ხოლო ეს უკანასკნელი დახმარებას მოითხოვს ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისგან

რისკის შეფასების საფუძველზე ცესკო-მ უნდა შეიმუშაოს რისკის შემცირების სტრატეგია უსაფრთხოების გეგმასთან ერთად, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- რისკის შემცირების სტრატეგიის საერთო მიზნის მონახაზი (რომელიც გამჭვირვალობას და ნდობას უწყობს ხელს);
- საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის კოდექსი (მაგალითად: არა - სიძულვილის ენას, არა - კორუფციას, არჩევნების მიუკერძოებლობის პრინციპებისადმი ერთგულება);
- რისკების ანალიზი;
- კრიზისული ვითარების დროს კომუნიკაციის სქემა (სადაც ასახულია, მაგალითად, თუ ვინ წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციას, რა ფორმულირება/ენა უნდა იყოს გამოყენებული, რა უნდა ითქვას საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართულ სიძულვილის ენასთან ბრძოლის მიზნით);
- საარჩევნო ადმინისტრაციის პრევენციული და საპასუხო რეაგირების ქმედებების მიმოხილვა (მაგალითად, საინფორმაციო კამპანიები, მკაცრი განცხადებები);
- პროცესებში მონაწილე სხვა მხარეების რეაგირების მექანიზმები, როგორებიცაა: ომბუდსმენი (მაგალითად: საქმეების მონიტორინგი, დოკუმენტირება და ანგარიშის წარდგენა), პოლიცია (კონფლიქტების პრევენცია/დეესკალაცია და გამოძიება) და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები (მაგალითად, საქმეების განხილვაში ჩართული მხარეები);
- იმ ინსტიტუციების სია, რომლებთანაც კონსულტირება უნდა მოხდეს (მაგალითად, ქალთა ორგანიზაციები იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო ადმინისტრაციის ქალი წევრები ხდებიან სიძულვილის ენის სამიზნეები.);
- უსაფრთხოების ინსტრუქციები საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის.

3.5. მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა და საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანა

ცესკო-მ **დახმარება** უნდა გაუწიოს საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და საარჩევნო მოხელეებს, რომლებიც გახდნენ **სიძულვილის ენის მსხვერპლნი.** მსხვერპლთ უნდა შეეძლოთ ცესკო-ს სიძულვილის

საკითხებზე საკონტაქტო პირთან დაკავშირება, რათა შეატყობინონ სიძულვილის ენის ინციდენტებისა და სიძულვილის დანაშაულების შესახებ. ცესკო-მ უნდა უზრუნველყოს მსხვერპლთათვის ეფექტიანი წვდომა ფსიქოსოციალურ კონსულტაციებზე, იურიდიულ დახმარებაზე, ისევე როგორც მართლმსაჯულებაზე (თუ ეს მიდგომა მიზანშეწონილად ჩაითვლება). შესაძლოა, უაღრესად მნიშვნელოვანი იყოს მსხვერპლთათვის უსაფრთხო სივრცის უზრუნველყოფა, რათა მათ თავი დაცულად იგრძნონ.

თუ მიზანშეწონილად ჩაითვლება, ცესკო-მ უნდა გამოიყენოს **სიძულვილის ენის დანაშაულების ჩამდენების ეფექტიანი დევნის** სხვადასხვა გზა. ყველა სამართლებრივი საშუალება უნდა იყოს ამოწურული, რათა სიძულვილის ენა კანონით იქნეს დაცილი და გათვალისწინებული ცალკე დანაშაულების კატეგორიად და, ამასთან დაკავშირებით, კანონმდებლობოთ უნდა გაიწეროს ამ დანაშაულების გამოძიების, დევნისა და სასჯელის შეფარედბის წესი და პროცედურები.

თუ ცესკო ჩაერთვება სიძულვილის ენის საქმეების განხილვაში, მან უნდა იცოდეს იმ პოტენციური გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშე სხვა სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოები შეიძლება აღმოჩნდნენ. ეს შეიძლება მოიცავდეს საქმის განხილვის გაჭიანურებას, ფართო განმარტებას, არათანმიმდევრულ სასამართლო პრაქტიკას, პოლიტიკურ მიკერძოებას, სამართლებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებას და ბოროტად გამოყენებას, დისპროპორციულ სასჯელებს და საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობას. ამ შემთხვევებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სიძულვილის ენის მსხვერპლთა დახმარებას.

3.6. საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის კოდექსის დანერგვა და პოპულარიზაცია

იმისათვის, რომ არ დაუშვან სიძულვილის ენის გავრცელება საარჩევნო ადმინისტრაციის შიგნით/მათ წინააღმდეგ, ეს ორგანოები წახალისებულნი უნდა იყვნენ, რომ იკისრონ სათანადო ქცევის ვალდებულება. მიუკერძოებლობის სტანდარტების ხელშეწყობის მიზნით, ცესკო-მ უნდა შეიმუშაოს ქცევის კოდექსი, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს დებულებებს სიძულვილის ენის შესახებ. ქცევის კოდექსი შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ტექსტს სიძულვილის ენის შესახებ:

საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის კოდექსი

სიძულვილის ენა მოიცავს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, წააქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ ნებისმიერ სიძულვილს. საარჩევნო კომისიების წევრებს არ აქვთ უფლება, ხელი შეუწყონ ძალადობასა და სიძულვილზე დაფუძნებული ქცევის წაქეზებას. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელნი კონტრნარატივებით უნდა გამოდიოდნენ, რაც ხელს უწყობს დისკრიმინაციის აღკვეთას, შემწყნარებლობის და პატივისცემის დამკვიდრებას, მათ შორის, ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობების განხორციელების გზით.

ცესკო-მ უნდა დანერგოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სიძულვილის ენის შესახებ შეტყობინებების განხილვასთან დაკავშირებული პროცედურები. ნებისმიერი საკითხი შეიძლება მიემართოს ცესკო-ს სიძულვილის ენის საკითხებზე პასუხისმგებელ საკონტაქტო პირს. ცესკო-მ უნდა განახორციელოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის შესახებ განათლებასა და ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ზომები.

ქცევის კოდექსში ასევე შეიძლება, ცალსახად ჩამოთვლილი იყოს ქცევა, რომელიც მიუღებელია საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან:

- ენის გამოყენება, რომელიც წააქეზებს სიძულვილს და ძალადობის პროვოცირებას ახდენს;
- კანდიდატების, ამომრჩევლების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა დაშინება;
- კანდიდატების ან პარტიების, საარჩევნო პროცედურებისა და არჩევნების შედეგების შესახებ ყალბი ინფორმაციის გამოქვეყნება;
- ქრთამის შეთავაზება ან აღება;
- ზოგადად ძალაუფლების, პრივილეგიის ან გავლენის ბოროტად გამოყენება არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მიზნით.

საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი ქცევის კოდექსის მიღება, ან უკვე არსებულ ქცევის კოდექსში ახალი ელემენტების შემოღება უნდა განხო-

რციელდეს ტრენინგის პარალელურად. ამ ტრენინგებზე უნდა გაიზარდოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმირებულობა სიძულვილის ენის შესახებ, და განხილული უნდა იყოს არჩევნებთან დაკავშირებული სიძულვილის ენის შემცველი გამოხატვის კონკრეტული ფორმები (როგორებიცაა: ცილისწამება, დისკრედიტაცია, თავდასხმა, სექსიზმი, ტოქსიკური ენა). გარდა ამისა, საარჩევნო კომისიებს უნდა მიეწოდოს საკმარისი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რას ისახავს მიზნად ქცევის კოდექსი, რა არის სიძულვილის ენა, როგორ უნდა მოახდინონ მასზე რეაგირება და რომელი სანქციები შეიძლება იყოს გამოყენებული ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში.

ეს **ტრენინგი** ჩართული უნდა იყოს საარჩევნო მოხელეთათვის და საარჩევნო ადმინისტრაციის აპარატის თანამშრომელთათვის განკუთვნილ უფრო ფართო სასწავლო პროგრამაში. ის უნდა მოიცავდეს ისეთ თემებს, როგორებიცაა სიძულვილის ენის კონტექსტში ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები (მაგალითად, ადამიანის უფლებები, ხმის მიცემის უფლება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, გენდერული თანასწორობა, სიტყვის თავისუფლება და სიძულვილის ენა). ტრენინგპროგრამა შეიძლება ასევე მოიცავდეს სიძულვილის ენისა და სიძულვილის წაქეზების მექანიზმებსა და შედეგებს.

ცხრილი 9. საარჩევნო ადმინისტრაციების სწავლება სიძულვილის ენის საკითხებზე

საარჩევნო ადმინისტრაციის სწავლება სიძულვილის საკითხებზე - მოსაზრებების ტრანსფორმაცია როლური თამაშების გზით

საარჩევნო ადმინისტრაციის სწავლება შეიძლება მოიცავდეს როლურ თამაშს, რომლის ფარგლებში განხილულია საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელზე სიძულვილის ენის გამოყენებით თავდასხმის ტიპური სცენარი. მონაწილეებს შეიძლება დაევალოთ შემდეგი როლების შესრულება: ადამიანის, რომელიც სიძულვილის ენას მიმართავს, სიძულვილის ენის მსხვერპლის (საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი), სხვა საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის, ცესკო-ს წარმომადგენლისა და პოლიციის წარმომადგენლის. თითოეულ „მსახიობს“ უნდა მიეცეს მინიმალური სცენარი; შემდეგ მათ თავისუფლად უნდა შეეძლოთ თავიანთი როლების ინტერპრეტაცია. საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ამ როლურ თამაშში, მის მიმდინარეობას აკვირდებიან.

როლური თამაშის შემდეგ ჯერ „მსახიობები“ განმარტავენ, რას გრძნობ-დნენ ისინი თავიანთი როლების შესრულებისას, და რა უნდა გაეკეთებინათ სხვანაირად. შემდეგ საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებს, რომლებიც როლურ თამაშს აკვირდებოდნენ, შესთავაზებენ კომენტარების გაკეთე-ბას, რის შემდეგაც ფასილიტატორმა უნდა განმარტოს პოზიცია, რომელიც თითოეულ „მსახიობს“ უნდა ჰქონოდა ცესკო-ს წესებისა და რეგულაციების მიხედვით; ასევე, განმარტებული უნდა იყოს ანგარიშგებასთან დაკავშირე-ბული სახელმძღვანელო მითითებები და შესაძლო რეაგირების ზომები.

ასეთი სახის როლური თამაში გამოავლენს მონაწილის ლიდერობის უნარებს, როდესაც იგი საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მი-მართული სიძულვილის ენის ესკალაციის და მასთან დაკავშირებული ძალადობის პრობლემის წინაშე დადგება. როლური თამაშის შემდგომი ბრიფინგების დროს საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებმა შეიძლება განაცხადონ, მაგალითად, რომ პირველად მიეცათ შესაძლებლობა, დაენახათ სიძულვილის ენის შემთხვევები სხვა დაინტერესებული მხარეების თვალით. ეს როლური თამაში შესაძლოა გარდამტეხი გამოც-დილებაც იყოს. საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებმა შეიძლება უკეთ გააცნობიერონ კრიზისის დადგომამდე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისა და ურთიერთობების დამყარების მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცესკო-ს არ აქვს გარკვეული ქმედებების განხორციელების მანდატი.

3.7. ამომრჩევლების ცნობიერების ამაღლება და განათლება

ცესკო-მ საჯარო საინფორმაციო კამპანიებისა და ამომრჩეველთა საგან-მანათლებლო პროგრამების სტრატეგიაში ასევე უნდა გაითვალისწინოს სიძულვილის ენის გამოყენება საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ. დროული, ფაქტებზე დაფუძნებული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებით, ცესკო-ს შეუძლია, გააქარწყლოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ წაყენებული ბრალდებები მათი არასწორი ქმედებებისა და მცდარი წა-რმოდგენების შესახებ მათ როლებსა და მოვალეობებზე. ეს დაეხმარება ამომრჩეველს შეუწყნარებლობის იდენტიფიცირებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე, ოფიციალური პირების, კანდიდატებისა და მათი მხა-რდამჭერების, და მედიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ წაქეზებული სიძულვილის ენის აღიარებასა და წინააღმდეგობის გაწევაში.

საჯარო საინფორმაციო კამპანიის განხორციელებისას ცესკო-მ უნდა შეი-მუშაოს გასასაჯაროებელი საინფორმაციო და ამომრჩეველთა განათლე-ბაზე მიმართული მასალები ისე, რომ მთელი შინაარსი, იქნება ეს ტექსტი

თუ სურათი, კონფლიქტებისა და გენდერული თვალსაზრისით, სენსიტიური იყოს. ცესკო-მ ყველა მასალა უნდა გაავრცელოს ისე, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს სამოქალაქო საზოგადოების ფართო სპექტრისთვის, მედიასაშუალებებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, და ეს მასალები უნდა მომზადდეს ოფიციალურ და უმცირესობათა ენებზე. ცესკო-მ უნდა აირჩიოს ქმედითი არხები შესაბამისი სამიზნე აუდიტორიის მოსაცავად (იქნება ეს ელექტრონული თუ სოციალური მედიის საშუალებით).

3.8. საარჩევნო ადმინისტრაციის სიძულვილის ენისგან დაცვისათვის აუცილებელი სამართლებრივი ჩარჩო

საარჩევნო კოდექსით იშვიათად რეგულირდება სიძულვილის ენის გამოყენება საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ. ცესკო-მ უნდა გადახედოს არსებულ საარჩევნო კოდექსს, რათა დაადგინოს, შეიცავს თუ არა ის შემდეგ ელემენტებს:

- საარჩევნო ადმინისტრაციისათვის სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის წაქეზების აკრძალვა;
- მოთხოვნა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე გზით უნდა ფუნქციონირებდნენ;
- სანქციების ჩამონათვალი, რომლებიც გავრცელდება საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სიძულვილის ენას გამოიყენებენ.

გარდა ამისა, ცესკო-მ უნდა გადახედოს, შეიცავს თუ არა მათი შიდა რეგლამენტი შემდეგ ელემენტებს:

- სიძულვილის ენისა და სიძულვილის ენის რისკების განსაზღვრებას;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ვალდებულებას, მიუერთდნენ ქცევის კოდექსს, რომელიც სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ დებულებებს შეიცავს;
- მოთხოვნას, რომ საარჩევნო კომისიის წევრები საკმარისად კარგად იყვნენ მომზადებული სიძულვილის ენის საკითხებზე;
- ინფორმაციას სიძულვილის ენის წაქეზებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ დაწესებული სანქციების შესახებ;

- ინფორმაციას ცესკო-ში სიძულვილის ენის საკითხებზე არსებული განმარტებებისა და ძირითადი მიდგომების შესახებ;
- ინფორმაციას სიძულვილის ენის შემთხვევების დოკუმენტირებისა და შეტყობინების აუცილებლობის შესახებ;
- ინფორმაციას სხვა ორგანოების შესახებ, რომლებთანაც კონსულტაციები უნდა იყოს გავლილი, ან ჩართული უნდა იყვნენ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში.

3.9. სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაზე ცესკო-ს საქმიანობის გავლენის ანალიზი

ცესკო-მ უნდა განახორციელოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის კრიტიკული თვითშეფასება:

- არიან თუ არა საარჩევნო კომისიების წევრები საკმარისად მომზადებულნი? ყველამ გაიგო, რა არის სიძულვილის ენა, მისი ფორმები და მექანიზმები?
- იცავენ თუ არა საარჩევნო კომისიის წევრები ქცევის კოდექსს? თავს იკავებენ თუ არა ისინი სიძულვილის ენის გამოყენებისგან? რამდენი სიძულვილის ენის შემთხვევა დაფიქსირდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ?
- რამდენად ხშირად ლაპარაკობდა ცესკო-ს ხელმძღვანელობა შემწყნარებლობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის მხარდასაჭერად? როგორც სისტემის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ?
- იყო თუ არა საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის საკითხებზე კონსულტირებაზე ყურადღება გამახვილებული? თუ ასეა, რამდენად ხშირად? რომელი სხვა არხები გამოიყენებოდა სიძულვილის ენის შესახებ კონსულტაციებისა და გაშუქებისთვის?
- რა საშუალებებით დაეხმარა ცესკო საარჩევნო კომისიის წევრებს, რომლებიც სიძულვილის ენის მსხვერპლნი გახდნენ?
- ამომრჩეველთა განათლების რომელი კამპანია იყო წარმატებული? აუდიტორია, რომელიც აქტივობების სამიზნე იყო, სწორად იყო შერჩეული? შინაარსი სათანადოდ იყო ათვისებული? შეიძლება თუ არა საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის კამპანიების აღკვეთა და/ან შეჩერება?

მოიპოვა თუ არა ცესკო-მ დამოუკიდებელი ინსტიტუტის რეპუტაცია?

- ლობირებდა თუ არა ცესკო საჭირო საკანონმდებლო ცვლილებებს? თუ ასეა, იყო თუ არა ცესკო წარმატებული?

4. სიძულვილის ენა საარჩევნო კამპანიაში - სტრატეგიები საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის

4.1. სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების დოკუმენტირება, მონიტორინგი და გასაჯაროება წინასაარჩევნო კამპანიის დროს

წინასაარჩევნო კამპანიის დროს სიძულვილის ენის გამოვლინებების, სიხშირისა და მასშტაბის თვალსაზრისით არსებული ვითარების უკეთ გასაცნობიერებლად ცესკო-ს შეუძლია, შეისწავლოს მედიამონიტორინგის ორგანიზაციების მიერ შემუშავებული უკვე არსებული პუბლიკაციები. გარდა ამისა, ცესკო-ს შეუძლია, ასევე წაახალისოს ყველა დონის საარჩევნო კომისია, რათა მათ ინფორმაცია წარადგინონ სიძულვილის ენის ინციდენტების თაობაზე, რომლებსაც წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში ექნება ადგილი (დამატებით მათ წინააღმდეგ მიმართული ინციდენტების შესახებ უკვე წარდგენილი ინფორმაციისა). **ცესკო-ს ეს არაწარმომადგენლობითი კვლევა** შეიძლება მოიცავდეს შემდეგ კითხვებს:

- სიძულვილის ენის რა გამოვლინებები დაფიქსირდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს?
- საარჩევნო კამპანიის რომელ ფაზებში იყო სიძულვილის ენა ყველაზე დომინანტური (წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისში, მისი მსვლელობისას, მის ბოლოს, ხმების დათვლის თუ შედეგების შეჯამების დროს)?

სიძულვილის ენის რა ფორმები დააფიქსირეთ (მაგალითად: შევიწროება, შეურაცხყოფა, ნეგატიური სტერეოტიპირება, სტიგმატიზაცია, მუქარა, დისკრიმინაცია, ფიზიკური თავდასხმა, მკვლელობა)?

ვის წინააღმდეგ იყო მიმართული სიძულვილის ენა (მაგალითად: კანდიდატები, პოლიტიკური პარტიები, მედია, სამოქალაქო საზოგადოება) და რა ნიშნით (მაგალითად: მამაკაცი/ქალი/ლგბტ; ახალგაზრდა/მოხუცი; ქართველები/არაქართველები; ქართველი მართლმადიდებლები/სხვა რელიგიის წარმომადგენლები)?

რა გავლენა მოახდინა სიძულვილის ენამ საარჩევნო კამპანიაზე (მაგალითად: გარკვეული დროის განმავლობაში დომინირება საჯარო დისკურსში, კანდიდატებისთვის/პოლიტიკური პარტიებისთვის თავიანთი საარჩევნო პროგრამების წარდგენის უფლების შეზღუდვა, არჩევნებში ჩართული სხვა მხარეებისა და/ან ამომრჩევლების დაშინება, კენჭისყრისთვის და/ან ხმების დათვლის პროცესისთვის ხელის შეშლა)?

რა გავლენა მოახდინა არჩევნებმა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სიძულვილის ენის გამოვლენასა და ფორმებზე? საპრეზიდენტო არჩევნებზე უფრო მეტი ინციდენტი მოხდა, ვიდრე საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებზე? სიძულვილის ენა მიმართული იყო მხოლოდ საპრეზიდენტო კანდიდატების შეზღუდული რაოდენობის, თუ ადგილობრივ დონეზე წარდგენილი კანდიდატების წინააღმდეგაც? რა სიმწვავეს მიაღწია სიძულვილის ენამ შესაბამის არჩევნებზე?

საარჩევნო ადმინისტრაციის ასეთმა სწრაფმა არაწარმომადგენლობითმა კვლევამ, და ასევე წარმომადგენლობითი მონიტორინგის მონაცემებმა, რომლებიც შეგროვებულია პროფესიონალი მედიის დამკვირვებლების მიერ, შეიძლება, ნათელი მოჰფინოს იმას, თუ რა გზით და რამდენად ახდენს გამოხატვა გავლენას საარჩევნო კამპანიაზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნახავთ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს არჩევნების დროს სიძულვილის ენის ასეთი სწრაფი არაწარმომადგენლობითი შეფასება. ასეთი შეფასების გარდა უნდა განხორციელდეს შემდგომი სიღრმისეული კვლევა, რომელიც შეიძლება ჩაატაროს თავად ცესკო-მ, ან კომპეტენტურმა ორგანოებმა.

ცხრილი 10. სიძულვილის ენის რისკები წინასაარჩევნო კამპანიების პროცესში

საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში სიძულვილის ენის რისკების ანალიზი

დრო: ყველაზე მეტად ჭარბობს არჩევნების დღეს, ან უშუალოდ არჩევნების წინა ან მომდევნო დღეებში.

სიძულვილის ენის ფორმები:

მაღალი კონკურენცია პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის ოპონენტების შეურაცხყოფის თვალსაზრისით;

არჩევნების დღემდე ცოტა ხნით ადრე მადისკრედიტებელი ვიდეოების ჩვენება;

ლგბტ კანდიდატის გამო პოლიტიკური პარტიის მიზანში ამოღება;

სიძულვილის ენის შემცველი ბანერების ჩვენება (რომელიც ამოღებულ იქნა);

სიძულვილის ენის გამო მკვლელობა არ მომხდარა, მაგრამ განხორციელდა მკვლელობის მუქარა.

განზრახვა: კონკურენტების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დისკრედიტაცია/შეურაცხყოფა/დამცირება.

ძირითადი მხარეები: პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

ინფორმაციული კამპანია: სიძულვილის ენის შემთხვევების ფართო მედიაგაშუქება - **განსაკუთრებით ინტერნეტში.**

სიძულვილის ენის გამოყენების შედეგები

მიზანში ამოღებული პირებისთვის: დამცირება, ღირსების შელახვა, შერცხვენა;

მიზანში ამოღებული ინსტიტუტებისთვის: აქცენტი არა პოლიტიკურ პროგრამებზე, არამედ პიროვნებებზე;

წინასაარჩევნო კამპანიის გარემოსათვის: ტოქსიკური გარემო.

4.2. სიძულვილის ენის პროფესიონალური მონიტორინგის ხელშეწყობა

წინასაარჩევნო კამპანიების პროცესში სიძულვილის ენის გამოყენების, მისი მასშტაბისა და ზემოქმედების უკეთ გასაგებად ცესკო-მ უნდა ითანამშრომლოს ცნობილ ინსტიტუტებთან, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ წინასაარჩევნო კამპანიების დროს **სიძულვილის ენის მონიტორინგის სფეროში** (მაგალითად: არჩევნებზე დამკვირვებლები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც მედიამონიტორინგს ახორციელებენ, ეროვნული მარეგულირებლები, ეროვნული მაუწყებლობა, ინტერნეტპროვაიდერები, მედიის მფლობელები/კომპანიები და სოციალური მედიის ქსელები/პლატფორმები). სიძულვილის ენის ნებისმიერი მონიტორინგის დროს, სიძულვილის ენის შინაარსის გარდა, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს კონტექსტი, იმ პირის სტატუსი, რომელმაც სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები გააკეთა, და ასეთი გამოხატვის პოტენციური

შედეგები. მონიტორინგის ორგანომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

შეიმუშაონ სიძულვილის ენის დეფინიცია საარჩევნო კონტექსტთან მიმართებით;

სიძულვილის ენის ინციდენტების მონიტორინგი, რომლებიც მიმართულია არა მხოლოდ კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების, არამედ ასევე ისეთი არასახელმწიფო დაინტერესებული მხარეების წინააღმდეგ, როგორებიცაა: ცალკეული პირები/ინფლუენსერები, მედია, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, არაფორმალური ჯგუფები, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით შემთხვევებზე, როდესაც ქალები ხდებიან სიძულვილის ენის სამიზნეები;

სიძულვილის ენის შემცველი განცხადებებისთვის დამახასიათებელი ნიშნების იდენტიფიცირება, როგორებიცაა: (1) მოწოდება ძალადობრივი ქმედებისკენ; (2) ძალადობის მუქარა ან ძალადობრივი ქმედებების ხელშეწყობა; (3) დისკრიმინაციის ან დისკრიმინაციის ხელშეწყობისკენ მოწოდებები; (4) ადამიანების ღირსების შელახვის მცდელობა, მათი მახასიათებლებიდან გამომდინარე; და (5) ზიზღი, უკანონო ზემოქმედება, დამაკნინებელი სიტყვებით მოხსენიება ან ცილისწამება;

სიძულვილის ენის კონტექსტის შესწავლა და, შესაბამისად, ასეთი გამოხატვის მიერ მოზიდული ყურადღების მასშტაბის შეფასება (მაგალითად, პოსტერები/ბილბორდები მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ადგილას არის განთავსებული, თუ ქვეყნის მასშტაბით; გზავნილები არაერთგზის იქნა გაზიარებული შესაბამის სოციალურ მედიაში);

ყურადღების გამახვილება არა მხოლოდ ტრადიციულ მედიაზე (გაზეთები და ტელე/თოკშოუები), არამედ ასევე წინასაარჩევნო კამპანიაზე ინტერნეტში, რომელსაც აწარმოებენ პოლიტიკური პარტიები, მათი კანდიდატები და მხარდამჭერები, ასევე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენის მქონე პირები.

მონიტორინგის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს (იხ. ქვემოთ, მაგალითად, Twitter-ის მონიტორინგის შედეგები 2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების დროს). ორგანიზაციებმა, რომლებიც მონიტორინგს ახორციელებენ, უნდა მიუთითონ კონკრეტულ შემთხვევებზე და არ უნდა შეიკავონ თავი ყველა ცნობილი ადამიანის სახელების დასახელებისგან და შერცხვენისგან, რომლებიც სიძულვილის ენას იყენებენ. გარდა ამისა, მონიტორინგის შედეგად უნდა გაკეთდეს დასკვნები (როგორებიცაა: „საპ-

რეზიდენტო არჩევნების დროს უფრო მეტია სიძულვილის ენის შემთხვევები, ვიდრე საპარლამენტო არჩევნების დროს"; „ქალები უფრო ხშირად ხდებიან სიძულვილის ენის სამიზნეები საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში") და შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები (მაგალითად, მარეგულირებელი ორგანოების მიერ კონკრეტული შემთხვევების შესწავლაზე დაყრდნობით).

დიაგრამა 7. 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები - სიძულვილის ენის მონიტორინგის შედეგები



წყარო: https://mediapeaceproject.smpa.gwu.edu/monitoring-hate-speech-during-the-2020-election-2/ (14.12.2021)

NDI-ს 2020 წლის საქართველოს მოსახლეობის აზრის კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დაინტერესებულია ფაქტებზე დაფუძნებული, პროგრამებზე ორიენტირებული წინასაარჩევნო კამპანიით და არა ლანძღვით, შეურაცხყოფით, სიძულვილის ენის წაქეზებით და ღია დისკრიმინაციით. თუმცა სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით მედიამონიტორინგის შედეგები ხშირად აჩვენებენ, რომ საარჩევნო კამპანიის დროს მედიის ყურადღებას, ძირითადად, არჩევნებში ჩართული მხარეების მხოლოდ მცირე ნაწილი იპყრობს. აქ მთავარი კითხვაა, თუ როგორ უნდა მოხდეს არჩევნებში მონაწილე მხარეების უმრავლესობის დისკურსში დაბრუნება, რათა მათ განსაზღვრონ მედიის დღის წესრიგი და არა იმათ, ვინც სიძულვილის ენას ავრცელებენ. აქ საფუძვლიანი კვლევაა საჭირო, განსაკუთრებით იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რა კონტრსტრატეგიები შეიძლება იყოს ეფექტიანი წინასაარჩევნო კამპანიის უაღრესად მგრძნობიარე კონტექსტში.

ქვემოთ და შემდეგ თავებში მოცემულია ამონარიდები რასიზმისა და

შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ზოგადი პოლიტიკის N15 რეკომენდაციიდან. ისინი მიმართულია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს საყურადღებოდ; ამ რეკომენდაციის ელემენტებმა შეიძლება მიაწოდოს ცესკო-ს იდეები სიძულვილის ენის წინააღმდეგ გასატარებელი შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

ცხრილი 11. ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N15 სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: სიძულვილის ენის მონიტორინგი

ევროპის საბჭოს/ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

ხელისუფლების წარმომადგენლები **სიძულვილის ენის მონიტორინგს ახორციელებენ.**

უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეგროვებული მონაცემების სათანადო სეგრეგაცია;

სამოქალაქო საზოგადოების, თანასწორობის ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მიერ **სიძულვილის ენის მონიტორინგის მხარდაჭერა** და ამ ამოცანის შესრულებაში მათსა და საჯარო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა;

კვლევების მხარდაჭერა, რომლებიც მიზნად ისახავენ სიძულვილის ენისა და მისი ფორმების გამოყენების ხელშემწყობი პირობების გაანალიზებას;

შესაბამისი საჯარო ორგანოებისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით **მონაცემების რეგულარულად გავრცელება** სიძულვილის ენის შემთხვევების, მისი ფორმებისა და გამოყენების პირობების შესახებ;

იმის უზრუნველყოფა, რომ სიძულვილის ენის შესახებ მონაცემების შეგროვება არ შემოიფარგლება მხოლოდ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სექტორიდან მონაცემების შეგროვებით;

მონიტორინგისა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს **სიძულვილის ენის გამოყენებასთან ბრძოლის სტრატეგიები.**

4.3. სიძულვილის ენის გამოყენებასთან ბრძოლა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალები ხდებიან მისი სამიზნე

ცესკო, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, საჯაროდ უნდა აღუდგეს სიძულვილის ენას წინასაარჩევნო კამპანიის დროს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ქალები ხდებიან მუდმივად მისი სამიზნე. ეს შეიძლება იყოს ქალი კანდიდატი, ქალი ჟურნალისტი ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ქალი. ადამიანები, რომლებიც სიძულვილის ენას იყენებენ, ემუქრებიან ქალებს მათი სქესის, გარეგნობის, ასაკის, გონებრივი შესაძლებლობებისა და სექსუალური ქცევის გამო. სექსიზმი შეინიშნება არა მხოლოდ ბილბორდებზე, არამედ თოკშოუებსა და ონლაინმედიაშიც. სექსისტური სიძულვილის ენა ხშირად იქცევა სიძულვილის დანაშაულად, როგორც ODIHR-ის სტატისტიკა აჩვენებს საქართველოში სიძულვილის დანაშაულის შესახებ (იხ. აგრეთვე თავი 4.1.2).

სექსიზმი არის კულტურის პროდუქტი, რწმენის ან მოლოდინების გარკვეული ნაკრები იმის თაობაზე, თუ როგორია ქალის სათანადო ქცევა ან გარეგნობა. სექსიზმი ახდენს ქალების დისკრიმინაციას, ხელს უწყობს ცრუ წარმოდგენების ან სტერეოტიპების გავრცელებას ქალების შესახებ, არსებული ან აღქმული სექსუალური მახასიათებლების საფუძველზე. საქართველოს 2020 წლის არჩევნების პროცესში UNDP-მ დააფიქსირა სექსიზმის შემდეგი ფორმები საარჩევნო კამპანიის პროცესში:

მიზოგინია/სექსიზმი - **ქალებსა და, ზოგადად, ქალთა უფლებებზე** თავდასხმა;

შეურაცხყოფა/დაცინვა **გარეგნობის** ნიადაგზე – შეურაცხყოფა და დაცინვა სხეულის, გარეგნობის, ლაპარაკის, ტანსაცმლის ნიშნით;

ეიჯიზმი – **ასაკის** ნიშნით დისკრიმინაცია;

შეურაცხყოფა/დაცინვა **გონებრივი შესაძლებლობების** ნიადაგზე – ინტელექტუალური შესაძლებლობების, უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების გამო პირის დამცირება;

მორალურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული თავდასხმები - **მორალური ფასეულობების** ნიადაგზე თავდასხმა;

კრიტიკა **გენდერული სტერეოტიპების** ნიადაგზე - თავდასხმა ქალის

როლის, ქცევის, ფუნქციის, საქმიანობის ან სხვა თვისებების შესახებ სტე-რეოტიპული აღქმის საფუძველზე.

დიაგრამა 8. ქალების მიმართ სიძულვილის ენა სოციალურ მედიაში საქართველოს 2020 წლის არჩევნების დროს



წყარო: UNDP საქართველო - საარჩევნო მედიის მონიტორინგი: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში, 2020 წელი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია იმის მიმოხილვა, თუ როგორ შეიძლება ამოვიცნოთ სექსიზმი წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში.

ცხრილი 12. როგორ ამოვიცნოთ ქალების მიმართ მიმართული სიძულვილის ენა წინასაარჩევნო კამპანიის დროს?

როგორ ამოვიცნოთ სექსიზმი წინასაარჩევნო კამპანიებში?
სიძულვილის ენა ქალების გარკვეული კატეგორიის შემდეგი გზით მიზანში ამოღებას გულისხმობს:
ყუჩადღების გამახვიდება სტიდზე, შინაარსის ნაცვლად: აკმაყოფილებს ქალი

კანდიდატი სილამაზის თაობაზე სოციალურ მოლოდინს?

ქალის ქცევის სტეჰეოტიპიჰება: ქალი კანდიდატები მოიაზრებიან როგორც ადამიანები, რომლებსაც უფრო შესტკივათ გული გარკვეულ საკითხებზე.

ქალის კომპეტენციები: ქალი კანდიდატები მოიაზრებიან ნაკლებად კვალიფიციურებად თანამდებობის დასაკავებლად, ვიდრე მამაკაცები.

ოჯახური მდგომარეობა: მამაკაცებთან დაკავშირებით მედიაში იშვიათად ჩნდება კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ ახერხებენ ისინი კარიერისა და ოჯახის შეთავსებას.

სექსუალური ქცევა: მამაკაცებისთვის დასაშვებადაა მიჩნეული, რომ სექსუალური ურთიერთობები ჰქონდეთ ქორწინების გარეთ, ხოლო ქალებისთვის ეს დაუშვებელია.

ცესკო, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, მკაფიოდ უნდა გამოვიდეს სექსიზმის წინააღმდეგ წინასაარჩევნო კამპანიაში. საჯარო განცხადებები შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

ქალებისა და მოწმეების წახალისებას, რომ საჯაროდ ისაუბრონ სიძულვილის ენაზე წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში: ამ დრომდე სიძულვილის ენა, ძირითადად, უხილავი რჩება მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრმა მსხვერპლმა არ იცის, თუ როგორ მოახდინოს რეაგირება ასეთ ინციდენტებზე. „მსხვერპლთა“ თვალთახედვით, წინასაარჩევნო კამპანიაში სექსიზმის შესახებ საჯარო დებატებმა შეიძლება ყურადღება სიძულვილის ენის შინაარსიდან „ქალურობის“ შესახებ კულტურაში ჩამოყალიბებულ კონცეფციაზე გადაიტანოს.

იმ ადამიანების დასახელებასა და შერცხვენას, რომლებიც სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს აკეთებენ: სიძულვილის ენა ხშირად გაუპროტესტებელი რჩება, რადგან არ ხდება დამნაშავეთა ქმედებების საჯაროდ დაგმობა. ზოგადად, მედიის ყურადღება გამახვილებულია ქალებზე, რომლებიც სიძულვილის ენის სამიზნე გახდნენ. სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამების ავტორების გამოაშკარავება და მათ განცხადებებზე ყურადღების გამახვილება შეიძლება, ასევე, იყოს ერთ-ერთი გზა, რომ მათ თავიანთი სექსისტური განცხადებები უკან წაიღონ.

ინტერნეტში სიძულვილის ენის მიმართ დაუსჯელობის შეწყვეტისკენ მო-

წოდებას: სიძულვილის ენის დაუსჯელობის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას, თუ ინტერნეტმედიას მოუწოდებენ, რომ ყურადღებით დააკვირდნენ და შეაფასონ თავიანთი ნიუსრუმები და დროულად გაიწვიონ სიძულვილის ენის შემცველი მასალები.

მსხვერპლთა მხარდაჭერის კარგად მოქმედი სისტემების ჩამოყალიბების მხარდაჭერას: სიძულვილის ენის სამიზნე პირები ხშირად არ იღებენ არც ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას და არც მართლმსაჯულებისადმი სრული ხელმისაწვდომობა აქვთ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლებიც ხშირად ყველაზე სპეციალიზებულ და პირდაპირ მხარდაჭერას სთავაზობენ მათ, ვინც სიძულვილის დანაშაულის სამიზნე გახდა, შეიძლება ქმედითი გამოსავალი იყოს.

4.4. სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა სიძულვილის ენასთან ბრძოლის და ასეთი ინციდენტების შემდგომი მართვისა და მონიტორინგის პროცესში

ცესკო-მ მჭიდრო თანამშრომლობა უნდა დაამყაროს შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო, მსხვერპლთა დახმარების სტრუქტურები, შესაბამისი სამინისტროები, თანასწორობის ორგანოები) შემდეგი კონტრზომების განხორციელებისას:

- ძალადობრივი ინციდენტების დეესკალაცია;
- საქმეების გამოძიება, დევნა ან სასჯელის გამოტანა;
- სიძულვილის ენის მსხვერპლთა მხარდაჭერა; და/ან
- სიძულვილის ენის პოლიტიკის ან კანონების შემუშავება, რომლებიც რამდენიმე სამინისტროს კომპეტენციას ითვალისწინებს;
- სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები არ შემოიფარგლება მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციებით. ეს რეკომენდაციები აქ მოყვანილია სიძულვილის ენასთან ბრძოლაზე მიმართული ზომების ფარგლების სადემონსტრაციოდ, რომლებიც სამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ გაატარონ სიძულვილის ენასთან ეფექტიანად საბრძოლველად.

ცხრილი 13. ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N°15 სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: ეფექტიანი ქმედებები სიძულვილის ენის წინააღმდეგ

ევროპის საბჭოს/ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა განახორციელონ სათანადო და ეფექტიანი ქმედებები, საჯარო კონტექსტში, ისეთი სიძულვილის ენის გამოყენების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს ან, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ წაახალისებს ძალადობრივ ქმედებებს, ზეწოლას, მტრობას ან დისკრიმინაციას.

- ამ დანაშაულებისათვის **დაადგინონ სანქციები**, რომლებიც ითვალისწინებს როგორც სიძულვილის ენის შედეგების სიმძიმეს, ისე სათანადო რეაგირების საჭიროებას;
- **მონიტორინგი გაუწიონ საჩივრების გამოძიების ეფექტიანობას და დამნაშავეთა სამართლებრივ დევნას,** გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის გაუმჯობესების მიზნით;
- **უზრუნველყონ ეფექტიანი თანამშრომლობა/კოორდინაცია პოლიციასა და პროკურატურას შორის;**
- **უზრუნველყონ სათანადო ტრენინგი სიძულვილის ენის საქმეებზე მომუშავე სამართალდამცავი ოფიცრების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის,** და ხელი შეუწყონ მათ შორის კარგი პრაქტიკის გაცვლას;
- **ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოებთან,** როგორც ფიზიკურ, ისე ელექტრონულ ფორმატში, სიძულვილის ენის ტრანსასაზღვრო გავრცელებასთან ბრძოლის მიზნით;
- უზრუნველყონ, რომ **დანაშაულები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სათანადოდ გაითვალისწინონ შესაბამისი სისხლისსამართლებრივი სანქციის საჭიროება;**
- უზრუნველყონ ამ დანაშაულების ფარგლების განსაზღვრა იმგვარად, რაც იძლევა მათი **ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ გამოყენების შესაძლებლობას;**

- უზრუნველყონ, რომ ამ დანაშაულების წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის ინიციირება ხდება არადისკრიმინაციულ საფუძველზე და სამართლებრივი დევნის გამოყენება არ ხდება **ოფიციალური პოლიტიკის, პოლიტიკური ოპოზიციის ან რელიგიური რწმენის კრიტიკის ჩასახშობად;**

- უზრუნველყონ შესაბამის წარმოებაში იმ პირების ეფექტიანი მონაწილეობა, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა სიძულვილის ენა;

- ამ დანაშაულებისათვის დაადგინონ სანქციები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც სიძულვილის ენის შედეგების სიმძიმეს, ისე სათანადო რეაგირების საჭიროებას.

4.5. მედიასთან ურთიერთობის საკუთარი სტრატეგიის გულდასმით შემუშავება

არჩევნებამდე საკმარისი დროით ადრე მედიასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავებისას ცესკო-მ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ საკომუნიკაციო სტრატეგიაში უნდა განისაზღვროს, წინასაარჩევნო კამპანიის რომელ ეტაპზე თუ რა პრევენციული ქმედებები შეიძლება განახორციელოს ცესკო-მ სიძულვილის ენის აღსაკვეთად. ეს პრევენციული ქმედებები უნდა განხორციელდეს კომბინაციაში სხვა პროაქტიულ რეაგირების მექანიზმებთან ან კოორდინებულ ზომებთან, რომლებსაც საარჩევნო პროცესებში მონაწილე სხვა მხარეები ახორციელებენ, ყოვლისმომცველი და ინკლუზიური მიდგომის დასანერგად არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციული გარემოს კეთილსინდისიერების გასაუმჯობესებლად.

მედიასთან ურთიერთობის სტრატეგიის განხორციელების განმავლობაში, ცესკო-მ (1) ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ მედიაში გაჟღერებულმა გზავნილებმა არ წაახალისოს სიძულვილის ენა; (2) რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია იყოს სანდო, და ორიენტირებული იყოს ობიექტურ ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციაზე; (3) რომ მედია ფოკუსირებული იყოს შესაბამის გზავნილებზე, და არ გაასაჯაროოს ყურადღების გამფანტველი, პრობლემური და შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია; (4) რომ მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეფექტიანია, ცდილობს, უზრუნველყოს, რომ მის მიერ მომზადებული მასალა სწორ აუდიტორიას მიაღწევს ისეთი გზით, რაც მათთვის რეზონანსული იქნება (მაგალითად, შესაბამისი სოციალური მედიის არხების გამოყენებით).

ცესკო-ს უფრო ფართო საკომუნიკაციო სტრატეგიაში სიძულვილის ენის საწინააღმდეგო გზავნილების პროაქტიული ჩართვის გარდა, ცესკო-მ უნდა მოამზადოს შესაბამისი შინაარსის მქონე მასალები, რომელიც მიმართული იქნება სიძულვილის ენის წინააღმდეგ. ეს შეიძლება იყოს: ვიდეოკლიპები სიძულვილის ენის წინააღმდეგ, ან ბილბორდები ცნობილი ადამიანების მკაფიო და მოკლე განცხადებებით სიძულვილის ენის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ცესკო-მ უნდა მოახდინოს რეაგირება სიძულვილის ენაზე მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანიების განხორციელების გზით. აქ უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოციალურ მედიას, სადაც ცესკო-ს შეუძლია, მიაღწიოს აუდიტორიას, რომელიც მოწყვლადია, ან შესაძლოა, სიძულვილის ენის სამიზნე იყოს, როგორებიცაა: ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და დაბალი განათლების მქონე ადამიანები. ამ დაგეგმილი და მიზნობრივი ღონისძიებების ბალანსი ან კომბინაცია, სავარაუდოდ, შესაძლოა, სხვადასხვა არჩევნების მიხედვით განსხვავდებოდეს. საპრეზიდენტო არჩევნების დროს, სადაც ყურადღება რამდენიმე კანდიდატზეა გამახვილებული, და წინასაარჩევნო კამპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდება, შესაძლოა, სხვა ზომების გატარება იყოს საჭირო, ვიდრე საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების დროს, როდესაც დეცენტრალიზებული კამპანიები ტარდება მთელ ქვეყანაში.

ცესკო-მ უნდა განიხილოს მათი საინფორმაციო კამპანია, როგორც გრძელვადიანი პროცესი არჩევნებში ჩართული მხარეებისა და მოქალაქეების განათლებისთვის. სამოქალაქო წიგნიერების დონე უნდა გაიზარდოს; ამ გზით მიღწეული იქნება საზოგადოების სიძულვილის ენისა და ძალადობისკენ მოწოდებების მიმართ დაუცველობის შემცირება გრძელვადიან პერსპექტივაში.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებში ასახულია კარგი პრაქტიკა, რომლის გამოყენებაც სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ სიძულვილის ენის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და სიძულვილის ენაზე საჯაროდ რეაგირების მიზნით.

ცხრილი 14. ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N°15 სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: სამოქალაქო განათლება

ევროპის საბჭოს/ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

სახელმწიფო მოხელეები ხელს უწყობენ ცნობიერების ამაღლებას სი-

ძულვილის ენის შესახებ და მის წინააღმდეგ გამოდიან. კერძოდ, ისინი ვალდებული არიან:

ხელი შეუწყონ მრავალფეროვნების უკეთ გააზრებასა და დიალოგს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის ჩარჩოს ფარგლებში;

ხელი შეუწყონ და წარმოაჩინონ საზოგადოებაში არსებული ორმხრივი პატივისცემა და ურთიერთგაგება;

ხელი შეუწყონ და წარმოაჩინონ კულტურათაშორისი დიალოგი;

ებრძოლონ დეზინფორმაციას, უარყოფით სტერეოტიპებსა და სტიგმატიზაციას;

შეიმუშაონ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები ბავშვებისათვის, ახალგაზრდებისთვის, საჯარო მოხელეებისა და ფართო საზოგადოებისათვის და გააძლიერონ მასწავლებლებისა და განმანათლებლების კომპეტენცია მათი განხორციელების კუთხით;

მხარი დაუჭირონ არასამთავრობო ორგანიზაციებს, თანასწორობის ორგანოებსა და ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, **რომლებიც სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით მუშაობენ;**

წაახალისონ საჯარო პირებისა და, განსაკუთრებით, პოლიტიკოსების, რელიგიური და სათემო ლიდერების სიძულვილის ენაზე სწრაფი რეაგირება, რომელიც არა მხოლოდ გმობს სიძულვილის ენას, არამედ მიზნად ისახავს იმ ფასეულობების განმტკიცებას, რომელთაც სიძულვილის ენის გამოყენება უქმნის საფრთხეს;

წაახალისონ დამნაშავეები, რომ დაგმონ და უარყონ სიძულვილის ენის გამოყენება და დაეხმარონ მათ იმ ჯგუფების დატოვებაში, რომლებიც სიძულვილის ენას იყენებენ.

4.6. პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის დანერგვა და აღსრულების მონიტორინგი - პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისათვის სანქციების დაკისრება კოდექსის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში

ცესკო-მ შეიძლება წაახალისოს პოლიტიკური პარტიები, რომ ქცევის კოდექსს მიუერთდნენ და მისი მოთხოვნები შეასრულონ. ასეთი ქცევის კოდექსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- იმის ხაზგასმას, რომ ტოლერანტობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა არის დემოკრატიის ქვაკუთხედი, და რომ საარჩევნო კამპანია არის გადამწყვეტი გამოცდა დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებისთვის;
- პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე ვალდებულების დაკისრებას, გამოვიდეს სიძულვილის ენის წინააღმდეგ, და ეს გზავნილი ასევე მათ მხარდამჭერებს შორის გაავრცელოს;
- მოწოდებას პოლიტიკური პარტიების მიმართ შიდა წესდების გადასინჯვისკენ, სიძულვილის ენის ამკრძალავი დებულებების ჩართვის მიზნით;
- პოლიტიკური პარტიებისგან იმის მოთხოვნას, რომ თავიანთ პროგრამებში თავი შეიკავონ დისკრიმინაციული ენის გამოყენებისა და დისკრიმინაციული პოლიტიკისა და კანონების შეთავაზებისგან;
- პოლიტიკური პარტიების, მათი კანდიდატებისა და მხარდამჭერების დავალდებულებას, თავი შეიკავონ სიძულვილის ენის ნებისმიერი ფორმისგან, ანუ პიროვნების ან ადამიანთა ერთი ჯგუფის უპირატესობის აღიარებისა და მხარდაჭერისგან.

ქცევის კოდექსთან მიერთების პარალელურად უნდა ჩატარდეს ტრენინგი, იქნება ეს ონლაინ-, თუ პირისპირ (იხილეთ შემდეგი თავი).

ქცევის კოდექსები ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მონიტორინგი ხორციელდება და მათი შეუსრულებლობისთვის სანქციებია გათვალისწინებული. იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ქცევის კოდექსს, სანქციები უნდა დაეკისროთ ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში. სანქციები შეიძლება განსხვავდებოდეს და, მაგალითად, გათვალისწინებული იყოს ბილბორდებიდან ან სოციალური

მედიიდან სიძულვილის ენის შემცველი შინაარსის ამოღება, ჯარიმების დაკისრება ან არჩევნებში მონაწილეობიდან გამორიცხვა (ანუ რეგისტრაციაზე უარის თქმა/რეგისტრაციის გაუქმება).

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებში ასახულია კარგი პრაქტიკა, რომელიც შეეხება სახელმწიფო მოხელეების მხრიდან პოლიტიკური აქტორების თვითრეგულირების მხარდაჭერას.

ევროპის საბჭოს/ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

ცხრილი 15. ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N°15 სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: ქცევის კოდექსი და სანქციები, სამოქალაქო განათლება

ევროპის საბჭოს/ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

სახელმწიფო მოხელეები უზრუნველყოფენ სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტების (მათ შორის არჩეული ორგანოების, პოლიტიკური პარტიების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კულტურული და სპორტული ორგანიზაციების) მიერ თვითრეგულირების მხარდაჭერას. მათ უნდა:

ხელი შეუწყონ **ქცევის შესაბამისი კოდექსების მიღებას,** რომლებიც ითვალისწინებენ სამსახურიდან დათხოვნასა და სხვა სანქციებს დებულებების დარღვევის გამო, ასევე, შეტყობინების ეფექტიან არხებს;

წაახალისონ პოლიტიკური პარტიები, რომ ხელი მოაწერონ ევროპის პოლიტიკურ პარტიათა ქარტიას არარასისტული საზოგადოებისთვის;

ხელი შეუწყონ **დეზინფორმაციის, უარყოფითი სტერეოტიპებისა და სტიგმატიზაციის მონიტორინგს;**

წაახალისონ ამ კოდექსების დარღვევის ცალსახა დაგმობა;

მხარი დაუჭირონ შესაფერის ტრენინგს, როგორც სიძულვილის ენის მნიშვნელობისა და უარყოფითი შედეგების შესახებ, ისე სიძულვილის ენისთვის წინააღმდეგობის გაწევის გზებზე;

ხელი შეუწყონ და დაეხმარონ საჩივრების მექანიზმების შექმნას;

პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც იყენებენ სიძულვილის ენას ან არ ახდენენ მისი წევრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების სანქცირებას, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გაუუქმონ ნებისმიერი ფინანსური და სხვა ფორმის მხარდაჭერა და, გაერთიანების უფლების პატივისცემის გათვალისწინებით, უზრუნველყონ ასეთი ორგანიზაციის აკრძალვის ან ლიკვიდაციის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, იღებენ თუ არა ისინი რაიმე ფორმის მხარდაჭერას სახელმწიფო ორგანოებისგან, იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ სიძულვილის ენის გამოყენება მიზნად ისახავს, ან, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ წაახალისებს ძალადობრივ ქმედებებს, ზეწოლას, მტრობას ან დისკრიმინაციას მათ მიმართ, ვის წინააღმდეგაც სიძულვილის ენა არის მიმართული.

4.7. პოლიტიკური პარტიების წევრების, დამოუკიდებელი კანდიდატების, საჯარო მოხელეების, მთავრობის კომუნიკაციების ოფიცრებისა და საარჩევნო დამკვირვებლების სწავლება

ცესკო-მ, თუ მას ასეთი მანდატი დაეკისრება, უნდა ჩაატაროს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების, დამოუკიდებელი კანდიდატების, მედიის წარმომადგენლების, ჩართული სამინისტროების კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი თანამშრომლებისა და საარჩევნო დამკვირვებლების ტრენინგები. ამ ტრენინგების საერთო მიზანი უნდა იყოს სიძულვილის ენის, მისი ფორმებისა და შედეგების, მარეგულირებელი მიდგომების და, ასევე, არამარეგულირებელი კონტრზომების შესახებ ცოდნის ამაღლება და ერთგვაროვანი გაგების მიღწევა. ზოგადად, ნებისმიერ ტრენინგი შემდეგ შინაარსს უნდა ითვალისწინებდეს:

- რა არის სიძულვილის ენის კამპანია?
- რა დამოკიდებულებები და მრწამსი უდევს მას საფუძვლად?
- როდის გადაიზრდება სიძულვილის ენა სიძულვილის დანაშაულებში?
- რა სანქციებია გათვალისწინებული სიძულვილის ენის კამპანიისთვის?
- რა ინდივიდუალური და კოლექტიური შედეგები მოაქვს ერთმანეთის წინააღმდეგ უსაზღვრო ნეგატიურ კამპანიას? (ასეთი გამონათქვამების ავტორისთვის, მსხვერპლთათვის, მიზანში ამოღებული ინსტიტუტებისთვის, ფართო საზოგადოებისთვის)?
- ვის უნდა მიმართოს პირმა, თუ იგი სიძულვილის ენას დაექვემდე-

ბარა, ან ასეთი შემთხვევა გამოავლინა?

- რა კონკრეტული როლი ეკისრებათ მსმენელებს სიძულვილის ენის შეზღუდვის/პრევენციის საქმეში?

პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისთვის გათვალისწინებული ტრენინგების ფარგლებში შეიძლება დამატებით შემდეგი შინაარსი იყოს შეთავაზებული:

- პოლიტიკურ პარტიებს, მათ კანდიდატებსა და მხარდამჭერებს უნდა წარედგინოთ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ მათი ამჟამინდელი მიდგომა ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის არ არის მისაღები. ისინი ცდებიან, როდესაც მიაჩნიათ, რომ, რაც უფრო აგრესიულია კამპანია, მით უფრო ამჩნევენ მათ თავიანთი ამომრჩევლები. თუმცა საზოგადოებრივი აზრის კვლევები (იხ., აგრეთვე, ნაწილი 4.3.2) აჩვენებს, რომ საზოგადოებას განსხვავებული მოლოდინები აქვს წინასაარჩევნო კამპანიის მიმართ; მათ სურთ, გაიგონ, თუ რა პოზიცია აქვთ პოლიტიკურ პარტიებს და მათ კანდიდატებს (რა არის მათი საარჩევნო პროგრამა); მოქალაქეთა უმრავლესობა არ არის დაინტერესებული სიძულვილის ენის კამპანიით.
- გარდა ამისა, პოლიტიკური პარტიების, მათი კანდიდატებისა და მხარდამჭერების ყურადღება უნდა გამახვილდეს სიძულვილის ენის მოკლევადიან და გრძელვადიან ზემოქმედებაზე. არგუმენტები შეიძლება შემდეგი იყოს: „სიძულვილის ენა მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში მოუტანს სარგებელს თქვენს პარტიას და თავად თქვენ. თქვენ იქცევთ უარყოფით ყურადღებას. გრძელვადიან პერსპექტივაში ამას უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი: ამას შედეგად მოჰყვება აგრესია; ეს ზრდის დაძაბულობას წინასაარჩევნო კამპანიის დროს; ზიანს აყენებს თქვენს პირად ცხოვრებას (თქვენს რეპუტაციას საფრთხე ემუქრება, გდევნიან) და საფრთხეს უქმნის მიზანში ამოღებული პირების სიცოცხლეს (უკვე იყო ადამიანების მკვლელობის შემთხვევები).“
- ქალი კანდიდატები განსაკუთრებით საჭიროებენ ტრენინგის გავლას. ისინი ხშირად ხდებიან სიძულვილის ენის სამიზნეები, კიბერდანაშაულების მსხვერპლნი, ან განიცდიან გენდერულ დისკრიმინაციას სხვა კანდიდატებისა და მედიის მხრიდან. მათ უნდა მიეცეთ მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა ყველა იმ გამოწვევის თაობაზე, რომელთა წინაშეც ისინი შეიძლება

აღმოჩნდნენ, და იმის თაობაზე, თუ რა ზომების მიღება შეუძლიათ მათ პროაქტიულად, როდესაც თავად არ არიან სიძულვილის ენის წყარო.

საჯარო მოხელეების ტრენინგი, რომელიც, ჩვეულებრივ, ფოკუსირებულია მათ როლზე საარჩევნო კამპანიაში, შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს სიძულვილის ენის შესახებ:

- საჯარო მოხელეები ინფორმირებული უნდა იყვნენ არა მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების, არამედ არჩევნებზე სიძულვილის ენის გავლენის შესახებ. მთავარი გზავნილი შეიძლება იყოს: „მაშინაც კი, თუ თქვენ, როგორც ამომრჩეველი, მხარს უჭერთ პოლიტიკურ პარტიას, თქვენი, როგორც საჯარო მოხელის, პასუხისმგებლობა გაცილებით მაღალია; კანონმდებლობის მიხედვით, თქვენ შეზღუდული ხართ პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ/სასარგებლოდ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის თვალსაზრისით. თქვენ ფხიზლად უნდა იყოთ სიძულვილის ენის გამოვლინებების მიმართ! როდესაც თქვენ მხარს უჭერთ პოლიტიკურ პარტიას, თქვენ ვალდებული ხართ, უზრუნველყოთ, რომ თავად არ შეიტანოთ წვლილი სიძულვილის ენის გავრცელებაში!“

ჩართული სამინისტროების **კომუნიკაციის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების** ტრენინგი შემდეგ საკითხებზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას:

- კომუნიკაციის ოფიცრებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ წინასაარჩევნო კამპანიის დროს სიძულვილის ენის გავრცელების აღკვეთასა და სიძულვილის ენაზე სათანადო რეაგირების თვალსაზრისით. ნებისმიერ მწვავე სიძულვილის ენის ინციდენტებზე (როგორიცაა, მაგალითად, მოწოდება ადამიანის მკვლელობისკენ) დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეაგირება, რაც სწორად უნდა აისახოს სახელმწიფო უწყებების კომუნიკაციის ოფიცრების განცხადებებში.

ტრენინგების შემდეგ ცესკო-მ უნდა ჩაატაროს ზემოქმედების შეფასება, რათა შეაფასოს, უწყობს თუ არა ტრენინგები ხელს ცნობიერების ამაღლებას, სიძულვილის ენის ინციდენტების რაოდენობის შემცირებას და სიძულვილის ენასთან ბრძოლაზე მიმართული კარგი პრაქტიკის დანერგვას.

4.8. საკანონმდებლო ცვლილებების ლობირება

ცესკო-მ უნდა გააანალიზოს სიძულვილის ენის შესახებ არსებული კანონმდებლობა და შესთავაზოს რეკომენდაციები წინასაარჩევნო კამპანიაში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება შემდეგს მოიცავდეს:

„სიძულვილის ენისა“ და „დისკრიმინაციის წაქეზების“ ცნებების განსაზღვრას, მიკერძოებული მოტივის ხაზგასმას, და იმ დიდი ზიანის მიყენების პოტენციალის აღიარებას, რომელსაც სიძულვილის დანაშაული იწვევს;

პოლიტიკური პარტიების, მათი კანდიდატებისა და მათი მხარდამჭერებისთვის ნაციონალურ, რასობრივ, სექსუალურ, რელიგიურ ან სხვა მახასიათებლებზე დაფუძნებული სიძულვილის ყოველგვარი ადვოკატირების აკრძალვას, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას - ონლაინ- და ოფლაინ-;

კანდიდატების კონსტიტუციითა და საერთაშორისო კონვენციებით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების აღიარებას;

სიძულვილის ენის გამოყენების რეგულირებას მთელი საარჩევნო ციკლის განმავლობაში (წინასაარჩევნო, არჩევნების დღეს, ხმების დათვლისა და შეჯამების პერიოდში), და არა მხოლოდ არჩევნების კონკრეტულ ფაზებზე;

სიძულვილის ენის კრიმინალიზაციას ბეჭდურ და ციფრულ მედიაში, რაც უზრუნველყოფს ინტერნეტპროვაიდერების, მედიამფლობელების/კომპანიებისა და სოციალური მედიის ქსელების/პლატფორმების ანგარიშვალდებულებას;

სახელმწიფო მოხელეებისთვის სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციაში ჩართვის აკრძალვას და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისგან სიძულვილის ენის წინააღმდეგ ზომების გატარების მოთხოვნას;

დამნაშავეებზე ადეკვატური სასჯელების/სანქციების დაკისრებას.

4.9. მედიის წახალისება, რათა პროფესიონალურად გააშუქონ წინასაარჩევნო კამპანია

ცესკო-მ თავისი საინფორმაციო ღონისძიებებით უნდა მოიცვას ტრადიციული და ონლაინმედია, მედიაკომპანიები და მფლობელები, სოციალური მედიაქსელები, ჟურნალისტთა ასოციაციები და ჟურნალისტები. ეს შეიძლება განხორციელდეს საკონსულტაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ფორმით. კერძოდ, ცესკო-მ შემდეგ საკითხებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება:

- ცესკო-მ უნდა აამაღლოს მედიის ცნობიერება მათი **მნიშვნელოვანი როლის შესახებ წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში**. ცესკო-ს შეუძლია, გამოიყენოს შემდეგი ფორმულირებები: „არჩევნებს არ ატარებენ მხოლოდ საარჩვნო ადმინისტრაციები, ამ მხრივ მედიასაც განსაკუთრებული როლი ენიჭება; მათ უნდა უზრუნველყონ თანაბარი პლატფორმა ყველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატისთვის წინასაარჩევნო კამპანიის დროს; ისინი უნდა იყვნენ დაბალანსებული და სამართლიანი არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას“.

ჟურნალისტებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი ადამიანების და ადამიანთა ჯგუფების პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე, და ისინი აღჭურვილი უნდა იყვნენ ცოდნით სიძულვილის ენის, მისი ფორმებისა და მექანიზმების შესახებ. მათ უნდა იცოდნენ, თუ რა **გავლენას** ახდენს სიძულვილის ენა **საარჩევნო პროცესზე,** ასევე, როგორც ცალკეულ ადამიანებზე, ისე ქვეყნის გრძელვადიან დემოკრატიულ განვითარებაზე. ხაზი უნდა გაესვას, რომ მედია გადამწყვეტ როლს ასრულებს დიალოგისა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობაში. გარდა ამისა, მათ უნდა განუმარტონ სიტყვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის არსებული ვიწრო გამყოფი ხაზის თაობაზე.

წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას ჟურნალისტები სენსიტიურები უნდა იყვნენ **კონფლიქტებისა და გენდერული ასპექტების** მიმართ, ასევე, მულტიკულტურული თვალსაზრისით ინფორმირებულები უნდა იყვნენ. მათ თავი უნდა შეიკავონ მედიაში ნებისმიერი რასისტული და დისკრიმინაციული ენის გამოყენებისგან. სიძულვილის ენა, განსაკუთრებით ჰედლაინებსა და ახალი ამბების სათაურებში, იწვევს მტრობას და დისკრიმინაციულ განწყობებს, იმავდროულად, კიდევ უფრო ამყარებს სტერეოტიპებს და ხელს უწყობს საზოგადოებაში ცრუ წარმოდგენების გავრცელებას. არჩევ-

ნების პროცესში სიძულვილის ენის გამოყენების ინციდენტების გაშუქებისას ჟურნალისტებმა სათანადო ახსნა-განმარტებები უნდა გააკეთონ და კრიტიკული მოსაზრებები გამოხატონ კონტექსტთან დაკავშირებით.

ხაზი უნდა გაესვას, რომ ჟურნალისტებმა უნდა დაიცვან **პროფესიული სტანდარტები.** კერძოდ, განსაკუთრებით წინასაარჩევნო კამპანიების დროს მათ უნდა დაწერონ სტატიები, გაუშვან გადაცემები და ისაუბრონ ხალხთან ისე, რომ არ დაიკავონ რომელიმე ერთი მხარის პოზიცია, არ მოხვდნენ ისეთ მახეში, როდესაც სიტუაციას მოიაზრებენ როგორც „ჩვენ“ „მათ“ წინააღმდეგ. მედიის ეთიკის შესახებ ნებისმიერი შემდგომი განათლება ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ჟურნალისტების უფლებებსა და თავისუფლებებზე, მათ როლზე მშვიდობიანი საზოგადოებების შექმნასა და ხელშეწყობაში.

- ჟურნალისტთა ორგანიზაციებმა და მედიის მარეგულირებლებმა უნდა უზრუნველყონ **მედიაკონტენტის მონიტორინგი,** განახორციელონ წინასაარჩევნო კამპანიის დროს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების დოკუმენტირება და ანგარიშგება. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ნებისმიერი პუბლიკაცია, რომელიც სიძულვილის ენას შეეხება, უნდა მომზადდეს პასუხისმგებლობით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ახსნა-განმარტებები, კონტექსტის კრიტიკული ანალიზი.
- ჟურნალისტები პროაქტიულად უნდა ჩაერთონ მედიაში **სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში,** როგორც ონლაინ-, ისე ოფლაინგარემოში, ეთიკის სტანდარტების პოპულარიზაციის გზით, გამოხატვის თავისუფლების პატივისცემის ვალდებულების დაცვით. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ „თითოეულ ადამიანს შეუძლია ცვლილებების გამოწვევა“.
- მედიის მფლობელებმა/კომპანიებმა უნდა მოახდინონ რეაგირება საარჩევნო კამპანიის დროს მედიაში სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებულ დარღვევებზე. სიძულვილის ენა უნდა შეიზღუდოს დებატებსა და სატელევიზიო ამბებში; სიძულვილის ენას კიდევ უფრო დამანგრეველი გავლენა აქვს სოციალური მედიის საშუალებით მისი გავრცელების შემთხვევაში, თუ იგი არ იქნება სანქცირებული.

ხელი უნდა შეეწყოს **სიძულვილის ენაზე რეგულირების გზით რეაგირებას,** განსაკუთრებით ინტერნეტით მისი გავრცელების კონტექსტში. პრესის თავისუფლების უფლების შეზღუდვის გარეშე, მკაფიოდ უნდა დადგინდეს

სტანდარტები, რომლებიც მოუწოდებენ მედიის მფლობელებს/ინტერნეტპლატფორმებს, წაშალონ სიძულვილის ენის შემცველი კონტენტი და გაკიცხონ ჟურნალისტები, რომლებიც უგულებელყოფენ ეთიკის კოდექსებს. (იხ., აგრეთვე, ნაწილი სიტყვის თავისუფლების შესახებ - 4.1.3.).

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებში ასახულია კარგი პრაქტიკა იმ მხარდაჭერის თაობაზე, რომელიც სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ, უზრუნველყონ მედიის რეგულირების სფეროში.

ცხრილი 16. ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N15 სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: მედიის რეგულირება

სახელმწიფო მოხელეები იყენებენ მარეგულირებელ უფლებამოსილებას მედიასთან მიმართებით (ინტერნეტპროვაიდერების, ონლაინშუამავლების და სოციალური მედიის ჩათვლით):

- უზრუნველყონ, ამ მიზნისთვის შესაფერისი, არსებული უფლებამოსილების ეფექტიანი გამოყენება და, იმავდროულად, არ უგულებელყონ თვითრეგულირების მექანიზმები;
- ხელი შეუწყონ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით **ქცევის კოდექსის მიღებასა და გამოყენებას,** და/ან მათი გამოყენების პირობების განსაზღვრას, ასევე, შეტყობინების ეფექტიანი არხების არსებობას;
- ხელი შეუწყონ **სიძულვილის ენის გამოყენებისა და გავრცელების** მონიტორინგსა და დაგმობას;
- **ხელი შეუწყონ, საჭიროების შემთხვევაში, შინაარსის შეზღუდვების, სიტყვების გამფილტრავი ბოტებისა და სხვა მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენებას;**
- ხელი შეუწყონ **რედაქტორების, ჟურნალისტებისა და მედიაორგანიზაციებში მომუშავე სხვა პირების სათანადოდ მომზადებას** სიძულვილის ენის ბუნებისა და სიძულვილის ენასთან დაპირისპირების გზების შესახებ;
- ხელი შეუწყონ და დაეხმარონ **გასაჩივრების მექანიზმების შექმნას;**
- წაახალისონ მედიასფეროში მომუშავე სპეციალისტები, რათა ხელი შეუწყონ ეთიკურ ჟურნალისტიკას.

ხელისუფლების წარმომადგენლები განმარტავენ სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით პასუხისმგებლობის ფარგლებსა და გავრცელებას სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებულ შემთხვევებზე:

- **განსაზღვრონ სიძულვილის ენის ავტორების,** ინტერნეტსერვისის პროვაიდერების, ვებფორუმებისა და ჰოსტების, ონლაინშუამავლების, სოციალური მედიაპლატფორმების, ონლაინშუამავლების, ბლოგების მოდერატორებისა და მსგავსი როლის განმახორციელებელი სხვა პირების კონკრეტული პასუხისმგებლობები;

- უზრუნველყონ ვებზე ხელმისაწვდომი **მასალიდან სიძულვილის ენის წაშლის მოთხოვნისა და იმ საიტების დაბლოკვის უფლებამოსილების არსებობა,** რომლებიც სიძულვილის ენას იყენებენ;

- უზრუნველყონ უფლებამოსილების არსებობა, რომ მედიაგამომცემლებს (ინტერნეტპროვაიდერების, ონლაინშუამავლებისა და სოციალური მედიის პლატფორმების ჩათვლით) მოსთხოვონ, გამოაქვეყნონ აღიარება, რომ მათ მიერ გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენდა სიძულვილის ენას.

4.10. ცესკო-ს საქმიანობის ზეგავლენა სიძულვილის ენის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართული ზომების განხორციელებაზე

ცესკო-მ კრიტიკულად უნდა შეაფასოს წინასაარჩევნო კამპანიაში სიძულვილის ენის წინააღმდეგ მიმართული თავისი საქმიანობა:

- მოხდა თუ არა წინასაარჩევნო კამპანიის დროს სიძულვილის ენის პროფესიული მონიტორინგი? შეიმუშავეს თუ არა დამკვირვებლებმა რეკომენდაციები, რომლებიც ცესკო-მ მიიღო და განახორციელა?
- ისაუბრა თუ არა ცესკო-მ საჯაროდ სიძულვილის ენის წინააღმდეგ წინასაარჩევნო კამპანიებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალები იყვნენ მისი სამიზნე?
- თანამშრომლობდა თუ არა ცესკო შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან სიძულვილის ენის შემთხვევების შემდგომ მონიტორინგსა და მართვასთან დაკავშირებით?
- იყო თუ არა ცესკო-ს საინფორმაციო კამპანია კონფლიქტებისა

და გენდერული ასპექტების მიმართ მგრძნობიარე? ხელი შეუწყო თუ არა ამან სიძულვილის ენის გამოყენების შემცირებას წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში?

- ჩაუტარდათ ტრენინგი არჩევნებში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს (პოლიტიკური პარტიები, დამოუკიდებელი კანდიდატები, საჯარო მოხელეები, სამთავრობო უწყებების კომუნიკაციის საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომლები და წინასაარჩევნო დამკვირვებლები)? შეიძინეს თუ არა მათ ცოდნა და უნარები სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში?
- გააცნეს თუ არა ქცევის კოდექსი პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს? ხორციელდებოდა თუ არა ქცევის კოდექსის შესრულების მონიტორინგი? მოხდა სანქციების დაკისრება?
- ლობირებდა თუ არა ცესკო საკანონმდებლო ცვლილებებს? თუ ასეა, იყო თუ არა ცესკო წარმატებული?
- მედიასთან თანამშრომლობის რა ფორმა იყო წარმატებული? რა შეიცვალა/განსხვავებულად გააკეთა მედიამ ცესკო-სთან ურთიერთობის შედეგად?

რეკომენდაციები

ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ზომებში ჩართულობა გრძელვადიანი ძალისხმევაა. ბევრმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე წარმართა ძალისხმევა სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაზე. თუმცა საჭიროა დამატებითი ზომების გატარება - სიძულვილის ენის შესახებ ზოგადი ინფორმირებულობისა და ცოდნის ამაღლება, კონკრეტულად კი, საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ და წინასაარჩევნო კამპანიებში სიძულვილის ენის გამოყენების შესამცირებლად. ცესკო-მ შემდეგი მიმართულებით უნდა გააძლიეროს თავისი ძალისხმევა:

- წაახალისოს სახელმწიფო და არასახელმწიფო დაინტერესებული მხარეები, რათა პროაქტიულად განახორციელონ სამიზნე ჯგუფების მიმართ სიძულვილის ენის მონიტორინგი, ამ შემთხვევების დოკუმენტირება, და ხელი შეუწყონ ამ ჯგუფების მიერ ასეთი შემთხვევების შესახებ შეტყობინებას;
- რეგულარულად შეხვდეს საარჩევნო პროცესებში მონაწილე მხარეებს სიძულვილის ენის საკითხების განსახილველად, რათა მიღწეულ იქნეს ყველა დაინტერესებული მხარის დამოკიდებუ-

ლებების/რიტორიკის გარდაქმნა;

- წაახალისოს საარჩევნო პროცესებში მონაწილე მხარეები, მონაწილეობა მიიღონ ცესკო-ს ტრენინგებში, ან თავად ჩაატარონ ტრენინგები სიძულვილის ენის შესახებ;
- მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიების ჩატარება სიძულვილის ენის განსაკუთრებული ხასიათის, მისი ფორმებისა და მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- ლობირება შესაბამისი ორგანოების წინაშე, რათა გაიზარდოს მათი შესაძლებლობები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანად გამოვლენის, დოკუმენტირების, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კონტექსტში;
- ლობირება, რათა მსხვერპლნი დაცულნი იყვნენ, ჰქონდეთ მართლმსაჯულებისადმი სრული ხელმისაწვდომობა და მიიღონ მათთვის საჭირო სპეციალიზებული დახმარება;
- საკანონმდებლო ცვლილებების ლობირება, მიკერძოების მოტივის ხაზგასმა და დამნაშავეებზე ადეკვატური სასჯელების დაკისრება.

ბიბლიოგრაფია

ევროპის საბჭოს ონლაინკურსი სიძულვილის ენის შესახებ

ევროპის საბჭოს ელექტრონული სწავლების კურსი - HELP კურსი სიძულვილის ენის შესახებ: http://help.elearning.ext.coe.int/course/index.php?categoryid=100 (14.12.2021).

ევროპის საბჭოს ვებგვერდი სიძულვილის ენის შესახებ

ევროპის საბჭოს ვებგვერდი სიძულვილის ენის შესახებ იხილეთ: https://www.coe.int/en/web/freedom-expression/hate-speech (14.12.2021).

ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული ქვეყნების შეფასებები

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დისკრიმინაციის, სიძულვილის დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაძლიერება: https://go.coe.int/9JXIg (14.12.2021).

სიძულვილის დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართვე-

ლოში: დამოკიდებულებები და ცნობიერება. 2018 წელი, იხილეთ: https://www.coe.int/en/web/tbilisi/fighting-discrimination-hate-crime-and-hate-speech-in-georgia (14.12.2021).

სიძულვილის ენის შესახებ კანონებისა და სომხეთის კანონმდებლობის შედარებითი კვლევა 2020 წ. https://rm.coe.int/final-report-on-reforming-armenian-hate-speech-laws-en-1-/pdf/1680a0b84e (14.12.2021).

ECRI - მოლდოვის რესპუბლიკის მონიტორინგის ანგარიში, იხილეთ: https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/republic-of-moldova (14.12.2021).

ECRI - საქართველოს მონიტორინგის ანგარიში, იხილეთ: https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/georgia (14.12.2021).

ევროპის საბჭოს სტანდარტები და პოლიტიკა

„მშვიდად ილაპარაკე! სიძულვილის ენა არ არის ვარიანტი!“, 2020, იხილეთ:

„ისაუბრე ისე, რომ მშვიდობას შეუწყო ხელი! სიძულვილის ენა დაუშვებელია!“, 2020 წ., იხილეთ: https://rm.coe.int/speak-peace-final-screen-eng/1680a1c652 (14.12.2021).

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N R (97) 20 წევრი ქვეყნისადმი „სიძულვილის ენის შესახებ“, იხილეთ: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=0900001680505d5b (14.12.2021).

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N R (97) 21 წევრი სახელმწიფოსადმი მედიისა და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობის შესახებ, იხილეთ: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168050513b (14.12.2021).

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2019)1 წევრი სახელმწიფოებისადმი სექსიზმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იხილეთ: https://www.coe.int/en/web/genderequality/combating-and-preventing-sexism (14.12.2021).

ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N6 ინტერნეტის საშუალებით რასისტული, ქსენოფობიური და ანტისემიტური მასალების გავრცელების

წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იხილეთ: https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/recommendation-no.6 (14.12.2021).

ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N15 სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იხილეთ: https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/recommendation-no.15 (14.12.2021).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: გზამკვლევი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის შესახებ: გამოხატვის თავისუფლება, 2020 წ., იხილეთ: https://www.echr.coe.int (14.12.2021).

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)

ეუთოს ვებგვერდი სიძულვილის ენის შესახებ, https://www.osce.org/fom/hate-speech (14.12.2021).

ACE პროექტი

სიძულვილის ენის შესახებ საერთაშორისო და შედარებითი სამართალი, იხილეთ: https://aceproject.org/ace-en/topics/me/mea/mec03d/mec03d03 (14.12.2021).

სიძულვილის ენისა და ცილისწამების პოლიტიკა, იხილეთ: https://aceproject.org/ace-en/topics/me/mea/mec03d/default (14.12.2021).

სიძულვილის ენის შესახებ ანგარიშგება, იხილეთ: https://aceproject.org/ace-en/topics/me/mef/mef04/mef040c/mef03e (14.12.2021).

სიძულვილის ენა - მარეგულირებლის ოპერაციები, იხილეთ: https://aceproject.org/ace-en/topics/me/mea/mec03d/mec03d03 (14.12.2021).

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტები და პოლიტიკა

ადამიანის უფლებათა საბჭო: უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფი, 2021 წლის 18–29 იანვარს გამართული ოცდამეშვიდე სესია, კრებული საქართველოს შესახებ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ანგარიში, https://undocs.org/a/hrc/wg.6/37/geo/2

IFES / ვასუ მოჰანი / კატერინა ბარნესი: არჩევნების პროცესში სიძულვილის ენის გამოყენებასთან ბრძოლა: სტრატეგიები არჩევნების მართვის

ორგანოებისთვის, 2018, იხილეთ: https://aceproject.org/today/feature-articles/countering-hate-speech-in-elections-strategies-for (14.12.2021).

გაერო: სიძულვილის ენის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2019, იხილეთ: https://www.un.org/en/genocideprevention/hate-speech-strategy.shtml (14.12.2021).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებები COVID-19-თან დაკავშირებული სიძულვილის ენის პრობლემის აღმოფხვრისა და მასთან ბრძოლის შესახებ, 2020 წლის 11 მაისი, იხილეთ: https://www.un.org/en/genocideprevention/hate-speech-strategy.shtml (14.12.2021).

დამატებითი საკითხავი ლიტერატურა

Equinet: საარჩევნო კამპანიებში დისკრიმინაციასა და სიძულვილის ენასთან ბრძოლა, 2019, იხილეთ: https://equineteurope.org/combatting-discrimination-and-hate-speech-in-election-campaigns/ (14.12.2021).

ნიუტონ ლი, კონტრტერორიზმი და კიბერუსაფრთხოება: სრული ინფორმაციული ცნობიერება, 2013 წ.

ასოციაცია Promo-LEX (მოლდოვის არასამთავრობო ორგანიზაცია): მონიტორინგის ანგარიში თემაზე „სიძულვილის ენა და დისკრიმინაციის წაქეზება საჯარო სივრცესა და მედიაში“, 2020 წ.

სალა-მაარია ლააკსონენი და სხვები: სიძულვილის ენის შესახებ მონაცემთა წარმოება: მოლოდინები და გამოწვევები სიძულვილის ენის ავტომატიზებული მონიტორინგის სფეროში, 2020 წ., იხილეთ: https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fdata.2020.00003/full (14.12.2021).

საქართველო: სიძულვილის ენის მონიტორინგი

ISFED: სოციალური მედიის მონიტორინგი - მეოთხე შუალედური ანგარიში, 2021 წელი, იხილეთ: https://isfed.ge/eng/angarishebi/sotsialuri-mediis-monitoringis-meotkhe-shualeduri-angarishi (14.12.2021).

კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2020 წ. https://comcom.ge/ (14.12.2021).

UNDP: არჩევნების მედიამონიტორინგი: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში. 2020 წ. https://www.ge.undp.org/content/

georgia/en/home/library/democratic_governance/gender-hate-speech.html (14.12.2021).

საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი): თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის საფუძველზე შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ერთობლივი ანგარიშის გამოქვეყნების შესახებ, 2020 წლის ოქტომბერი-დეკემბერი, იხილეთ: https://www.geostat.ge/en/modules/categories/680/hate-crimes-statistics (14.12.2021).

სიძულვილის ენა სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ: პოლარიზაცია და პლურალიზმი ქართულ მედიაში, 2020 წელი, იხილეთ: https://www.disruptionlab.org/hate-news-vs-free-speech (14.12.2021).

ODIHR, საქართველოში სიძულვილის დანაშაულის შესახებ ანგარიშგების თვალსაზრისით არსებული ვითარება, იხილეთ: https://hatecrime.osce.org/georgia?year=2020 (14.12.2021).

III თავი
საქართველოს გამოცდილება: სიძულვილის ენა არჩევნებში - კანონმდებლობა, ინსტიტუციური ჩარჩო და პრაქტიკა

ლელა ტალიური

იუხისტი, ახჩევნების საკითხების სპეციაღისტი, ადამიანის უფღებათა თეოხიისა და პხაქტიკის მაგისტხი, ევხოპის საბჭოს ექსპეხტი

I. სიძულვილის ენა - ზოგადი მიმოხილვა

ამ თავში ჩვენ მიმოვიხილავთ სიძულვილის ენის მარეგულირებელ კანონმდებლობას საქართველოში, ასევე შესაბამის ინსტიტუციურ ჩარჩოს და პრაქტიკას, რომელიც არჩევნებში სიძულვილის ენის გამოყენებას უკავშირდება.

სიძულვილის ენის რეგულირებასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი სტანდარტი და სამართლებრივი მიდგომა.[175] სიძულვილის ენა განსხვავებულადაა რეგულირებული სხვადასხვა სახელმწიფოში.[176]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წლის რეკომენდაციით, „სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და

175 სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. 2014. 3. www.gdi.ge

176 იქვე, 3.

უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.“[177] ამავე რეკომენდაციის თანახმად, „წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა ჯანსაღი საკანონმდებლო ჩარჩო უნდა ჩამოაყალიბონ ან შეინარჩუნონ, რომელიც სიძულვილის ენასთან დაკავშირებული სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის დებულებებისგან შედგება.“[178]

ერთმანეთისგან განსხვავდება სიძულვილის ენა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული (ე.წ. Hate crime). სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული (ე.წ. Hate crime) გულისხმობს არა სიძულვილის გამოხატვას ენით, სიმბოლურად ან სხვ ა ფორმით, არამედ კონკრეტული დანაშაულის, მაგალითად, მკვლელობის ჩადენას სიძულვილის მოტივით.[179] შესაბამისად, სიძულვილის ენა წარმოადგენს წუხილის მიზეზს, თუმცა ის ყოველთვის არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.[180]

სიძულვილის ენა საკმაოდ მჭიდრო კავშირშია გამოხატვის თავისუფლებასთან, რომელიც, თავის მხრივ, დემოკრატიულ საზოგადოებაში არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულება და თავად ამ საზოგადოების საფუძველი.[181] გამოხატვის თავისუფლება აღიარებულია ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტით, რომელიც ადამიანის უფლებებს შეეხება.[182] გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და სახელმწიფომ შეიძლება კონკრეტულ, გამონაკლის შემთხვევებში, შეზღუდოს.[183] მაშინ, როდესაც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ასახულია გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ტერმინი, მასში არ გვხვდება ტერმინი სიძულვილის ენა და არ არის აღნიშნული, რამდენად არის სიძულვილის ენა გამოხატვის თავისუფლების ნაწილი.[184]

---

177 ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (97) 20 1997 https://rm.coe.int/1680505d5b

178 ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (97) 20 1997 https://rm.coe.int/1680505d5b

179 სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა,. 2014, 10. www.gdi.ge

180 `Hate Speech` Explained. A Toolkit. Article 19. 2015 Edition. London, United Kingdom. P. 24.

181 სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის). საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, 3 www.gdi.ge

182 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მე-19 მუხლი, 10.12.1948, http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf

183 Hate Speech` explained. A Toolkit. Article 19. 2015 Edition. London, United Kingdom. P. 7.

184 სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, 3, www.gdi.ge

ერთმანეთისგან განასხვავებენ გამოხატვის თავისუფლების ევროპულ და ამერიკულ მოდელებს.

მეორე მსოფლიოს ომის დროს დამკვიდრებული ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის საპასუხოდ ევროპამ უპირატესობა მიანიჭა ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა უმცირესობების დაცვას, ტოლერანტულობისა და, ზოგადად, მრავალფეროვნების ხელშეწყობას, მაგრამ ეს მოხდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე.[185] ევროპული მოდელის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომის მიხედვით, სიძულვილის ენა არ არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული და იგი შესაძლებელია, სახელმწიფოების მიერ კრიმინალიზებული იყოს.[186]

ამერიკული მოდელით სიძულვილის ენა არ არის დასჯადი ქმედება და იგი ფაქტობრივად გამოხატვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ ფორმადაა მიჩნეული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გამოხატვა აშკარა და მყისიერ საფრთხეს ქმნის დემოკრატიულ საზოგადოებაში.[187] ამერიკული მოდელის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა „ნათელი და მყისიერი საფრთხე," რომ ამ გამოხატვის შედეგად დადგება ზიანი.[188]

საქართველო უფრო ახლოს დგას ე.წ. ამერიკულ მოდელთან, ანუ მოდელთან, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალ სტანდარტს.[189] საქართველოში სიძულვილის ენა არ არის დასჯადი და მისი რეგულირება, ძირითადად, მედიამაუწყებლობასთან მიმართებით ხდება.[190] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გამოხატვის თავისუფლების უფლების ქვეშ არსებულ დაცულ სფეროს საკმაოდ ფართოდ განმარტავს და მასში მოიაზრებს გამოხატვის ფორმების საკმაოდ ფართო წრეს.[191] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ეგრეთ წოდებულ „ცხადი და მყისიერი საფრთხის" ტესტს და სწორედ ამ ტესტს იყენებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან

185 იქვე, 7.
186 იქვე.
187 იქვე, 10.
188 იქვე, 9.
189 სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, 16, www.gdi.ge
190 სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, 16, www.gdi.ge
191 იქვე, 15.

მიმართებით.[192] სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, კონსტიტუციური უფლება იზღუდება მაშინ, როდესაც ის ემსახურება კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველყოფას, ასევე, როდესაც დასაცავია კონსტიტუციით დაცული „სხვათა უფლებები."

გამოხატვის თავისუფლება რომ შეიზღუდოს, სახეზე უნდა იყოს სამი ძირითადი კრიტერიუმი:[193]

- შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით;
- უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნების მიღწევას;
- უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და იგი უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროპორციული საშუალება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სასამართლომ უნდა შეაფასოს დარღვეული უფლება ან უფლების დარღვევის საფრთხე, რომელსაც შესაძლოა, შეიცავდეს კონკრეტული პროგრამა ან ინფორმაცია და დაუპირისპიროს იგი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას. სასამართლოს უნდა ჰონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს გამოხატვის ფორმის და შინაარსის ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, ის ზიანი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია."[194] შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო აფასებს: [195]

- გამოხატვის ფორმისა და შინაარსის საზოგადოებრივ მნიშვნელობას;
- ზიანს, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია.[196]

გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ რეგულირებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „დაუშვე-

192 იქვე.

193 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის N 2/2/359 გადაწყვეტილება, პ.1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის N 2/2/359 გადაწყვეტილება. https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=322

194 სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, 14, www.gdi.ge

195 ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 300, თბ., 2013.

196 იქვე.

ბელია, რომ კონსტიტუციური უფლება თავად კონსტიტუციით დაცული დემოკრატიული წესწყობილების ხელყოფისაკენ იყოს მიმართული და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების საფუძველს ქმნიდეს. გამოხატვის თავისუფლების ზღვარი გაივლის იქ, სადაც გამოხატვა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს, კონსტიტუციით გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებს შეუქმნის საფრთხეს."[197]

შესაბამისად, „კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად შეიძლება განხორციელდეს."[198] კონსტიტუციის თანახმად, უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზანი გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებითაც სხვათა უფლებების დაცვაა: „საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს და განამტკიცებს აზრისა და გამოხატვის უფლებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას, მაგრამ, ამავე დროს, ითვალისწინებს უფლების შეზღუდვის საფუძველსაც, მათ შორის ისეთი მიზნის მისაღწევად, როგორიცაა სხვათა უფლებების დაცვა. გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც გამოხატვა კვეთს ზღვარს, გავლებულს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვის უფლებას შორის."[199]

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), რომელიც სპეციალიზდება რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თავის ერთ-ერთ ბოლო მოხსენებაში საქართველოს შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. ევროპული კომისია აღნიშნავს, რომ:[200]

- სიძულვილის ენა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა მიმართ, ასევე ლგბტ პირების წინააღმდეგ კვლავ ფართოდ გავრცელებული პრობლემაა საქართველოში.
- მზარდია ისლამოფობიური სიძულვილის ენა. სიძულვილის ენა სხვა რელიგიურ უმცირესობებსაც ეხება.

197 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება, §90. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1309814?publication=0

198 სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, 14 www.gdi.ge

199 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება. § 6. https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=300

200 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. მოხსენება საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს. გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს. https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775

- სიძულვილის ენა ფართოდ გამოიყენება ინტერნეტსივრცეში და ეს სრულიად გაუკონტროლებელი და დაუსჯელი ფენომენია.
- პოლიტიკოსები, ასევე მედიის წარმომადგენლები აკეთებენ რასისტული და ქსონოფობიური შინაარსის განცხადებებს.

ამავე მოხსენების მიხედვით, ხელისუფლების ორგანოები ყოველთვის საკმარისად არ იძიებენ და სამართლებრივად არ დევნიან სიძულვილით ჩადენილ დანაშაულს, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 531-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებათა შესახებ ძალიან იშვიათად გამოიყენება.[201]

საარჩევნო პერიოდში სიძულვილის ენის გამოყენების კუთხით ინფორმაცია წარმოდგენილია ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიშებში, რომელიც სხვადასხვა წელს საქართველოში ჩატარებული არჩევნების დაკვირვებას შეეხება.

მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას გამოვლინდა სიძულვილის ენის გამოყენებისა და ძალადობის რამდენიმე ფაქტი, რამაც ორგანიზაციის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ანგარიშის მიხედვით, ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებზე ირიბი ზეგავლენა მოახდინა;[202] გარდა ამისა, ანგარიშში მოხვდა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ფასიანი სატელევიზიო რეკლამა და ამ პარტიის მიერ ორგანიზებული მიტინგები, რომლებიც ანტითურქული შინაარსის მქონე განცხადებებს შეიცავდა, რასაც შესაძლოა, აზერბაიჯანელი მოსახლეობის ნაწილის გაღიზიანება მოჰყოლოდა; ანგარიშში მოხვდა მოძრაობა „ქართული ძალის“ წარმომადგენლების მიერ თბილისში მდებარე აღმოსავლურ კაფეებზე იერიშის მიტანის ფაქტიც.[203]

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისას ამავე ორგანიზაციის ანგარიშში ასახულია სიძულვილის ენის, ქსენოფობიური გზავნილების, მუქარისა და დაშინების რამდენიმე შემთხვევა, რაც, ანგარიშის მიხედვით, გავლენას ახდენდა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთი-

201 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. მოხსენება საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს. გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775

202 საქართველოს პარლამენტის არჩევნები, 2016 წლის 8 და 30 ოქტომბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 35, https://www.osce.org/files/f/documents/5/5/299306.pdf

203 იქვე, 35.

ერთობებზე;[204] ანგარიშის მიხედვით, 24 სექტემბერს ბათუმში გამართული მიტინგის დროს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა ანტითურქული განცხადებები გააკეთეს; 13 ოქტომბერს, თბილისში გამართული მიტინგის დროს, „დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველოს“ მერობის კანდიდატმა ქსენოფობიური განცხადებები გააკეთა; აღნიშნული პარტიის ორი წინასაარჩევნო რგოლი, რომლებიც სხვადასხვა მედიასაშუალებით გაშუქდა, იმიგრანტების საწინააღმდეგო და ისლამოფობიურ გზავნილებს შეიცავდა.[205]

საინტერესოა ორგანიზაციის 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ანგარიშიც, რომელშიც აღნიშნულია მაღალი რანგის პარტიული წარმომადგენლებისა და ოფიციალური პირების მხრიდან აგრესიული და ძალადობრივი რიტორიკის ფართოდ გამოყენება ტელეპროგრამებში, სოციალურ მედიაში, ასევე დემონსტრაციების დროს.[206] გარდა ამისა, ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია განცხადებებზე, რომლებიც მიმართული იყო ოპონენტების წინააღმდეგ და შეიცავდა მათი განადგურებისკენ მოწოდებებს, რაც, ორგანიზაციის განცხადებით, ქსენოფობიისა და სიძულვილის ენის ზღვარზე იყო.[207] ანგარიშში აღნიშნულია, რომ ნეგატიური წინასაარჩევნო კამპანია და მწვავე ურთიერთბრალდებები არ ტოვებდა საარჩევნო პროგრამებისა და საკითხებზე ორიენტირებული დებატების ჩატარების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ამცირებდა ამომრჩევლების მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.[208] ამავე ანგარიშში ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ: [209]

- „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ პერიოდულად „სისხლიან კრიმინალურ რეჟიმად“, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების სურვილს „სამოქალაქო ომად და „შურისძიებად“ მოიხსენიებდნენ; ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო დემონსტრაციების დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „ნა-

204 საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, 2017 წლის 21 ოქტომბერი და 12 ნოემბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 37, https://www.osce.org/files/f/documents/f/a/375682.pdf

205 იქვე, 39.

206 საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები, 2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 51, https://www.osce.org/files/f/documents/a/c/414827.pdf

207 იქვე.

208 იქვე.

209 იქვე.

ცისტებთან, ტერორისტებთან ან სატანასთან“ იყო შედარებული. ამ დემონსტრაციების ორგანიზატორები „პარტიის განადგურებას ან მოსპობას“ ითხოვდნენ;

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები პრეზიდენტობის კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს დროდადრო „მოღალატედ“ მოიხსენიებდნენ, ხოლო „ქართულ ოცნებას“ „ამორალურ შეიარაღებულ ბანდას“ უწოდებდნენ;
- მისიასთან რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ, მათ შორის, ერთ-ერთმა კანდიდატმა განაცხადა, რომ მას მოკვლით დაემუქრნენ;
- საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ებრაელების, ბანგლადეშელებისა და ინდოელების მიმართ ორი მიკერძოებული და დისკრიმინაციული განცხადება გააკეთა, რა დროსაც მან რელიგიასთან, ეროვნებასა და ეკონომიკურ სტატუსთან დაკავშირებული კომენტარები გააკეთა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს 40-მა პოლიტიკურმა პარტიამ, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ, **პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსს** მოაწერეს ხელი.[210] **ქცევის კოდექსის თანახმად,** პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ ქცევის გარკვეულ წესებზე. კერძოდ, პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ, რომ:[211]

- საქმიანობას განახორციელებდნენ ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 1.3);
- არ გამოიყენებდნენ სიძულვილის ენას, ქსენოფობიურ ან/და მუქარის შემცველ გამონათქვამებს (მუხლი 1.4);
- ხელს შეუწყობდნენ მშვიდობიან საარჩევნო გარემოს, არ მიმართავდნენ ძალადობას და არ მოუწოდებდნენ მისი გამოყენებისკენ (მუხლი 1.5);
- საარჩევნო კამპანიის წარმოებისას თავს შეიკავებდნენ ისეთი საჯარო გამოსვლების, განცხადებების, სააგიტაციო მასალის (მედია-, ვიდეო-, აუდიო-, სოციალური მედია, ბეჭდური) გავრცე-

210 პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, https://cesko.ge/res/docs/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9803.12.pdf

211 იქვე.

ლებისგან, რომელიც გულისხმობდა ცილისწამებას, ღალატის, ტერორიზმის ან სხვა დანაშაულის დაბრალებას, ასევე, რომელიც წაახალისებდა სიძულვილს, დაპირისპირებას და კონფლიქტს ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით (მუხლი 2.7);

- პარტიები დანერგავდნენ და გამოიყენებდნენ ქცევის კოდექსს პარტიის სტრუქტურაში, რეგიონულ ორგანიზაციებსა და ყოველდღიურ საქმიანობაში. ქცევის კოდექსით აღებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას და შესრულების ინსტრუქციას მიაწვდიდნენ საკუთარ პარტიული თანამდებობის პირებს, აქტივისტებს და მხარდამჭერებს (მუხლი 4.1);
- პარტიები თანხმდებოდნენ, რომ დანერგავდნენ წინამდებარე ქცევის კოდექსის აღსრულებისა და მონიტორინგის შიდაპარტიულ მექანიზმს, რომლის მუშაობის შესახებ ინფორმაციას და გამოცდილებას პერიოდულად გაუზიარებდნენ დანარჩენ პარტიებს, რათა მომავალში შექმნილიყო ეთიკის ნორმების მონიტორინგისა და აღსრულების პარტიათაშორისი მექანიზმი (მუხლი 4.3);
- პარტიები იღებდნენ ვალდებულებას, რომ მყისიერ რეაგირებას მოახდენდნენ ქცევის კოდექსში ხსენებული დარღვევების აღსაკვეთად (მუხლი 4.9).

პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსზე ხელის მოწერის მიუხედავად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირდა არაერთი ნეგატიური კამპანია, რაც ზოგჯერ კონფრონტაციულ ტონშიც გადადიოდა. ასეთი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდიოდა პოლიტიკური პარტიების მიერ ხელმოწერილ პარტიების ქცევის კოდექსთან.[212]

გარდა პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის მიღებისა, 2020 წელს წინასაარჩევნო პერიოდში ყურადღების ქვეშ მოექცა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ანტითურქული გზავნილების მქონე ბილბორდი, რის გამოც გააკრიტიკეს პარტია.[213] კერძოდ, 2020 წლის აგვისტოს ბოლოს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ ბათუმი-სარფის მაგისტრალზე განათავსა სარეკლამო ბანერი. სარეკლამო ბანერზე პარტიის დასახელების, მისი ლიდერებისა და საარჩევნო ნომრის გვერდით გამოსახული იყო

212 საქართველოს საპარლამენტო არჩევნები, 2020 წლის 31 ოქტომბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 31, https://www.osce.org/files/f/documents/3/8/482640.pdf

213 იქვე, 27.

საქართველოს რუკა, რომელზეც რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთის ა/რ-ასა და ცხინვალის რეგიონთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიად, ასევე, მონიშნული იყო თურქეთი.[214]

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თბილისსა და საქართველოს რამდენიმე ქალაქში ანონიმური ბილბორდები გაჩნდა, რომლებზეც გამოსახული იყვნენ ოპოზიციის ლიდერები, ასევე ტელევიზიის მფლობელი და ჟურნალისტი. ბილბორდები სისხლიანი წარსულის იდეას ატარებდნენ.[215] ამავე არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, 16 ოქტომბერს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატმა „ქართული ოცნება“ დაახასიათა როგორც „ბოროტმოქმედი, ვერაგი, დამნაშავე კრიმინალი, რომელიც დგას მხოლოდ და მხოლოდ ძალადობაზე“, და განაცხადა, რომ „ეს მთელი მისი ძალადობის საყრდენი უნდა გამოვაცალოთ“.

18 ოქტომბერს თბილისის მოქმედმა მერმა, იმავდროულად, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა, საკუთარ ამომრჩევლებს მოუწოდა, „დაასრულონ ბოლშევიზმი, ბოროტება, სიძულვილი და სიცრუე, რასაც განასახიერებს „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ქვეყანაში.“[216]

ადგილობრივი ორგანიზაციების წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის ანგარიშებში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წინასაარჩევნო კამპანიის განცხადებებში წამყვანი ადგილი ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ განცხადებებს უკავია, რასაც მოსდევს სხვადასხვა ნიშნით სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები.[217] ცალკე ყურადღებას იმსახურებენ ქალი პოლიტიკოსები, რომლებიც არაერთხელ გამხდარან სექსისტური სიძულვილის ენისა და სტერეოტიპიზაციის სამიზნეები, მათი პოლიტიკური კუთვნილებისა და საქმიანობის გამო.[218]

---

214 სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების საჩივარი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, 02.09.2020, https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=d3a9bb97-622e-4887-960d-b7df14fa5333

215 საქართველო - მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები. მეორე ტური 2021 წლის 30 ოქტომბერი. მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ. წინასწარი დასკვნები. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 16 https://www.osce.org/files/f/documents/f/f/502719_0.pdf

216 იქვე, 16.

217 წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020. ანტიდასავლური გზავნილები, სიძულვილის ენა, ყალბი ინფორმაცია. მედიის განვითარების ფონდი (MDF), 6, http://mdfgeorgia.ge/uploads//MDF%20winasaarchevno%20monitoringi%202020.pdf

218 წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში. მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2020, 13, https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2021/01/UNDP-Report-FINAL-GEO-28.01.pdf

რაც შეეხება რეკომენდაციებს, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს საქართველოსთან მიმართებით სიძულვილის ენის პრევენციის მიზნით არაერთი რეკომენდაცია გაიცა. მათ შორისაა „რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ“ ევროპის კომისიის (ECRI) მიერ სხვადასხვა წელს გაცემული რეკომენდაციები და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციები. მაგალითად: 2016 წელს „რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ“ ევროპულმა კომისიამ (ECRI) საქართველოს სიძულვილის გამოვლენის დასჯადობისაკენ მოუწოდა;[219] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ანგარიშის პრიორიტეტულ რეკომენდაციებს შორის მოხვდა რეკომენდაცია „სიძულვილის ენის გავრცელების პრევენციის მიზნით“. კერძოდ, ორგანიზაციამ რეკომენდაცია გასცა იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამისმა ორგანოებმა სათანადო ზედამხედველობა და პრევენცია განახორციელონ და დროული რეაგირება მოახდინონ ისეთ შემთხვევებზე, სადაც არსებობს სიძულვილის ენის გამოყენების ეჭვი.[220] სიძულვილის ენის პრევენცია პრიორიტეტულ რეკომენდაციებს შორისაა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშშიც, სადაც ორგანიზაცია სიძულვილის ენისა და ქსენოფობიის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად წინასაარჩევნო კამპანიის დროს მისაღები ენის ნორმებთან დაკავშირებით რეგულაციების შემუშავების რეკომენდაციას იძლევა. ამავე დროს, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, სიძულვილის ენის გამოყენების შესაძლო შემთხვევების განხილვისა და საჭიროების შემთხვევაში, სანქციების დროულად გამოყენების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.[221]

II. მოქმედი კანონმდებლობა

საერთაშორისო დონეზე მიღებული პრაქტიკის მიუხედავად, ქვეყანაში სიძულვილის ენასთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი კანონმდებლობა

219 მოხსენება საქართველოს შესახებ, პრაღა, 2016, 40.

220 საქართველოს პარლამენტის არჩევნები, 2016 წლის 8 და 30 ოქტომბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 56, https://www.osce.org/files/f/documents/5/5/299306.pdf

221 საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები, 2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 52, https://www.osce.org/files/f/documents/a/c/414827.pdf

არ არსებობს. [222]

საქართველოს კანონმდებლობით სიძულვილის ენა კრიმინალიზებული არ არის, თუმცა სახეზეა რიგი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც იძლევიან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიას და კრძალავენ დისკრიმინაციას, პირთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას, შუღლის გაღვივებას, ძალადობისაკენ მოწოდებას და ა.შ.[223]

საქართველოს კონსტიტუცია[224]

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11 - თანასწორობის უფლება

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედა ენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

4. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 12 - პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

222 იქვე, 51.

223 სიძულვილის ენა. კავშირი 21-ე საუკუნე. თბილისი, 2017, 69, https://southcaucasus.fes.de/fileadmin/Publications/2017/hate_speech.pdf

224 საქართველოს კონსტიტუცია. 24.08.1995, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 16 - რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები

- *ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.*
- *ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.*
- *დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.*

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17 - აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები

- აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.
- ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
- ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.
- ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 23 - პოლიტიკური პარტიების

- საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.
- პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის თანახმად, რომელშიც წარმოდგენილია ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები, აღნიშნულია, რომ კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები. ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება.

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“[225]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“[226] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვა-

225 „საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, 24.06.2004, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6

226 იქვე, მე- 3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

ლისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს."[227]

გარდა ამისა, კანონში მინიშნებულია ისიც, რომ „კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.[228]

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ"

სიძულვილის ამკრძალავი ნორმები გვხვდება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში. კანონის 56-ე მუხლი ეხება პროგრამულ შეზღუდვებს. კერძოდ, 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის." გარდა ამისა, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას."[229] იკრძალება ომის ნებისმიერი სახით პროპაგანდა[230], ასევე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას.[231]

მაუწყებელი ვალდებულია, ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.[232]

227 იქვე, მე-8 მუხლის1-ლი პუნქტი.
228 იქვე, მე-2 მუხლი.
229 საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=61
230 იქვე, 56-ე.მუხლის 1-ლი პუნქტი.
231 იქვე, 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
232 იქვე, მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, მოსარჩელე, როგორც თვითრეგულირების ორგანოში, ასევე კომისიაში ან სასამართლოში, შეიძლება იყოს მხოლოდ დაინტერესებული პირი ანუ ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა.“[233]

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი[234]

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2009 წლის 12 მარტს, შესაბამისი დადგენილებით. სიძულვილის ამკრძალავი ნორმები გვხვდება მაუწყებელთა ქცევის კოდექსში, რომლის 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლები ეხება მრავალფეროვნების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპებს და მათ დაცვას.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, „მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.“[235] ხოლო 33-ე მუხლის თანახმად, „მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება.“[236] ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს, ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს, შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.“

მაუწყებელთა ქცევის კოდექსით მაუწყებლის მხრიდან კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გასაჩივრების უფლება აქვს დაინტერესებულ მხარეს, რომელიც, ამავე კოდექსის თანახმად, წარმოა-

233 იქვე, მე-2 მუხლის ე) ქვეპუნქტი.
234 მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. დადგენილება N2, 12.03.2009, https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0
235 იქვე, 31-ე მუხლი.
236 იქვე, 33-ე მუხლის, მე-3 პუნქტი.

დგენს ნებისმიერ პირს, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია პროგრამაში ან მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში."[237]

სისხლის სამართლის კოდექსი[238] საქართველოში სიძულვილის ენა არ არის სისხლის სამართლის წესით დასჯადი. თუმცა, სიძულვილის ენისგან განსხვავებით, არსებობს სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული (ე.წ. Hate crime), რაც გულისხმობს კონკრეტული დანაშაულის, მაგალითად, მკვლელობის ჩადენას სიძულვილის მოტივით, რაც დასჯადი ქმედებაა.[239]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან გვინდა გამოვყოთ რამდენიმე მუხლი, რომლებიც დასჯად ქმედებად მიიჩნევენ არა სიძულვილის ენას უშუალოდ, არამედ სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება იყოს **სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლი,** რომლითაც განსაზღვრულია სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები. კერძოდ **53[1]-ე მუხლის** პირველი ნაწილი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს „დანაშაულის ჩადენას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით."

საინტერესოა ასევე სისხლის სამართლის კოდექსის **239[1]-ე მუხლი - ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება,** რომელიც დასჯად ქმედებად მიიჩნევს ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდებას. ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების

237 იქვე, მე-5 მუხლის ვ) ქვეპუნქტი.

238 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=236

239 სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, 10, www.gdi.ge.

განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.[240]

გარდა ამ ორი მუხლისა, გვინდა დავასახელოთ სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი, რომლებიც, მართალია, არ კრძალავენ სიძულვილის ენას, მაგრამ იძლევა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიას. შესაბამისად, ეს მუხლები კრძალავს დისკრიმინაციას, პირთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას, შუღლის გაღვივებას, ძალადობისაკენ მოწოდებას.[241] მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის:

- **142-ე მუხლი,** რომლის მიხედვით, კრიმინალიზებულია ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა. ანუ ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება.[242]
- **მუხლი 142[1]-ე - რასობრივი დისკრიმინაცია,** რომელიც კრძალავს რასობრივ დისკრიმინაციას, რაც გულისხმობს „..ქმედებას, ჩადენილს ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვას, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭებას, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება.[243]

240 ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ორასიდან ოთხას საათამდე. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

241 სიძულვილის ენა. კავშირი 21-ე საუკუნე. თბილისი, 2017, 69, https://southcaucasus.fes.de/fileadmin/Publications/2017/hate_speech.pdf

242 ისჯება ჯარიმით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი ერთ წლამდე ვადით ან/და თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით. 142-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ან/და ჯარიმით.

243 ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. იურიდიული პირისთვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ზომის სახით ლიკვიდაცია ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან/და ჯარიმა.

- **მუხლი - 144³-ე -** დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.[244]
- **მუხლი 155-ე -** რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა.
- **მუხლი 156-ე -** დევნა.[245]
- **მუხლი 166-ე -** პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა.[246]
- **მუხლი 408-ე -** დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ.[247]

საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“

დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.[248]

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის მიზნით, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს საჯარო დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს

244 პასუხისმგებლობის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა სამიდან შვიდ წლამდე ვადით, იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვით ან უამისოდ.

245 ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

246 ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

247 ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

248 საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, 12.06.1997, მუხლი 11.1, https://matsne.gov.ge/document/view/31678?publication=16

მათი შესრულება.[249] ამავე კანონის თანახმად, დისციპლინური გადაცდომაა ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია მოხელის ან საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია ის ჩადენილი თუ სამსახურის ფარგლებს გარეთ.[250]

საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“

დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.[251]

დაუშვებელია პარტიის წევრობის შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.[252]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.[253]

საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო, რომელშიც თავმოყრილია დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული ყველა

249 საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, 27.10.2015, 56-ე მუხლის მე-3 პუნქტი, https://matsne.gov.ge/document/view/3031098?publication=35

250 იქვე, 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გ) ქვეპუნქტი.

251 საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, 31.10. 1997, მე-5 მუხლის მე-2 ქვეპუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=35

252 იქვე, მე-11 მუხლი.

253 იქვე, 36-ე მუხლი.

მნიშვნელოვანი განმარტება და მექანიზმი.[254] კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა კანონით განსაზღვრული ნიშნების მიხედვით, როგორებიცაა: რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, ასაკი, მოქალაქეობა, წარმოშობა, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, რელიგია ან რწმენა, ეროვნული კუთვნილება, ეთნიკური კუთვნილება, სოციალური კუთვნილება, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობები, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა, პოლიტიკური შეხედულება ან სხვა შეხედულება ან სხვა ნიშანი.[255] კანონი კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას.[256] უნდა აღინიშნოს, რომ კანონით ჩამოთვლილი დისკრიმინაციული ნიშნები არ არის ამომწურავი.[257]

კანონით განმარტებულია პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია.[258] პირდაპირი დისკრიმინაცია არის *ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა*, რომლებიც პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, ხოლო ირიბი დისკრიმინაცია არის *ისეთი მდგომარეობა*, როდესაც *ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა* ...

254 „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი. კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი." საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2016, 19, https://gdi.ge/uploads/other/0/351.pdf

255 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი", 02.05.2014, 1-ლი მუხლი.

256 იქვე, 1-ლი მუხლი.

257 „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი. კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი". საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2016, 19.

258 კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირდაპირ დისკრიმინაციად განიმარტება „ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად." ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.

არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.“ [259]

დისკრიმინაციად არ შეიძლება ჩაითვალოს:[260]

ა) სპეციალური და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად (მაგალითად გენდერულ საკითხებში, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ).

ბ) ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასთან ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, განსაზღვრულია შევიწროების ცნება, რომელიც შემდეგნაირად განიმარტება: „შევიწროება არის ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.“

კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: *„აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად.“* ამრიგად, კანონით აკრძალულია არა მარტო დისკრიმინაციის განხორციელება, არამედ მისი ხელშეწყობაც.[261] ისეთი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის წაქეზებას იმისათვის, რომ მან განახორციელოს დისკრიმინაცია მესამე პირის მიმართ, „..შეგვიძლია მივიჩნიოთ სიძულვილის ენის აკრძალვად, ვინაიდან პირის წაქეზება დისკრიმინაციის განსახორციელებლად შესაძლოა მოხდეს სწორედ სიძულვილის ენის გამოყენებით.“[262]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული პირზე ქმედების ჩადენისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმები. [263]

---

259 „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი. კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი“. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2016, 66.
260 იქვე, 20.
261 იქვე, 57.
262 იქვე, 68.
263 იქვე, 70.

ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.[264] დადგენილი მექანიზმის შესაბამისად, დისკრიმინაციის მსხვერპლს შეუძლია, მიმართოს ორ დამოუკიდებელ სამართლებრივი დაცვის საშუალებას: სასამართლოს ან სახალხო დამცველს.[265] დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.[266] გარდა ამისა, სახალხო დამცველი შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტს (როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით) და გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციას.[267]

საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“

კანონი ,,რეკლამის შესახებ“ ცნობს არაეთიკურ რეკლამას. ასეთად მიჩნეულია რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ბღალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, ჰიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს.[268]

---

264 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი“. მე-10 მუხლი.

265 „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი. კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი“, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2016, 62.

266 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-6 მუხლი.

267 იქვე, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტი. საქართველოს კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“.

268 საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“. 18.02.1998, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი, https://matsne.gov.ge/document/view/31840?publication=28

თვითრეგულირების მექანიზმი - ჟურნალისტური ეთიკის ქარტია[269]

ქარტიის მე-7 მუხლის თანახმად, „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე, ან რაიმე სხვა ნიშნით."

გარდა ამისა, შემუშავებულია სახელმძღვანელო წესები მედიისთვის, რომელიც სიძულვილის ენასთან ბრძოლას შეეხება და რომელიც აყალიბებს ძირითად წესებს ჟურნალისტებისათვის.[270]

III. სიძულვილის ენა არჩევნებში - პრაქტიკა

არჩევნებში სიძულვილის ენის გამოყენებაზე არსებული პრაქტიკა არ არის მდიდარი, თუმცა არის ძალიან საინტერესო. მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (მაგალითად, საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია) მიღებული გადაწყვეტილებები საარჩევნო სუბიექტების ან მედიასაშუალებების ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნობისა და მათთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შეფარდების თაობაზე არ არის საბოლოო და სასამართლოს მხრიდან დამტკიცებას, გადახედვას საჭიროებს. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის გადაწყვეტილებები არის შუალედური და მოქმედი პრაქტიკაც ამაზე მეტყველებს.

საერთო სასამართლოები სიძულვილის ენის საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღებისას ეყრდნობიან როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, ასევე ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას სასამართლო იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც კოსტიტუციური უფლება თავად კონსტიტუციით დაცული დემოკრატიული წესწყობილების ხელყოფისკენ არ უნდა იყოს მიმართული და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების საფუძველს არ უნდა ქმნიდეს.

269 „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ქარტიის პრინციპები." https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula

270 სიძულვილის ენასთან ბრძოლა - სახელმძღვანელო წესები მედიისთვის. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/75684

წინამდებარე თავში წარმოდგენილია რამდენიმე საქმე, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებს ეხება.

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს და მათ მხარდამჭერებს, რისი გამოხატულებაც არის საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი. ამ მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამებში სიძულვილის ენის გამოყენების წინააღმდეგ შესაძლებელი ხდება სამართლებრივი პროცედურების დაწყება. კერძოდ, საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამა რამდენიმე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს:

- *ომისა და ძალადობის პროპაგანდას;*
- *ახსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ მოწოდებას;*
- *საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ მოწოდებას;*
- *ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ მოწოდებას;*
- *რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.*

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის დ) ქვეპუნქტის მიხედვით, მოწოდება არის განცხადება, რომლის ავტორიც მიზნად ისახავს ან აშკარად უშვებს გარკვეული ქმედების გამოწვევას.[271]

წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე. საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის ჰ) პუნქტის მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანიაა საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობაა, ხოლო ამავე მუხლის ჰ)1 პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაა ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/ საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება,

271 საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, 24.06.2004, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6

რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების, საარჩევნო სუბიექტებისა და მათი მხარდამჭერების მიერ საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესების დარღვევა იწვევს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარების წესების დარღვევას, რაც, საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნიშნავს წინასაარჩევნო აგიტაციაში საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით მონაწილეობას, რისთვისაც ამავე კოდექსით პასუხისმგებლობის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, 79-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ ცესკო-ს თავმჯდომარე და ცესკო-ს და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).[272] 79-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისას სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, თუ საარჩევნო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.[273]

ცესკო-ს თავმჯდომარე და ცესკო-ს და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები) 79-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებენ 10 დღის ვადაში, ხოლო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დადგენის/გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სასამართლოსთვის შესაბამისი ოქმის წარდგენიდან 10 დღეს.[274]

საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო ადმი-

272 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 27.12..2011, 93-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=70

273 93-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

274 93-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

ნისტრაციის მიერ უფლებამოსილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლების მქონე პირის მიერ ან ცესკო-ს თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის თქმის შესახებ მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო საქმის განხილვის შედეგად იღებს დადგენილებას ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების თაობაზე ან უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე.[275]

2020 წლის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური რეკლამები

2020 წლის 2 სექტემბერს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ საჩივრით მიმართა ცესკო-ს თავმჯდომარეს არჩევნებში მონაწილე სუბიექტის - „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის გამო. საჩივრით მოთხოვნილ იქნა პარტიის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. ასევე მოთხოვნილ იქნა პარტიისათვის მოწოდება, აღეკვეთა სადავო ვიდეორგოლების გავრცელება და დაეცვა საარჩევნო კანონმდებლობა.[276]

საჩივრის მიხედვით, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ საკუთარ ოფიციალურ Facebook-გვერდზე - სახელწოდებით: „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი“ - განათავსა ცხრა პოლიტიკური რეკლამა, რომელთაგან ექვსი კანონსაწინააღმდეგო შინაარსის მატარებელი იყო. კერძოდ, ექვს პოლიტიკურ რეკლამაზე განთავსებული იყო წარწერა მოწოდებით: „დაიცავი აჭარა, დაიცავი შენი წილი საქართველო.“ პარტიის ლიდერი ირმა ინაშვილი შემდეგი მოწოდებით გამოდიოდა: „დაიცავი შენი წილი საქართველო. შენ ეს შეგიძლია. ვიმოქმედოთ, ნუ დავუთმობთ აჭარას თურქეთს.“ საჩივრის მიხედვით, რეკლამაში „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები თურქეთს წარმოაჩენდნენ დაუძინებელ მტრად, რომელიც ცდილობდა საქართველოს ისტორიული კუთხეების: აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და გურიის მიტაცებას. გარდა ამისა, საჩივრის ავტორის აზრით, ისტორიული წარსული წარმოჩენილი იყო მყისიერ და

275 93-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

276 „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივარი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, 02.09.2020. https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=d3a9bb97-622e-4887-960d-b7df14fa5333

არსებულ საფრთხედ, პოლიტიკური რეკლამები შეიცავდა ანტითურქულ მოწოდებებს და მიზნად ისახავდა საქართველოს მოქალაქეებში თურქეთის სახელმწიფოს მიმართ მტრული განწყობების შექმნასა და ჩამოყალიბებას, ასევე რელიგიური და ეთნიკური შუღლის გაღვივებას.[277] შესაბამისად, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ გამოქვეყნებული ვიდეორგოლები ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, შეიცავდა ეროვნული მტრობისა და შუღლის გაღვივების ნიშნებს და მიმართული იყო ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირების წაქეზებისკენ.[278]

2020 წლის 10 სექტემბერს ცესკო-ს თავმჯდომარემ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა და საქმის მასალები სასამართლოს გადაეგზავნა. ცესკო-ს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, პოლიტიკური რეკლამის შინაარსი ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.[279]

პარტიის პოზიციით, ვიდეორგოლებში ასახული ისტორიული ფაქტები დადასტურებული იყო და შეესაბამებოდა რეალურ ფაქტებს. ამიტომ მოწოდება, რომელიც გაჟღერებული იყო ვიდეორგოლებში, უნდა მიჩნეულიყო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებად. გარდა ამისა, პარტიის წარმომადგენელთა პოზიციის მიხედვით, პროდუქტი ვიდეორგოლების სახით ეკუთვნოდა არა პარტიას, არამედ ორგანიზაციას - „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად.“ ისინი ასაბუთებდნენ, რომ ვიდეორგოლები ადრე გავრცელდა სატელევიზიო არხებზე და პარტიის მხარდამჭერთა მიერ შექმნილ გვერდზე გაზიარდა მხოლოდ აგვისტოს ბოლოს.

საქმის მასალებისა და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით და 79-ე

---

277 იქვე.

278 საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ანგარიშის თანახმად (გვ.156), საქართველოს ცესკო-ს თავმჯდომარემ საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის საფუძველზე სამართალდარღვევის ოქმის შეადგინა საარჩევნო ბლოკ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის - გაერთიანებული ოპოზიციის“ - მიმართ 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროსაც და კანონსაწინააღმდეგო ვიდეორგოლების განთავსების გამო საარჩევნო ბლოკი 2000 ლარით დააჯარიმა.

279 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N001964 პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ, 10.09.2020, https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=e3e20179-cbbe-4861-a6f5-373638367adf

მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და 2020 წლის 17 სექტემბერს საარჩევნო სუბიექტს შეუფარდა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.[280]

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მხრიდან საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა, რაც გამოიხატა პარტიის მიერ ფეისბუკგვერდზე სარეკლამო ვიდეორგოლის განთავსებით, და იგი შეფასებულ იქნა ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისაკენ მოწოდებად. სასამართლომ მიიჩნია, რომ პარტიის ხელმძღვანელი პირების განცხადებები სცდებოდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.[281]

სისხღიანი ბანერების საქმე

სისხლიანი საარჩევნო ბანერები 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში თბილისსა და საქართველოს რამდენიმე ქალაქში არჩევნებამდე ორი კვირით ადრე განთავსდა.[282] ბანერზე იყო წარწერა: „არა ნაცებს, არა ბოროტებას, არა ღალატს.“ საარჩევნო ბანერზე საარჩევნო სუბიექტები მედიამენეჯერებთან ერთად იყვნენ გამოსახულნი.[283] ბანერებზე განთავსებულნი იყვნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“, „გირჩი-მეტი თავისუფლების“, „საქართველოსთვის“ წარმომადგენლები: ნიკანორ მელია, გიორგი გახარია, ზურა-გირჩი ჯაფარიძე, გიორგი ბოკერია, ასევე მიხეილ სააკაშვილი, გუბაზ სანიკიძე და მედიამენეჯერები: ნოდარ მელაძე და ნიკა გვარამია.

2021 წლის 18-21 სექტემბრის პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციას ინდივიდუალურად საჩივრით მიმართა სამმა სუბიექტმა: ადგილობრივმა

280 დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, 17.09.2020. https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=622c837b-e90d-420c-bdd8-3fcef5211dcd

281 დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=622c837b-e90d-420c-bdd8-3fcef5211dcd

282 მათ შორის: ქუთაისი, რუსთავი, თელავი, გორი.

283 სიძულვილის ენის შემცველი პლაკატები პირველად 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს და მეორედ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე განთავსდა. ბანერებზე იყო წარწერა: „არა ნაცებს! არა ბოროტებას!“

დამკვირვებელმა, ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“, ასევე პოლიტიკურმა გაერთიანებამ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ელენე ხოშტარია - დროამ“.

საჩივრის ავტორები საჩივარში უთითებდნენ, რომ ბანერებს ჰქონდა ძალადობრივი შინაარსი და ანონიმურად იყო განთავსებული. ასევე დარღვეული იყო 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ვინაიდან სააგიტაციო მასალა შეიცავდა ძალადობის პროპაგანდას. ამგვარი ფორმისა და შინაარსის ბანერები აღრმავებდა საზოგადოებაში არსებულ პოლარიზაციას და შეიცავდა დაპირისპირების რისკებს.[284] პოლიტიკური პარტია „დროა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საჩივარში განმარტავდნენ, რომ აღნიშნული ბანერები წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალების შინაარსის მატარებელი იყო, არღვევდა კანონს და საზოგადოებაში შუღლსა და დაპირისპირებას აღვივებდა. ასევე იწვევდა საზოგადოების პოლარიზებას და საარჩევნო სუბიექტების დისკრედიტაციას ემსახურებოდა.[285] შესაბამისად, სააგიტაციო მასალა იყო საარჩევნო სუბიექტების წინააღმდეგ მიმართული საჯარო ქმედება.[286]

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 21 სექტემბრის საჩივრის თანახმად,[287] გამოქვეყნებულ ბანერებზე გამოყენებული იყო სიძულვილისა და ზიზღის ენა, რომელიც მიზნად ისახავდა ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილის დისკრედიტაციას და ამ ფორმით ამომრჩევლის ნებაზე გავლენის მოპოვებას. ასეთი ქმედება ემსახურებოდა მმართველი პარტიის ინტერესებს. ბანერები წარმოსახავდა წინასაარჩევნო აგიტაციას ნეგატიურ კონტექსტში და მიზნად ისახავდა კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების არჩევისათვის ხელის შეშლას. საჩივრის ავტორთა აზრით, სახეზე იყო აგიტაციის წესის დარღვევა, რაც ითვალისწინებდა საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სანქციას.[288] გარდა ამისა,

284 „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივარი ცესკო-ს თავმჯდომარეს, 18.09.2021, https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=232a6cc4-4700-434d-aa87-c21468f32055

285 პოლიტიკური გაერთიანება „ელენე ხოშტარია - „დროას“ საჩივარი ცესკო-ს თავმჯდომარეს, 19.09.2021, https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=7b810610-e6e3-4d7d-a862-c0a19754a0e3

286 „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივარი ცესკო-ს თავმჯდომარეს, 18.09.2021, https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=232a6cc4-4700-434d-aa87-c21468f32055

287 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივარი ცესკო-ს თავმჯდომარეს, 21.09.2021, https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=db661abf-1877-41c6-8129-002fe7f24e12

288 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივარი ცესკო-ს თავმჯდომარეს, 21.09.2021, https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=db661abf-1877-41c6-8129-002fe7f24e12.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საჩივარში უთითებდა მედიაში გასულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმად, ბილბორდების განთავსება უკავშირდებოდა მოქალაქე მიხეილ გაბრიაძეს, რომელიც, მედიის ინფორმაციით, კავშირში იყო მმართველ პარტიასთან. გარდა ამისა, საარჩევნო ბანერები კანონდარღვევით იყო განთავსებული: ბილბორდები გადაკრული იყო ვაქცინაციის წამახალისებელი კამპანიის ფარგლებში განთავსებულ ბანერებზე, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. შესაბამისად, ეს გულისხმობდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. მოთხოვნილ იქნა ბანერების ჩამოხსნა და სამართალდამრღვევი პირის, მიხეილ გაბრიაძის, მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა.

„დროა“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ საჩივრებში აღნიშნავდნენ, რომ, საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა ყოფილიყო დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები, ინფორმაცია მისი ტირაჟის, რიგითი ნომრისა და გამოშვების თარიღის შესახებ, რაც სადავო საარჩევნო ბანერებზე სახეზე არ იყო.[289]

ცესკო-ს ოფიციალური განცხადების თანახმად, „სიძულვილის ენა ნებისმიერი გამოხატულებით საარჩევნო ადმინისტრაციისთვის არის მიუღებელი და მისი ტირაჟირების ხელშეწყობა სცდება ეთიკურ ნორმებს.“[290] თუმცა ცესკო-ს თავმჯდომარის 28 სექტემბრის წერილით დადგინდა, რომ კერძო პირის - მიხეილ გაბრიაძის მიერ განხორციელებული ქმედება არ შეიძლება, მიჩნეული ყოფილიყო საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საარჩევნო პროგრამად, ვინაიდან ბანერების განთავსება განხორციელდა კერძო პირის მიერ და არ იყო განხორციელებული პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის და მათი მხარდამჭერის მიერ. ცესკო-ს განცხადებით, ბანერები განთავსებულ იქნა შპს „ალმას“ მიერ მიხეილ გაბრიაძის დაკვეთით და თანხა არ გაღებულა არც პოლიტიკური პარტიის, არც საარჩევნო სუბიექტისა და არც სახელ-

289 პოლიტიკური გაერთიანება „ელენე ხოშტარია - დროას“ საჩივარი ცესკო-ს თავმჯდომარეს, 19.09.2021, https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=7b810610-e6e3-4d7d-a862-c0a19754a0e3

290 ცესკო-ს გადაწყვეტილება ბანერების ცნობილ საკითხთან დაკავშირებით. 28.09.2021 https://cesko.ge/geo/list/show/126110-tseskos-gadatskvetileba-banerebis-tsnobil-sakitkhtan-dakavshirebit-

მწიფო ბიუჯეტის მიერ.[291] შესაბამისად, არ დასტურდებოდა საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ - 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა, რის შედეგადაც არ არსებობდა ფიზიკური პირის - მიხეილ გაბრიაძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველი.[292]

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“, ასევე „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საჩივრით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ცესკო-ს თავმჯდომარის ინდივიდუალური აქტის ბათილად ცნობა და მიხეილ გაბრიაძისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება. 2021 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ სრულად გაიზიარა ცესკო-ს თავმჯდომარის პოზიცია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.[293] შესაბამისად, ძალაში დარჩა ცესკო-ს თავმჯდომარის გადაწყვეტილება მიხეილ გაბრიაძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედგენაზე უარის თქმის თაობაზე და საჩივრის ავტორებს: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ უარი ეთქვათ საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

„თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური რეკლამა[294]

2012 წლის აგვისტოს თვეში სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელდა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ წინასაარჩევნო რეკლამა. ეს პარტია მონაწილეობდა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში.

---

291 ცესკო-ს 2021 წლის 28 სექტემბრის განცხადება, https://cesko.ge/geo/list/show/126110-tseskos-gadatskvetileba-banerebis-tsnobil-sakitkhtan-dakavshirebit-

292 იქვე.

293 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივრებზე, 08.10.2021, https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=089bd003-97e1-49a7-a642-15024f70a031

294 წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნებისშემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, საია, 2012 წელი, 17-19, https://gyla.ge/files/news/gamocemebi2012-2013/2012%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

რეკლამაში მოცემული იყო „თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო პროგრამა, პარტიის ხედვა ბევრი საკითხის მიმართ, რომელთა განხორციელებასაც ის აპირებდა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში.

სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად, რეკლამაში დასახელებული იყო შემდეგი:

„მოვახდენთ უცხოელების მიერ მიტაცებული ტყეების და საძოვრების ნაციონალიზაციას. მიწას დავუბრუნებთ ქართველ გლეხს. ინგლისურ წარწერებს და თურქულ დროშებს ქართულით შევცვლით. შევაჩერებთ აზიზიეს კომპლექსის მშენებლობას ბათუმში. ავკრძალავთ ჰომოსექსუალიზმის და სექტების ზღვარგადასულ პროპაგანდას.“ უცხოელების ნეგატიურ კონტექსტში ხსენებისას რეკლამაში ჩანდნენ ჩინელი მუშები, ხოლო „ჰომოსექსუალიზმისა და სექტების ზღვარგადასული პროპაგანდის“ აკრძალვაზე საუბრისას ჩანდა ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი) პირთა მიერ 2012 წლის 17 მაისს გამართული მშვიდობიანი და კანონით დაცული მანიფესტაციის კადრები.[295]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა, საერთო მოძრაობამ - მრავალეროვანი საქართველო, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა, ლგბტ - საქართველომ, „იდენტობამ“ წერილობით მიმართეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და მოუწოდეს პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა.

საჩივრის ავტორთა აზრით, პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ მიერ დამზადებული კლიპი/საარჩევნო პროგრამა არღვევდა აღნიშნულ აკრძალვებს, რამეთუ შეიცავდა ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისაკენ მოწოდებას. საჩივრის მიხედვით, პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ მიზნად ისახავდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა მიმხრობას, მათ დაინტერესებას და, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ამომრჩეველს სთავაზობდა უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების საწინააღმდეგოდ მკაცრი ზომების გატარებას, რაც შეუთავსებელი იყო დემოკრატიულ ღირებულებებსა და ადამიანის უფლებათა სამართალთან.[296] საჩივრის ავტორებს მიაჩნდათ, რომ პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ მიერ გავრცელებული

295 იქვე.
296 იქვე.

რეკლამა ხელს უწყობდა იმ სტერეოტიპების გაძლიერებას, რომლებიც ხელს უშლიდა რელიგიური, ეროვნული თუ სექსუალური უმცირესობის სრულყოფილ ინტეგრაციას საზოგადოებაში.[297] შესაბამისად, პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ წინასაარჩევნო აგიტაციას ახორციელებდა საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით, რისთვისაც 2000 ლარის ოდენობის ჯარიმა იყო გათვალისწინებული.[298]

2012 წლის 18 სექტემბერს ცესკო-ს თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ მიმართ, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევის გამო. ცესკო-ს თავმჯდომარემ საქმე სასამართლოში გადააგზავნა.

2012 წლის 25 სექტემბერს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტია ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და მას საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლით შეეფარდა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.[299] პოლიტიკურმა პარტიამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და პარტია გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.[300] სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიტიკური პარტიის მიერ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეორგოლი (მომავალი საქმიანობის პროგრამა) არ შეიცავდა ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისა ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისაკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისაკენ მოწოდებას. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, პოლიტიკური პარტიის მიერ საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 79-ე მუხლებით განსაზღვრული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ მომხდარა.[301]

---

297 იქვე.

298 იქვე.

299 2012 წლის 29 ოქტომბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილება, საქმე N4/1-257-12.

300 2012 წლის 29 ოქტომბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილება, საქმე N4/1-257-12.

301 2012 წლის 29 ოქტომბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილება, საქმე N4/1-257-12.

„ევროპული საქართველოს“ უფასო პოლიტიკური რეკლამა

2021 წლის 7 სექტემბერს პოლიტიკურმა პარტიამ - „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - ვიდეორგოლი წარუდგინა ტელეკომპანია „იმედს“, უფასო პოლიტიკური რეკლამის გაშვების მიზნით.

„ქვეყანას არაკომპეტენტური, კორუმპირებული და მოღალატე ადამიანები მართავენ“ - ნათქვამი იყო ვიდეორგოლში, რომელიც იყო „ევროპული საქართველოს“ კამპანიის, „სოციალური მაშველის“ ნაწილი. პარტია სთავაზობდა ყველა ადამიანს, ვინც ხელისუფლების მხრიდან წინასაარჩევნოდ სამსახურებრივი მუქარის ან სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის ადრესატი გახდებოდა, ცხელ ხაზზე დაკავშირებას და შესაბამისი დახმარების გაწევას.[302]

ტელეკომპანია „იმედმა“ პოლიტიკურ პარტია „ევროპულ საქართველოს“ უარი უთხრა წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში განთავსებაზე იმ მოტივით, რომ რეკლამა შეიცავდა სიძულვილის ენას.[303] ტელეკომპანიის პოზიციით, ვიდეორგოლი შეიცავდა შეურაცხყოფისა და დაცინვის ტექსტს, მისი შინაარსი არაეთიკური და არაკეთილსინდისიერი იყო. კომპანია მიიჩნევდა, რომ რეკლამაში გამოყენებული იყო შეურაცხყოფა არა მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების, არამედ ტელეკომპანია „იმედის“ მიმართაც. შესაბამისად, წარმოადგენდა არასათანადო რეკლამას, რომლის განთავსებაც აკრძალული იყო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

პოლიტიკურმა პარტიამ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ საჩივრით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას, მოითხოვა საჩივრის განხილვა და ტელეკომპანია „იმედის“ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. პარტიის პოზიციით, „ტელეიმედის“ გადაწყვეტილება იყო უკანონო, ვინაიდან მათ მიერ ტელეკომპანიაში წარდგენილი რეკლამა წარმოადგენდა პოლიტიკურ/წინასაარჩევნო შინაარსის პროდუქტს, რომელიც მოიცავდა საზოგადოებისათვის აქტუალურ და მტკივნეულ საკითხზე ყურადღების გამახვილებას. პოლიტიკური პარტიის განცხადე-

302 „იმედმა“ „ევსაქებს“ წინასაარჩევნო რეკლამის გაშვებაზე უარი უთხრა, 26.08.2021, https://netgazeti.ge/news/560663/

303 საქართველოს პარლამენტის არჩევნები, 2016 წლის 8 და 30 ოქტომბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, https://www.osce.org/files/f/documents/a/a/498306.pdf 17.

ბით, ტელეკომპანიის უარი რეკლამის განთავსებაზე შეიცავდა პოლიტიკური პარტიის რეკლამის შინაარსში ჩარევას და პოლიტიკური პარტიებისა და ამომრჩევლის ინფორმირებულობის წინააღმდეგ მიმართულ ცენზურას. ამასთან, ვიდეორგოლი არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

17 სექტემბერს საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი „ტელეიმედის" მიმართ, საარჩევნო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ სახდელს - ჯარიმას 5000 ლარის ოდენობით.[304] ოქმში აღინიშნა, რომ შპს „ტელეიმედმა" თავის სამაუწყებლო ეთერში არ განათავსა პ/გ-ის - „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" - მიერ მისთვის წარდგენილი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა, რითაც დაირღვა საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად: ,,უფასო საეთერო დრო საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით თანაბრად ეძლევათ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი შესაბამისი საარჩევნო ბარიერი გადალახეს."

სამართალდარღვევის ოქმი განსახილველად სასამართლოს გადაეგზავნა. 2021 წლის 19 სექტემბრის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „იმედი" მიჩნეულ იქნა სამართალდამრღვევად და დაჯარიმდა 5000 ლარის ოდენობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ პ/გ-ის - „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის" - მიერ წარდგენილი ვიდეორგოლი არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციით დადგენილ ზოგად მოთხოვნებს და პრინციპებს, ასევე საარჩევნო კანონმდებლობითა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ნორმებს. გარდა ამისა, ვიდეორგოლი ვერ იქნებოდა მიჩნეული არასათანადო, არაკეთილსინდისიერ რეკლამად. არასათანადო რეკლამის ცნება მოცემული იყო რეკლამის შესახებ კანონში და, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ეს განმარტება/დეფინიცია ვერ გავრცელდებოდა პოლიტიკურ რეკლამაზე.

ტელეკომპანია „იმედმა" აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. 2021 წლის 4 ოქტომბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილებით, არ დაკმაყოფილდა ტელეკომპანია

304 კომუნიკაციების კომისიამ „ევროპული საქართველოს" საჩივარი „იმედის" წინააღმდეგ დააკმაყოფილა, 12.09.2021 https://comcom.ge/ge/yvela-siaxle/komunikaciebis-komisiam-evropuli-saqartvelos-sachivari-imedis-winaagmdeg-daakmayofila.page

„იმედის“ საჩივარი და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

IV. დასკვნა

არჩევნებში სიძულვილის ენის გამოყენება და ნეგატიური წინასაარჩევნო კამპანია ზიანს აყენებს წინასაარჩევნო გარემოს და, პირველ რიგში, უარყოფითად მოქმედებს ამომრჩეველზე. ნეგატიური წინასაარჩევნო კამპანიის არსებობის პირობებში, არ რჩება შესაძლებლობა, მეტი აქცენტი გაკეთდეს ამომრჩევლის კონკრეტულ პრობლემებსა და მის საჭიროებებზე. ასეთ პირობებში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიისას არ რჩება შესაძლებლობა, მოხდეს საარჩევნო პროგრამების ძირეული განხილვა, საკითხზე ორიენტირებული შინაარსიანი დებატები და, საბოლოოდ, ამომრჩეველს არ ეძლევა შესაძლებლობა, გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი. მსგავსი პრობლემების მუდმივად არსებობის პირობებში კი შესაძლოა, ამომრჩეველმა დაკარგოს საარჩევნო და პოლიტიკური პროცესისადმი ნდობა, ინტერესი.

საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია ნეგატიურ კონტექსტში მიმდინარეობს, სადაც შეინიშნება პოლიტიკური ოპონენტების უპატივცემულობა, მწვავე ურთიერთბრალდებები, განსხვავებული აზრის მიუღებლობა, მუქარა, აგრესია, ფიქსირდება ძალადობისა და დაპირისპირების ფაქტები. საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია ერთ-ერთი მწვავე საკითხია, რაც ხელს უშლის პოლიტიკური პროცესების მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში წარმართვას. წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას პოლიტიკოსები ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ განცხადებებს აკეთებენ.[305] ქალი პოლიტიკოსები, მათი პოლიტიკური საქმიანობის გამო, სიძულვილის ენის გამოყენების ობიექტები ხდებიან. [306] საქართველოს შესახებ ანგარიშებში ვკითხულობთ, რომ სიძულვილის ენა ფართოდ გამოიყენება ინტერნეტსივრცეში და არის გაუკონტროლებელი და დაუსჯელი ფენომენი.[307]

არჩევნებში სიძულვილის ენის გამოყენების პრევენციაზე დისკუსიისას

305 წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020. ანტიდასავლური გზავნილები, სიძულვილის ენა, ყალბი ინფორმაცია. მედიის განვითარების ფონდი (MDF), 6, http://mdfgeorgia.ge/uploads//MDF%20winasaarchevno%20monitoringi%202020.pdf

306 წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში. მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2020, 13 https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2021/01/UNDP-Report-FINAL-GEO-28.01.pdf

307 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. მოხსენება საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს. გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775

გასათვალისწინებელია როგორც საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო, ასევე ქვეყნის კონტექსტი.

საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სიძულვილის ენა არ არის კრიმინალიზებული. ქვეყანამ აირჩია გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტი, იგივე ამერიკული მოდელი, რა დროსაც გამოხატვის თავისუფლება არ იზღუდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახეზე არ არის „ნათელი და მყისიერი საფრთხე," რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებას. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ასეთი მოდელის არსებობის პირობებში სიძულვილის ენის გამოყენების დამატებითი საკანონმდებლო რეგულირება ვერ იქნება შესაბამისობაში გამოხატვის თავისუფლების დაცვის ისეთ მაღალ სტანდარტთან, რომელსაც საქართველომ უპირატესობა ჯერ კიდევ 2004 წელს მიანიჭა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მიღებით. ამით საქართველომ, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანამ, საკანონმდებლო დონეზე მოახდინა განსხვავებული აზრის დევნის, მისი შეზღუდვისა და კონტროლის შემდგომი პრევენცია.

რაც შეეხება პოლიტიკურ კონტექსტს, აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება: პირველ რიგში, უნდა შეფასდეს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების ხარისხი, დემოკრატიული რეფორმების განხორციელების მდგომარეობა, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა, მედიის თავისუფლება, პოლიტიკური პარტიების საქმიანობის გარანტიები. პოსტსაბჭოთა საქართველოში, რომელიც დემოკრატიული განვითარების გზას უკვე 30 წელია ადგას, კვლავ ძლიერია ერთპარტიული მმართველობა და, ძირითადად, პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი ინსტიტუციურად სუსტად განვითარებულია, არსებობს კითხვები სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევებია ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. შესაბამისად, სიძულვილის ენის გამოყენების დამატებითი რეგულირებით მაღალია რისკი, რომ განხორციელდეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვა, დაწესდეს კონტროლი პოლიტიკურ განცხადებებზე და შემდგომ ეს აიხსნას საკანონმდებლო რეგულაციების დაცვის აუცილებლობით, მაშინ, როდესაც ქვეყანაში არსებობს რიგი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც იძლევიან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიას და კრძალავენ დისკრიმინაციას, პირთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას, შუღლის გაღვივებას, ძალადობისაკენ მოწოდებას და ა.შ.[308] აღნიშნული

308 სიძულვილის ენა. კავშირი 21-ე საუკუნე, თბილისი 2017 წელი, 69, https://southcaucasus.fes.de/fileadmin/Publications/2017/hate_speech.pdf

გარემოების გათვალისწინებით, სიძულვილის ენის შემდგომი რეგულირების აუცილებლობას ვერ ვიზიარებთ.

არჩევნებში სიძულვილის ენის გამოყენების პრევენციის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა, რაც მოიცავს სამოქალაქო განათლებას, ცნობიერების ამაღლებას, პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობას, ასევე არსებული საკანონმდებლო რეგულაციებისა და აღსრულების წესების გაუმჯობესებას.

განათლება, ცნობიერების ამაღლება, პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა

სიძულვილის ენის გამოყენების პრევენციის მიზნებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი და სწორი გზა არის საკითხის აქტუალიზაცია, მეტი აქცენტის გაკეთება განათლებასა და ცნობიერების ამაღლებაზე ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ტოლერანტობა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, განსხვავებული აზრის მიმღებლობა. მნიშვნელოვანია პოლიტიკური პლურალიზმის ხელშეწყობა, პოლიტიკური დებატების კულტურის დანერგვა და სხვ.

ძალიან მნიშვნელოვანია მედიის როლი და დამოუკიდებელი და პროფესიული მედიის არსებობა. მნიშვნელოვანია, რომ მედია, რომელიც არის ინფორმაციის გამავრცელებელი, პირველ რიგში, თავად მოქმედებდეს მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით, რათა არ დაუშვას საკუთარი სამაუწყებლო ბადისა თუ საგაზეთო ფართის/ინტერნეტსივრცის გამოყენება სიძულვილის ენის ტირაჟირებისა და მისი გავრცელებისთვის.

მნიშვნელოვანია ინტერნეტსივრცეში ფართოდ გავრცელებული სიძულვილის ენის მონიტორინგი და ამ კუთხით სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ შეპასუხების სტრატეგიის შემუშავება.

პოლიტიკურმა პარტიებმა განსაკუთრებით ყურადღება უნდა დაუთმონ წინასაარჩევნო კამპანიის მასალების, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამების შინაარსს და უნდა შეეცადონ, ამ მასალის შინაარსი სრულ თანხვედრაში იყოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებთან. მათ შორის, საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტთან, რომლითაც დადგენილია წინასაარჩევნო პროგრამის ძირითადი სტანდარტები. წინასაარჩევნო პერიოდში მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს საარჩევნო პროგრამების შემუშავებასა და მათი ამომრჩევლისადმი გაცნობაზე. წინასაარჩევნო განცხადე-

ბები და მასალები უნდა იყოს საარჩევნო პროგრამაზე ორიენტირებული, ხოლო საჯარო განცხადებები უნდა იყოს ძალადობრივი რიტორიკისა და სიძულვილის ენისგან დაცლილი.

აჩევნებში სიძულვილის ენის გამოყენების ჰევენციისათვის უმნიშვნელოვანესია თვითჰეგულიება. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა დანერგონ ქცევის წესები, რათა პოლიტიკური და საჯარო განცხადებები თავისუფალი იყოს სიძულვილის ენისგან, ან ენისგან, რომელიც ახალისებს შუღლსა და დაპირისპირებას. ზოგადად და განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში პარტიებმა უარი უნდა თქვან პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ისეთი მეთოდების გამოყენებაზე, როგორებიცაა: სიძულვილის ენა, ქსენოფობიური და ჰომოფობიური განცხადებები, დეზინფორმაცია და დისკრედიტაციის კამპანიები, პოლიტიკური ოპონენტების სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ქცევის წესები უნდა იყოს კარგად გაწერილი და შეთანხმებული არა მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას შორის, არამედ ეს წესები უნდა შეთანხმდეს პარტიების წევრებთან, მათ აქტივისტებთან, რომლებიც ჩართულები არიან წინასაარჩევნო კამპანიაში. პოლიტიკურმა პარტიებმა, კანდიდატებმა განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა მიმართონ აღნიშნული წესების დაცვაზე, მათ შესრულებაზე და მუდმივად უნდა მოახდინონ ამ წესების დაცვის მონიტორინგი, განამტკიცონ შიდა პარტიული დისციპლინა.

სიძულვილის ენის გამოყენების პრევენციის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია ***ახსებული ჰეგულაციების გაუმჯობესება, შეცვლა*** იმ მიზნით, რომ ისინი ეფექტურად მუშაობდეს პრაქტიკაში. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სანქცია, რომელიც წინასაარჩევნო აგიტაციაში საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით მონაწილეობის გამო ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტისა და მათი მხარდამჭერების პასუხისმგებლობას 2000 ლარის ოდენობით. სწორედ ამ მუხლის საფუძველზე ხდება საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის დაკისრებაც. ფაქტია, რომ აღნიშნული სანქცია არის არაეფექტური და ვერ უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების დაცვის პრევენციას. შესაბამისად, უნდა გადაიხედოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის გამო არსებული სანქცია. უნდა დაწესდეს უფრო მაღალი ჯარიმა, ვიდრე ეს 2000 ლარია პასუხისმგებლობის სახით, ასევე, სიძულვილის ენის გამოყენებისთვის უნდა მოხდეს კონკრეტული პარტიული ან მაჟორიტარული სიით წარდგენილი პირისათვის საარჩევნო რეგისტრაციის

გაუქმება, მისი არჩევნებიდან მოხსნა საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში.

სიძულვილის ენის გამოყენების კუთხით, ერთ-ერთი მექანიზმი არის ასევე ***აღსრულების წესების გაუმჯობესება.*** შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა სათანადო ზედამხედველობა და პრევენცია უნდა განახორციელონ და დროული რეაგირება უნდა მოახდინონ ისეთ შემთხვევებზე, სადაც არსებობს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები, რაც მოიცავს ასევე დამრღვევ პირთა მიმართ სანქციების დროულად გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, სისხლის სამართლის კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები სრულყოფილად გამოიძიონ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებათა შესახებ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვისას, სათანადოდ გამოიყენონ.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია. 24.08.1995. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი.“ 27.12..2011. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=70
3. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.“ 24.06.2004. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6
4. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.“ 2.05.2014. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3
5. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ.“ 23.12.2004. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=61
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 22.07.1999 https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=236
7. საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. 12.06.1997. https://matsne.gov.ge/document/view/31678?publication=16
8. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. დადგენილება N2. 12.03.2009.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0
9. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ.“ 27.10.2015. https://matsne.gov.ge/document/view/3031098?publication=35
10. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ 31.10. 1997. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=35
11. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ.“ 18.02.1998. https://matsne.gov.ge/document/view/31840?publication=28
12. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ქარტიის პრინციპები. https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula
13. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 10.12.1948. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf
14. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. https://cesko.ge/res/docs/Parliament-Web.pdf
15. ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე N R(97) 20., 1997; https://rm.coe.int/1680505d5b
16. სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. 2014. www.gdi.ge
17. Hate Speech Explained. A Toolkit. Article 19. 2015 Edition. London, United Kingdom
18. ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013.
19. სიძულვილის ენა. კავშირი 21-ე საუკუნე, თბილისი 2017 წელი. https://southcaucasus.fes.de/fileadmin/Publications/2017/hate_speech.pdf
20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის N 2/2/359 გადაწყვეტილება. https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=322

21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1309814?publication=0
22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება.
https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=300
23. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. მოხსენება საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს. გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს.
https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775
24. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი. კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. 2016.
https://gdi.ge/uploads/other/0/351.pdf
25. პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის
26. https://cesko.ge/res/docs/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9803.12.pdf
27. სიძულვილის ენასთან ბრძოლა - სახელმძღვანელო წესები მედიისთვის. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.
https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/75684
28. სიძულვილის ენის აღმოფხვრა პოლიტიკურ დისკურსში - სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თვითრეგულაციის მექანიზმებისკენ. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა.
https://gdi.ge/uploads/other/0/192.pdf
29. სიძულვილის ენის გამოყენება თანამდებობის პირების/საჯარო მოხელეების მიერ და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები 2014-2016. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2016, თბილისი.
https://www.gdi.ge/uploads/other/0/344.pdf

30. ცესკო-ს გადაწყვეტილება ბანერების ცნობილ საკითხთან დაკავშირებით. 28.09.2021.
https://cesko.ge/geo/list/show/126110-tseskos-gadatskvetileba-banerebis-tsnobil-sakitkhtan-dakavshirebit-
31. https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/88867-gadatsyvetileba-saqmeze-mariam-melqadze-magda-anikashvilis-da-vaka-gorgiladzis-tsinaaghmdeg
32. საქართველოს საპარლამენტო არჩევნები, 2020 წლის 31 ოქტომბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი.
https://www.osce.org/files/f/documents/f/f/502719_0.pdf
33. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, 2017 წლის 21 ოქტომბერი და 12 ნოემბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი.
https://www.osce.org/files/f/documents/f/a/375682.pdf
34. საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები, 2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი.
https://www.osce.org/files/f/documents/a/c/414827.pdf
35. საქართველოს პარლამენტის არჩევნები, 2016 წლის 8 და 30 ოქტომბერი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი.
https://www.osce.org/files/f/documents/5/5/299306.pdf
36. წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020. ანტიდასავლური გზავნილები, სიძულვილის ენა, ყალბი ინფორმაცია. მედიის განვითარების ფონდი (MDF).
http://mdfgeorgia.ge/uploads//MDF%20winasaarchevno%20monitoringi%202020.pdf
37. წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში. მედიის განვითარების ფონდი (MDF). 2020.
https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2021/01/UNDP-Report-FINAL-GEO-28.01.pdf

38. წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, საია, 2012 წელი. https://gyla.ge/files/news/gamocemebi2012-2013/2012%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%-94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf
39. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივარი ცესკო-ს თავმჯდომარეს. 18.09.2021. https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=232a6cc4-4700-434d-aa87-c21468f32055
40. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივარი ცესკო-ს თავმჯდომარეს. 21.09.2021. https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=db661abf-1877-41c6-8129-002fe7f24e12
41. პოლიტიკური გაერთიანება „ელენე ხოშტარია - დროას“ საჩივარი ცესკო-ს თავმჯდომარეს. 19.09.2021. https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=7b810610-e6e3-4d7d-a862-c0a19754a0e3
42. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივრებზე. 08.10.2021. https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=089bd003-97e1-49a7-a642-15024f70a031
43. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივარი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. 02.09.2020. https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=d3a9bb97-622e-4887-960d-b7df14fa5333

44. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N001964. პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ. 10.09.2020.
https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=e3e20179-cbbe-4861-a6f5-373638367adf
45. დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. 17.09.2020.
https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=622c837b-e90d-420c-bdd8-3fcef5211dcd
46. კომუნიკაციების კომისიამ „ევროპული საქართველოს“ საჩივარი „იმედის“ წინააღმდეგ დააკმაყოფილა. 12.09.2021.
https://comcom.ge/ge/yvela-siaxle/komunikaciebis-komisiam-evropuli-saqartvelos-sachivari-imedis-winaagmdeg-daakmayofila.page
47. „იმედმა“ „ევსაქებს“ წინასაარჩევნო რეკლამის გაშვებაზე უარი უთხრა. 26.08.2021
https://netgazeti.ge/news/560663/
48. 2012 წლის 29 ოქტომბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილება. საქმე N4/1-257-12.

დანართი I

სასწავლო მოდული - „საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის“, შემუშავებული ევროპის საბჭოს საარჩევნო მხარდაჭერის პროექტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრთან თანამშრომლობით.

სასწავლო მოდული

ტრენერთა ტრენინგი თემაზე - „საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის“

14-15 ივნისი, 2021 წელი

ევროპის საბჭოს პროექტი

„საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში”

1. შინაარსი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 2009 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო) შეიქმნა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (სწავლების ცენტრი). ცენტრი უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისა და სხვა დაინტერესებული პირების (პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და ამომრჩევლები) მომზადებას საარჩევნო საკითხებზე. სწავლების ცენტრი ახდენს ტრენინგის მოდულების შემუშავებას და ახორციელებს კასკადურ ტრენინგს, საარჩევნო მოხელეებისა და არჩევნებში მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარეების თანმიმდევრული და

სისტემური პროფესიული ზრდისთვის. წინამდებარე სასწავლო მოდული ეთმობა საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენასთან ბრძოლის თემებს.

2. სასწავლო მოდულის ტრენერი/ექსპერტი

ტრენინგს ჩაატარებს დოქტორი მარი-კარინ ფონ გუმპენბერგი, საქართველოში ეუთოს მისიის ყოფილი ოფიცერი არჩევნების/დემოკრატიზაციის საკითხებში (2005-2009 წწ.) და ევროპის საბჭოს ტრენერი საქართველოში მომუშავე სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის, საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტებისა და არჩევნების შესახებ ანგარიშგების საკითხებზე (2012-2019 წწ.).

3. თემის მნიშვნელობა და პრობლემის აქტუალურობა

დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები საქართველოში მზარდია, რაც მკაფიოდ გამოჩნდა სექსუალური და რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ ჩადენილ გახმაურებულ ინციდენტებში. ბოლოდროინდელმა არჩევნებმა დაადასტურა, რომ სიძულვილის ენა და სექსიზმი წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელ ნაწილად იქცა, რაც ყველაზე ნათლად გამოჩნდა ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როდესაც ქალი კანდიდატი იყრიდა კენჭს.

საარჩევნო კომისიის წევრები, ზოგადად, განსაკუთრებით კი საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონეები, საშუალოდ არიან ინფორმირებულები დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის შესახებ. სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმები არ არის საკმარისი, ან, ერთი შეხედვით, იშვიათად გამოიყენება დაზარალებული პირებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების მიერ. არსებობს სიძულვილის ენის შემთხვევების პრევენციისა და მათზე რეაგირების გზების შესახებ ცნობიერების ამაღლების საჭიროება, არა მხოლოდ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, არამედ მთლიანი საარჩევნო ციკლის განმავლობაში, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის თვალსაზრისით.

საქართველოში განხორციელდა გარკვეული ძალისხმევა სიძულვილის ენის რეგულირების კუთხით, თუმცა არსებობენ როგორც რეგულირების მომხრეები, ისე მოწინააღმდეგენი. ისინი, ვინც სიძულვილის ენის რეგულირებას ემხრობიან, სიტყვის თავისუფლების ძირითად პრინციპებთან

დაკავშირებით არსებულ ფართო კონსენსუსზე მიუთითებენ, მოწინააღმდეგეები კი აცხადებენ, რომ ნებისმიერი სახის რეგულირება სიტყვის თავისუფლებას შეზღუდავს.

4. ტრენინგის მიზანი

სასწავლო მოდულის მიზანია, ხელი შეუწყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების შემცირებას, რისთვისაც იგი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს უზრუნველყოფს სათანადო ცოდნითა და ინსტრუმენტებით, რათა მოახდინონ როგორც საარჩევნო ადმინისტრაციების მოხელეების წინააღმდეგ, ისე საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოებული კამპანიის მიმდინარეობისას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების იდენტიფიცირება და რეაგირება, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში. ამ მიზნის მისაღწევად ცესკო-ს სწავლების ცენტრი ტრენინგს შესთავაზებს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა მოხელეს და საარჩევნო პროცესებში მონაწილე სხვა დაინტერესებულ მხარეებს. შედეგად, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა მოხელეს ექნება ერთნაირი მინიმალური ექსპერტული ცოდნა საარჩევნო პროცესებში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ, მათ შორის: ევროპის საბჭოს სტანდარტების, შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტების, ეროვნული კანონმდებლობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკისა და ეროვნული სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

ტრენინგის სტანდარტების დადგენის მიზნით, ექსპერტი საბაზისო ტრენინგს ჩაუტარებს საარჩევნო ადმინისტრაციის შერჩეულ მოხელეებს და უზრუნველყოფს მათ აღჭურვას შესაბამისი ცოდნით, რათა შემდგომ მათ თავად შეძლონ სხვა მოხელეების მომზადება.

ტრენინგი შემდეგი მოდულებისგან შედგება:

სესია I. სიძულვილის ენა. შესავალი: ევროპის საბჭოს სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტები

სესია II. სიძულვილის ენა და საარჩევნო ადმინისტრაციები

სესია III: სიძულვილის ენასთან დაკავშირებული ცნებები და სტატისტიკა

სესია IV: სიძულვილის ენა და საარჩევნო კამპანიები

5. ტრენინგის ამოცანები

ტრენინგის ძირითადი ამოცანაა, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები აღჭურვოს სიღრმისეული ცოდნით საარჩევნო ადმინისტრაციების მოხელეებისა და ამომრჩევლების წინააღმდეგ და, ასევე, საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ, ევროპის საბჭოს შესაბამისი სტანდარტებისა და პრაქტიკის ჩათვლით:

- **სიძულვილის ენა საარჩევნო პროცესებში** - მონაწილეები შეძლებენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის იდენტიფიცირებას და ლეგალური დეფინიციების გამიჯვნას, ასევე - შესაბამისი ნორმების გამოყენებას და ინფორმაციის გაცემას სამართლებრივი დაცვის სათანადო მექანიზმების შესახებ.
- სიძულვილის ენის გამოყენება **საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისა და ამომრჩევლების მიმართ -** მონაწილეები შეძლებენ რისკების შემცირებასა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისა და ზეწოლის შემთხვევებზე რეაგირებას.
- სიძულვილის ენა **საარჩევნო კამპანიის** დროს - მონაწილეები გაეცნობიან ინფორმაციას შესაბამისი პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების შესახებ.

6. სასწავლო მოდულის სამიზნე ჯგუფი

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები და საარჩევნო პროცესებში მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარეები. ტრენინგის მთავარი სამიზნე ჯგუფია ცესკო-ს სწავლების ცენტრისა და ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები.

სწავლების ცენტრი ტრენინგს ჩაატარებს არა მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისათვის, არამედ, ასევე, სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის (მათ შორის, უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის).

7. სასწავლო მოდულის შემუშავების პროცესი

სასწავლო მოდული „სიძულვილის ენასთან ბრძოლა და საარჩევნო პროცესები საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის“ შემუშავდა ტრენერის მიერ, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ACE Project-ისა და ეუთო/ოდირის

ხელმისაწვდომ ლიტერატურაზე დაყრდნობით. ტრენინგის შემუშავების პროცესში ტრენერმა, ასევე, გაიარა კონსულტაციები ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებთან.

8. პარტნიორები

- ევროპის საბჭოს პროექტი „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“. პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოში საარჩევნო პროცესების გაუმჯობესება და მათი დაახლოება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკასთან.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია და ცეკსოს სწავლების ცენტრი.

9. სწავლების მეთოდები

ტრენინგის დროს გამოყენებულ იქნება სწავლების შემდეგი მეთოდები: პრეზენტაცია/ლექცია, დისკუსია ფასილიტატორის ხელმძღვანელობით და ჯგუფური მუშაობა.

პრეზენტაციები სწავლების ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ადვილად აღქმადი მეთოდია. თუმცა სწავლების საუკეთესო მეთოდია ჯგუფური მუშაობა. ტრენინგის მონაწილეები ყველაზე ეფექტიანად სწავლობენ მაშინ, როდესაც დამოუკიდებლად განიხილავენ ტრენინგის თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მონაწილეები ჯგუფური მუშაობის შედეგებს პრეზენტაციის სახით წარადგენენ. ექსპერტი ამ პრეზენტაციებს გაუწევს ფასილიტაციას და დისკუსიას სასურველი შედეგისკენ წაიყვანს, თუმცა ამ პროცესში მთავარ როლს მონაწილეები შეასრულებენ.

10. ტრენინგის შეფასება

- შეფასება ტრენინგის ხარისხის მართვის ინსტრუმენტია, რომელიც ევროპის საბჭოსა და ტრენერს/ექსპერტს ტრენინგის ეფექტიანობის შეფასებისა და გაზომვის და იმ საკითხების იდენტიფიცირების შესაძლებლობას აძლევს, რომელთაც გაუმჯობესება სჭირდებათ. ტრენინგის შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნება შემდეგი მეთოდოლოგია:

- ტესტი ტრენინგამდე: მონაწილეები შეავსებენ მცირე კითხვარს ტრენინგის დაწყებამდე, რათა მოხდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის სფეროში მათი ცოდნის დონისა და ტრენინგის საჭიროებების განსაზღვრა;
- ტესტი ტრენინგის შემდგომ I: მონაწილეები ტრენინგის შეფასების მიზნით ტრენინგის დასასრულს შეავსებენ კითხვარს;
- ამასთან, ტრენერი მოამზადებს წერილობით ანგარიშს ტრენინგის დროს მიღებული გამოცდილების („ნასწავლი გაკვეთილების“) შესახებ;
- ტესტი ტრენინგის შემდგომ II: ევროპის საბჭომ, შესაძლოა, მონაწილეებს ტრენინგის ჩატარებიდან 2 კვირის ვადაში გაუგზავნოს კითხვარი.

11. დანართები

დანართი 1. ტრენინგის დღის წესრიგი

ტრენერი/ექსპერტი: დოქტორი მარი-კარენ ფონ გუმპენბერგი

ტრენინგის ფორმატი: დისტანციური/ელექტრონული

ტრენინგის მეთოდები:

- ბრეინსტორმინგი
- თოვლის გუნდის ეფექტი
- დისკუსია ფასილიტატორის ხელმძღვანელობით
- დისკუსია მცირე ზომის ჯგუფებში
- დებატები
- პრობლემის გადაწყვეტა
- როლური თამაშები / იმიტირებული სასამართლო
- კაზუსები / პრაქტიკული მაგალითები
- ბრიფინგი
- პრეზენტაცია / ლექცია

ტრენინგის ხანგრძლივობა - 2 დღე

დღე I - 14 ივნისი

სესია I - შესავალი

სესია II - სიძულვილის ენა და საარჩევნო ადმინისტრაციები

14:00 -14:15 - მისალმება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ევროპის საბჭო, არჩევნებისა და თანამონაწილეობითი განყოფილება

14:15 -14:45 - შესავალი

მარი-კარინ ფონ გუმპენბერგი, ევროპის საბჭოს ექსპერტი

- პრეზენტაცია: **შესავალი - ევროპის საბჭოს სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტები**
- დეფინიციები
- მექანიზმები
- შედეგები
- სიძულვილის ენა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული
- სიძულვილის ენა და გამოხატვის თავისუფლება

14:45 - 15:30

- **ჯგუფური სამუშაო შემდეგ კითხვებზე (zoom-ში დაყოფილი ჯგუფები):**
- სიძულვილის ენასთან მიმართებით რა გამოწვევების წინაშე დგას საარჩევნო ადმინისტრაცია?
- რა კარგი პრაქტიკა არსებობს გამოწვევებთან გასამკლავებლად?

თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაასახელოს მომხსენებელი, ვინც ჯგუფური სამუშაოს დროს ჩაინიშნავს საკითხებს და შემდეგ გააკეთებს პრეზენტაციას ჯგუფის სახელით.

15:30 - 15:45

შესვენება

15:45 - 16:15

თითოეული ჯგუფის მიერ ჯგუფური განხილვის შედეგების პრეზენტაცია; ექსპერტის მიერ შედეგების შეჯამება (ეკრანის გაზიარებით): გამოწვევები და კარგი პრაქტიკა საარჩევნო ადმინისტრაციისათვის - სიძულვილის ენის პრევენცია და რეაგირება სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე

16:15 - 16:40

- პრეზენტაცია: **საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის გამოყენება სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში**

16:40 - 17:00

ექსპერტის მიერ პირველი დღის შედეგების შეჯამება

მონაწილეების მიერ პირველი დღის უკუკავშირის გაზიარება (პირადად და დისტანციური კვლევით)

დღე II - 15 ივნისი

სესია III - სიძულვილის ენასთან დაკავშირებული ცნებები და სტატისტიკა

სესია IV - სიძულვილის ენა და საარჩევნო კამპანიები

მარი-კარინ ფონ გუმპენბერგი, ევროპის საბჭოს ექსპერტი

15:30 - 15:45

- მისალმება ექსპერტის მიერ
- დაკავშირებული ცნებები: ტოქსიკური საუბარი, ყალბი ინფორმაცია

15:45 - 16:15

- პრეზენტაცია: **ექსპერტის მიერ სიძულვილის ენისა და საარჩევნო კამპანიების საკითხის წარდგენა**

16:15 - 17:15

- **ჯგუფური სამუშაო შემდეგ კითხვებზე (zoom-ში დაყოფილი ჯგუფები):**
- სიძულვილის ენასთან დაკავშირებით რა გამოწვევებია საარჩევნო კამპანიების დროს?
- რა კარგი პრაქტიკა არსებობს იდენტიფიცირებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად? რომელი სამართლებრივი და არასამართლებრივი ინსტრუმენტები იქნა გამოყენებული?

თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაასახელოს მომხსენებელი, ვინც ჯგუფური სამუშაოს დროს ჩაინიშნავს საკითხებს და შემდეგ გააკეთებს პრეზენტაციას ჯგუფის სახელით.

17:15 - 17:30

შესვენება

17:30 - 17:45

თითოეული ჯგუფის მიერ ჯგუფური დისკუსიების შედეგების პრეზენტაცია; ექსპერტის მიერ შედეგების შეჯამება (ეკრანის გაზიარებით): გამოწვევები და კარგი პრაქტიკა საარჩევნო ადმინისტრაციისათვის - სიძულვილის ენის პრევენცია და რეაგირება სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე

17:45 - 18:15

- პრეზენტაცია: **საარჩევნო კამპანიაში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების სტანდარტები და კარგი პრაქტიკა** - სისტემური მიდგომა
- რეგულაციები/სამართლებრივი ჩარჩო
- ამომრჩეველთა განათლება
- ცნობილი წარმომადგენლების განცხადებები
- ქცევის კოდექსი პოლიტიკური პარტიებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის
- საარჩევნო კამპანიების დროს სიძულვილის ენის მონიტორინგი და ანგარიშგება
- ონლაინპლატფორმა სიძულვილის ენის გამოყენების თაობაზე ანგარიშგებისათვის

18:15 - 18:30

ექსპერტის მიერ მეორე დღის შედეგების შეჯამება

მონაწილეების მიერ პირველი დღის უკუკავშირის გაზიარება (პირადად და დისტანციური კვლევით)

დანართი 2. სილაბუსი

სასწავლო მოდული „საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის“

14 ივნისი, 2021 წელი	
სესია I. სიძულვილის ენა. შესავალი: ევროპის საბჭოს სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტები	
სესიის თემა	**სასწავლო მასალები**
სესია I: განმარტებები, სტატისტიკური მონაცემები, ადრესატები, შედეგები	**განმარტებები** • სიძულვილის ენა • სიძულვილით მოტივირებული დანაშაული • დისკრიმინაცია • სექსიზმი **სიძულვილის ენა საქართველოში** • სტატისტიკური მონაცემები: რამდენად რელევანტურია სიძულვილის ენის პრობლემა საქართველოსთვის (ODIHR-ის მიერ აღრიცხული მონაცემები - https://hatecrime.osce.org/georgia) **სიძულვილის ენის ადრესატები საარჩევნო პერიოდში** • საარჩევნო ადმინისტრაციები, ამომრჩევლები და საარჩევნო დამკვირვებლები არჩევნების დროს • კანდიდატები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საარჩევნო კამპანიის დროს **სიძულვილის ენის გამოყენების შედეგები** • სამიზნე პირებისთვის • სამიზნე დაწესებულებებისთვის • საარჩევნო გარემოსათვის

სესია II: სიძულვილის ენა და საარჩევნო ადმინისტრაციები	
განმარტებები, სტატისტიკური მონაცემები და გამოწვევები	ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციების, ამომრჩევლებისა და დამკვირვებლების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ ტრენინგის მონაწილეების მოსაზრებები: სიძულვილის ენასთან დაკავშირებული გამოწვევები, რომელთაც საარჩევნო ადმინისტრაციები აწყდებიან
საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ საერთაშორისო სტანდარტების და კარგი პრაქტიკის გამოყენება სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში	**ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების კარგი პრაქტიკა** • სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა (სახელმწიფო მოხელეები, ცნობილი ადამიანები) • საარჩევნო ადმინისტრაციებში კარგი ქცევის მაგალითის მიცემა • დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის დაგმობა • ღია სივრცე პლურალისტური საჯარო დიალოგისთვის • სწავლების ხელშეწყობა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებითა და ფოკუსჯგუფებით, რათა საარჩევნო ადმინისტრაციებმა უკეთ გაიაზრონ, თუ როგორ და რა გავლენას ახდენს გამონათქვამები ქცევაზე • სიძულვილის ენის მონიტორინგი, მონაცემების აღრიცხვა და ანგარიშგება • რისკების შემცირება უსაფრთხოების დაგეგმვით • დავების ეფექტიანად და გულისხმიერად განხილვა • დაინტერესებული მხარეების მომზადება • ამომრჩეველთა განათლება და ცნობიერების ამაღლება **საერთაშორისო სტანდარტები** (იხ. ლიტერატურის ჩამონათვალი)

15 ივნისი, 2021 წ.	
სესია II: სიძულვილის ენა და საარჩევნო კამპანიები	
განმარტებები, სტატისტიკური მონაცემები და გამოწვევები	ცესკო-ს, მარეგულირებელი ორგანოებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების ინფორმაცია ტრენინგის მონაწილეთა დისკუსია: სიძულვილის ენასთან დაკავშირებული გამოწვევები საარჩევნო კამპანიის დროს
საერთაშორისო სტანდარტების და კარგი პრაქტიკის გამოყენება სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში, საარჩევნო კამპანიების დროს: სვლა სისტემური მიდგომისკენ	საარჩევნო კამპანიების დროს სიძულვილის ენასთან ბრძოლის მიმართ სისტემური მიდგომა • ამომრჩეველთა განათლება • ცნობილი წარმომადგენლების განცხადებები • ქცევის კოდექსი პოლიტიკური პარტიებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის • სასამართლო პროცესები • საარჩევნო კამპანიების დროს სიძულვილის ენის მონიტორინგი და ანგარიშგება • ონლაინპლატფორმა სიძულვილის ენის გამოყენების თაობაზე ანგარიშგებისათვის

დანართი 3. ტრენინგის მასალების ჩამონათვალი

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭოს რესურსების კრებული სიძულვილის ენაზე: https://www.coe.int/en/web/freedom-expression/hate-speech

ევროპის საბჭოს პოლიტიკის რეკომენდაცია ქართულ ენაზე: ECRI General Policy Recommendation N°15 (coe.int)

ევროპის საბჭო: რეზოლუცია CM/ResCMN(2020)5 საქართველოს მიერ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩოკონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ, 2020 წლის 17 ივნისს, მინისტრების მოადგილეთა 1379-ე შეხვედრაზე) https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016809ebbb1Nglobalcontainer

ევროპის საბჭო: საქართველოში დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლა, https://www.coe.int/en/web/tbilisi/fighting-discrimination-hate-crime-and-hate-speech-in-georgia

ევროპის საბჭო: საქართველოში დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლა: დამოკიდებულებები და ცნობიერება, 2018 წ. https://www.coe.int/en/web/tbilisi/fighting-discrimination-hate-crime-and-hate-speech-in-georgia

ევროპის საბჭოს/ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ - მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს: https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/recommendation-no.15

ევროპის საბჭო: ისაუბრე მშვიდობის ენით! სიძულვილის ენა დაუშვებელია! 2020 წ. https://rm.coe.int/speak-peace-final-screen-eng/1680a1c652

ევროპის საბჭო: შედარებითი კვლევა სიძულვილის ენის მარეგულირებელი კანონებისა და სომხური კანონმდებლობის შესახებ, 2020 წ., https://rm.coe.int/final-report-on-reforming-armenian-hate-speech-laws-en-1-/pdf/1680a0b84e

ევროპის საბჭო: ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენის რეგულირების მოდელები. კოლაბორაციული რეგულირება და ინტერნეტსივრცეში

სიძულვილის ენის სამიზნეებისათვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გამოწვევები ევროპის ადამიანის უფლებების ჩარჩოს ფარგლებში, 2020 წ. http://rm.coe.int/models-of-governance-of-online-hate-speech/16809e671d

ევროპის საბჭო: მოლდოვის რესპუბლიკაში სიძულვილის ენაზე რეაგირების შესახებ ანგარიში (2021 წლის მარტი), https://rm.coe.int/report-responses-to-hate-speech-in-republic-of-moldova/1680a2637f

ევროპის საბჭო: მედია, არჩევნები და გენდერი. კვლევა არჩევნების მედიით გაშუქების შესახებ, გენდერული თანასწორობის ჭრილში, 2018 წ., https://edoc.coe.int/en/media/7612-media-elections-and-gender-study-on-media-coverage-of-elections-with-a-specific-focus-on-gender-quality.html

ACE Project

ACE Project: სიძულვილის ენის შესახებ საერთაშორისო და შედარებითი სამართალი, https://aceproject.org/ace-en/topics/me/mea/mec03d/mec03d03

ACE Project: პოლიტიკა სიძულვილის ენისა და ცილისწამების წინააღმდეგ https://aceproject.org/ace-en/topics/me/mea/mec03d/default

ACE Project: სიძულვილის ენის შემთხვევების გაშუქება: https://aceproject.org/ace-en/topics/me/mef/mef04/mef040c/mef03e

ACE Project: სიძულვილის ენა – მარეგულირებლის საქმიანობა https://aceproject.org/ace-en/topics/me/mea/mec03d/mec03d03

სხვა რესურსები:

Friedrich-Ebert-Stiftung/ Hanna Gleiß & Sina Laubenstein: მიმოხილვითი დოკუმენტი. ევროპულ დონეზე სიძულვილის ენასთან ბრძოლის სტრატეგიები. https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/themen/conference-unboxing-hate-speech/2443050

Heinrich-Böll-Stiftung: ცრუ ინფორმაცია, დეზინფორმაცია, მავნე ინფორმაცია: გამომწვევი მიზეზები, ტენდენციები და მათი გავლენა დემოკრატიაზე, https://www.boell.de/en/2020/08/25/misinformation-disinformation-malinformation

ადამიანის უფლებათა საბჭო: უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფი, 37-ე სესია, 2021 წლის 18-29 იანვარი, საქართველოს შესახებ მასალები. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ანგარიში, https://undocs.org/a/hrc/wg.6/37/geo/2

IFES / Vasu Mohan / Catherine Barnes: სიძულვილის ენასთან ბრძოლა და არჩევნები: საარჩევნო ადმინისტრაციების სტრატეგიები, https://aceproject.org/today/feature-articles/countering-hate-speech-in-elections-strategies-for

ODIHR-ის ანგარიში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ საქართველოში, https://hatecrime.osce.org/georgia?year=2019

ODIHR: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლთათვის განკუთვნილი მხარდაჭერის სტრუქტურებისა და სპეციალიზებული სერვისების მდგომარეობა, საბაზისო ანგარიში, 2020 წ., https://www.osce.org/odihr/467916

გაერო: სიძულვილის ენის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა https://www.un.org/en/genocideprevention/hate-speech-strategy.shtml

გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტი COVID-19-თან დაკავშირებულ სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და რეაგირების შესახებ, 2020 წლის 11 მაისი, https://www.un.org/en/genocideprevention/hate-speech-strategy.shtml

UNDP: საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში: სექსიზმი და სტერეოტიპები სოციალურ მედიაში. https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/gender-hate-speech.html

UNDP/კავშირი „საფარი“: სექსისტური სიძულვილის ენის ინდიკატორები საქართველოში, 2020 წ. https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/gender-hate-speech.html

ონლაინკონფერენცია საქართველოში სიძულვილის ენის შემცველი ნიუსების შესახებ

https://www.disruptionlab.org/hate-news-vs-free-speech

ევროპის საბჭოს დისტანციური კურსების ჩამონათვალი - HELP-ის კურსი სიძულვილის ენის შესახებ

http://help.elearning.ext.coe.int/course/index.php?categoryid=100

N	ტრენინგის მასალები	გასაგზავნი	ამოსაბეჭდი
1	CoE-ს მასალების ონლაინკრებული სიძულვილის ენის შესახებ, https://www.coe.int/en/web/freedom-expression/hate-speech	●	
2	ODIHR-ის მიერ აღრიცხული მონაცემები საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ, https://hatecrime.osce.org/georgia?year=2019	●	
3	ონლაინკონფერენცია საქართველოში სიძულვილის ენის შემცველი ნიუსის შესახებ, https://www.disruptionlab.org/hate-news-vs-free-speech	●	
4	ევროპის საბჭოს დისტანციური კურსების ჩამონათვალი - HELP-ის კურსი სიძულვილის ენის შესახებ, http://help.elearning.ext.coe.int/course/index.php?categoryid=100	●	

ELECLAB

ევროპის საბჭოს საარჩევნო ლაბორატორია

KAT

ევროპის საბჭო არის კონტინენტის წამყვანი ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა სფეროში. იგი შედგება 46 წევრი სახელმწიფოსაგან, მათ შორის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან. ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს ხელი აქვს მოწერილი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე, ხელშეკრულებაზე, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების დასაცავად და კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშესაწყობად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პასუხისმგებელია წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციის განხორციელების ზედამხედველობაზე.

www.coe.int

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE